

10-15

2.3-



ISSN 0132-698 X

ՀԵՏՈՒՄ



3

1991

მეცნიერება



გაზეთი № 67-3

№ 3

მაისი, 1971 წ.

საქართველოს მწიგნობართა კავშირის ორგანო

მეცნიერების
განვითარება

შ ი ნ ა ა რ ს ი

გაზეთი, 430 ლი ალთვსა

3

პროზა, პოეზია

მინილ ანთაძე	კომინიზაციის სათბო მოძრაობა, დასასრული	36
გიორგი ზნაუზილი	ლეონი	75
გიორგი ზნაუზილი	ლეონი	80
ივანე დიანი	ლეონი, თბილისი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი	83
ალექსანდრე ზნაუზილი	გიორგის კვლევა, მოთხრობა	97
ვახტანგ ზნაუზილი	ლეონი	96
მთაბრუნველი	ლეონი	98

150 — აპაი — 150

თამარ ზვირილი	„მთის მწიგნობარს, ცის მხარეებზე“	100
ანატოლი მწიგნობარი	აპაი და მთა ზნაუზილი	103

მეცნიერება

აპაი მწიგნობარი	რუსთაველი და კრისტინა	110
ზნაუზილი	ალექსანდრე კომინიზაციის საბავარო უნივერსიტეტის	124
მთაბრუნველი		

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ვახტანგ ზნაუზილი	ფილიპის განათლება ანტიკის მეცნიერებულ მუშაობებში	131
მთაბრუნველი	კვლევა კვლევა ლეონი	141

ხელოვნება

მთაბრუნველი	ნახატი, სურათი, კვლევა	153
-------------	------------------------	-----

მოგონებები, ფაქტები

ანატოლი მწიგნობარი	კვლევა მწიგნობარის ზნაუზი	164
--------------------	---------------------------	-----



ეროვნული ბიბლიოთეკა

შთავარი რედაქტორი პრინტ სულბაძე

ხარედაქციო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე, მ. ბარძენიშვილი, ვ. გვირდ-
ფითელი, ალ. გომიანიშვილი, ვ. დოჩანაშვილი, ვ. ქალანდია, მ. ლე-
ზანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრეღაშვილი, ვ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე
(მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარაძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეის-
აიჩი, მ. ზილბაძე, ვ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ბ ი ბ ლ ი ა

ქველი ალთემა

ლავინათა წიგნი

მარცხენული

წიგნი

თავი პირველი

1. მოუწოდა მოსეს უფალმა და ელაპარაკა მას სადღესასწაულო კარვიდან: 2. ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: თუ თქვენგან ვისმე შესაწირავის შეწირვა უნდა უფლისათვის, შინაური პირუტყვიდან — ხეასუტაგიდან და ცხვირიდან შესწირეთ თქვენი შესაწირავი. 3. თუ აღსავლენია მისი შესაწირავი, ხეასუტაგიდან შესწიროს მამალი, სალი, სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან შესწიროს იგი უფლის წინაშე მისი წყალობითა მოსაპოვებლად. 4. დაადოს ხელი აღსავლენს თავზე და მიეცემა წყალობა, რომ შეენდოს ცოდვა. 5. დაკლას მოზვერი უფლის წინაშე და შესწირონ აარონიანმა მღვდლებმა სისხლი და გარშემო ასხურონ სისხლი სამსხვერპლოს, რომელიც სადღესასწაულო კარვის შესასვლელთანაა. 6. გააძტაონ აღსავლენი და წილობებად დაანაწილონ. 7. დაანთონ ცეცხლი აარონიანმა მღვდლებმა სამსხვერპლოზე და შეშა დააწყონ ცეცხლზე. 8. დააწყონ აარონიანმა მღვდლებმა წილობები, თავი და ქონი შეშაზე, რომელიც ცეცხლზეა, სამსხვერპლოზე. 9. მისი შიგნეული და კიდურები წყალში გარეცხოს და დაწვეას მღვდელმა ყველაფერი სამსხვერპლოზე, ეს არის აღსავლენი, საცეცხლო მსხვერპლი კეთილსურნელებად უფლისათვის. 10. თუ მისი შესაწირავი ცხვარი იქნება აღსავლენად, მამალი, სალი შესწიროს. 11. დაკლას იგი სამსხვერპლოს ჩრდილო მხარეს უფლის

წინაშე და გარშემო ასხურონ სისხლი სამსხვერპლოს. 12. დაანაწილოს წილობებად და დააწყოს მღვდელმა მისი თავი და ქონი შეშაზე, რომელიც ცეცხლზეა, სამსხვერპლოზე. 13. ხოლო შიგნეული და კიდურები წყალში გარეცხოს, შესწიროს მღვდელმა ყველაფერი და სამსხვერპლოზე დაწვეას. ეს არის აღსავლენი, საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად უფლისათვის. 14. თუ უფლისათვის აღსავლენი შესაწირავი ფრინველი იქნება, გვრიტი ან მტრედის ხუნდები შესწიროს შესაწირავად. 15. შესწიროს მღვდელმა სამსხვერპლოზე; თავი მოაკალოს და დაწვეას სამსხვერპლოზე, მისი სისხლი კი სამსხვერპლოს კედელს მიაწყოს. 16. ბუმბულიანად მოაკალოს ჩიჩაბვი და სამსხვერპლოსთან დააგდოს, აღმოსავლეთით, სადაც ნაკარია. 17. ფრთები გადაუმტერიოს, არკი მოაშოროს, და დაწვეას მღვდელმა სამსხვერპლოზე, შეშაზე, რომელსაც ცეცხლი უკიდია, ეს არის აღსავლენი, საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად უფლისათვის.

თავი მეორე

1. ვისაც სურს შესაწირავი შესწიროს ძღვნად უფალს, განმტკიცებული ფქვილი იყოს მისი შესაწირავი. ზეთი დაასხას ზედ და საკმეველი დადოს. 2. მიუტანოს აარონიან მღვდლებს, ერთერთმა მღვდელმა საცხე მუკით აიღოს ზეთიანი ფქვილი საკმეველთან ერთად და დაწვეას სამსხვერპლოზე სამახსოვროდ. ეს არის საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად უფლისათვის. 3.

რაც ამ შესაწირავს მორჩება, აარონსა და მის შვილებს ეკუთვნის, ეს წმიდათა წმიდაა უფლის საცეცხლო მსხვერპლიდან. 4. თუ ღუმელში გამოცხებარს შესწირავ ძღვნად, გამტკიცული ფქვილისგან იყოს წამცხვრები, უსაფუარო, ზეთში ახელილი და კვრები უსაფუარო და ზეთნაცხები. 5. თუ შენი შესაწირავი ტაფაზეა გამოცხებარი, ზეთში ახელილი გამტკიცული ფქვილისგან, უსაფუარო უნდა იყოს. 6. დააქუცმაცე იგი და ზეთი მოასხო ზედ. ეს არის საძღვნო შესაწირავი. 7. თუ მაყალიდან არის შენი საძღვნო შესაწირავი, ზეთიანი გამტკიცული ფქვილისგან უნდა იყოს მომზადებული. 8. და მთავარი ამგვარად მომზადებული საძღვნო უფალს. მიუტანე მღვდელს და ის შესწირავს ნას სამსხვერპლოზე. 9. აღმართოს მღვდელმა საძღვნო სამსხვერპლოდ და სამსხვერპლოზე დაწვას, ეს არის საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად უფლისათვის. 10. რაც საძღვნოს გადარჩება, აარონს და მის შვილებს ეკუთვნის. ეს წმიდათა წმიდაა უფლის საცეცხლო მსხვერპლიდან. 11. არც ერთი საძღვნო, რომელიც უფალს გინდა შესწირო, საფუარით არ უნდა იყოს მომზადებული, რადგან არც საფუარი, არც თაფლი არ უნდა დაიწვას საცეცხლო მსხვერპლად უფლისათვის. 12. როგორც პირველნაყოფთა შესაწირავი, ისე შესწირე უფალს და სამსხვერპლოზე არ აიტანო კეთილსურნელებად. 13. ყოველი საძღვნო მარლით დაამარილე და აღსატოვო საძღვნო შენი ღვთის აღთქმის წირვის გარეშე, ყოველ შესაწირავზე მიიტანე მარილი. 14. თუ პირველმოწეული ნაყოფებიდან შესწირავ უფალს საძღვნოს, ცეცხლზე მოხალული თავთავი და ღერძილი შესწირე შენი პირველმოწეული ნაყოფებისგან. 15. დაღვარე ზეთი და ზედ საკმეველი დადე. ეს არის საძღვნო შესაწირავი. 16. დაწვას მღვდელმა სამსხვერპლოდ — დაღერძილი და ზეთიანი მარცვლები მთელი საკმეველი-

თურთ. ეს არის საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის.

თავი მესამე


1. თუ სამშვიდობო მსხვერპლი მიი შესაწირავი, ეცხვრება თუ შესწირავს, მამალი იქნება თუ დედალი, საღი შესწიროს უფლის წინაშე. 2. დაადოს ზელი თავის შესაწირავს და დაკლას სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან, და მოასხურონ სამსხვერპლოს ირგვლივ სისხლი აარონიანებმა. 3. შესწიროს უფალს სამშვიდობო მსხვერპლიდან საცეცხლოდ: ქონი, რომელიც შიგნეულს აფენია, მთელი ქონი, რაც შიგნეულზეა, 4. და ორივე თირკმელი და ქონი, რომელიც აკრავს, რომელიც ფერდებზეა, და მოაცილოს ქონის ფენა ღვიძლს და თირკმელებს. 5. დაწვან იგი აარონიანებმა სამსხვერპლოზე აღსავლენთან ერთად, რომელიც შეშის ზემოთ დეგს, ცეცხლზე. ეს არის საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად უფლისათვის. 6. თუ ცხვირიდან არის მისი შესაწირავი, სამშვიდობო მსხვერპლად უფლისათვის, მამალი იქნება თუ დედალი, საღი შესწიროს. 7. თუ ცხვიარს სწირავს შესაწირავად, შესწიროს იგი უფლის წინაშე. 8. დაადოს ხელი თავის შესაწირავს თავზე და დაკლას სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან, და მოასხურონ სამსხვერპლოს ირგვლივ სისხლი აარონიანებმა. 9. შესწიროს სამშვიდობო მსხვერპლიდან უფალს საცეცხლო მსხვერპლად: მისი ქონი, და მთელი ღუმე, თუძოსთავამდე მოაცილოს იგი; ქონი, რომელიც შიგნეულს აფენია, მთელი ქონი, რაც შიგნეულზეა. 10. ორივე თირკმელი და ქონი, რომელიც მათ აკრავს, რომელიც ფერდებზეა; მოაცილოს ქონის ფენა ღვიძლს და თირკმელებს. 11. დაწვას მღვდელმა სამსხვერპლოზე; ეს არის პური, საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის. 12. თუ მისი შესაწირავი არა

არი, შესწიროს უფლის წინაშე. 13. დაადოს ხელი თავზე და დაკლას იგი სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან, და მოასხურონ მისი სისხლი სამსხვერპლოს ირგვლივ აარონიანებმა. 14. შესწიროს მისგან საცეცხლო მსხვერპლი უფალს: ქონი, რომელიც შიგნეულს აფენია და მთელი ქონი, რაც შიგნეულზეა. 15. ორივე თირკმელი და ქონი, რომელიც მათ აკრავს, რომელიც ფერდებზეა: ნოაილოს ქონის ფენა ღვიძლს და თირკმელებს. 16. დაწვას ეს მღვდელმა სამსხვერპლოზე, ეს არის პური, საცეცხლო მსხვერპლი, კეთილსურნელებად. მთელი ქონი უფლისაა. 17. ეს არის საუკუნო წესი თქვენი თაობებისთვის უველგან, სადაც კი ცხოვრობთ, არავითარი ქონი და სისხლი არ შეკამოთ..

თავი მეოთხე

1. ასე უთხრა უფალმა მოსეს: 2. ასე უთხარი ისრაელიანებს: თუ ვინმე უნებურად შესცოდავს და დაარღვევს უფლის მცნებებს, აკრძალულს რასმე ჩაიდენს, 3. თუ ცხებულმა მღვდელმა შესცოდა და ხალხიც დანაშაულში გარია, შესწიროს უფალს კოდვის განოსასყიდ მსხვერპლად სალი მოზვერი. 4. მიიყვანოს მოზვერი სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან უფლის წინაშე, დაადოს ხელი თავზე და დაკლას მოზვერი უფლის წინაშე. 5. აიღოს ცხებულმა მღვდელმა მოზერის სისხლი და შეიტანოს იგი სადღესასწაულო კარავში. 6. ამოაწოს თითი სისხლში და შეიდგზის მოასხუროს სისხლი წმიდის ფარდას უფლის წინაშე. 7. სცხოს სისხლი მღვდელმა უფლის წინაშე სურნელებათა საკმევი სამსხვერპლოს რქებს, რომელიც სადღესასწაულო კარავშია მოზერის დანარჩენი სისხლი კი დაღვაროს აღსავლენი სამსხვერპლოს ძირას, სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან რომ არის. 8. აართვას კოდ-

ვის გამოსასყიდ მოზვერს მთელი ქონი, რომელიც შიგნეულს აფენია და მთელი ქონი, რაც შიგნეულზეა, 9. ორივე თირკმელი და ქონი რომელიც მათ აკრავს, რომელიც ფერდებზეა, მოაიკლონ ქონის ფენა ღვიძლსა და თირკმელებს 10. ორივე ხალხს, სამ შეიდგზის მსხვერპლს, აარონევი ხოლმე, და დაწვას ეს მღვდელმა აღსავლენ სამსხვერპლოზე. 11. მოზერის ტყავი, მთელი მისი თორი, თავფეხი, შიგნეული და განავალი. 12. მთელი მოზვერი გაიტანოს ბანაიკის გარეთ სუფთა ადგილზე, სადაც ნაცარს ყრიან და შეშაზე დაწვას ცეცხლში, ნაცარის დასაყრელზე უნდა დაიწვას. 13. თუ მთელმა ისრაელის საზოგადოებამ შესცოდა უნებურად და ეს საკმე დაიფარება კრებულის თვალთვან, უფლისაგან აკრძალულს ჭაავეთებენ და დააშავებენ. და 14. მერე ჩადენილი კოდვა გამომღლავნდება, მაშინ კრებულმა კოდვის წამოსასყიდად მოზვერი უნდა შესწიროს, სადღესასწაულო კარვის წინაშე უნდა მოიყვანოს იგი. 15. დაასხან მოზვერს ხელი თავზე საზოგადოების უხუცესებმა უფლის წინაშე და დაკლან მოზვერი უფლის წინაშე. 16. შეიტანოს ცხებულმა მღვდელმა მოზერის სისხლი სადღესასწაულო კარავში. 17. ამოაწოს მღვდელმა სისხლში თითი და შეიდგზის მოასხუროს ფარდებს უფლის წინაშე. 18. სცხოს სისხლი სამსხვერპლოს რქებს, რომელიც უფლის წინაშე დგას, სადღესასწაულო კარავში, დანარჩენი სისხლი კი დაღვაროს აღსავლენი სამსხვერპლოს ძირში, რომელიც სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან არის. 19. აართვას მთელი ქონი და სამსხვერპლოზე დაწვას. 20. გაამზადოს ეს მოზვერი როგორც კოდვის გამოსასყიდი მოზვერი გაამზადა. ასე გაამზადოს და შენდობას გამოითხოვს მათთვის მღვდელი და მიეტყუებათ მათ. 21. გაიტანოს მოზვერი ბანაიკის გარეთ და დაწვას, როგორც ის პირველი მოზვერი დაწვა. ეს არის



კოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი. 22. თუ თავეკი ვინმე შეაკოდავს — უფლის, თავისი ღვთის აკრძალულს რასმე ჩაიდენს უნებურად და დაამაგებს, 23. და მერე მიხედება თავის კოდვას, რაც ჩაიდინა, მამალი, სალი თხა მიუყვანოს შესაწირავად. 24. დაადოს თხას თავზე ხელი და დაკლას იმ ადგილზე, სადაც აღსავლენი იკვლება უფლის წინაშე. ეს არის კოდვის გამოსასყიდი. 25. აიღოს მღვდელმა თითო კოდვი გამოსასყიდის სისხლი და სცხოს აღსავლენის სამსხვერპლოს რქებს, დანარჩენი სისხლი კი აღსავლენის სამსხვერპლოს ძირში დაღვაროს. 26. მთელი მისი ქონი სამსხვერპლოზე დაწვას, როგორც სამშვიდობო მსხვერპლის ქონს წვავენ. გამოითხოვს კოდვის შენდობას მისთვის მღვდელი და მიუტევება მას. 27. თუ ვინმე უბრალო ხალხიდან უნებურად შესცოდავს, უფლისგან აკრძალულს რასმე ჩაიდენს და დაამაგებს 28. და მერე მიხედება თავი ჩადენილ კოდვას, დედალი, სალი თხა შესწიროს ჩადენილი კოდვის გამოსასყიდად. 29. დაადოს თავზე ხელი კოდვის გამოსასყიდს და დაკლას კოდვის გამოსასყიდის ადგილას. 30. აიღოს მღვდელმა თითო სისხლი და სცხოს აღსავლენის სამსხვერპლოს რქებს, დანარჩენი სისხლი კი სამსხვერპლოს ძირში დაღვაროს. 31. აართვას მთელი ქონი, როგორც აკლიან ქონს სამშვიდობო მსხვერპლს და დაწვას იგი მღვდელმა სამსხვერპლოზე კეთილსურნელებად უფლისათვის. გამოითხოვს მისთვის შენდობას მღვდელი და მიუტევება მას. 32. თუ ცხვარს შესწირავს კოდვის ჭამოსასყიდად, დედალი, სალი შესწიროს. 33. დაადოს თავზე ხელი კოდვის გამოსასყიდს და დაკლას კოდვის გამოსასყიდად, როგორც აღსავლენი იკვლის. 34. აიღოს მღვდელმა თითო სისხლი და სცხოს აღსავლენის სამსხვერპლოს რქებს, დანარჩენი სისხლი კი სამსხვერპლოს ძირში დაღვაროს. 35. აარ-

თვას მთელი ქონი, როგორც აკლიან ქონს სამშვიდობო მსხვერპლად შეწირულ ცხვარს და დაწვას მღვდელმა სამსხვერპლოზე უფლის საცეცხლო მსხვერპლთან ერთად. გამოითხოვს მისთვის ჩადენილი კოდვის შენდობას მღვდელი და მიუტევება მას.

თავი მესამე

1. კაცი, რომელნაც შესცოდა იმით, რომ გაიგონა წყევლის ხმა, გინა მოწმე იყო, გინა დაინახა, გინა იცოდა, მაგრამ არ გააცხადა, დამნაშავეა. 2. თუ კაცი, რომელიც თავისდაუნებურად შეეხება რაიმე უწმიდურ საგანს: გინა უწმიდური მზეცის მძორს, გინა უწმიდური საქონლის მძორს, გინა უწმიდური ქვემძრომის მძორს, გაუწმიდურებულია და დამნაშავეა. 3. ანთუ თვისდა უნებურად შეეხება ადამიანის უწმიდურობას, რა უწმიდურობანიც არ უნდა იყოს, რითაც უწმიდურდება კაცი, და გაიგებს, დამნაშავეა. 4. თუ ვინმე თავისდა უნებურად ბავიდან წასცდება ფიცი ავზე ან კარგზე, ყველაფერზე, რაზეც კაცს წასცდება ხოლმე ფიცი, და მიხედება, დამნაშავეა ერთერთ ამათგანში. 5. და თუ დამნაშავეა ერთერთ ამათგანში, უნდა აღიაროს, რომ ცოდვა აწევს, 6. და მიუყვანოს უფალს ჩადენილი კოდვის გამოსასყიდი დედალი ცხვარი ან თხა, და მღვდელი კოდვის შენდობას გამოითხოვს მისთვის. 7. თუ ცხვარზე ხელი არ მიუწვდება, მიუყვანოს უფალს ჩადენილი დანაშაულის გამოსასყიდად ორი გვრიტი ან მტრედის ორი ხუნდი, ერთი კოდვის გამოსასყიდად, მეორე აღსავლენად. 8. მიუყვანოს ისინი მღვდელს, ხოლო მღვდელმა ჭერ კოდვის გამოსასყიდი შესწიროს: კისერი გადაუგრიბოს, მაგრამ თავი არ მოაცალოს. 9. მოასხუროს კოდვის გამოსასყიდის სისხლი სამსხვერპლოს

ვედელს. დანარჩენი სისბლი კი სამსხვერპლოს ძირში უნდა ჩაიწუროს. ეს არის ცოდვის გამოსასყიდი. 10. მეორე აღსავლენად უნდა გაამზადოს წესისამებრ და გამოითხოვს მისთვის მღვდელი ჩადენილი ცოდვის შენდობას და მიეტყუება მას. 11. თუ ხელი არ მიუწვდება ორ გვრიტზე და მტრედის ორ ბუნდზე, მიიტანოს ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდად ერთი შეათედი ეფა გამტკიცული ფქვილი, ნუ დაღვრის მასზე ზეთს და ნურც სამეველს დადებს ზედ, რადგან ეს ცოდვის გამოსასყიდი. 12. მიუტანოს იგი მღვდელს. აიღოს იქიდან მღვდელმა სავეს მუჟა სამახსოვროდ და დაწვას სამსხვერპლოზე უფლის საცეცხლო მსხვერპლად. ეს არის ცოდვის გამოსასყიდი. 13. გამოითხოვს ამისთვის მღვდელი ჩადენილი ცოდვის შენდობას და მიეტყუება მას. რაც დარჩება, მღვდელს ეკუთვნის, როგორც ძღვენი. 14. ასე უთხრა უფალმა მოსეს: 15. თუ ვინმე გადავა წესს და უნებურად შესცოდავს უფლის სიწმიდითა მიმართ, დანაშაულის გამოსასყიდად შესწიროს უფალს ფარიდან გამოუყვაროლი სალი ვერძი, რამდენი შეკელიც ელირება (საწმიდარის შეკელის მიხედვით). 16. რა სიწმიდესაც შესცოდა, უნდა ზლოს და მისი მეხუთედიც დაუმატოს, მისცეს მღვდელს და მღვდელი გამოითხოვს მისთვის შენდობას გამოსასყიდი ვერძით და მიეტყუება მას. 17. თუ ვინმე უნებურად შესცოდავს, ჩაიდენს უფლის მცნების საწინააღმდეგოს რასმე, რისი გაკეთებაც არა ხამს, დადანაშაულდება და ცოდვა დაეკისრება. 18. მიუყვანოს მღვდელს ცოდვის გამოსასყიდად სალი ვერძი ფარიდან, რაც უნდა ღირდეს, და გამოითხოვს მისთვის მღვდელი ცოდვის შენდობას, რომელიც განუზრახველად და უნებურად ჰქონდა ჩადენილი, და მიეტყუება. 19. ეს არის დანაშაულის გამოსასყიდი, რა დანაშაულიც უფლის წინაშე ჩაიდინა.

თავი მეექვსე

1. ელაპარაკე უფალს მოსეს და უთხრა: 2. თუ ვინმე შესცოდავს და უპატრონოდ მოიქცევა უფლის მიმართ — უფარ, ეტყვის თავის მახლობელს შესანახად, მიმართულნი და მითვისებულზე, ან წართმეულზე, ან რაიმე გამოსტყუებს თავის მახლობელს. 3. ან ბედნის დაკარგვას მარამ იუარებს, ცრულ დაიფიცავს რაიმეზე, რასაც აღამიანი აკეთებს და სცოდავს; 4. და როცა შესცოდავს და ბრალი დაედება, უნდა დააბრუნოს წართმეული, რაც წართვა ან გამოტყუებული, რაც გამოსტყუა, ან მიბარებული, რაც მიიბარა, ან დაკარგული, რაც იპოვნა; 5. ან რაზეც ცრულ დაიფიცა, სრულად უნდა ზლოს ყველაფერი და მისი მეხუთედიც დაუმატოს. უნდა დაუბრუნოს პატრონს ბრალდების დღესვე. 6. დანაშაულის გამოსასყიდად უნდა მიუყვანოს მღვდელს უფლისათვის სალი ვერძი ფარიდან, რაც არ უნდა ღირდეს. 7. გამოითხოვს მისთვის შენდობას მღვდელი უფლისაგან და მიეტყუება მას ყოველი დანაშაული, რაც კი ჩადენილი აქვს. 8. ელაპარაკე უფალი მოსეს და უთხრა: 9. გამოუტყადე აარონს და მის შვილებს: ეს არის-თქო აღსავლენის წესი: სამსხვერპლოზე უნდა იდოს აღსავლენი მთელი ღამე დილაამდე. სამსხვერპლოს ცეცხლი უნდა ენთოს იქ. 10. შეიმოსოს მღვდელმა თავისი სელის სამოსელი და შიშველ ტანზე სელის საცვლი ჩაიცვას, ვადმოიღოს ნაცარი, რომელიც სამსხვერპლოზე დარჩა აღსავლენის დაწვის შემდეგ, და სამსხვერპლოში გვერდით დაყაროს. 11. გამოიცილოს სამოსელი და ბანაკის გარეთ, სუფთა ადგილზე გაიტანოს ნაცარი. 12. ცეცხლი ენთოს სამსხვერპლოზე, არ ჩაქრეს, ყოველ დილას შეშა შეუკეთოს მღვდელმა და აღსავლენი დააწყოს ზედ. დაწვას მასზე სამშვიდობო მსხვერპლის ქონი. 13. ცეცხლი მუდამ ენთოს სამსხვერპლოზე, არ ჩაქრეს. 14. ანა, საძღვნო შე-

საწირავის წესი: შესწირონ იგი აარონიანებმა უფლის წინაშე სამსხვერპლოს წინა მხრიდან. 15. აილოს მუკით საძღვნო შესაწირავიდან გამტკიცული ფქვილი, ზეთი და მთელი საკმეველი და დაუწვას სამსხვერპლოზე უფალს კეთილსურნელებად, სამახსოვროდ. 16. რაც დარჩება, აარონმა და მისმა შვილებმა შეკამონ. უფუერად უნდა შეიკამოს წინა ადგილზე, სადღესასწაულო კარვის ეზოში უნდა შეკამონ. 17. საფუარიათ არ უნდა გამოცხვეს. ამას ვაძლეე მათ წილად სეცებლო მსხვერპლიდან. ეს წმიდათა წმიდაა, როგორც ცოდვისა და დანაშაულის გამოსასყიდა. 18. ყოველმა მამაკაცმა აარონიანთაგან შეკამოს, ეს გქონდეთ თქვენს თაობებში საუკუნო არჩევად უფლის საცებლო მსხვერპლიდან. ყველაფერი, რაც მას მიეკარება, წმიდაა. 19. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 20. ეს არის აარონის და მისი შვილების შესაწირავი, რომელიც უნდა შესწირონ უფალს მათი ცხების დღეს: მეათედი იფა გამტკიცული ფქვილი საძღვნო მუდმივ შესაწირავად, ნახევარი დილისთვის, ნახევარი საღანოსთვის. 21. ტაფაზე ზეთში უნდა მომზადდეს, მოზელილი უნდა მოიტანონ, ნამცხვრის წილობებად უნდა შესწირონ უფალს კეთილსურნელებად. 22. მღვდელმა, ცხებულმა, ან ვინმემ მის შვილთაგან მის მაგივრად შეასრულოს ეს, საუკუნო წესი უფლისთვის. მთლიანად უნდა დაიწვას. 23. მღვდლისაგან შეწირული საძღვნო მთლიანად უნდა დაიწვას, არ უნდა შეიკამოს. 24. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 25. უთხარი აარონს და მის შვილებს: აჰა, ეს არის ცოდვის გამოსასყიდის წესი: იმ ადგილას, სადაც აღსაველნი იკვლება, უნდა დაიკლას უფლის წინაშე ცოდვის გამოსასყიდი. ეს წმიდათა წმიდაა. 26. მღვდელმა, რომელიც სწირავს ცოდვის გამოსასყიდს, უნდა შეკამოს იგი, წმიდა ადგილას უნდა შეიკამოს, სადღესასწაულო კარვის ეზოში. 27. ყველა ვინც იმ ხორცს

მიეკარება, წმიდაა. თუ სისხლი მიესხურება სამოსელს, სხურებული წმიდა ადგილზე გარცხებ. 28. თიხის კურკული, რომელშიც იფა მოიხარშა, უნდა დაიმტერეს, თუ სისხლენძის ქუთქელში მოიხარშა უნდა გაიხეხოს და წყლით გაიფრეოს. 29. ყველა მამაკაცმა სამღვდელთაგან კამოს წმიდათა წმიდათა იფა 30. ცოდვის გამოსასყიდა იფა არღო მსხვერპლი, რომლის სისხლიც სადღესასწაულო კარვში შექვეთა წმიდარში შენდობის გამოსათხოვად, არ უნდა შეიკამოს, ცეცხლში უნდა დაიწვას.

თახი მეხვიე

1. ეს არის დანაშაულის გამოსასყიდის წესი, ეს წმიდათა წმიდაა. 2. სადაც აღსაველნი იკვლის, იმ ადგილზე უნდა დაიკლას დანაშაულის გამოსასყიდი და ისი სისხლი ირგვლივ მოესხუროს სამსხვერპლოს. 3. შესწირავს მისგან მთელი ქონი, დუმა და ქონი, რომელიც შიგნულს აფენია. 4. ორივე თირკმელი და ქონი, რომელიც მათ აკრავს, რომელიც ფერდებზეა. მოაყლოს ქონის ფენა ღვიძლსა და თირკმელებს. 5. დაწვას ისინი მღვდელმა სამსხვერპლოზე საცებლო მსხვერპლად უფლისათვის. ეს არის დანაშაულის გამოსასყიდი. 6. ყოველმა სამღვდლო მამაკაცმა კამოს იგი, წმიდა ადგილზე კამონ. ეს წმიდათა წმიდაა. 7. ერთი წესი აქვს ცოდვის გამოსასყიდს: იგი ეკუთვნის მღვდელს, რომელიც მისი მეოხებით გამოითხოვს შენდობას. 8. აღსაველნის ტყავი ეკუთვნის მღვდელს. რომელიც სწირავს აღსაველნს. 9. ყოველი საძღვნო შესაწირავი, რომელიც ცხება თონეში და ყველაფერი, რაც მათაზე ან ტაფაზე მზადდება, ეკუთვნის მღვდელს. რომელიც სწირავს მას. 10. ყოველი საძღვნო შესაწირავი, ზეთში ახელილი თუ მშრალი, ყველას ეკუთვნის აარონ-

ნიანთაგან, როგორც ერთს, ისე მეორეს. 11. ეს არის წესი სამშვიდობო მსხვერპლისა, რომელსაც სწირავს კაცო უფალს. 12. თუ სამადლობლოს სწირავს, შესწიროს მადლობის მსხვერპლად ზეთში ახელილი უსაფუარო ნამცხვრები, ზეთწაცხებული უსაფუარო კვარები და ზეთით გაკლენთილი გამტაკიული ფქვილი, ზეთში ახელილი ნამცხვრები. 13. ნამცხვრებს ჭარდა შესწიროს საფუარიანი პური თავის შესაწირავად მადლობის სამშვიდობო მსხვერპლთან ერთად. 14. ერთი ნაწილი თითოეული შესაწირავიდან უფლისადმი აღსამართავი იყოს. იგი ეკუთვნის მღვდელს, რომელიც ასხურებს სამშვიდობო მსხვერპლის სისხლს. 15. სამშვიდობო მსხვერპლის ხორცი შეწირვის დღეს უნდა შეიკამოს, დილისთვის არ უნდა დარჩეს. 16. თუ მისი შესაწირავი აღთქმული ან ნებაყოფლობითი მსხვერპლია, შეწირვის დღეს შეიკმება იგი. რაც მორჩება, მეორე დღესაც შეიძლება შეიკამოს. 17. მსხვერპლის ხორციდან რაც მესამე დღეს მორჩება, ცეცხლში უნდა დაიწვას. 18. თუ სამშვიდობო მსხვერპლის ხორციდან მესამე დღეს შეკამს, არ იქნება სათნო: არაფრად ჩაეთვლება მის შემწირველს, სიბილწე იქნება ეს და ცოდვა დაეკისრება მის მკამელს. 19. ხორცი რომელიც რამე უწმიდურს მიეკარება, არ იკმევა, ცეცხლში უნდა დაიწვას. ვინც განწმედილია, იმას შეუძლია შეკამოს. 20. თუ ვინმე უწმიდურობაში შეკამს უფლის სამშვიდობო მსხვერპლის ხორცს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან. 21. თუ ვინმე უწმიდურს რასმე შეეხება, იქნება ეს აღამიანის უწმიდურება, უწმიდური პირუტყვი, გინა რაიმე უწმიდური კვემტრომი. და შეკამს უფლის სამშვიდობო მსხვერპლის ხორცს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან. 22. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 23. უთხარი ისრაელიანებს: არ კამოთ არც ხარის, არც ცხვრის, და არც თხის ქონი, 24. ლეშის ქონი და ნამხეცავის

ქონი შეიძლება გამოიყენოთ უფლა საკმეში, კამოთ კი არ კამოთ. 25. რადგან ვინც შეკამს პირუტყვის ქონს, რომელიც შეწირულია საცეცხლოდ უფლისადმი, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან. 26. არსად არ კამოთ თქვენს სარწმუნოებებში თავითარი სისხლი არც ფრინველსა და არც პირუტყვისა. 27. უფლა, ვინც კი შეკამს რაიმე სისხლს, უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან. 28. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 29. უთხარი ისრაელიანებს: უფლისადმი თავისი სამშვიდობო მსხვერპლის შემწირველმა მიუტანოს თავისი შესაწირავი უფალს სამშვიდობო მსხვერპლიდან. 30. საკუთარი ხელით მიუტანოს უფალს საცეცხლო მსხვერპლი: ქონი მკერდთან ერთად მიუტანოს, რომ შეარხოს მკერდი შესარხველ მსხვერპლად უფლის წინაშე. 31. დაწვას მღვდელმა ქონი სამსხვერპლოზე, მკერდი კი აარონისა და მისი შვილებისაა. 32. მარჯვენა ბეჭი თქვენი სამშვიდობო შესაწირავიდან მიეცი მღვდელს აღსამართავად. 33. ვინც სამშვიდობო მსხვერპლის სისხლს და ქონს სწირავს აარონიანთაგან, მას ეკუთვნის წილად მარჯვენა ბეჭი. 34. რადგან შესარხველი მკერდი და აღსამართავი ბეჭი გამოვართვი ისრაელიანებს მათი სამშვიდობო მსხვერპლიდან და დავეუწყე აარონს და მის შვილებს საუკუნო არჩივად ისრაელიანთაგან. 35. ეს არის წილი აარონისა და წილი მისი შვილებისა უფლისადმი შეწირული საცეცხლოდან მას შემდეგ, რაც წარდგენილ იქნენ ისინი სამღვდლოდ უფლის წინაშე; 36. რომელიც დააწესა უფალმა მათთვის მისაცემად ისრაელიანთაგან მათი ცხების დღეს. ეს არის საუკუნო წესი მათ თაობებში. 37. ეს არის რჩული აღსაველენისთვის, საძღვონისთვის, ცოდვისთვის, დანაშაულისთვის, ხელავებისთვის და სამშვიდობო მსხვერპლისთვის. 38. რომელიც დაუწესა უფალმა

მოსეს სინაის შაახე, როდესაც უბრძანა ისრაელიანებს სინას უდაბნოში მსხვერპლი შეეწირათ უფლისათვის.

თავი მერვე

1. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთბრა: 2. წაიყვანე აარონი და მისი შვილები, აიღე შესამოსელი, მირონი, ცოდვის გამოასყიდი მოზვერი, ორი ვერძი და ერთი კალათა ხშიადი. 3. და შეპყარე მთელი საზოგადოება სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან. 4. ისე მოიქცე მოსე, როგორც უფალმა გამოუცხადა. შეპყარა მთელი საზოგადოება სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან. 5. უთბრა მოსემ საზოგადოებას: აი, რას გვიბრძანებს უფალი გასაკეთებლად. 6. მიიყვანა მოსემ აარონი და მისი შვილები და წყლით დაბანა ისინი. 7. კვართი ჩააცვა, სარტყელი შემოართყა, მოსასხამი მოასხა, ეფოდი ჩამოაცვა, შემოართყა ეფოდის სარტყელი და დაუმაგრა ეფოდი. 8. გაუქმთა გულისპირი და გულისპირზე ურიმი და თუმიმი მიუმაგრა. 9. თავზე ნიტრა დაადგა და მიტრაზე წინა მხრიდან მიუმაგრა ოქროს ჯილა, სიწმიდის გვირგვინი, როგორც გამოუცხადა უფალმა მოსეს. 10. აიღო მოსემ მირონი და სცხო სავანეს და ყველაფერს, რაც მასში იყო, და განწმიდა. 11. ასხურა საწმენკო მთელს სანსხვერპლოს შვიდგზის და სცხო საწმენკო მთელს სანსხვერპლოს და მთელს კურკელს, საბანელს და მის კვარცხლბეკს მათ განსაწმენდად. 12. თავზე დააღვარა მირონი აარონს და სცხო მას განსაწმენდად. 13. მიიყვანა მოსემ აარონიანები და შემოსა ისინი კვართით, შემოართყა სარტყელი და მოახვია თავსაბურავი, როგორც გამოუცხადა უფალმა მოსეს. 14. მიიყვანა ცოდვის გამოასყიდი მოზვერი და დაასხეს თავზე ხელი აარონმა და მისმა შვილებმა ცოდვის გამოასყიდი მოზვერს. 15. დაკლა იგი მოსემ, თითებით მოიღო მისი სისხლი

და ირგვლივ სცხო საწმენკო მთელს სანსხვერპლოს რქებს და მოკბოცა ცოდვი საწმენკო მთელს სანსხვერპლოს. დახარჩენი სისხლი კი დაღვარა საწმენკო მთელს სანსხვერპლოს ძირში და განწმიდა.

16. აიღო მთელი ქონი, რაც შიგნულზე იყო ღვიძლის ბადექონი, ორივე თირქმელი და მათი ქონი და დაწვა ისინი მოსემ საწმენკო მთელს სანსხვერპლოს. 17. მოზვერს სცხო მთელი სანსხვერპლის მთელი საწმენკო მთელს სანსხვერპლოს. და დაასხეს თავზე ხელი აარონმა და მისმა შვილებმა ცოდვის გამოასყიდი მოზვერს. 18. მიიყვანა აარონიანები და დაასხეს თავზე ხელი აარონმა და მისმა შვილებმა ცოდვის გამოასყიდი მოზვერს. 19. დაკლა იგი მოსემ და მისი სისხლი საწმენკო მთელს სანსხვერპლოს მოასხურა ირგვლივ. 20. ასო-ასო აქნა ვერძი და დაწვა მოსემ მისი თავი, ნაჭრები და ქონი. 21. შიგნული და კიდურება წყალში გარეცხა მოსემ და დაწვა მთელი ვერძი საწმენკო მთელს სანსხვერპლოს. 22. ეს არის აღსავლენი კეთილსურნელებად ეს არის საეცხლო მსხვერპლი უფლისთვის. 23. მიიყვანა მოსემ მეორე ვერძი, ხელავების ვერძი, და დაასხეს თავზე ხელი აარონმა და მისმა შვილებმა ცოდვის გამოასყიდი ვერძს. 24. დაკლა იგი მოსემ, აიღო მისი სისხლი და სცხო აარონს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე. 25. მიიყვანა აარონიანები და სცხო მათაც სისხლი მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე. დახარჩენი სისხლი კი საწმენკო მთელს სანსხვერპლოს მოასხურა ირგვლივ მოსემ. 26. აიღო ქონი, ღვიძლი, შიგნული, მთელი ქონი, ღვიძლის ბადექონი, ორივე თირქმელი და მათი ქონი და მარჯვენა ბეჭი. 27. აიღო ხშიადის კალათიდან, რომელიც უფლის წინაშე იყო, ერთი უსაფუარო ნამცხვარი, ერთი ზეთიანი ნამცხვარი, ერთი კერი და ქონებზე და მარჯვენა ბეჭზე დააწყო ისინი. 28. ხელზე დააწყო აარონს და მის შვილებს და შეარხია ისინი უფლის წინაშე შესარბევლ მსხვერპლად. 29. აიღო ისინი

თავი მესხმი

ნი მოსენ მათი ხელიდან და დაწვა სამსხვერპლოზე აღსაველნთან ერთად. ეს არის ხელავსების შესაწირავი კეთილსურნელებად. ეს არის საცეცხლო მსხვერპლი უფლისათვის. **29.** აილო მოსემ მკერდი და შეარხია იგი შესარხველ მსხვერპლად უფლის წინაშე. ხელავსების ვერძიდან წილი ჰქონდა მოსეს, როგორც გამოცხადებული ჰქონდა მოსესთვის უფალს. **30.** აილო მოსემ მირონი და სისხლი, რომელიც სამსხვერპლოზე იყო, და შესამოსელზე ასხურა აარონს და მის შვილებს. და განწმიდა აარონი და მისი შესამოსელი, და აარონის შვილები და მათი შესამოსელი. **30.** აილო მოსემ მირონი და სისხლი, რომელიც სამსხვერპლოზე იყო, და შესამოსელზე ასხურა აარონს და მის შვილებს. განწმიდა აარონი და მისი შესამოსელი, და აარონის შვილები და მათი შესამოსლები. **31.** უთხრა მოსემ აარონს და მის შვილებს: მოხარშეთ ხორცი სადღესასწაულო კარვის შესასველელთან და იქ ჰამეთ ხორცი და პური, რომელიც ხელავსების კალათშია, როგორც გამოგიცხადეთ, აარონმა და მისმა შვილებმა ჰამონ-მეტქი. **32.** მორჩენილი ხორცი და პური ცეცხლში დაწვიეთ. **33.** არ მოსცილდეთ სადღესასწაულო კარვის შესასველელს შვიდი დღის მანძილზე, სანამ თქვენი ხელავსების დღეები არ გასრულდება, რადგან შვიდ დღეს უნდა ივსებოდეს თქვენი ხელი. **34.** როგორც დღეს შესრულდა, ასე ჰქონდა ნაბრძანები უფალს, რომ შესრულებულიყო თქვენს შესანდობლად. **35.** სადღესასწაულო კარვის შესასველელთან იყავით დღისით და ღამით, შვიდ დღეს, და შეასრულეთ უფლის სამსახური, რომ არ დაიხოცოთ, რადგან ასე მაქვს გამოცხადებული. **36.** ყველაფერი ისე გააკეთეს აარონმა და მისმა შვილებმა, როგორც გამოცხადდა უფალმა მოსეს ხელით.

1. მეშვიდე დღეს უხმო მოსემ აარონს. მის შვილებს და ცოდვის უბუცეებს. **2.** უთხრა აარონს: მიყენებო, მოხარო, ცოდვის გამოსასყიდადი და ვერძი აღსაველნად, სალი, და შესწირე უფლის წინაშე. **3.** ასე უთხრა იგი ცოდვის გამოსასყიდადი, ხმო და კრავი, წელგამოვილინი, სალი, აღსაველნად. **4.** ხარი და ვერძი სამშვიდობოდ, სამსხვერპლოდ უფლის წინაშე, და სამღვო შესაწირავი, ზეთში აბელილი, რადგან დღეს გამოგეცხადებთ უფალი. **5.** მიიყვანეს სადღესასწაულო კარვის წინ ყოველივე, რაც მოსემ გამოუცხადა, ახლოს მოდგა მთელი საზოგადოება და გაჩერდა უფლის წინაშე. **6.** თქვა მოსემ: ეს არის, რისი გაკეთებაც ბრძანა უფალმა, და თქვენც გამოგეცხადებთ უფლის დიდება. **7.** უთხრა მოსემ აარონს: ახლოს მიდი სამსხვერპლოსთან და შესწირე შენი ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი და აღსაველი, და გამოითხოვე შენდობა შენთვის და ერისთვის. მიიტანე ერის შეაწირავი და გამოითხოვე მისთვის შენდობა, როგორც გამოცხადებული აქვს უფალს. **8.** ახლოს მივიდა აარონა სამსხვერპლოსთან და დაკლა ხმო თავისი ცოდვის გამოსასყიდად. **9.** მიუტანეს სისხლი შვილებმა აარონს, მან თითო ამოაწო სისხლში და სცხო სამსხვერპლოს რქებს. დანარჩენი სისხლი კი სამსხვერპლოს ძირას დადგარა. **10.** თავისი ცოდვის გამოსასყიდის ქონი, თირკმლები და ღვიძლის ბადექონი სამსხვერპლოზე დაწვა, როგორც გამოცხადებული ჰქონდა მოსესთვის უფალს. **11.** ხორცი და ტყავი კი ბანაკის გარეთ დაწვა ცეცხლში. **12.** დაკლა აარონმა აღსაველი და მიუტანეს მას შვილებმა სისხლი, რომელიც გარშემო მოასხურა სამსხვერპლოს. **13.** აღსაველი ნაჭრებად მიუტანეს თავთან ერთად და დაწვა იგი სამსხვერპლოზე. **14.** გარე-

ცხა შიგნეული და კედლები და დაწვა ისინი აღსავლენთან ერთად. 15. შესწირა ერის შესაწირავი: მოიყვანათხა ერის ცოდვის გამოსასყიდად და დაკლა. ისიც შესწირა ცოდვისათვის, როგორც პირველი. 16. შესწირა აღსავლენი და წესისამებრ გამზადა. 17. შესწირა საძღვნო და ხელი აივსო იმით და დაწვა სამსხვერპლოზე დიღას აღსავლენის გარდა. 18. დაკლა ხარ და ვერძი სამშვიდობო მსხვერპლად აღსავლენს და მიუტანეს აარონს მისმა შვილებმა სისხლი, რომელიც ვარშემო მოასხურა სამსხვერპლოს. 19. მიუტანეს ხარის ქონები და ვერძის დუშმა, შიგნეულის ქონი, თირკმლები და ღვიძლის ბადეკონი. 20. დაადეს ქონები მკერდს და დაწვა ქონები სამსხვერპლოზე. 21. მკერდი და მარჯვენა ბეჭი შეარხია აარონმა შესარხველად უფლის წინაშე, როგორც გამოცხადებული ჰქონდა მოსეს. 22. გაიწოდა ხელი აარონმა ერისკენ და დალოცა ისინი, და ჩამოვიდა ძირს, როცა მორჩა ცოდვის გამოსასყიდს, აღსავლენს და სამშვიდობო მსხვერპლს. 23. შევიდნენ მოსე და აარონი სადღესასწაულო კარავში, გამოვიდნენ და დალოცეს ერი. მაშინ გამოეცადა მთელს ერს უფლის დიდება. 24. გამოვიდა ცეცხლი უფლისაგან და შეკამა სამსხვერპლოზე დაწყობილი აღსავლენი და ქონები. იხილა მთელმა ერმა, აღმოხდათ სიხარულის ხმა და პირქვე დევმებენ.

თავი მათე

1. აიღეს აარონის შვილებმა — ნადაბმა და აბიჰემ თავ-თავისი საცეცხლურები, ჩადეს შიგ ცეცხლი, ზედ საკმეველი დაავარეს და მიიტანეს უფლის წინაშე უცხო ცეცხლი, რაც არ იყო მათთვის ნაბრძანები. 2. გამოვიდა ცეცხლი უფლისაგან და შთანთქვა ისინი. დაიბოცნენ უფლის წინაშე. 3. უთხრა მოსემ აარონს: ეს არის, რა-

საც ამბობდა უფალი: ჩემს აბლობლებში, განვიწმიდები მთელი ერის წინაშე განვიდიდები. დადემდ აარონი, 4. მოუხმო მოსემ მისივეს და ელცა-ვანს, აარონის ბაძის, ყუზიელს შვილებს, და უთხრა: მიდით და წმიდნადან მანაიკს გოთეთ გაიტანეთ თქვენ საბლკადები. 5. შევიდნენ და კარავიდან გაიტანეს ისინი ბანაკის გარეთ, როგორც ბრძანა მოსემ. 6. უთხრა მოსემ აარონს და მის შვილებს — ელიაზარს და ითამარს: თავს ნუ გაიშვილებთ და ტანისამოსს ნუ შემოივლებთ, რომ არ დაიბოცოთ, რომ რისხევა არ დაატყდეს მთელს საზოგადოებას. თქვენმა ძმებმა, მთელმა ისრაელის სახლმა, იტიროს დამწვარი, რაც დასწვა უფალმა. 7. ნუ მოსცილებთ სადღესასწაულო კარვის შესასვლელს, თორემ დაიბოცებით, რადგან საუფლო მირონია თქვენზე. მოსეს სიტყვისამებრ მოიქცნენ. 8. ელაპარაკა უფალი აარონს და უთხრა: 9. როცა სადღესასწაულო კარავში ხართ შესასვლელი, ნუ დაღვეთ ნურც შენ და ნურც შენი შვილები ღვინოს და მათრობელ სასმელს, რომ არ დაიბოცოთ. ეს არის საუკუნო წესი თქვენს თაობებში. 10. რომ გაირჩეს საღვთო და საერო, უწმიდური და განწმდილი, 11. რომ ასწავლოთ ისრაელიანებს ყოველი წესი, რომელიც მოსეს პირით ბრძანა უფალმა. 12. უთხრა მოსემ აარონს და მის დარჩენილ შვილებს — ელიაზარს და ითამარს: აიღეთ საძღვნო, რაც უფლის საცეცხლო მსხვერპლს გადაარჩა, და შეკამეთ სამსხვერპლოს გვერდით, რადგან წმიდათა წმიდა იგი. 13. კამეთ იგი წმიდა ადგილზე, რადგან ეს შენი და შენი შვილების არჩივია უფლის საცეცხლო მსხვერპლიდან, რადგან ასეა გამოცხადებული ჩემთვის. 14. შესარხველი მკერდი და აღსამართავი ბეჭი კამეთ განწმდილ ადგილზე შენც და შენმა შვილებმაც. რადგან ეს არის შენი და შენი შვილების არჩივი, რომელიც ისრაელიანთაგან შეწირული სამშვიდობო მსხვერპ-

ლიდან მოგვეთ. 15. აღსამართავი ბეჭი და შესარბეველი მკერდი საცეცხლო ქონთან ერთად უნდა მიიტანონ, რათა შეარბიონ უფლის წინაშე შესარბეველ მსხვერპლად. ეს იყოს შენთვის და შენი შვილებისთვის საუკუნო არჩევად, როგორც გამოცხადებული აქვს უფალს. 16. ცოდვის გამოსასყიდი თხაყ მოითხოვა მოსემ, და აჰა, დაიწვა იგი. განრისხდა მოსე ელიაზარზე და ითამარზე. აარონის გადარჩენილ შვილებზე, და თქვა: 17. რატომ არ შევამთ ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი წმიდა ადგილზე? ეს ხომ წმიდათა წმიდაა და იმისთვის მოგვეთ, რომ გეტყვირათ საზოგადოების შეცოდება და მისთვის შენდობა გამოგეთხოვთ უფლის წინაშე? 18. აჰა, არ ყოფილა შეტანილი მისი სისხლი საკურთხეველის შიგნით. თქვენ უნდა გეკამათ იგი წმიდაში, როგორც მე გამოვაცხადე. 19. უთხრა აარონმა მოსეს: დღეს შესწირეს მათ ცოდვის გამოსასყიდი და აღსაყლენი მსხვერპლი უფლის წინაშე და, აჰა, რა შემემთხვა, რომ შევეკამო, ვაითუ არ მოეწონოს უფალს? 20. მოისმინა მოსემ და მოეწონა.

თავი მეთერთმეტი

1. ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს და უთხრა მათ: 2. ელაპარაკეთ ისრაელიანებს: აი, ეს ცხოველებია, რომლებიც გეკმევათ ყველა პირტყვეს შორის დედამიწაზე: 3. ყველა პირტყვეი, რომელსაც ჩლიქი გაობილი აქვს და იცოხნის, გეკმევათ. 4. ოღონდ ისეთნი არ გეკმევათ, რომელიც იცოხნიან, მაგრამ ჩლიქი არა აქვთ გაობილი: აქლემი, რომელიც იცოხნის, მაგრამ გაუპობელი ჩლიქი აქვს, უწმიდურია თქვენთვის; 5. ბოცვერი, რომელიც იცოხნის, მაგრამ გაუპობელი ჩლიქი აქვს, უწმიდურია თქვენთვის; 6. კურდღელი, რომელიც იცოხნის, მაგრამ გაუპობელი ჩლიქი აქვს, უწმიდურია

თქვენთვის; 7. ღორი, რომელსაც ჩლიქი გაობილი აქვს, მაგრამ არ იცოხნის, უწმიდურია თქვენთვის; 8. მათი ხორცი არ შევამოთ, მათ ლეშს არ მიეკაროთ, უწმიდურებია ისინი თქვენთვის. 9. აი, რა გეკმევათ წყლის ასუბნითაგან: ყველაფერი, რასაც კი ფარფლები და კერეკი აქვს წყალში, ზღვებში თუ მდინარეებში, გეკმევათ. 10. ყველა თორი, რასაც ფარფლები და კერეკი არა აქვს ზღვებში თუ მდინარეებში, წყლის რა სულდგმულიც არ უნდა იყოს, უსურმაგია თქვენთვის. 11. უსურმაგი უნდა იყოს ისინი თქვენთვის, მათი ხორცი არ უნდა ჰამოთ, მათი ლეში უნდა გჰადგეთ. 12. ყველაფერი, რასაც ფარფლები და კერეკი არა აქვს წყალში, უსურმაგია თქვენთვის. 13. ესენი გჰადგეთ ფრინველთაგან, არ ჰამოთ, უსურმაგნი არიან: არწივი, სვავი, ფსოვი. 14. ძერა, ქორი და მათი გვარისანი, 15. ყოველნაირი ყორანი და მისი გვარისანი, 16. სირაქლემა, ბუ, თოლია, მიმინო და მათი გვარისანი, 17. კოტი, ჩვამა, წერო, 18. ბუციოტი, ვარბვი, კოდალა, 19. ყარყატი, ყანჩა და მისთანანი, ოფოფი, ლამურა, 20. ყოველნაირი მწერი — მფრინავი თუ ოთხზე მოსიარულე — უსურმაგი უნდა იყოს თქვენთვის. 21. გეკმევათ ყოველი მფრინავი თუ ოთხზე მოსიარულე მწერი, რომელსაც მუხლიანი წვივები აქვს მიწაზე სახტომად. 22. ამათაგან ესენი გეკმევათ: კალია და მისი გვარისანი, სალყამი და მისი გვარისანი, ხაგოლი და მისი გვარისანი, ხაგამი და მისი გვარისანი. 23. ყველა სხვა მწერი — ფრთიანი და ოთხფეხი — უსურმაგია თქვენთვის. 24. მათი უწმიდურობა თქვენზე გადმოვა; ყველა ვინც კი მათ ლეშს შეეხება, გაუწმიდურებული იქნება სალამომდე. 25. ვისაც რამე მოედება მათი ლეშისგან, სამოსელი უნდა გაარეცოს, და გაუწმიდურებული დარჩება სალამომდე. 26. ყოველი ცხოველი, რომელსაც ჩლიქი გაობილი აქვს, მაგრამ არა აქვს ღრმა ქრილი

და არც იკონება, უსურმაგია თქვენთვის, ყველა ვინც კი მას მიეყარება, გაუწმიდურდება. 27. ყოველი ოთხფეხი მხეცო, რომელიც თათებზე დადის, უსურმაგია თქვენთვის. ყველა ვინც კი მას მიეყარება, გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. 28. ვისაც რამე მოედება მათი ლეშისგან, სამოსელი გაირეცხოს, და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. უსურმაგები არიან ისინი თქვენთვის. 29. ესენი არიან თქვენთვის უსურმაგები მიწაზე მძრომებში: კვერნა, თაგვი, ხელიკი და მათი გვარისანი, 30. ზღარბი, ბაყაყი, კუ, ლოკოინა და თხუნელა. 31. ესენია თქვენთვის უსურმაგნი ქვემძრომებში. ვინც კი მათ ლეშს შეეხება, გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. 32. ყველაფერი, რაზეც კი რომელიმე მათგანი დაეცემა, ხის რამე ქურტყელი იქნება, ტყავის თუ ჭვალის სამოსელი, რაგინდარა სახმარი ნივთი, გაუწმიდურდება. წყალში უნდა ჩაიდოს და საღამომდე გაუწმიდურებული იქნება, მერე კი გაწმიდავდება. 33. თუ რამე თიხის ქურტყელში ჩავარდება, ყველაფერი, რაც ქურტყელშია, გაუწმიდურდება. უნდა დაამტვრიოთ. 34. თუ რამე საკმელს, რასაც კამთ, წყალი დაესხა, გაუწმიდურდება. ყოველი სასმელი, რომელსაც რამე ქურტყლიდან სვამთ, გაუწმიდურდება. 35. ყველაფერი რასაც მათი ლეშიდან რამე მოხვდა, გაუწმიდურებულია. ლემელი იქნება თუ კერა. უნდა დაიმტვრეს, უწმიდურია ისინი და თქვენთვისაც უწმიდური უნდა იყოს. 36. მხოლოდ წყარო და ქა, წყალსატევი დარჩება სუფთა. მათი ლეშის შენახული კი გაუწმიდურდება. 37. თუ მათი ლეშიდან რამე მოხვდა სათესლე მარცვალს, სუფთა დარჩება. 38. თუ თესლს წყალი დაესხა და მათი ლეშიდან რამე დაეცა ზედ, გაუწმიდურებული იქნება იგი თქვენთვის. 39. თუ ისეთი პირტყეო მოკვდება, რომელიც გეკმევათ, და მის ლეშს ვინმე მიეყარება, გაუწმიდურებული იქნება იგი საღამომდე. 40. მისი ლე-

შის მკამელმა ტანსაცმელი უნდა გაირეცხოს და საღამომდე გაუწმიდურებული იქნება. მის ლეშის წმენბმა ტანსაცმელი გაირეცხოს და საღამომდე გაუწმიდურებული იქნება. 41. ყველაფერი, რაც კი მათ ლეშს შეეხება, უსურმაგია, რამეც კმევათ. 42. არანაირი მუცელზე მხოხავი, არანაირი მრავალფეხი, არანაირი მწიწკი, მძრომე ან ვეფხვი, რადგან უსურმაგნი არიან. 43. არ წაიბღწოთ სული ქვემძრომით და არ გაუწმიდურდეთ მისგან. 44. რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ლმერთი, გაწმიდავდით და წმიდა იქნები, როგორც მე ვარ წმიდა. არ გაიუწმიდუროთ თავი იარანაირი ქვემძრომით, რომელიც მიწაზე დაოლავს. 45. რადგან მე ვარ უფალი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, რომ თქვენი ლმერთი ვყოფილიყავი, იყავით წმიდები, როგორც მე ვარ წმიდა. 46. ეს არის პირტყევის, ფრინველის და ყოველი სულდგმულის, წყალში მცურავისა და მიწაზე მლოლავის წესი, 47. რომ ერთმანეთისგან გაირჩეს უწმიდური და წმიდა. ცხოველი, რომელიც იკმევა, და ცხოველი, რომელიც არ იკმევა.

თავი მეთორმეტი

1. ელაპარაკე უფალი მოსეს და უთხრა: 2. ელაპარაკე ისრაელიანებს: თუ დედაცაო დაორსულდება / და ვაჟს გააჩენს, შობის შემდეგ შეიდღღეს უწმიდურია იგი, როგორც წილოვანების დროს, ისე უწმიდურდება. 3. მეშვიდე დღეს უნდა წაჰკრან ბავშვს ჩუჩა. 4. ოცდაცამეტი დღის მანძილზე უნდა დარჩეს ქალი განწმედის სისხლში. წმიდას არაფერს შეეცნოს, არც ტაძარში არ შევიდეს, ვიდრე განწმედის ვადა არ გავა. 5. თუ გოგო შეა, ორ კვირას იქნება გაუწმიდურებული, როგორც წილოვანების დროს. სამოცდაექვსი დღის მანძილზე უნდა დარჩეს განწმედის სისხლში. 6. როცა

გავა ვადა განწმედისა ვაეისათვის თუ გოგოსათვის, მიუყვანოს მღვდელს სადღესასწაულო კარავთან წელგამოვლილი კრავი აღსავლენად და მტრედის ხუნდი ან გვრიტი ცოდვის გამოსასყიდად. 7. მღვდელი შესწირავს ამას უფლის წინაშე, გამოითხოვს მისთვის შენდობას და განიწმიდება ქალი წიღოვანებისგან. ეს არის ვაეისა თუ გოგოს შობის წეაი. 8. თუ ცხვარზე არ მიუწევდება ხელი, მიუყვანოს ორი გვრიტი ან ორი ხუნდი — ერთი აღსავლენად, მეორე ცოდვის გამოსასყიდად. მღვდელი შენდობას გამოითხოვს მისთვის და გაწმიდავდება ქალი.

თავი მცხამეტი

1. ელაპარაკა უფალი მოსეს და აარონს და უთხრა: 2. თუ ვინმეს ტანზე სიმსიენე და სირსველი ან ლაქა გამოაჩნდება და სხეულის კანზე კეთრის წყლულად გადაიქცევა, იგი აარონ მღვდელს ან ერთ-ერთ მის შვილს, მღვდელთაგანს, უნდა მიუყვანონ. 3. გასინჯავს მღვდელი მისი სხეულის კანზე წყლულს და, თუ თმა წყლულზე გათეთრებული აქვს, წყლულიც ღრმად აქვს ჩამჭდარი კანში, ეს კეთრის წყლულია. გასინჯავს მას მღვდელი და უწმიდურად სცნობს. 4. თუ წყლული მის სხეულის კანზე თეთრია, მაგრამ წყლული ღრმად არ არის კანში ჩასული და თმაც არა აქვს გათეთრებული, მღვდელმა შეიდი დღით უნდა ჩაქეტოს დაწყლულებული. 5. გასინჯავს მას მღვდელი მეშვიდე დღეს და, თუ წყლული თვალში საცემია, მაგრამ არ გავრცელებულა კანზე, კიდევ შეიდღეს უნდა ჩაქეტოს იგი მღვდელმა. 6. მეშვიდე დღეს მღვდელი მეორედ გასინჯავს მას და, თუ წყლული გამკრთალებულია და არ გავრცელებულა კანზე, ჭანწმედილად სცნობს მას მღვდელი. ეს სირსველია, ტანსაცმელი უნდა გაირეცხოს და გაწმიდავდება. 7. თუ მას შემდეგ, რაც მღვდელს

გასაწმიდავებლად ეჩვენა, სირსველმა კანზე გავრცელება იწყოს, მეორედ უნდა ეჩვენოს მღვდელს. 8. გასინჯავს მას მღვდელი და, თუ სირსველი გავრცელებულია კანზე, მღვდელმა უწმიდურად უნდა სცნოს იგი, ეს კეთრია. 9. თუ ვინმეს კეთრის წყლული გამოაჩნდება, მღვდელს უნდა მიუყვანონ იგი. 10. გასინჯავს მღვდელი და, თუ კანზე სიმსიენე თეთრია, თმაც ამის გამო გავრცელებული და დაწყლულებული ხორცი ცოცხალია, 11. მისი სხეულის კანზე კეთრი შეებერებული ყოფილა. მღვდელი მას უწმიდურად სცნობს და ჩაქეტავს, რადგან უწმიდურია იგი. 12. თუ კეთრი გაეფურქნება კანზე და კეთრი დაუფარავს მთელ დაწყლულებულ კანს თავიდან ფეხებამდე, სადამდისაც მღვდლის თვალი გასწვდება, 13 დაინახავს მღვდელი, რომ კეთრმა დაუფარა მთელი სხეული, და წყლულს გაწმედილად სცნობს. თუ მთლიანად გათეთრებულია, გაწმედილია იგი. 14. როცა მასზე ცოცხალი ხორცი აღმოჩნდება, უწმიდურია იგი. 15. დაინახავს მღვდელი ცოცხალ ხორცს და უწმიდურად სცნობს მას, ცოცხალი ხორცი უწმიდურია, ეს კეთრია. 16. თუ ცოცხალი ხორცი შეეცლება და გაუთეთრდება, მღვდელთან უნდა მივიდეს. 17. გასინჯავს მას მღვდელი და, თუ წყლული გათეთრებული აქვს, მღვდელი წყლულს განწმედილად სცნობს. განწმენდილი იქნება იგი. 18. თუ სხეულის კანზე გამოაჩნდება გამონაყარი და მოუშუშდება, 19. გამონაყარის ადგილზე იქნება თეთრი სიმსიენე ან მოთეთრო-მოწითალო ლაქა, მღვდელს უნდა ეჩვენოს. 20. გასინჯავს მას მღვდელი და, თუ ეს აღმოჩნდა კანქვეშ და თმაც გათეთრებული აქვს, მღვდელი მას უწმიდურად სცნობს. ეს კეთრის წყლულია, გამონაყარზეა გაფურქნული. 21. თუ მღვდელი დაინახავს, რომ თმა გათეთრებული არა აქვს, წყლული კანქვეშ არ არის და მკრთალია, მღვდელმა უნდა ჩაქეტოს იგი შეიდღეს. 22. თუ

კანზე გაერცელდება. მღვდელმა იგი უწმიდურად უნდა სცნოს. ეს წყლულია. 28. თუ ლაქა თავის ადგილზე დარჩება, არ გაერცელდება, ეს გამონაყარის ანთებაა. მღვდელმა გაწმიდავებულად უნდა სცნოს იგი. 24. თუ სხეულზე, მის კანზე, დამწვრობა ექნება და მოწეშების შემდეგ მოთეთრო-მოწითალო ან თეთრი ლაქა დააჩნდება. 25. გასინჯავს მას მღვდელი და, თუ ლაქაზე თმა გათეთრებული აქვს და ლაქა კანშია ჩამჯდარი, ეს კეთრია. დამწვარება გაფურჩქნული. მღვდელმა იგი უწმიდურად უნდა სცნოს. ეს კეთრის წყლულია. 26. თუ მღვდელი გასინჯავს მას და, ააა, ლაქაზე თეთრი თმა არა აქვს, ლაქა კანქვეშ არ არის და მკრთალია, მღვდელმა იგი შვიდ დღეს უნდა ჩაკეტოს. 27. მეშვიდე დღეს მღვდელი გასინჯავს მას და, თუ კანზე გაერცელდა, მღვდელი მას უწმიდურად სცნობს. ეს კეთრის წყლულია. 28. თუ ლაქა ადგილზე დარჩა, არ გაერცელდა კანზე და მკრთალია, ეს სილამწვრის სიმსივნეა. მღვდელმა გაწმიდავებულად უნდა სცნოს იგი, რადგან ეს სილამწვრის ანთებაა. 29. თუ კაცს ან ქალს თავზე ან ლოყაზე წყლული გამოაჩნდება, 30. გასინჯავს მღვდელი წყლულს და, თუ კანქვეშ ღრმად ჩანს, მასზე თმა ყვითელია და თხელი, მღვდელმა ისინი უწმიდურად უნდა სცნოს. ეს მუნია. ეს თავის ან ლოყის კეთრია. 31. თუ მღვდელი გასინჯავს მუნის წყლულს და, თუ ის კანქვეშ ღრმად არ ჩანს და შავი თმაც არ არის მასზე, მღვდელმა შვიდი დღით უნდა ჩაკეტოს მუნია. 31. მეშვიდე დღეს მღვდელი გასინჯავს წყლულს და, თუ მუნი არ არის გაერცელებული, ყვითელი თმაც არ არის მასზე და კანქვეშ ღრმად არ ჩანს, 33. იგი უნდა ცხობრობდეს, ოღონდ მუნია ადგილი არ უნდა მოპაროს. მღვდელმა კიდევ შვიდი დღით უნდა ჩაკეტოს მუნია. 34. მეშვიდე დღეს მღვდელი გასინჯავს მუნს. თუ მუნი არ გაერცელებუ-

ლა და კანქვეშ ღრმად არ ჩანს, მღვდელმა იგი გაწმიდავებულად უნდა სცნოს. ტანისამოსი გაირცეტოს და გაწმიდავებული იქნება. 35. თუ მუნი გაერცელდა კანზე მისი გაწმიდავენის შემდეგ. 36. მღვდელი გასინჯავს მას და, ააა, მუნი გაერცელებულია კანზე, მღვდელი კუ დაეწყებს ძებნას გაყვითლებულ თმაზე: უწმიდურად იგი. 37. თუ მუნი ადგილი მესამიხევია და შავი თმა მასზე ამოსული, მუნი მორჩენილია, იგი გაწმიდავებულია და მღვდელმა გაწმიდავებულად უნდა სცნოს. 38. როდესაც კაცს ან ქალს სხეულის კანზე ლაქები, თეთრი ლაქები გამოაჩნდება, 39 მღვდელი გასინჯავს და, თუ მათი სხეულის კანზე მკრთალი თეთრი ლაქებია, ეს სირსველია, კანზე გაფურჩქნული. წმიდაა იგი. 40. როდესაც კაცს თავზე თმა დასცივდება, იგი ქაჩალია, წმიდაა იგი. 41. თუ წინა მხრიდან გაუშველდება თავი, იგი მელოტია, წმიდაა. 42. თუ ქაჩალ ან მელოტ ადგილზე მოთეთრო-მოწითალო წყლული იქნება, ეს კეთრია, ქაჩალ ან მელოტ ადგილზე გაფურჩქნული. 43. გასინჯავს მას მღვდელი და თუ წყლულის სიმსივნე მოთეთრო-მოწითალო ფერისაა ქაჩალ ან მელოტ ადგილზე, როგორც სხეულის კანის კეთრია ხოლმე, 44. ეს კაცი კეთროვანია. უწმიდურია. მღვდელმა უწმიდურად უნდა გამოაცხადოს იგი. თავზე აქვს წყლული. 45. დაწყლულებულის ტანისამოსი უნდა დაირღვეს. თავი შიშველი უნდა ჰქონდეს. პირამდე შებურვილი უნდა იყოს და ყვიროდეს: უწმიდური, უწმიდური! 46. რამდენ ხანსაც წყლულია მასზე, იმდენ ხანს იქნება უწმიდური. უწმიდურია იგი. განცალკევებით უნდა ცხობრობდეს თავისი საცხოვრებელი ბანაკის გარეთ. 47. თუ ტანისამოსზე იქნა კეთრის წყლული — მატყლის ტანისამოსზე ან სელის ტანისამოსზე, 48. ან მატყლის ან სელის ქსელზე, ან ტყავზე ან ტყავის რომელიმე საგანზე,

თავი მეთოთხმედი

40. მომწევანო ან მოწითალო ფერის წყლული ტანისამოსზე ან ტყავზე ან ქსელზე ან ტყავის რაიმე საგანზე იქნება. ეს კეთრის წყლულია და მღვდელს უნდა ეჩვენოს. 41. გასინჯავს მღვდელი წყლულს და შვიდი დღით ჩაეტავს მას. 42. მეშვიდე დღეს გასინჯავს წყლულს. თუ წყლული გადავიდა ტანისამოსზე ან ქსელზე ან ტყავზე, რაიმე ნივთზე, რაც ტყავისგან არის დამზადებული, ეს გამიზებებული კეთრია, უწმიდური წყლულია. 43. უნდა დაწვას ტანისამოსი ან მატყლის ან სელის ქსელი, ან ტყავის ნივთი, რომელზეც წყლული იყო. რადგან გამიზებებული კეთრია იგი. ცეცხლში უნდა დაიწვას. 44. თუ მღვდელი გასინჯავს და, ამა, წყლული არ გადასულა ტანისამოსზე ან ქსელზე ან ტყავის საგანზე. 45. მღვდელმა უნდა მოაბანინოს ის ადგილი, რაზეც წყლული იყო, და კიდევ შვიდი დღით ჩაეტოს იგი. 46. გასინჯავს მღვდელი მობანვის შემდეგ წყლულს და, თუ წყლულს სახე არ უცვლია და წყლული არ გავრცელებულა, ქსოვილი გაუწმიდურებულია, ცეცხლში დაწვი. ამოკმულია მისი წალმა პირი ან უაქლმა პირი. 47. თუ დაინახავს მღვდელი, რომ წყლული მობანვის შემდეგ გაფერმკრთალდა, ტანისამოსს, ან ტყავს, ან ქსელს, ან მისაქსელს უნდა მოაცილოს იგი. 48. თუ კვლავ გამოჩნდა ტანისამოსზე ან ქსელზე, ან მისაქსელზე, ან ტყავის რაიმე საგანზე, გაფერჩქნული წყლულია, ცეცხლში უნდა დაწვა ყველაფერი, რაზედაც გადავიდა წყლული. 49. ტანისამოსი, ან ქსოვილი, ან ტყავის რაიმე საგანი, რომელსაც გარეცხავ და წყლული მოეცლება, ზეღაბლა უნდა გაირეცხოს და გაწმიდავდება. 50. ეს არის რჯული კეთრის წყლულისა მატყლისა ან სელის ტანისამოსზე, ან ქსოვილზე, ან ტყავის რაიმე ნივთზე, უწმიდურობის ან სიწმიდის საცნობად.

1. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 2. ეს იყო ყუთროვანის რჯული, რაცა გააწმიდა, მღვდელთან უნდა მიიქნეონ. 3. გავა მღვდელი ბანაკს გარეთ და გასინჯავს მღვდელი. თუ კეთროვანს მოუტრან კეთრის წყლული, 4. მიაღებინებს მთელი გასინჯივებისთვის ორ ცოცხალ, წმიდა ფრინველს, კედარის ხეს, კიაფერ ნართს და უსუპს. 5. დააკვლევიანებს მღვდელი ერთ ფრინველს თიხის ჭურჭელთან, წყაროს წყალზე 6. აიღებს ცოცხალ ფრინველს, ნაძვის ტრტს, ძოწეულის ნართა, უსუპს და დაასველებს მათ და ცოცხალ ფრინველს წყაროსთან დაკლული ფრინველის სისხლში. 7. შეიღებოს ასხურებს კეთრისგან განსაწმიდავებელს და გაწმიდილად სცნობს მას. ცოცხალ ფრინველს კი მიწოდროში გაუშვებს. 8. განსაწმიდავებელი გაირეცხავს ტანისამოსს, გაიპარსავს მთელს თმას, წყალში განიბანება და გაწმიდავებელი იქნება. ამის მერე ბანაკში შევა და შვიდ დღეს კარვის გარეთ იცხოვრებს. 9. მეშვიდე დღეს მთლიანად მოიპარსავს თავს, წვერს, წარბებს; მოიპარსავს მთელს თმას, გაირეცხავს ტანისამოსს, დაიბანს ტანს წყალში და გაწმიდავებელი იქნება. 10. მერვე დღეს აიყვანს ორ საღ კრავს და ერთ წელგამოვილი, საღ დედალ ცხვარა, აიღებს ეფის სამ მეთად გამტკიცულ ფქვილს, საქღწრო შესაწირავად, ზეთში შერეულს, და ერთ ლოგ ზეთს. 11. დაყენებს გამწმედელი მღვდელი გასაწმიდავებელ კაცს და ყველაფერს ამას უფლის წინაშე, სადღესასწაულო კარვის შესასველებლთან. 12. აიყვანს მღვდელი ერთ კრავს და მიიტანს მას დანაშაულის გამოსასყიდად, და ერთ ლოგ ზეთს და შეარხებს მათ უფლის წინაშე. 13. დაკლავს კრავს იმ ადგილზე, სადაც იკვლის ცოდვის გამოსასყიდი და აღსავლენი, წმიდა ადგილზე, რადგან ცოდვის გამოსასყიდით დანაშაულის გა-

მოსასყიდე მღვდელს ეკუთვნის. ეს წმიდათა წმიდაა. 14. აიღებს მღვდელი დანაშაულის გამოსასყიდის სისხლს და სცემებს მღვდელი გასაწმინდავებელს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე. 15. აიღებს მღვდელი ზეთს და დაისხამს მარცხენა ხელისგულზე. 16. ჩააწობს მღვდელი მარჯვენა ზეთს ზეთში, რომელიც მის მარცხენა ხელისგულზეა, და ასხურებს ზეთს თავისი თითიდან შვიდგზის უფლის წინაშე. 17. დანარჩენ ზეთს, რომელიც მის ხელისგულზეა, მღვდელი სცემებს გასაწმინდავებელს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე, სადაც დანაშაულის მსხვერპლის სისხლი სცხია. 18. დანარჩენ ზეთს, რომელიც მღვდლის ხელისგულზეა, თავზე სცემებს გასაწმინდავებელს და შეუნდობს მას უფლის წინაშე. 19. შესწირავს მღვდელი ცოდვის გამოასყიდ მსხვერპლს და შეუნდობს გასაწმინდავებელს მის უწმიდურობას. მერე იგი დაკლავს აღსაველენ მსხვერპლს. 20. აიტანს მღვდელი აღსაველენს და საძღვნოს სამსხვერპლოზე, და შეუნდობს გასაწმინდავებელს მღვდელი და გაწმინდადება იგი. 21. თუ იგი ღარიბია და ხელი არ მიუწვდება, აიყვანოს ერთი კრავი, დანაშაულის გამოსასყიდი მსხვერპლი — შესარხვეად, რომ შეენდოს, და ეფის მებათედი გამტკიცული ფქვილი, ზეთში ახელილი, საძღვნოდ, და ერთი ლოგი ზეთი. 22. ორი გვრიტი ან ორი მტრედის ბუნდი, რაზეც ხელი მიუწვდება, ერთი ცოდვის გამოსასყიდი იქნება, მეორე — აღსაველენი. 23. და მიუტანოს ესენი თავისი გაწმინდავების მეშვიდე დღეს მღვდელს სადღესასწაულო კარვის შესასველეთან უფლის წინაშე. 24. აიყვანს მღვდელი დანაშაულის გამოსასყიდ კრავს და ერთ ლოგ ზეთს და შეარხვევს ნათ მღვდელი უფლის წინაშე. 25. დაკლავს დანაშაულის გამოსასყიდ კრავს და აიღებს მღვდელი დანაშაულის გამოსასყიდის სისხლს

და სცემებს გასაწმინდავებელს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე. 26. ზეთს კი მღვდელი დაიღვრის მარცხენა ხელისგულზე. 27. და ასხურებს მღვდელი მარჯვენა ხელის თითით ზეთს, რომელიც მის მარცხენა ხელისგულზეა, უფლის უფლის წინაშე. 28. სცემებს მღვდელი ზეთს, რომელიც მის ხელისგულზეა, გასაწმინდავებელს მარჯვენა ყურის ბიბილოზე, მარჯვენა ხელის ცერზე და მარჯვენა ფეხის ცერზე, სადაც დანაშაულის გამოსასყიდის სისხლია. 29. ხელისგულზე დარჩენილ ზეთს მღვდელი სცემებს თავზე გასაწმინდავებელს, რომ შეუნდოს მას უფლის წინაშე. 30. გაამზადებს ერთ-ერთ გვრიტს ან მტრედის ბუნდს, რაზეც ხელი მიუწვდება. 31. ერთს ცოდვის გამოსასყიდად, მეორეს აღსაველენად საძღვნოსთან ერთად და შეუნდობს მღვდელი გასაწმინდავებელს უფლის წინაშე. 32. ასეთია რეკული, თუ ვინმეს კეთრის წყლული გამოაჩნდება; და გაწმინდავების დროს ხელი არ მიუწვდება. 33. ელაპარაკე უფალი მოსეს და აარონს და უთხრა: 34. როდესაც შეხვალ ქანაანის ქვეყანაში, რომელსაც სამკვიდრებლად გაძლევთ, და კეთრის წყლულს შეეყრი თქვენი სამკვიდრებელი ქვეყნის საზღს, 35. მივიდეს, ვისი სახლიც იქნება, მღვდელთან და შეატყობინოს, წყლულივით რაღაც გაჩნდა ჩემს სახლში. 36. მღვდელი საზღს გამოაცარიელებინებს, ვიდრე წყლულის სანახავად მივიდოდეს, რომ არ გაუწმიდურდეს ყველაფერი, რაც აახლშია. მხოლოდ ამის შემდეგ შევა მღვდელი საზღს დასათვალიერებლად. 37. დაათვალიერებს წყლულს და, თუ წყლული საზღს ედღებება — მომწვანო ან მოწითალო ღრმულები — და ჩაღრმავებულად ჩანს კედელზე. 38. მაშინ მღვდელი გაევა სახლიდან გასასვლელისკენ და შეიდი დღით გამოეტავს საზღს. 39. მეშვიდე დღეს მღვდელი მიბრუნდება და დაათვალიერებს: თუ წყლული მოდებულობა საზ-

ლის კედლებზე, 40. მღვდელი გამო-
ანგრევიანებს ქვებს, რომელზედაც
წყლულია და ქალაქის გარეთ, უწმი-
დურ ადგილზე გადააყრევიანებს. 41.
სახლი შიგნიდან ირგველივ უნდა მოფ-
ხიკონ და ანაფხეკი ბათქაში ქალაქის
გარეთ, უწმიდურ ადგილზე, უნდა გა-
დაყარონ. 42. აიღონ ახალი ქვები და
ჩააწყონ იმ ქვების ნაცვლად, მოიტა-
ნონ ახალი ბათქაში და შელესონ სახ-
ლი. 43. თუ წყლული ისევ გაჩნდება
და აყვავდება სახლში მას შემდეგ, რაც
ქვები გამოყარეს, სახლი გაფხიკეს და
შელესეს. 44. მღვდელი უნდა მივიდეს
და დაათვალიეროს; თუ წყლული მო-
დებულა სახლში, ეს მწვავე კეთრია,
უწმიდურია იგი. 45. უნდა დაანგრიონ
სახლი. ქვები, ძელები და სახლის მთე-
ლი ბათქაში და ქალაქის გარეთ, უწ-
მიდურ ადგილზე, გაიტანონ. 46. თუ
ვინმე შევა სახლში მას შემდეგ, რაც
გამოკეტილია, გაუწმიდურებულ იქ-
ნება საღამომდე. 47. ვისაც ეძინა ამ
სახლში, ტანისამოსი უნდა გაირეცხოს.
ვისაც საძმელი აქვს ნაჭაში სახლში,
ტანისამოსი უნდა გაირეცხოს. 48. თუ
მღვდელი შევა და ნახავს, რომ წყლუ-
ლი არ არის მოდებული სახლში მისი
შელესვის შემდეგ, მღვდელი სახლს
განწმენდილად ცნობს, რადგან წყლუ-
ლი განკურნებულია. 49. აიღებს სახ-
ლის გასაწმიდავებლად ორ ჩიტს, ნაძ-
ვის ტოტს, მეწამულ ძაფს და უსუბს.
50. დაკლავს ერთ ჩიტს თიხის ჭურ-
ჭელზე, წყაროს წყალთან; 51. აიღებს
ნაძვის ტოტს, უსუბს, მეწამულ ძაფს,
კოცხალ ჩიტს და ამოაწებს მათ დაკ-
ლული ჩიტის სისხლში და წყაროს
წყალში და შეიდგზის ასხურება სახლს.
52. გააწმიდავებს სახლს ჩიტის სისხ-
ლით და წყაროს წყლით, კოცხალი ჩი-
ტით, ნაძვის ტოტით, უსუბით და მე-
წამული ძაფით. 53. გაუწმენდს კოც-
ხალს ჩიტს ქალაქის გარეთ, მინდორ-
ში, და შეუნდობს სახლს და გაწმიდა-
ვდება. 54. ეს არის რჯული კეთრის
ყოველგვარი წყლულისა და მუნისა,
55. ხიმსინისა, ქეცისა და ლაქებისა,

57. იმის საცოდინრად, თუ როდის იც-
ნონ გაუწმიდურებულად და როდის
გაწმიდავებულად. ეს არის კეთრის
რჯული.

ეროვნული თავი მეთხუთმეტი ბიბლიისათვის

1. ელაპარაკე ედალი მთავარი და
აარონს და უთხარა: 2. ელაპარაკე ის-
რაელიანებს და უთხარი: ვისაც სხეუ-
ლიდან გამონადენი აქვს, უწმიდურია
იგი თავისი გამონადენის გამო. 3. ეს
იქნება მისი უწმიდურება: სხეულიდან
სდის გამონადენი თუ უკავდება სხე-
ულში გამონადენი. ეს მისი უწმიდუ-
რებაა. 4. ყოველი საწოლი, სადაც
წევს გამონადენიანი, გაუწმიდურებუ-
ლია, ყოველი ნივთი, რაზეც ზის იგი,
გაუწმიდურებულია. 5. ვინც შეეხება
მის საწოლს, მან ტანისამოსი უნდა გა-
ირეცხოს. წყალში განიბანოს და სა-
ღამომდე გაუწმიდურებული იქნება.
6. ვინც დაჯდება ნივთზე, რომელზეც
გამონადენის მქონე იჯდა, მან ტანისა-
მოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბა-
ნოს და საღამომდე უწმიდური იქნება.
7. ვინც გამონადენიანის სხეულს შეე-
ხება, მან ტანისამოსი უნდა გაირეც-
ხოს, წყალში იბანოს და საღამომდე
გაუწმიდურებული იქნება. 8. თუ გა-
მონადენიანი გაწმიდავებულს მიაფურ-
თხებს, ამან ტანისამოსი უნდა გაირეც-
ხოს. წყალში იბანოს და საღამომდე
გაუწმიდურებული იქნება. 9. ყოველი
ურემი, რომელზედაც გამონადენიანი
იჯდა, უწმიდურია. 10. ყველა, ვინც
კი მიეკარება რაიმეს, რაც მის ქვეშ
არის, გაუწმიდურებულია საღამომდე,
ხოლო მისმა მტერთველმა ტანისამო-
სი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს
და გაუწმიდურებული იქნება საღა-
მომდე. 11. ყველამ, ვისაც კი გამონა-
დენიანი მიეკარება და ხელი არ ექ-
ნება დაბანალი, ტანისამოსი უნდა გა-
ირეცხოს, წყალში იბანოს და გაუწმი-
დურებული იქნება საღამომდე. 12.
ყოველი თიხის ჭურჭელი, რომელსაც

გამონადენიანი მიეკარება, უნდა დაიმტკრეს; ყოველი ხის კურკელი წყალში უნდა გაირეცხოს. 18. როდესაც გამონადენიანი თავისი უწმიდურობისგან წმიდადებდა, შვიდი დღე უნდა იანგარიშოს გასაწმიდავებლად. ტანისანოსს გაირეცხავს, ტანს დაიბანს წყაროს წყალში და გაწმიდავებული იქნება. 14. მეშვიდე დღეს აიყვანს ორ გერბს ან ორ მტრედის ხუნდს, მივა უფლის წინაშე, სადღესასწაულო კარვის შესასველელთან, და მღვდელს მისციემს მას. 15. ერთ მათგანს მღვდელი ცოდვის გამოსასყიდად შესწირავს, მეორეს — აღსაველენად და შეუნდობს მას მღვდელი უფლის წინაშე მის განონადენს. 16. თუ ვინმეს თესლის დენა ექნა, წყალში უნდა დაიბანოს მთელი სხეული და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. 17. ყოველი სამოსელი, სხეულის ყოველი ნაწილი, რაზეც თესლი დაიღვარა, წყალში უნდა განიბანოს და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. 18. თუ ცოლ-ქმარნი დაწვენენ ერთად თესლის დენით, წყალში უნდა იბანონ და გაუწმიდურებულნი იქნებიან საღამომდე. 19. თუ ქალს გამონადენი აქვს, სისხლი სდის სხეულიდან, შვიდ დღის წიღონებაშია, ვინც კი შეეხება მას, გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. 20. ყველამ, ვინც კი დაწვება მასთან მისი წიღონებისას, გაუწმიდურდება, და ყველაფერი, რაზედაც დაჭდება, გაუწმიდურდება. 21. ყველამ, ვინც კი მის საწოლს მიეკარება, ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. 22. ყველამ, ვინც კი მიეკარება რაიმე საგანს, რომელზეც იგი იჭდა, ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. 23. თუ რაზე იღება საწოლზე ან საგანზე, რაზეც ის წევს, და ამას ვინმე შეეხება, გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. 24. თუ ქმარი დაწვება მასთან, ქალი კი ამ დროს წიღონია, შვიდ დღეს გაუწმიდურებული იქნება. საწოლი,

რომელზედაც წევს, ვინც გაუწმიდურებულია. 25. თუ ქალი წიღონია არ არის და დღიხნის განმავლობაში სდის სისხლი ან გამონადენი აქვს წიღონობის ვადაზე მეტ ხანს, მთელი ხმ წინის განმავლობაში, თავი გამონადენი აქვს, წიღონად ჩითვლება, გაუწმიდურებულია. 26. ყოველ საქმელი საღამოც იგი დაწვება გამონადენობის დროს, უწმიდურია, როგორც წიღონობის დროს არის, ყოველი საგანი, რაზეც დაჭდება, გაუწმიდურებული იქნება, როგორც წიღონობის დროს არის გაუწმიდურებული. 27. ყველა, ვინც კი მათ მიეკარება, გაუწმიდურებულია. ტანისამოსი უნდა გაირეცხოს, წყალში იბანოს და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე. 28. როცა წმიდადებდა თავისი გამონადენისგან, უნდა გადაითვალოს შვიდი დღე, რის შემდეგაც გაწმიდავებული იქნება. 29. მერვე დღეს აიყვანოს ორი გერბი ან ორი მტრედის ხუნდი და მიუყვანოს ისინი მღვდელს სადღესასწაულო კარვის შესასველელთან. 30. შესწირავს მღვდელი ერთ მათგანს ცოდვის განოსასყიდად, მეორეს — აღსაველენად და შეუნდობს მას მღვდელი უფლის წინაშე მისი გამონადენის უწმიდურობას. 31. მოარიდეთ ისრაელიანები მათ უწმიდურობას, რომ თავიანთ უწმიდურობაში არ დაიხოცონ და არ გაუწმიდურონ ჩემი საფანე, რომელაც მათ შორის არის. 32. ეს არის რჩული გამონადენიანისა და იმისა, ვისაც თესლის დენა აქვს და უწმიდურდება. 33. წიღონიანისა და გამონადენიანისა — მანაკი იქნება თუ დედაკაცი, და კაცისა, რომელიც გაუწმიდურებულ ქალთან დაწვება.

მთავი მითაქმსება

1. ელაპარაკე უფალი მოსეს აარონი, ორი შვილის სიკვილის შემდეგ, როცა წარდგნენ ისინი უფლის წინაშე და დაიბოცნენ. 2. უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი აარონს, შენს ძმას,

ყოველ დროს ნუ შევა წმიდამი, კრეტსაბმელს იქით, თავსარქველის წინ, რომელიც კიდობანს ახურავს, რათა არ მოკვდეს. რადგან ღრუბელში გამოვჩნდები თავსარქველზე. 8. არ, რით უნდა შევიდეს აარონი წმიდამი, მოზერით — ცოდვის გამოსასყიდად და ვერძით — აღსაველენად. 9. სელის წმიდა კვართი უნდა ემოსოს და სელის საცვლები უნდა ეცვას ტანზე, სელის სარტყელი ვრტყას, და სელის თავსაბური ებუროს — ესენი წმიდა შესამოსლებია. წყალში გაიბანოს ტანი და შეიმოსოს. 9. ისრაელიანთა საზოგადოებობად აიყვანოს ორი ვაცი ცოდვის გამოსასყიდად და ერთი ვერძი აღსაველენად. 10. შესწიროს აარონმა თავისი ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი და განწმიდოს საკუთარი თავი და თავისი სახლი. 7. აიღოს ორი ვაცი და დააყენოს ისინი უფლის წინაშე სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან. 8. წილი ჰყაროს აარონმა ამ ორ ვაცზე: ერთი წილი უფლისათვის, მეორე წილი — განტევებისთვის. 9. მიუყვანოს აარონმა უფლის წილებდომილი ვაცი უფალს და შესწიროს ცოდვის გამოსასყიდად. 10. ხოლო ვაცი, რომელსაც განტევებაზე ზედა წილი, ცოცხლად დაუყენოს უფალს, რათა შეუნდოს მას, და გაუშვას განსატევებლად უდაბნოში. 11. მიიყვანოს აარონმა თავისი ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი და განწმიდოს საკუთარი თავი და თავისი სახლი და დაკლას თავისი ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი. 12. აიღოს მოგიზგოზე ნაკვერცხლებით სავსე სასაქმველე სამსხვერპლოდან, უფლის წინაშე რომ დგას, და სავსე მუტა დაფხენილი სურნელოვანი საქმველი და ქმეიტანოს კრეტსაბმელის იქით. 13. დადოს საქმველი ცეცხლზე უფლის წინაშე და დაფარავს საქმველის კვამლი თავსარქველს. მოწმობას რომ ახურავს, რათა არ მოკვდეს. 14. აიღოს მოზვერის სისხლი და თითოთ ასხუროს თავსარქველს წინ და მხრიდან, თავსარქველის წინ კი შეიდგზის ასხუროს სისხლი თითოთ.

15. დაკლას ხალხს ცოდვის გამოსასყიდი ვაცი და შეიტახოს მათ სისხლი კრეტსაბმელის იქით, და მამროს მისი სისხლი, როგორც მოზვერის სისხლი იხმარა, დაასხუროს იგი თავსარქველზე და თავსარქველს წინ. 16. გასწმენდს წმიდის ესთალოიანთა მიმდურობისგან და შეცოდებთაგან და ყოველი ცოდვისათვის ასე უნდა მოიკრეს სადღესასწაულო კარვის წინაშე, რომელიც მათთან აიის, მათ უწმინდურობათა შორის. 17. არცერთი ვაცი არ უნდა იმყოფებოდეს სადღესასწაულო კარავში, როცა იგი წმიდის განსაწმედად არის შესული. განწმედს საკუთარ თავს, თავის სახლს და მთელს ისრაელის კრებულს. 18. გავა სამსხვერპლოსთან, უფლის წინაშე რომ არის, და გასწმენდს მას, აიღებს მოზვერის სისხლს და ვაცის სისხლს და სამსხვერპლოს რქებზე დადებს ირგვლივ. 19. ასხურებს მას სისხლს თავისი თითოთ შეიდგზის, გაასუფთავენს და გააწმიდავენს მას ისრაელიანთა უწმიდურობისგან. 20. მორჩება წმიდის, სადღესასწაულო კარვის და სამსხვერპლოს განწმედას და მიიყვანს ცოცხალ ვაცს. 21. თავზე დააბამს ორთავე ხელს აარონი ცოცხალ ვაცს და აღიარებს მასზე ისრაელიანთა ყველა უკეთურებას, ყველა შეცოდებას და ყველა ცოდვას, ატვირთებინებს ვაცს და გაუშეებს უდაბნოში საგანგებო კაცის ხელით. 22. წაიღებს ვაცი ყველა მათ უკეთურებას დასაკარგავისაგან, გაუშეებს თხას უდაბნოში. 23. შევა აარონი სადღესასწაულო კარავში, გაიხდის სელის შესამოსლებს, რომლებიც შეიმოსა წმიდამი შესელის წინ, და იქ დატოვებს მათ. 24. დაიბანს ტანს წყლით წმიდა ადგილას, ჩაიკვამს თავის ტანისამოსს, გამოვა გარეთ და შესწიარავს აღსაველენს თავისთვის და აღსაველენს ერისთვის და განწმედს თავის თავს და ერს. 25. ცოდვის გამოსასყიდ ქონს დასწევს სამსხვერპლოზე. 26. განტევების ვაცის წამყვანმა უნდა გაი-

საქმეველი
საქმეველი

რეცხოს ტანისამოსი და წყლით დაიბანოს ტანი, მერე შეეძლება ბანაკში შესვლა. 27. ცოდვის გამოსასყიდი მოზვერი და ცოდვის გამოსასყიდი ვაცი, რომელთა სისხლი განსაწმენდელად შეიტანეს წმიდაში, უნდა წაიღონ ბანაკის გარეთ და ცეცხლში დაწვან მათი ტყავები, ხორცი და განავალი. 28. ვინც მათ დაწვავს, ტანისასწავს უნდა გაირეცხოს, ტანი წყლით უნდა დაიბანოს და მერე შეეძლება კარავში შესვლა. 29. იყოს თქვენთვის სამარადისო წესად: მეშვიდე თვეს, თვის მეათე დღეს, დაიმდაბლეთ თავი, არაფერა საქმე აყეთოთ, არც ჰკვიდრმა და არც მდგმურმა, თქვენთან რომ მდგმურობს, 30. რადგან ამ დღეს შეგვნდოთ თქვენ, რომ გაწმინდებინეთ ყველა თქვენი ცოდვისგან. უფლის წინაშე უნდა იყოთ განწმენდილები. 31. განსვენების შაბათია ეს თქვენთვის და დაიმდაბლეთ თავი. ეს არის სამარადისო წესი. 32. განწმენდა უნდა შესარულოს მღვდელმა, რომელსაც სცხეს ზეთი და რომელსაც აუვსეს ხელი სამღვდლოდ მამამისის ნაცვლად. შეიმოსავს სელის შესამოსლებს, საწესო შესამოსლებს, 33. გაწმენდს წმიდათა წმრდას, სადღესასწაულო კარავს და სამსხვერპლოს, შეუნდობს მღვდლებს და მთელი კრებულის ხალხსაც შეუნდობს. 34. იყოს ეს თქვენთვის სამარადისო წესად, რომ შეენდოთ ისრაელიანებს თავიანთი ცოდვები წელიწადში ერთხელ, როგორც გამოუტყადა უფალმა მოსეს.

მთავი მანკიშენება

1. ელაპარაკე უფალი მოსეს და უთხრა: 2. ელაპარაკე აარონს, მის შვილებს, მთელს ისრაელობას და უთხარი ეს სიტყვა, რომელიც უფალმა ბრძანა. 3. თუ ვინმე ისრაელიანთაგანი ან ხარს, ან ცხვარს, ან თხას ბანაკში დაკლავს ან ბანაკის გარეთ დაკლავს, 4. სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან არ მიიყვანს, რომ უფ-


ლის აავენსთან შესწიროს უფალს, ამ კაცს სისხლი მოეკითხება. მან სისხლი დაღვარა და უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან, 5. იმისთვის, რომ მიიყვანონ ისრაელიანებმა, სადაც, რომელსაც ველზე კლავენ, რომ მიიყვანონ მღვდელს სადღესასწაულო კარავთან უფლისათვის და დაუტანს სამშვიდობო მსხვერპლად უფალს. 6. დასახუროს მღვდელმა სისხლი უფლის სამსხვერპლოს სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან და აკმოს კონი უფლისათვის კეთილსურნელებად. 7. აღარ დაუტანს საკლავი ვაცებს, რომელთა კვალზეც გარყვნილობენ. ეს ჰქონდეთ სამარადისო წესად თაობიდან თაობაში. 8. უთხარი მათ: თუ ვინმე ისრაელიანი ან ვინმე მდგმური, რომელიც მდგმურობს თქვენთან, შეაწირავს აღსაველენს ან საკლავს, 9. და სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან არ მიიტანს უფლისათვის გასამზადებლად, ეა კაცი უნდა მოიკვეთოს თავისი ხალხიდან. 10. თუ ვინმე ისრაელიანი ან ვინმე მდგმური, რომელიც მდგმურობს თქვენთან, შეჭამს სისხლს, მიემართავ ჩემს პირს სისხლის მკამელისკენ და მოკვეთავ მას თავისი ხალხი წაიღიდან. 11. რადგან სისხლშია ხორციელის სული, მე დაგწესეთ იგი სამსხვერპლოსთვის, თქვენი სულის შესანდობად, რადგან სისხლია, რომ შეუნდობს სულს. 12. ანტომაც ვუთხარი ისრაელიანებს: არავინ თქვენგანმა არ ჰკამოს სისხლი, არც მდგმურმა, რომელიც თქვენთან არის მდგმურად, არ ჰკამოს სისხლი. 13. თუ ვინმე ისრაელიანი და ვინმე მდგმური, რომელიც თქვენს შორის არის მდგმურად, მოინადრებს ნადირს ან ფრინველს, რომელიც იჭმევს, სისხლი უნდა გამოუშვას და მიწით დაფაროს. 14. რადგან სული ყოველი ხორციელისა მისი სისხლია, მის სულშია იგი, ვუთხარი ისრაელიანებს: არა ხორციელის სისხლი არ ჰკამოთ, რადგან ყოველი ხორციელის სული მისი სისხლია. ყოველი მისი მკამელი, უნდა მოიკვეთოს.

15. ყველამ, ვინც ლემს ან ნამხეცავს შეკამს, მკვიდრი იქნება თუ წიღებური, ტანისამოსი წყლით უნდა გაირეცხოს და გაუწმიდურებული იქნება საღამომდე, მერე გაწმიდადებდა. 16. თუ არ გარეცხავს და ტანს არ დაიბანს, დანაშაული დაეკისრება.

თავი მეთვრამეტი

1. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 2. ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი: მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. 3. ნუ მოიქცევით ისე, როგორც იქცევიან ეგვიპტეში, სადაც თქვენ ცხოვრობდით. ნუ მოიქცევით ისე, როგორც იქცევიან ქანაანის ქვეყანაში, სადაც მიმყავხართ, ნუ მიყვებით მათ წესებს. 4. ჩემი სამართალი აღასრულეთ და ჩემი წესები შეინახეთ, მათ მიჰყევით. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. 5. შეინახეთ ჩემი წესები და ჩემი სამართალი. ადამიანა, რომელიც მათ აღასრულებს, ცოცხალი იქნება მათი წყალობით, მე ვარ უფალი. 6. არავინ დაუახლოვდეს თავის ხორცილ ნათესავს. მისი სიწმიდის ასახდელად, მე ვარ უფალი. 7. არ აპხადო სიწმიველ მამაშენს და დედაშენს, დედაა შენი, არ აპხადო მას სიწმიველ. 8. არ აპხადო სიწმიველ მამაშენის ცოლს, ეს მამაშენის სიწმიველა. 9. არ აპხადო სიწმიველ შენს დას, მამაშენის ასულს ან დედაშენის ასულს, შინ დაბადებულს ან გარეთ დაბადებულს. 10. არ აპხადო სიწმიველ შენი ვაჟის ასულს ან შენი ქალიშვილის ასულს, რადგან ეს შენი სიწმიველა. 11. არ აპხადო სიწმიველ მამაშენის ცოლის ასულს, მამაშენის ნაშობს. შენი და არის იგი. 12. არ აპხადო სიწმიველ მამაშენის დას, მამაშენის სისხლი და ხორცია იგი. 13. არ აპხადო სიწმიველ დედაშენის დას, რადგან დედაშენის სისხლი და ხორცია იგი. 14. არ აპხადო სიწმიველ მამაშენის ძმას, ნუ მიეკარები მის ცოლს: შენი ბიძოლია

იგი. 15. არ აპხადო სიწმიველ შენს რძალს, შენი ვაჟის ცოლია იგი, არ აპხადო მას სიწმიველ. 16. არ აპხადო სიწმიველ შენი ძმის ცოლს, შენი ძმის სიწმიველა ეს. 17. არ აპხადო სიწმიველ ცოლს, მაშინ მას ასულს, ნუ ითხოვ მისი ვაჟის ასული და მისი ქალიშვილის ასულს, სიწმიველი სისხლენი. სისხლი და ხორცი არ ან ისეთი ან გარყვნილება. 18. არ ითხოვო და შენი ცოლისა ერთმანეთის სამტროდ, რომ ხდიდე მას სიწმიველს მის გვერდით მთელი მისი სიცოცხლე. 19. წიდოვნების დროს არ მიეკარო ცოლს სიწმიველის ასახდელად. 20. არ შეეყო თესლით შენი ახლობელის ცოლს, გაგაუწმიდურებს. 21. შენი თესლიდან არავინ მისცე მოლოქის ცეცხლში გასატარებლად. არ შეაგინო შენი ღვთის სახელა, მე უფალი ვარ. 22. არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით, ეს სისაძაგლეა. 23. არანაირ ცხოველთან არ იქონიო კავშირი, რათა არ გაუწმიდურდე მისგან. არც ქალი არ უნდა დადგეს ცხოველის წინ სამაჟინტლოდ, ეს სიბილწეა. 24. არც ერთი ამ სისაძაგლით არ გაიუწმიდუროთ თავი, რადგან ყოველივე ამით არიან გაუწმიდურებული ის ხალხები, რომლებიც უნდა განვდევნოთ თქვენგან. 25. გაუწმიდურდა მიწა და მე დაზეხდე მათ უკეთურებებს და ამოანთხია მიწამ თავისი მკვიდრნი. 26. შეინახეთ ჩემი წესები და სამართალი, არ ჩაიღინოთ ეს სისაძაგლეები არც მკვიდრმა და არც მდგმურმა, თქვენს შორის რომ მდგმურობს. 27. რადგან ყველა ამ სისაძაგლეს სჩადის იმ ქვეყნის ხალხი, რომელიც თქვენს წინაშეა, და გააუწმიდურეს მიწა. 28. რომ არ ამოგანთხოთ მიწამ, როცა გააუწმიდურებთ მას, როგორც ამოანთხია ის ხალხები, რომლებიც თქვენამდე იყვნენ. 29. რადგან ამ სისაძაგლეთა ჩამდენნი თავისი ხალხის წიადიდან მოიკვეთებიან. 30. დაიკავით ჩემი გაფრთხილება და ნუ შეასრულებთ ამ საძაგელ



წესებს, რომლებიც თქვენამდე სრულდებოდა, რომ არ გაიუწმიდებოთ თავი, მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

თავი მესხრამება

1. ელაპარაკე უფალი მოსეს და უთხრა. 2. ელაპარაკე ისრაელისათვის მთელს საზოგადოებას და უთხარი: წმიდები იყავით, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი ღმერთი. 3. თავისი ღმერთი და მამის მოწიწება ჰქონდეს ყველას, შეინახეთ შაბათები! მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. 4. პირს ნუ მიაბრუნებთ კერპებისკენ და ნუ გაიჩნებთ ჩამოსხმულ ღმერთებს. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. 5. როცა უფლისათვის სამშვიდობო საკლავის დაკვლა დააპირებთ, დაკალით თქვენს სამწყალოზოდ. 6. საკლავის დაკვლის დღესაც კამეთ და მეორე დღესაც. მესამე დღეს მორჩენილი ცეცხლში უნდა დაიწვას. 7. თუ მესამე დღეს შეიკამა საკლავი, ეს სისაძაგლე იქნება. წყალზედა არ გამოვა. 8. ვინც შეკამს, ცოდვა დაედება მას, რადგან უფლის სიწმიდე წაბოღნა და უნდა მოიკეთოს თავისი ხალხიდან. 9. როცა სამკალი გეკნებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომიკი შენს ყანას: სამკალში დაცვენილს ნუ აკრებ, 10. ვენახსაც ნუ მოიმკვრევ, ყურძნის ბიბილიებს ნუ აკრებ ძირიდან, ღარიბ-ღატაკსა და მღვმურს დაუტოვე ისინი, მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი! 11. არ იქურდობთ, არ ითვალთმაცობთ, ერთმანეთი არ მოატყუოთ, 12. ცრუ ფიცს არ თქვათ ჩემი სახელით, თორემ შეაგინებთ თქვენი ღმერთის სახელს. მე ვარ უფალი! 13. ნუ შეაფრთხვებ შენს თვისტომს და ნუ გაძარცვავ, ნუ დაიტოვებ დილამდე ქირის კაცის გასამრჩელოს. 14. ნუ გაჰირდავ ყრუს და ნუ დაუღებ ბრძანს წინ საბრკოლს. გეშინოდეს შენი ღმერთისა. მე ვარ უფალი! 15. უსამართლობას ნუ ჩაიდენ სასამართლოში: ზედმეტად ნუ მოუფო-

ნებ საწყალს და ზედმეტ პატივს ნუ მიაგებ დიდკაცს. ამბოთლით განკითხე შენი ახლობელი. 16. ცილისწამებას ნუ დაიწყებ შენს ხალხში, ნუ აღდგები შენი თვისტომის სისხლის დასადევნად. მე ვარ უფალი, 17. მტრობა ნუ გეკნება გულში შენი მოძმისადმი.


ამხილეთ შენი ახლობელი და ცოდვა არ იქნება შენზე. 18. ნუ იტყობ შენს მამიებელი და ბოლმას ნუ ჩაიდებ შენი თვისტომის მიმართ, გაყვარდეს შენი ახლობელი, როგორც თავი შენი. მე ვარ უფალი! 19. შეინახეთ ჩემი წესები: პირუტყვს ნუ შეაფვარებ ერთმანეთთან; ნუ დათვაავ ყანაში ორნაირ თესლს; ნუ ჩაიცამ მატყლისა და სელისგან მოქსოვილ ტანისამოსს. 20. თუ ვინმე ქალთან დაწვება თესლის მიღერით, ის კი ქმრის დანიშნული მხევალია, არ არის გამოსყიდული ან თავისუფლება არა აქვს მიცემული, დანაშაულად ჩაითვლება. თუმცა იგი არ არის მოაკვდინებელი, რადგან ქალი გათავისუფლებული არ ყოფილა. 21. მიუტანოს დანაშაულის გამოსასყიდად უფალი სადღესასწაულო კარვის შესასვლელთან დანაშაულის ვერძი. 22. შეუწოდებს მას მღვდელი დანაშაულის ვერძით უფლის წინაშე ცოდვას, რომელიც ჩადენილი აქვს, და ეპატიება ცოდვა, რომელიც ჩადენილი აქვს. 23. როცა შეხვალთ ქვეყანაში და დარგავთ ჩაიმე ხეხილს, დაუცვეთლად ჩათვალეთ მისი ნაყოფი, სამ წელიწადს დაუცვეთელი იყოს თქვენთვის, არ იჭმევა. 24. მეოთხე წელს ყოველი მისი ნაყოფი უფლისათვის უნდა შეიწიროს. 25. მეხუთე წელს კამეთ მისი ნაყოფი, რომ გემატოთ მისი მოსავალი. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. 26. ნურათერს შეკამთ სისხლთან ვრთოდ. ნუ იწადოქრებთ და ნუ იმკითხავებთ. 27. ნუ მოიკრებთ თავის კიდებს და ნუ მოსპობთ წვერის კიდებს. 28. ნაკარებს ნუ გაიკეთებთ ტანზე თქვენი მეკდრისთვის და წარწერებს ნუ გაიკეთებთ. მე ვარ უფალი! 29. ნუ მიუშვებ შენს ასულს გასარყ-

ენელად, რათა არ გაირყვნას ქვეყანა და არ აივსოს ბიწიერებით. 30. ჩემი შაბათები შეინახეთ და ჩემი საწმიდარის გეშინოდეთ. მე ვარ უფალი. 31. ნუ მიმართავთ მჩიხბავეებსა და მისნებს, ნუ გაიუწმიდურებთ თავს. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი! 32. ჭალარას წამოუდგეი ფეხზე, პატივი მიაგე მოხუცს და შენი ლეთისა გეშინოდეს. მე ვარ უფალი! 33. თუ დაგიდგება მდგმურად ვინმე თქვენს ქვეყანაში, ნუ შეავისწროვებ მათ. 34. როგორც მკვადრი, ერთი თქვენთაგანი, ისე იყოს თქვენთვის თქვენს შორის მდგმურად დამდგარი კაცი. გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი, რადგან თქვენც მდგმურები იყავით ეგვიპტის ქვეყანაში. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. 35. ნუ მოიტყუებთ ნურც სასამართლოზე, ნურც ზომა-წონაში და ნურც საწყაოში. 36. სწორი სასწორი, სწორი საწონები, სწორი ეფა, სწორი პინა უნდა გქონდეთ. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანეთ. 37. შეინახეთ ჩემი წესები და ჩემი სამართალი, შესრულეთ ისინი. მე ვარ უფალი!

თავი მეთექვსმეტი

1. ელაპარაკე უფალი მოსეს და უთხრა: 2. ისრაელიანებს უთხარი: თუ ვინმე ისრაელიანთაგან ან მდგმურთაგან, რომელიც ისრაელში მდგმურობს, თავის ნაშიერს მოლოქისთვის გასწირავს, იგი უნდა მოკვდეს, ქვეყნის ერთსა კვებით უნდა ჩაქოლოს. 3. პირს მივაპრუნებ ამ კაცისკენ და მოვევით მის თავისი ხალხის წიალიდან, რადგან თავისი ნაშიერი გასწირა მოლოქისთვის, რომ ჩემი საწმიდარი გაეუწმიდურებინა და ჩემი წმიდა სახელი შეეგინებინა. 4. თუ ხალხი თვალს მოარიდებს ამ კაცს, როდესაც იგი თავის შვილს მოლოქისთვის სწირავს, და არ მოკლავს მას, 5. მე მივაპყრობ პირს ამ კაცისკენ და მისი საგვარეუ-

ლოსკენ და ხალხის წიალიდან მოკვეთ მას და მთა კვალზე ქველი გაუყურო მართებულს, რომლებიც უკლამითობენ მოლოქის კვალზე. 6. თუ ვინმე ჩადოქრებს და მკითხავებს მიმართავს, რომ მათ კვალზე იუკლამართოს, მე პირს მივაპყრობ მას და მოკვეთ მის ვისი ხალხის წიალიდან. 7. ნუხდებავით აქვენ თავი და წმიდები იყავით, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. 8. შენახეთ ჩემი წესები და შესრულეთ ისინი. მე ვარ უფალი, თქვენი გამწმენდელი. 9. ვინც თავის მამას და დედას შეურაცხყოფა, უნდა მოკვდეს, თავისი მამა და თავისი დედა შეურაცხყო. მასზეა მისი სისხლი. 10. ვინც ვათხოვილ ქალთან იმრუშებს, ვინც თავისი ახლობლის ცოლთან იმრუშებს, უნდა მოკვდეს როგორც მემრუშე კაცი, ისე მემრუშე ქალი. 11. ვინც მამის ცოლთან დაწვება, თავის მამას სიშიშველა ახდის, ორივენი უნდა მოკვდნენ. მათზეა მათი სისხლი. 12. ვინც თავის რძალთან დაწვება, ორივენი უნდა მოკვდნენ. სისამაგლე აქვთ ჩადენილი. მათზეა მათი სისხლი. 13. ვინც მამაკაცთან დაწვება ისე, როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩადენენ ორივენი. უნდა მოკვდნენ. მათზეა მათი სისხლი. 14. ვინც ცოლად ითხოვს ქალიშვილს და მის დედას, ეს გარყვნილება იქნება. ცეცხლში უნდა დაიწვან კაციც და ქალებიც, რომ არ იყოს გარყვნილება თქვენს შორის. 15. ვინც საქონელთან დაიჭერს კაცობის, უნდა მოკვდეს და საქონელიც უნდა მოკლათ. 16. თუ ქალი საქონელთან სიმაკინტლოდ მივა, მოკალი ქალიც და საქონელიც უნდა დაიხოცონ. მათზეა მათი სისხლი. 17. ვინც წაიყვანს თავი დას — თავისი მამის ასულს ან თავის დედის ასულს, და ორივენი დაინახავენ ქერთამნეთის სიშიშველს, სამარცხვინოა და უნდა მოიკვეთონ თავიანთი ხალხის თვალწინ. თავის დას სიშიშველე ახადა, ცოდა აწევს. 18. ვინც წიღოვან ქალთან დაწვება და სიშიშველს გამოუჩენს, კაცი სადინელს



გაუშვილებს და ქალი სისხლის სადნელს გამოაჩენს, ორივენი უნდა მოიკვეთონ თავისი ხალხის წიალიდან. 19. შენი ღედის დას და შენი მამის დას სიშიშველე არ გამოუჩინო, რადგან ეს საკუთარი ზორის გამოშველებაა, ცოლვა დაედებათ. 20. ვინც ბიკოლასთან დაწვედა, ბიძის სიშიშველეს გამოაჩენს, წათ ცოლვა დაედებათ; უშვილოები დაიხოცებიან. 21. ვინც მშის ცოლს ითხოვს, ეს აღრევა იქნება, მისი სიშიშველე გამოაჩინა, უშვილოები იქნებიან. 22. შეინახეთ ყველა ჩემი წესი და ყველა ჩემი სამართალი, შეასრულეთ ისინი, რომ არ გადმოგანთხოვთ ქვეყანამ, სადაც შეგიყვანათ საცხოვრებლად. 23. ნუ მოიკტევით იმ ხალხთა წესებზე, რომლებიც უნდა ავყაროთქვევან, რადგან ყველაფერს ამას ისინი სწავლიან, და მე განუტრისხდი მათ. 24. მე გითხარით: თქვენ დაისაკუთრებთ მათ მიწა-წყალს, მე გაძლევთ მას დასასაკუთრებლად. — ქვეყანას, სადაც რძე და თავლი მოედინება, მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგარჩიეთ სხვა ხალხებისგან. 25. გაარჩიეთ ერთმანეთი ავგან წმიდა და უწმიდური ცხოველი, წმიდა და უწმიდური ფრინველი და ნუ წაიბილწავთ თავს ცხოველით, ფრინველით და ყველაფრით, რაც დედამიწაზე დახოხავს, რომლებიც გაგიცალკევებთ, როგორც უსურმავნი. 26. წმიდები იყავით ჩემთვის, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, და გამოგარჩიეთ სხვა ხალხებისაგან, რომ ჩემი ყოფილიყავით. 27. თუ ვინმე აღმოჩნდა თქვენში ჭადოქარი ან მკითხავი — კაცი იქნება თუ ქალი, უნდა მოკვდეს, ქვებით უნდა ჩაქოლონ. მათზეა მათი სისხლი.

თავი ოცდამეერთე

1. უთხრა უფალმა მოსეს: უთხარი მღვდლებს, აარონის შვილებს და უთხარი მათ: არავინ გაიუწმიდუროს თავის თავს ხალხში მკვდრის შეხებით.


2. თუ სისხლით ნათესავია — დედან მამა, ვაჟი ან ასული, ძმა, 3. ან ქალწული და, ან ახლობელი ქალი, რომელიც გათხოვილი არ ყოფილა, მხოლოდ მამის შეიძლება გაიუწმოდუროს თავი. 4. ქმარმა არ უნდა გაიუწმოდუროს თავი თავის ხალხში, რომელიც წაბლწვის. 5. თვის ნუ გადმოკრეკენ დაწვებზე თმას, ნუ მოიპარხავენ, თანზე ნაკწურებს ნუ გაიკეთებენ, წმიდები უნდა იყვნენ თავიანთი ღმერთის და არ უნდა შეურაცხყონ თავიანთი ღმერთის სახელი, რადგან უფლის საცეცხლო მსხვერპლს, თავიანთი ღმერთის პურს სწირავენ ისინი, წმიდები უნდა იყვნენ. 7. ბოზი და გარყვნილი არ უნდა ითხოვონ ცოლად, არც ქმარს გაცილებული არ უნდა ითხოვონ, რადგან წმიდა არის იგი თავისი ღმერთისთვის. 8. წმიდად გყავდეს იგი, რადგან ის სწირავს შენი ღმერთის პურს, წმიდა იყოს იგი შენთვის, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი წმიდამყოფელი. 9. მღვდლის ქალიშვილი, რომელმაც ბოზობით თავი შეირცხვინა, მამამისი შემარცხენელია, ცეცხლში უნდა დაიწვას. 10. მღვდელმთავარი თავისი სამოხდან, რომელსაც თავზე მირონის ზეთი აქვს ცხებული და ხელი აქვს აცხებული შესამოსელის სატარებლად, თავს არ უნდა იშიშვლებდეს და შესამოსელს არ უნდა იხვედეს. 11. არც ერთ მკვდარს არ უნდა მიეკაროს, არც მამას და არც დედას, რომ არ გაუწმინდუროდეს. 12. საწმიდარიდან არ უნდა გადიოდეს, არ უნდა გაარიოშოს თავისი ღმერთის საწმიდარი, რადგან მისი ღმერთის მირონი არის ცხებული, მე ვარ უფალი. 13. ცოლად ქალწული უნდა ითხოვოს, 14. კერძო, ქმარს გაცილებული, შერცხენილი, ბოზი და ამგვარი არ უნდა ითხოვოს, მხოლოდ ქალწული უნდა ითხოვოს ცოლად თავისი ხალხიდან. 15. არ უნდა გაარიოშოს თავისი თესლი თავის ხალხში, რადგან მე ვარ უფალი, მისი წმიდამყოფელი. 16. ასე უთხრა უფალმა მოსეს: 17. ასე უთხარი აარონს; ნა-

ლოვანმა კაცმა შენს შთამომავალთაგან არ შესწიროს თავისი ღვთის პური. 18. რადგან არავის, ვისაც რამე ნაკლი აქვს, არა აქვს შეწირვის უფლება; არც ბრნას, არც კოკლს, არც ცხვირჩაყვლეტილს, არც ცხვირწაშვერილს, 19. არც ფეხმოტეხილს; არც ხელმოტეხილს, 20; არც კუზიანს, არც დამკლევებულს. არც თვალლიბრიანს, არც მუნიანს, არც ქეციანს, არც კვერცხებჩაყვეტილს, 21. არავის, ვისაც რამე ნაკლი აქვს ააბონ მღვდლის შთამომავლობაში, არა აქვს უფლება უფლის საცეცხლო მსხვერპლის შეწირვისა — ნაკლია მასში. არა აქვს უფლება თავისი ღვთის პურის შეწირვისა. 22. თავისი პური წმიდათა წმიდადან და წმიდან და შეუძლია აკამოს. 23. ოღონდ კრეტსაბმელთან ვერ მივა და სამსხვერპლოს ვერ მიეკარება, რადგან ნაკლი აქვს. არ უნდა გაარიოშოს ჩემი საწმიდარები, რადგან მე ვარ უფალი, მათი წმიდამყოფელი. 24. ელაპარაკე მოსე აარონს, მის შვილებს და მთელს ისრაელობას.

თავი ოცდამეორე

1. ასე უთხრა უფალმა მოსეს: 2. უთხარი აარონს და მის შვილებს, ეკრძალონ ისრაელიანთა საწმიდარებს და არ გაარიოშონ ჩემი წმიდა სახელი. ისინი არიან ჩემი შემომწირველნი. მე ვარ უფალი. 3. უთხარი მათ: ყველა ვინც კი თქვენს თესლითაგანი თქვენს მოდგმაში გაუწმიდურებული მიუახლოვდება საწმიდარებს, რომლებსაც ისრაელიანები სწირავენ უფალს, უნდა მოიკვეთოს ჩემი პირიდან. მე ვარ უფალი. 4. კეთროვანი ან გამონადენიანი აარონის შთამომავალთაგან ვერ შეკვამს საწმიდარებს, ვიდრე არ გაწმიდავდება. ის, ვინც მიეკარება რაიმეს, მკვდრისგან გაუწმიდურებულს, ან ვისაც თესლის დენა აქვს, 5. ან ვინც მიეკარება რომელიმე ქვეწარმავალს,

რომლისგანაც გაუწმიდურდება, ან კაცს, რომელიც გაუწმიდურებულს მას რაიმე უწმიდურობით. 6. ვინც რომელიც ხოველივე ამას მიიკარება, სადამომდურ გაუწმიდურებულია და წმიდა ვერ შეკვამს, თუ განიწყოფილ არ დაიბნოს. 7. ისეა მზე და იმედი გაწმიდავდება. მაშინ შეეძლება შეკვამოს წმიდა. რადგან ეს მისი პური და პური და წმიდავები არ უნდა კამოს რომ არ გაუწმიდურდეს. მე ვარ უფალი. 8. დაიკვან ჩემი გაფრთხილებები, რომ ცოდვა არ დაიდონ და ცოდვიანები არ დაიბოცონ, როცა გაარიოშებენ, მათ. მე ვარ უფალი, მათი წმიდამყოფელი. 9. უცხომ არავინ კამოს წმიდა, მღვდლის მდგმურმა და ქირის კაცმა არ უნდა კამოს წმიდა. 11. მღვდლის მიერ საყვთარი ვერცხლით ნაყიდს შეუძლია კამოს იგი. მის სახლში დაბადებულებს შეუძლიათ კამონ მისი პური. 12. მღვდლის ქალიშვილს, რომელიც უცხო კაცზეა გათხოვილი, არ შეუძლია კამოს შეწირული წმიდავები. 13. მღვდლის ქალიშვილს, რომელიც დაქვრივებულია ან ქმარგაცილებული, ნაშიერი არა ჰყავს და მამისსახლშია დაბრუნებული, როგორც ყმაწვილქალობისას იყო, შეუძლია კამოს მამანისის პური. უცხომ არავინ არ უნდა კამოს. 14. ვინც შეცდომით შეკვამს წმიდას, მისი მეხუთედი უნდა დაუმატოს და მღვდელს მისცეს წმიდა. 15. არ უნდა შეურაცხყონ ისრაელის წმიდები, რომლებსაც უფალს სწირავენ. 16. არ უნდა დაიდონ ცოდვა წმიდათა კამით, რადგან მე ვარ უფალი, მათი წმიდამყოფელი. 17. ასე უთხრა უფალმა მოსეს: 18. ელაპარაკე აარონს და მის შვილებს და მთელს ისრაელობას და უთხარი: თუ ვინმე ისრაელის სახლიდან ან ისრაელის მდგმურთაგან მიიტანს თავის შესაწირავს, შეთქმულს ან სამოწყალოს, რასაც აღსავლენად სწირავენ უფალს, 19. იმისათვის, რომ დამწყალობდეთ. საკლავი უნაკლო უნდა



იყოს, ხვასტავი იქნება. ვერძი თუ ვაცი, 20. არ შესწიროთ საკლავი, რომელსაც რაიმე ნაკლი აქვს. რადგან ვერ დამწყალობნდებით. 21. თუ ვინმე შესწირავს უფალს სამშვიდობო მსხვერპლს ალთქმის თანახმად თუ სომოწყალოდ — ხვასტავს ან ცხვარს, უნაკლო უნდა იყოს, რომ სამწყალობნო იყოს. არავითარი ნაკლი არ უნდა ჰქონდეს. 22. ბრმა ან დამტვრეული, ან დასაბიჩრებელი, ან დამუწყუებელი, ან ქვეციანი, ან მუნიანი არ შესწიროთ უფალს, არც საცეცხლო მსხვერპლად არ დაუდოთ უფალს სამსხვერპლოზე. 23. ხარი ან ცხვარი, რომელსაც ყური ან კუდი მოგლჯილი აქვს, შეგიძლია სამოწყალო მსხვერპლად შესწირო, შეთქმულისთვის კი სამწყალობნო რა იქნება. 24. რომელსაც ყვერები დაქვალბილი, ან დაჩეჩქილი, ან მოგლჯილი, ან მოკრილი აქვს, არ შესწირო უფალს. თქვენს მიწაზე ეს არ გააკეთოთ. 25. უცხოელის ხელიდან მოცემულ პურს ნუ შესწირავთ თქვენს ღმერთს, რადგან გაფუჭებულია, ნაკლი აქვს. არ დამწყალობნდებით. 26. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 27. როცა განიდება ხარი, ან ცხვარი, ან თხა, შეიღ დღეს დედასთან ამყოფეთ. რვა დღის შემდეგ უკვე ივარგებს საცეცხლო მსხვერპლად უფლისთვის. 28. არ დაკლათ ხარი, ან ცხვარი, ან თხა, ერთ დღეს თავის ნაშიერთან ერთად. 29. როდესაც სამშვიდობო მსხვერპლს უკლავთ უფალს, თქვენს დასამწყალობნებლად დაკალით. 30. იმავე დღეს უნდა შეკამოთ, დღემდე არ მოიჩინოთ. მე ვარ უფალი. 31. შეინახეთ ჩემი მცნებები და შეასრულეთ ისინი. მე ვარ უფალი. 32. არ გაარიოშოთ ჩემი წმიდა სახელი, რომ წმიდა ვიყო ისრაელანთა შორის. მე ვარ უფალი, თქვენი წმიდამყოფელი. 33. რომელმაც გამოგვიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, რომ თქვენი ღმერთი ვყოფილიყავი. მე ვარ უფალი.

თახანი ოცდამეხანმე

1. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 2. ელაპარაკე ისრაელიანებს და გამოუცხადე საუფლო დღესასწაულები, რომელსაც უნდა მოიწვიოთ წმიდა წვეულებანი ანა სახე დღესასწაულები. 3. ექვსი დღე აკეთეთ საქმე, იმ შემდეგ დღეს კი განსვენებინა შაბათი. უნდა წვეულობა, ათათურა საქმე არ აკეთოთ. ეს იყო უფლის შაბათი ყველა თქვენს საცხოვრებელში. 4. ანა, საუფლო დღესასწაულები, წმიდა წვეულებანი, რომლებიც უნდა მოიწვიოთ თავ-თავის დროზე: 5. პირველ თვეს, თვის მეთოთხმეტე დღეს, საღამოხანს უფლის პასექია. 6. ამავე თვის მეთხუთმეტე დღეს საუფლო ხმიადობის დღესასწაულია. შეიღ დღეს უფუარი კერები ჰამეთ. 7. პირველ დღეს წმიდა წვეულება გქონდეთ. არაფერი საქმე არ აკეთოთ. 8. შესწირეთ საცეცხლო მსხვერპლი უფალს შეიღი დღის განმავლობაში. მეშვიდე დღეს წმიდა წვეულებაა, არაფერი საქმე არ აკეთოთ. 9. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 10. ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი: როდესაც შეხვალთ იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევთ, და სამკალს მკას დაუწყებთ, პირველმომკრი დნა მღვდელს მიუტანეთ. 11. შეარბევს მას მღვდელი უფლის წინაშე თქვენს დასამწყალობნებლად. 12. მოამზადეთ ძნის შერბევის დღეს ერთწლიანი სალი ცხვარი უფლისთვის აღსავლენად. 13. სამაგისო საძღვნო — ეფის მუათედი გამმტყიეული ფქვილი, ზეთში აზულილი, საცეცხლო მსხვერპლად უფლისათვის. კეთილსურნელებად, და სამაგისო ზედაშე — მეოთხედი ჰინი ღვინო. 14. არც პური, არც ქუმელი, არც ბურღული არ ჰამოთ ამ დღემდე, ვიდრე უფალი შესაწირავს არ მიარსმევთ. ეს გქონდეთ საუყუნო წესად თაობიდან თაობაში, ყველგან, სადაც კი ცხოვრობთ. 15. გადაითვალეთ შაბათის მეორე დღიდან, იმ დღიდან, როცა შესარბევი ძნა მიიტა-

ნეთ, შეიდი სრული შაბათი. 16. მეშვიდე შაბათის მეორე დღემდე, გადართვალეთ ორმოცდათი დღე და შესწირეთ ახალი საქმენო უფალს. 17. თქვენ-თქვენი საცხოვრებლებიდან მიიტანეთ შესარბეველი თქვენი პურა, ორი მეთაფი ეფა გამოცხადებული ფქვილისგან უნდა იყოს, საფუარიანი უნდა გამოცხვეს — პირველმოწყულ ნაყოფად უფლისათვის. 18. მიყოლებით პურს შეიდი წელგამოვლილი სალიკრავი ერთი მოზვერი და ორი ვერძი, ესენი იქნება აღსაველნად უფლისათვის. საქმენო და ზედაშე — საცეცხლო მსხვერპლად, კეთილსურნელებად უფლისათვის. 19. გაამზადეთ ერთი თბა ცოდვის გამოსასყიდად და ორი წელგამოვლილი კრავი სამშვიდობო მსხვერპლად. 20. შეარბევს მათ მღვდელი უფლის წინაშე პირველმოწყულ პურთან და ორ ვერძთან ერთად, ეს იყოს საუფლო მღვდლისათვის. 21. მოიწყვიეთ სწორედ ამ დღეს — გკონდეთ წმიდა წვეულება, არაფერი საქმე არ აკეთოთ, ეს გკონდეთ საუკუნო წესად თაობიდან თაობაში, ყველგან თქვენს საცხოვრებლებში. 22. როცა სამკალი გექნებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომკი შენს ყანას მკისდროს, სამკალი დაცვენილს ნუ აკრფე, ღარიბ-ღატაკსა და მღვმურს დაუტოვე. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. 23. ელაპარაკე უფალი მოსეს და უთხრა: 24. უთხარი ისრაელიანებს: მეშვიდე თვეს, თვის პირველ დღეს უქმე გკონდეს — გახსენება ბუკისცემისა, წმიდა წვეულება. 25. არაფერი საქმე არ აკეთოთ და საცეცხლო მსხვერპლი შესწირეთ უფალს. 26. ელაპარაკე უფალი მოსეს და უთხრა: 27. ამავე მეშვიდე თვის მეთაფი დღეს შენდობის დღეა, წმიდა წვეულება გკონდეთ, დაიმდაბლეთ თავი და საცეცხლო მსხვერპლი შესწირეთ უფალს. 28. არაფერი საქმე არ აკეთოთ ამ დღეს, რადგან შენდობის დღეა იგი, რათა მიგატევოთ უფლისა, თქვენი ღმერთის წინაშე. 29. ვინც ამ დღეს თავს

არ დაიმდაბლებს, მოკვეთება თავისი ხალხიდან. 30. ვინც ამ დღეს თაობა საქმეს გააკეთებს, გადაეწინებება თავისი ხალხიდან. 31. არაფერი საქმე არ აკეთოთ, ეს გკონდეთ საუკუნო წესად თაობიდან თაობაში, ყველგან თქვენს საცხოვრებლებში. 32. თქმის შაბათი, ეს თქვენი თვის და დაიხდაბლეთ თავი, თვის მეცხრე დღეს დაიბრუნდა საცეცხლო მსხვერპლი თქვენი შაბათი. 33. ელაპარაკე უფალი მოსეს და უთხრა: 34. ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი: ამ მეშვიდე თვის მეთაფი მებრძოლები დღიდან კარვობის დღესასწაულია — შეიდი საუფლო დღე. 35. პირველ დღეს წმიდა წვეულება, არაფერი საქმე არ აკეთოთ. 36. შეიდი დღის მანძილზე შესწირადეთ საცეცხლო მსხვერპლს უფალს, მეჩვე დღეს წმიდა წვეულება გკონდეთ, საცეცხლო მსხვერპლი შესწირეთ უფალს, ეს ზეიშია — არაფერი საქმე არ აკეთოთ. 37. აჰა, საუფლო დღესასწაულები, რომლებიც უნდა მოიწყვიოთ თქვენ — წმიდა წვეულებანი, რომ შესწირით საცეცხლო მსხვერპლი უფალს — აღსაველნი, საქმენო საკლავი და ზედაშე დაწესებულ დღეებში, 38. გარდა საუფლო შაბათებისა, გარდა თქვენი ძღვენისა, გარდა შეთქმული შესაწირავისა და გარდა სამოწყალო მისატანისა, რომელიც უფალთან მიგაქვთ ხოლმე. 39. მეშვიდე თვის მეთაფი მებრძოლები დღეს, მიწის მოსავლის აღებისას, შეიდი დღეს იდღესასწაულეთ საუფლო დღესასწაული. პირველ დღეს — უქმე და მეშვიდე დღეს — უქმე. 40. აიღეთ პირველ დღეს ჰაბარის ხის ნაყოფი, ფინიკის მტევნები, მენისისა და ტირიფის რტოები და იმზიარულეთ უფლის, თქვენი ღმერთის წინაშე, შეიდი დღეს. 41. იდღესასწაულეთ იგი, საუფლო დღესასწაული, შეიდი დღეს წელიწადში, საუკუნო წესად გკონდეთ თაობიდან თაობაში, მეშვიდე თვეში იდღესასწაულეთ იგი. 42. კარვებში იცხოვრეთ შეიდი დღეს, ისრაელის ყოველმა მკვიდრმა კარვებში იცხოვროს

უფალი
მისაწავს

18. იმისათვის, რომ იცოდნენ თქვენმა შთამომავლებმა, რომ კარგებში დავასაღლე ისრაელიანებო, როცა ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე, ნუ ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, 19. გამოუცხადა მოსემ საუფლო დღესასწაულები ისრაელიანებს.

თავი ოცდამოთხე

1. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 2. უბრძანე ისრაელიანებს, მოგიტანონ ზეთისხილის სუფთა ზეთი, დაწურული, გასანათებლად, რომ მუდმივად ენთოს ლამპარი. 3. მოწმობის კრეტსაბშელს გარეთ საღვთისწაულო კარავში დადგას ოგი აარონმა, რომ მუდმივად იყოს უფლის წინაშე დღიდან საღამომდე. საუკუნო წესად გქონდეთ თაობიდან თაობაში. 4. სუფთა სასანთლებზე უნდა ჰქონდეს მუდმივად დადგმული ლამპრები უფლის წინაშე. 5. აიღე გამტკიცელი ფქვილი და გამოაცხევე თორმეტი პური, შეათედი ეფა უნდა იყოს თითოეული პური. 6. ორ რიგად დააწყევე ისინი, თითოეულ რიგში ექვსი, სუფთა ტაბლაზე უფლის წინაშე. 7. დადევით თითო რიგში გასუფთავებული საკმეველი და იყოს პურად, სამახსოვროდ, უფლის საცეცხლო მსხვერპლად. 8. შაბათობით უნდა ჰქონდეთ დაწყობილი მუდმივად უფლის წინაშე. ეს არის საუკუნო აღთქმა ისრაელიანთაგან, 9. აარონისთვის და მისი შვილებისთვის უნდა იყოს, ჰამონ იგი წმიდა ადგილას, რადგან წმიდათა წმიდა იგი მათთვის უფლის საცეცხლო მსხვერპლიდან. ეს არის საუკუნო წესი. 10. მოვიდა ისრაელიანთა შორის ისრაელიანი დედაკაცისა და ეგვიპტელი კაცის შვილი და წაეკიდნენ ბანაკში ერთმანეთს ისრაელიანი დედაკაცის შვილი და ისრაელიანი კაცი. 11. აკინებდა ისრაელიანი დედაკაცის შვილი უფლის სახელს და ილანძღებოდა მიუყვანეს იგი მოსეს (დედამისი იყო შველომით,

დიშორის ასული, ჰიანის ტომიდან) 12. და ჰყავდით სააყრობილოთ, ვიდრე უფლის განაჩენს, გარებდნენ. 13. ელაპარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 14. გაიყვანეთ მგინებელი ბანაკის გარეთ და ყველამ, ვინც გაიგონა, დაადგინოს კარი თვეზე და ქვენი საქოლოს მთელმა ბანაკებებმა. 15. ვარაულონებელს კი ასე უთხარი: ყველა, ვინც თვესს ღმერთის დამძლავს, ცოდვას იღებს. 16. უფლის სახელი შეგნეულს უნდა მოკედეს, ქვებით უნდა ჩაქოლოს მთელმა საზოგადოებამ — მდგმურნი იქნება თუ მკვიდრი, უფლის სახელის შეგინებისათვის უნდა მოკედეს. 17. ადამიანის მკვლეელი უნდა მოკედეს. 18. პირუტყვის მკვლელობა სული სულის წილ უნდა ზლოს. 19. ვინც რამე ზიანს მიაყენებს თავის თვისტომს, მასაც ისევე უნდა მოექცნენ, როგორც თავად მოიქცა. 20. მოტეხილობა მოტეხილობის წილ, თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ, რა ზიანიც მიაყენა ადამიანს, მასაც იგივე ზიანი უნდა მიაყენონ. 21. პირუტყვის მკვლელობა უნდა ზლოს იგი, ადამიანის მკვლეელი უნდა მოკედეს. 22. ერთი სამართალი უნდა გქონდეთ მდგმურისთვის და მკვიდრისთვის, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. 23. გამოუცხადა მოსემ ისრაელიანებს და გაიყვანეს მგინებელი ბანაკის გარეთ, და ჩაქოლეს იგი ისრაელიანებმა, როგორც უბრძანა უფალმა მოსეს

თავი ოცდამეხუთე

1. ელაპარაკა უფალი მოსეს სინაის მთაზე და უთხრა: 2. ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი: როცა შეხვალთ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევთ, იუქმოს მიწამ შაბათი უფლისათვის, 3. ექვს წელიწადს თესავდე შენს ყანას, ექვს წელიწადს სხლავდე შენს ვენახს და იღებდე მოსავალს. 4. მეშვიდე წელს კი უქმის შაბათი მიწისათვის, უფლის შაბათი, ყანა არ

დათესო და ვენაბი არ გასხლა. 5. ჩა-
 თანტული მარცლიდან ამოსული არ
 მოშა და გაუსხლავი ვაზიდან ყურძე-
 ნი არ მოკრიფო. უქმი წელიწადი იყოს
 მიწისათვის. 6. ნიწის უქმობის დროს
 გკონდეთ საკმელად შენ და შენს
 ყმას, შენს ყმა-ქალს, კირისკაცს, და
 მღვმურს, რომელიც შენთან დგას. 7.
 შენს პირუტყვს და ცხოველებს, რომ-
 ელებიც შენს მიწაზეა, მთელი მოსავა-
 ლე გკონდეთ საკმელად. 8. გადათავა-
 ლე შეიდი უქმობის წელიწადში შეიდ-
 ჩერ შეიდი წელიწადი, რომ გამოგვი-
 დეს შეიდი უქმობის წელიწადში სულ
 ორმოცდაცხრა წელი. 9. დაჰარი ბუცს
 მეშიდეთ თვეში, თვის მეათე დღეს,
 შენდობის დღეს დაჰარი ბუცს მთელს
 თქვენს ქვეყანაში. 10. წმიდაყვით ორ-
 ნოცდამეათე წელი და გაათავისუფ-
 ლეთ ქვეყანაში ყველა მისი მცხოვრე-
 ბი. ზეიმი იყოს ეს თქვენთვის. ყვე-
 ლანი თქვენ-თქვენს სამკვიდრებელს
 დაუბრუნდით, თქვენ-თქვენს სანათე-
 საოს დაუბრუნდით ყველანი. 11. ზეი-
 მი იყოს თქვენთვის ორმოცდამეათე წე-
 ლი. არ თესოთ და არ მკათ ჩაფანტუ-
 ლი მარცლიდან ამოსული, არ მოკრი-
 ფოთ გაუსხლავი ვაზიდან. 12. რადგან
 ზეიმი ეს, წმიდა უნდა იყოს თქვენ-
 თვის. ყანიდან ჰამეთ მისი მოსავალი.
 13. ამ ზეიმის წელს დაუბრუნდეს კა-
 ცი თავის სამკვიდრებელს. 14. როცა
 რაინეს მიჰყიდი შენს თვისტომს ან
 რამეს იყიდი შენი თვისტომისგან,
 ნუ მოატყუებთ ერთმანეთს. 15. ზეი-
 მის შემდგომი წლების ანგარიშით
 იყიდეთ შენი თვისტომისგან, მოსავ-
 ლის აღების წლების ანგარიშით მოგ-
 ყიდოს. 16. თუ ბევრია წლები, გაზარ-
 დე ფასი, თუ მცირეა წლები, დაუქე-
 ლო ფასს. რადგან მოსავლის ანგარიშით
 მოგყიდის. 17. ნუ მოატყუებთ ერთმა-
 ნეთს და გეშინოდეს შენი ღეთისა. რად-
 გან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.
 18. შეასრულეთ ჩემი წესები და ჩემი
 სამართალი შეინახეთ, შეასრულეთ ისი-
 ნი და უზრუნველად იცხოვრებთ

ქვეყანაში. 19. მოგცემთ ნიწს თავის
 ნაყოფს, მამლისად შეკამთ და მშვი-
 დად იცხოვრებთ იქ. 20. თუ იკით-
 ხათ: რა ეკამოთ მე შეიდა წელს, თუ
 არ დაეთესეთ და თუ არ ავიღეთ მოსა-
 ვალი? 21. გამოვიცხადებ ჩემს ვერბო-
 ვას თქვენზე მეტესე წელს და მოიყვანს
 მოსავალს საძი წლისთვის. 22. დათესათ
 მერვე წელს, მტკნამ მცხარე წლამდე
 ძველ მოსავალს შეკამთ. ძველს უნდ
 კამოთ, ვიდრე მისი მოსავალი შენო-
 ვიდოდეს. 23. მიწა სამუდამოდ არ
 უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა,
 რადგან თქვენ მღვმურები და ხიზნები
 ხართ ჩემთან. 24. მთელ თქვენს სამკ-
 ვიდრებელ მიწაზე მიეცი თ მიწის გა-
 მოსყიდვის ნება. 25. თუ შენი მოძმე
 გაღარიბდება და თავის სამკვიდრებელს
 გაჰყიდის, მივიდეს მისი ახლო ნათესა-
 ვი და გამოისყიდოს მისი მოძმის გა-
 ყიდული. 26. თუ კაცს გამოისყიდველი
 არა ჰყავს და თავად ხელი მიუწვდება
 და იშოვის გამოსასყიდს, რამდენიც
 საჭიროა, 27. იანგარიშოს გაყიდვიდან
 გასული წლები. მონარჩენი მყიდველს
 დაუბრუნოს და თავისი სამკვიდრებელი
 ჩაიბაროს. 28. თუ გამოსასყიდს, რამდ-
 ნიც საჭიროა, ვერ იშოვის, გაყიდული
 მის მყიდველს დარჩება ზეიმის წლა-
 ნდე. ზეიმის წელს ჩამოერთმევა და
 პატრონი თავის სამკვიდრებელს და-
 უბრუნდება. 29. თუ კაცი გაღავნი-
 ან ქალაქში საცხოვრებელ სახლს გაყი-
 დის, გაყიდვიდან ერთი წლის გასვლაშ-
 დე შეეძლება გაყიდულის გამოსყიდვა.
 ერთი წლის განმავლობაში გამოსყიდ-
 ვის ნება აქვს. 30. თუ მთელი წლის
 გასვლაშდე არ იქნა გამოსყიდული, სახ-
 ლი, რომელიც გაღავნიან ქალაქშია,
 სამუდამოდ დარჩება მის მყიდველს
 თაობიდან თაობაში. ზეიმის წელს არ
 ჩამოერთმევა. 31. ხოლო სახლები სოფ-
 ლებისა, რომელთაც ირგვლივ გაღავ-
 ნი არა აქვთ, მიწის ნაკვეთად ითვლე-
 ბა. მათი გამოსყიდვა შეიძლება და
 ზეიმის წელს ჩამოერთმევა. 32. ლე-
 ვიანთა ქალაქები, მათი სამკვიდრებელი

ქალაქების სახლები, ყოველთვის შეუძლიათ გამოისყიდონ ლევინებმა. 33. თუ ლევინთაგან ვინმე გამოსყიდვას მონიდრომებს, გაყიდული სახლი და მისი სამკვიდრებელი ქალაქი ზეიმის წელს ჩამოერთმევა მყიდველს, რადგან ლევინათა ქალაქების სახლები მათი სამკვიდრებელია ისრაელიანთა შორის. 34. მათი ქალაქების გარშემო ყანების გაყიდვა არ შეიძლება, რადგან ეს მათი სამარადისო სამკვიდრებელია. 35. თუ შენი მოძმე გალარობდება და შენს თვალწინ გაპირვებაში ჩაეარდება, შეეშველე მას, მდგმური იქნება თუ ბიზანი, და იცხოვროს შენთან. 36. ნუ აიღებ მისგან სარგებელს და ვახშს — შენი ღვთისა გეშინოდეს! — იცხოვროს შენმა მოძმემ შენთან. 37. ვერცხლს საეახშოდ ნუ გასცემ და სარგებლისთვის ნუ გასცემ შენს საკმელს. 38. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოვიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, რომ მოგცეთ თქვენ ქანაანის ქვეყანა, რომ თქვენი ღმერთი ვიყო. 39. როცა შენი მოძმე გალარობდება შენს თვალწინ და შენ მოგეყვიდება, მონური შრომით ნუ ასრომებ. 40. ქირისკაცით, ბიზანივით უნდა იყოს შენთან, ზეიმის წლამდე იმუშაოს შენთან. 41. მერე კი წაიღეს შენგან თავის ბავშვებიანად და დაუბრუნდეს თავის სახათესაოს, თავისი მამა-პაპის ჯამკვირებელში დაბრუნდეს. 42. რადგან ჩემი მსახურებია ისინი, რომლებიც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე. მონებად არ უნდა გაიყიდონ ისინი. 43. ნუ იბატონებ მასზე ძალმომრეობით და შენი ღმერთის გეშინოდეს. 44. მსახური და მხევალი, რომელიც გეყოლებათ, იმ ხალხებიდან უნდა იყვნენ, თქვენს გარშემო რომ ცხოვრობენ. მათგან იყიდეთ მსახური და მხევალი. 45. იმათგანაც შეგიძლიათ იყიდოთ, ვინც მდგმურად ღვანან თქვენთან, და ნათი ქოლგმიდან, თქვენთან არიან, თქვენს ქვეყანაში რომ არიან დაბადებულნი. თქვენი საყუთობა იყვნენ ესენი,

46. დაუტოვეთ ისინი თქვენს შიშობაშულებს მკვციდრობად. საძულადოდ ამუშავეთ ისინი მგერამ თქვენს მოძმეებზე. ისრაელიანზე, ნუ იბატონებთ ძალმომრეობით. 47. თუ შეძლებულ გახდა შენთან მყოფი მდგმური ან ბიზანი, შენი მოძმე კი შედარდოს და შენთან მყოფ მდგმურს ან ბიზანს ან მდგმურს საგვარჯლისი ნაწილის მიუცოდ. 48. მიუღვეს შენძულზე მისი გამოიხსნა. ერთელისი მთი მოძმეთაგანი გამოიხსნის მას. 49. ან ბიძა ან ბიძაშვილი გამოიხსნის მას. ან მის სისხლით ნათესავი მისი საგვარჯლოდან გამოიხსნის. ან თუ საშუალება აქვს, თავად გამოიხსნას თავი. 50. გაუსწოროს ანგარიში თავის მყიდველს იმ წლიდან, რაც მიუყიდა მას. ზეიმის წლამდე. მისთვის გადახდილი ვერცხლი წლების კვალობაზე უნდა დაუბრუნოს, და დღითი ქირით იმუშავეს მასთან. 51. თუ კიდევ ბევრი წელია დარჩენილი, ამის კვალობაზე დაუბრუნებს გამოსახსნელს მიუღვეს დროს აღებული ვერცხლიდან. 52. თუ ზეიმის წლამდე ცოტა წელია დარჩენილი, იანგარიშის და წლების კვალობაზე დაუბრუნოს განოსახსნელი. 53. ქირისკაცად უნდა დარჩეს მასთან ამ წლების მანძილზე. არ უნდა იბატონოს მასზე ძალმომრეობით შენს თვალწინ. 54. თუ ამ გზით ვერ გამოიხსნის თავს, ზეიმის წელს ჩამოერთმევა მყიდველს თავის ბავშვებიანად. 55. რადგან ჩემი მსახურნი არიან ისრაელიანები, ჩემი მსახურნი არიან ისინი, რომლებიც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოვიყვანე. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.

მთავი ოცდამეათევი

1. არ შეიქმნათ კერპები და ქანდაკები, არ აღმართოთ სვეტები. არ ჩადგათ თქვენს ქვეყანაში მოხატული ქვები სათაყვანოდ. რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. 2. ჩემი შაბათები შეინახეთ და ჩემი საწმიდარები

გეშინოდეთ. მე ვარ უფალი. 3. თუ ივლით ჩემს წესზე და შეინახავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ. 4. თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაე მოგცემთ თავიანთ მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ ნაყოფს. 5. ლეწვა თესვაზე აღრე დაგიდგებათ. თიფლი თესვაზე აღრე. ძლომაზე შეკმით თქვენს პურს, თქვენს ქვეყანაში მშვიდად იცხოვრებთ. 6. მშვიდობას ჩამოვადგებ ქვეყანაზე და მოსვენებული იქნებით. აღარ იქნება დამაფრთხობელი, მიწისგან აღვგვი სასტიკ მხეცებს და მახვილი არ გაივლის თქვენს ქვეყანაზე. 7. გარეკავთ თქვენს მტრებს და მახვილით დაეცემიან თქვენს წინაშე. 8. ასს გარეკავს ხუთი თქვენგანი და ასი თქვენგანი ათითასს გარეკავს. მახვილით დაეცემიან თქვენი მტრები თქვენს წინაშე. 9. მოგზადეთ და ნაყოფიერს გაგზადით, გაგამრავლებთ და შევასრულებ თქვენთვის მოცემულ აღთქმას. 10. შეკმით ძველისძველს და ახლის წინაშე გამოიტანთ ძველს. 11. ჩემს საივანეს დაგიდებთ თქვენს შორის და არ შეგიძლებთ ჩემი სული. 12. ვივლი თქვენს შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი, თქვენ კი ჩემი ერი იქნებით. 13. მე ვარ უფალი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგყვანეთ, რომ მონებად არ დარჩენილიყავით, დაწვევით თქვენი უღლის აპურები და შემართულნი წამოგიყვანეთ. 14. თუ არ დამიჯერებთ და არ შეასრულებთ ამ ჩემს მცნებებს, 15. თუ არად ჩააგდებთ ჩემს წესებს, თუ ისე შეიძლება ჩემს სამართალს, რომ არ შეასრულებთ არც ერთ ჩემს მცნებას და დამირღვევთ აღთქმას. 16. მაშინ ამგვარად მოგვეტყვი: მოგივლენთ შიშისზარს, ქლექა და ცხოვრებას, თვალის დამავსებელს და სულის შემადონებელს. ფუქი იქნება თქვენი დთვისილი, რადგან მტრები შეგიკამენ. 17. პირს ვიზამთ თქვენსკენ და დაუმარცხდებით თქვენს მტრებს, გაგიბატონდებიან მოსისხლენი. გაიქცევით, თუმცა მღვერი არ გეყოლებათ.


18. და თუ მაინც არ დამიჯერებთ, შეიდგზის მოგინებთ საივალს თქვენი ცოდვებისთვის. 19. გაგტყვევებთ თქვენი სიჭიურისა ძალას. რადგან ვაქცევ თქვენს ცას, სპილენძად — თქვენს მიწას. 20. ფუქი დაიღვება თქვენი ძალ-ღაბე. მოგვეტყვი: წინაშე ჩემს მოსავალს და მინდვრებს, თავის ნაყოფებს. 21. თუ კიდევ გამოწვევთ წინააღმდეგობას და არ დამიჯერებთ, უუროსგდებას, შეიდგზის დაცხებით თქვენი ცოდვებისათვის. 22. მოგივლენთ გარეულ მხეცებს და გაგიწყვეტენ შეილებს, გაგიწყვეტენ საქონელს, თქვენც დაგლევენ და დაცარიელდება თქვენი გზები. 23. თუ ამითაც არ ისწავლით ჰუას და კიდევ გამოწვევთ წინააღმდეგობას, 24. მეც წამოვალ თქვენს წინააღმდეგ და შეიდგზის დაცხებით თქვენი ცოდვებისათვის. 25. მოვავლენ თქვენზე შურისმგებელ მახვილს აღთქმის შურისგებად და შეიხვეტებით თქვენ-თქვენს ქალაქებში. პირს შეგყარით და მტრის ხელში ჩაიცივდებით. 26. როცა გაგიწყვეტ პურის სახსარს, ათი დედაკაცი ერთ თონეში დაიწყებს თქვენი პურის ცხობას. წონით გამოგიგზავნიან თქვენს პურს, შეკმით და ეერ გაძლებთ. 27. თუ მაშინაც რა დამიგდებთ ურს და გამოწვევთ წინააღმდეგობას, 28. მეც გამოვალ თქვენს წინააღმდეგ რისხვით და შეიდგზის დაგსჯით თქვენი ცოდვებისთვის. 29. თქვენი ვაყების ბორცს დაუწყებთ ჰემას და თქვენი ასულების ბორცს შეკმით. 30. გაგინადვურებთ გორაკებს და ამოგიურიოთ მზის სვეტებს, დავახვავებთ თქვენს გვამებს თქვენი ყერების ნანგრევებზე და შეგიძლებთ თქვენ ჩემი სული. 31. გავაუდაბურებთ თქვენს ქალაქებს და დავაცარიელებთ თქვენს საწმიდარებს, აღარ ვიყნოსავ თქვენგან ნაქმევ კეთილსურნელებას. 32. დავაცარიელებ ქვეყანას თქვენი მტრების განსაცუფრებლად, რომლებიც იქ დასახლდებიან. 33. მიმოვგანტავთ ხალხებში და გაშვილებულ მახვილს დაგადვენებთ. დაცარიელდება

თქვენი მიწა და გაუღებურდება თქვენი ქალაქები. 34. მაშინ ამოიგებს მიწა თავის შაბათებს მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც დაცარიელებული იქნება, როცა თქვენი მტრების ქვეყანაში იქნებით, მაშინ იუქმებს მიწა, ამოიგებს თავის შაბათებს, 35. იუქმებს მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც არ უქმია თქვენს შაბათებში, როცა იუქცხოვრობდით. 36. დანარჩენებს გულს გაგიღაჩრებთ მტრების ქვეყნებში, გაფრენილი ფოთლის ხმა შეგაშინებთ და გაიქცევით, თითქოს მახვილს გაუფრებოდეთ, დაეცებით, მღვეარი კი არაიენ იქნება. 37. წაიფრთხილებენ ერთმანეთზე, თითქოს მახვილს გაუფრებოდნენ, მღვეარი კი არაიენ იქნება, ღონე არ გეყოფათ, რომ მტრებს აღუდგეთ. 38. დაიღუპებით ხალხებში და შეგვამთ თქვენი მტრების მიწა. 39. დანარჩენები დაიღუპით თქვენი ცოდვების გამო მტრების ქვეყნებში, თქვენი მამა-პაპის ცოდვების გამოც დაიღუპით. 40. თუ გამოტყდებიან თავიანთ ცოდვებში და მამა-პაპის ცოდვებში, რომ მიმტყუნეს და ჩემს წინააღმდეგ გამოდიოდნენ, 41. მეც რომ წავედო მათ წინააღმდეგ და მათი მტრების ქვეყანაში გადავასახლე ისინი. — თუ მოუთრგუნებათ დაუცვეთავე გულები, მაშინ გამოისყიდიან თავიანთ ცოდვებს. 42. და მეც გავიხსენებ ჩემს აღთქმას იაკობთან, ისაკთან დადებულ აღთქმასაც და აბრაამთან დადებულ აღთქმასაც გავიხსენებ, ქვეყანასაც გავიხსენებ. 43. მიწა მიტოვებული იქნება მათგან და ამოიგებს თავის შაბათებს, როცა მათგან დაცარიელდება, ისინი კი ამოიგებენ თავიანთ ცოდვებს, რომ შეიძულეს ჩემი სამართალი, და ჩემი წესები შეიძულა მათ სულმა. 44. და მაინც, მტრის ქვეყანაში მათი ყოფნის დროსაც კი არ შევიძაგებ მათ და არ შევიძულებ მოსასპობად, მათთან დადებული აღთქმის დასარღვევად. რადგან მე ვარ უფალი, მათი ღმერთი. 45. მათთვის გავიხსენებ ჩემს აღთქმას წინაპრებთან, რომლებიც ეგვიპტის ქვეყ-

ნიდან გამოვიყვანე ხალხების თვალწინ, რათა მათი ღმერთი ეყო მე ვარ უფალი. 46. ანა, წესები, სამართალი და რჯული, რომელიც დადო უფალმა თავისა და ისრაელიანთა შორის სინაის მთაზე მოსეს ხელით.

მეორე ტომად შევიდნენ

1. ელაბარაკა უფალი მოსეს და უთხრა: 2. ელაბარაკე ისრაელიანებს და უთხარი: თუ ვინმე უფლისადმი აღთქმული სულიერის სანაცვლოდ რამეს შესწირავს, 3. ოცდამ სამოცი წლის ასაკამდე მამრის საფასური უნდა იყოს ორმოცდაათი შეკელი ვერცხლი საწმიდარის შეკელით, 4. თუ მღვდრია, მისი საფასური ოცდაათი შეკელი უნდა იყოს, 5. თუ ხუთიდან ოც წლამდეა, მამრის საფასური ოცი შეკელი, მღვდრისა კი ათი შეკელი უნდა იყოს, 6. თუ ერთი თვიდან ხუთ წლამდეა, მამრის საფასური ხუთი შეკელი ვერცხლი, მღვდრისა კი სამი შეკელი ვერცხლი უნდა იყოს, 7. თუ სამოცი წელზე მეტისაა, მამრის საფასური თხუთმეტი შეკელი, მღვდრისა კი ათი შეკელი უნდა იყოს, 8. თუ სიღარიბის გამო საფასურის გადახდა არ შეუძლია, წარუდგინოს მღვდელს და მღვდელი შეაფასებს; როგორადაც ხელი მიუწვდება აღმთქმელს, ისე შეაფასოს მღვდელმა, 9. თუ ისეთი პირუტყვია, მსხვერპლად რომ შეიწირვის უფლისათვის, უფლისადმი მიცემული ყველაფერი წმიდა უნდა იყოს, 10. არ უნდა შეცვალოს, არ იქნება მისი შენაცვლება; კარგისა ცუდით ან ცუდისა კარგით; თუ ვინმე შეცვლის პირუტყვი პირუტყვით, ესეც და მისი სანაცვლოც წმიდა იქნება, 11. თუ პირუტყვი უსურმაგია, რომელიც მსხვერპლად არ შეიწირვის უფლისათვის, წარუდგინონ პირუტყვი მღვდელს, 12. შეაფასოს მღვდელმა მისი ავ-კარგი; როგორც მღვდელი შეაფასებს, ისე იყოს, 13. თუ მის გამოსყიდვას მოინ-



დომებს. საფასურს მეხუთედი დაუმატოს. 14. თუ ვისმე სახლის შემწირვა უნდა უფლის წმიდად. მღვდელმა შეაფასოს მისი ავ-კარგი: როგორც მღვდელი შეაფასებს მას, ისე ეღირება. 15. თუ სახლის შემწირველი თავისი სახლის გამოსყიდვას მოინდომებს, საფასურის მეხუთედი დაუმატოს და მისი იქნება. 16. თუ თავის საკუთარ ყანას სწირავს უფალს, საფასური ნათესის კვალობაზე უნდა განისაზღვროს—ერთ ზომერ ნათეს ქერზე ორ-მოდებათი შეკელი ვერცხლი. 17. თუ ზეიმის წლიდან სწირავს თავის ყანას, საფასურისდა მიხედვით შესწიროს 18. თუ ზეიმის შემდეგ სწირავს თავის ყანას, მღვდელმა ზეიმის წლამდე დარჩენილი წლების მიხედვით უნდა იანგარიშოს ვერცხლი და საფასურიდან გამოიკვეთოს. 19. თუ ყანის გამოსყიდვას მოინდომებს მისი შემწირველი, საფასურის მეხუთედი ვერცხლი დაუმატოს და დაუბრუნდება. 20. თუ არ გამოისყიდის ყანას და სხვა კაცს მიეყიდება, ველარ გამოისყიდის. 21. როცა ყანა გასულია ზეიმის წელს, ის უფლის წმიდაა, როგორც დარისხებული ყანა, მღვდლის საკუთრება უნდა იყოს. 22. თუ სწირავს უფალს თავის ნაყიდ ყანას, რომელიც მისი წილი ყანებიდან არ არის, 23. უანგარიშოს მღვდელმა საფასურის რაოდენობა ზეიმის წლამდე და ეს კაცი იმდღესვე გადაიხდის საფასურს, როგორც წმიდას უფლისთვის. 24. ზეიმის წელს ყანა დაუბრუნდება მას,

ვისგანაც ნაყიდი იყო, ვისაც მიწის ნაკვეთი ეკუთვნის. 25. ყოველი საფასური საწმიდარის შეკელის მიხედვით იყოს: ოცი გერა ერთი შეკელი უნდა იყოს. 26. ოღონდ პირუტყვის პირველ-მოგებელს, რომელიც პირველობის უფლისაა, ქვევით შემწირავს, ხარკი უნება თუ ცხვარი, უფლისაა. 27. თუ პირუტყვი უსურმგა საფასურით უნდა მისს გამოსყიდული და მეხუთედაც დაუმატოს. თუ არ იქნება გამოსყიდული, მის საფასურად უნდა გაიყიდოს. 28. ოღონდ ყოველი დარისხებული, რომელიც უფლისთვის დარისხა კაცმა, თავისი საბაღებლიდან — ადამიანი, თუ პირუტყვი, თუ თავისი წილხვედრი ყანა, ვერც გაიყიდება და ვერც გამოისყიდება. ყოველი დარისხებული წმიდათა წმიდაა, უფლისაა. 29. ყოველი დარისხებული, რაც ადამიანმა დარისხა, არ გამოისყიდება, უნდა მოკვდეს. 30. ყოველი მეთაფი მიწისა, მიწის ნათესისა, ხის ნაყოფისა უფლისაა, უფლის წმიდაა. 31. თუ ვინმე თავისი მეთაფის გამოსყიდვას დააპირებს, მისი მეხუთედი დაუმატოს. 32. ყოველი მეთაფი ხვანტაგისა და ცხერისა, ყოველი მეთაფი კომბლის ქვეშ გამავალთა შორის, უფლის წმიდაა. 33. არ უნდა შემოწმდეს მისი ავ-კარგი და არ უნდა იქნას შენაცვლებული. თუ შეინაცვლება, შენაცვლებულთან ერთად ისიც წმიდა იქნება, ვერ გამოისყიდება. 34. აჰა, მცნებები, რომლებიც გამოუცხადა უფალმა მოსეს ისრაელიანთათვის სინაის მთაზე.

□ ანბარქველა იანება □

პროზის უძველესი ბიზლირთევა

კოხენდანტის საათი

(მითხრობა)

თავი XVI

გამომძიებელი

„შესაძლებელია ვინმეს აღძრას ასეთი კითხვა: რითი აიხსნება, რომ ავათოკლესა და სხვა მისთანებს, ურიცხვი გამკვლობისა და სისასტრის მიუხედავად, დიდხანს შეეძლოთ არხეინად ეცხოვრათ თავის სამშობლოში...“

ნიკოლო მაკიაველი „მთავარი“

რატაზე მარგალიტებივით ისხდნენ თქვეყოფილი წვეთები და მზეზე ბრწყინავდნენ.

გამომძიებელი აკაკი ეგეთაშვილი რომანის კითხვას ჭანაგრძობდა. თანდათან დაიშულამა ნაწარმოები... შიგადაშიგ გესლიანი რეპლიკებით უმასპინძლებოდა ავტორს, მაგრამ არც ავტორი რჩებოდა ვალში, რიკოშეტით უბრუნებდა კაკოს ირონიას...

კაკოს მოსწონდა რეზონანსული თბრობის ბერბი, თან იმასაც ზედებოდა, რომ რეზო ერთი იმათგანი იყო, ვისზე მეთვალყურეობაც და ინფორმაციის დანიშნულებისამებრ მიწოდებაც ევალებოდა კაკოს მანამ, სანამ სპექსკოლას დაამთავრებდა და გამომძიებელი გახდებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც

გამომძიებელი გახდა, რეზონანსობაზე უკვე სხვებს მოჰქონდათ ინფორმაცია კაკოსთან...

ტყუილად გაცოფდა ნიკა დანგაძე: ნკე დანგეშკოტი მე ვარო. ახლა, როცა კაკო რომანს ჩაუღრმავდა, მიხვდა, რომ ნკე დანგეშკოტი მხოლოდ ნიკა არ იყო, იგი. ამავე დროს, თვით რეზოც იყო — ავტორის „ალტერ ეგო“. გმირი იქცევა ავტორად და თავის ისტორიას გვისურათბატებს, ან პირიქით: ავტორი ცდილობს გმირად იქცეს და მისი თვალთ შეგვახედოს ქვეყნიერებას. ამ მცდელობაში კი კაკი — ავტორი მწერალ-ავტორად იქცევა. „რატაც რთულად არის ეს ამბავი“, გაიფიქრა კაკომ კითხვის შეუჩერებლად...

კედლებიდან კი ურცხვად იცქირებოდნენ სხვადასხვა რასისა და ეროვნების დედაკაცები: ზოგს უკანალი მოეწვია, ზოგს მკერდი აეფუებინა, ზოგს — ფეხები გაეშალა და საშო გამოეჩინა... ყველა ეს პლაკატი საუცხოო პოლიგრაფიულ დონეზე იყო დაბეჭდილი მსოფლიოს სხვადასხვა სტამბაში. პორნოგრაფიულ პლაკატთა კრებული კაკოს კოლექციის ფასადი იყო, მართალია, კანონით ამეგბის საზღვარზე გადამოტანა იკრძალებოდა,

მაგრამ ეგეთაშვილის ბარგი, ჩვეულებრივ, პრევილენციებით სარგებლობდა.

კაკო ახალ ეპიზოდს კითხულობდა. უცებ სული მოებუხა: რეზომ რომანიდან ჩალაც „უთრა“ მამა-შვილური ურთიერთობის შესახებ და კაკოს ისე ხელშესახებად დაეჯახა მახსოვრობის უღრანიდან გამომსხლტარი მოგონება, რომ დაჯახების ძალას ველარ გაუძლო — რომანი გვერდზე გადადო და ამწუთიერი მარტოობა შეეშინდა:

პირველად შეგნებული სიცოცხლის მანძილზე გაახსენდა კაკოს, რომ სულ პატარაობისას, სანამ მამა სხვა ცოლს შეირთავდა — კაკო მაშინ აღბათ სულ სამი-ოთხი წლისა იქნებოდა — მამას თავის სახლში მიჰყავდა ხოლმე. იქ ერთი თამაში ჰქონდათ მამა-შვილს: „სახლობანა“ — ბალიშებიან და პლედისაგან კარავს გაკომპონენ განიერ ტახტზე, შიგ შეძვრებოდნენ. ბნელში გაიყურებოდნენ და ერთმანეთს ჩერჩულთ; ელაპარაკებოდნენ. ამ უსინათლო, დაბნულ სივრცეში არსებობდნენ მხოლოდ ორნი: მამა და პატარა კაკო... სულისშემძვრელად საუვარელი თამაში იყო... ტუბილი და ქაღალსნური... ნათლად ჩაბეჭდილი არქიმებისტიკებისა... ახლა რეზოს რომანის ერთმა პასაჟმა ასოციაციურად რაკი ამოატეხტივა. ესე იგი, არ ყოფილა გადავიწყებული... სამაგთეროდ, უკვალოდ იყო ამოშლილი მახსოვრობიდან, თუ როდის შეირთო მამამ სხვა ცოლი, როდის შეწყდა „სახლობანას“ თამაში, როდის იქცა მამა იმ დამკინავ კაცად, მშენებლობებზე სასიეროდ რომ დაჰყავდა ხანდახან...

კაკოს ისე მოულოდნელად ეწვია მივიწყებული მოგონება — ბავშვობისადროინდელი განცდა, რომ გულმოწყურულმა, შიშატანილმა იგარძო: ახლა მარტოობას ველარ გაუძლებდა.

ჩაეიდა ქვემოთ — დედასთან.

დედა სავარძელში იჯდა. სიგარეტს ეწეოდა და გაზეთს კითხულობდა, თავი ასწია და შვილს შეხედა:

— რა გტკივა? — ჰკითხა დედამ.

— რა ვიცი... რაღაც... — გაურკვეველად მიუგო შეკითხვით გაოცებულმა კაკომ. დედა ველზე გაზეთს ჩაულმავდა, სავარძელში მჯდომს მოკლე ხალათიდან ულამაზესად ჩამოქნილ გრძელი, კელწველსთვის შესაშვრი წვევები და მუხლსთველ მღუჩოხდა.

კაკო დედასთან შეიკედლომ დააწყებოდა, სასწრაფოდ აბრუნდა ანტიკლონიკური და კარბო ნაბარძო... ახლა უცებ მიხვდათ მიაღწევენდა თვალს ხელნაწერის აკურატულ სტრიქონებს, გული გამალებით უცემდა, მაჯა გაისინჯა: მშვიდი ჰქონდა...

„ბუნვალო-სამოთხის“ ერთი კუთხე მოზრდილ კარადას ეჭირა. კარადის ზედა თაროზე იდო რვა მილიმეტრიანი „კანონის“ მარკის კინოპროექტორი და შეედური სექსფილმების ოცდაათამდე კოლოფი: „გრაფი მონტე-კრისტო“, „გრაფინია გამინი“, „გაუპატუარება პლატეზე“ და ამისთანები... ახლა უცვებ აპარატსაც და ფირბსაც მტვერი ეფინა, რადგან ვიდეომავნიტოფონებსა და კასეტების კონკურენციას ვერ გაუძლევს. ვიდეო კარადის გახსნილ სექტორში ესვენა „პანასონიკის“ მარკის ტელევიზორის გვერდით, იქვე ელაგა „ემანუელა“, „შვი ემანუელა“, „პარიზის“ უკანასკნელი ტანგო“, „პირველკლასელი“, „საბერძნეთის მეგემოვნე“ და ერთიული კინემატოგრაფის მრავალი კარგი თუ ცუდი ნიმუში.

ზემო თაროზე კი მოთავსებული იყო პორნოგრაფიული ეურნალებისა და ბუკეტების მდიდარი ბიბლიოთეკა...

კაკოს შიშმა ოდნავ გადაუარა და ახლა რეზოზე გაბრაზდა: ეს რა დამამართო. განაგრძო კითხვა, თუმცა რომანი დაწყნარების, დამშვიდების სულის იარებზე მალამოდ მოსალბუნების ნაცვლად სხეულიდან ტანჯვის ღრიალით ერეკებოდა უწმინდურს...

კაკოს კოლექციის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ჩაიხრახილტულებულ უჩრებში დაბინავებული „კენტსკამერა“ იკავებდა. აქ იყო სექსუალური დანიშნულების ნაირგვარი ნივთები: იაპონ-

ნური „უღკაშებიანი“ პრეზერვატივე-
ბი, ამერიკული ელექტროვიბრატორე-
ბი, ავტომატური ელექტროფალოსები,
ორნაირი მოდელის ავტოონანიზატორე-
ბი და კოლექციის მშეენება: დედოფა-
ლი „ლინდა“...

„რუნტუ-ნებლო, რუნტუ-ნებლო“,
რატომღაც იტალიურად წიკწიკებდა კე-
დლის საათი, თუმცა რატომ „რატო-
მღაც“? იმიტომ, რომ ეს საათი კაცობ
იტალიაში შეიძინა.

პატარა შავმა ტარაკანამ აჩქარებით
ჩაირბინა საათსა და კითხვით გართულ
მასპინძელს შორის.

კაკომ გადაწყვიტა, სანამ რომანს არ
წავიკითხავ ბოლომდე, ფეხს არ მო-
ვიციკლო. ჭანდაბას სამსახური, წან-
დაბას ყველაფერი. ეგონა სწრაფად ჩა-
ამთავრებდა, მაგრამ არ გამოვიდა: —
ნაწარმოები ვეებერთელა აღმოჩნდა,
თანაც თუმცა ავტორის ავტრატული კა-
ლოგრაფია ჰქონდა, მაგრამ მაინც ნა-
ბეკლზე წელიად იკითხებოდა ხელნა-
წერი.

„საჩქარო არაფერია“. კაკომ იტალი-
ურ საათს ახედა, „ვიკითხოთ დინ-
ჯად, ურადღებითა და ჩაღრმავებით“.

იწყებოდა ახალი თავი, რომელსაც
ერკვა „მონსტრი მინისტრი“ — სლი-
უპიკოვის მიერ ხაზგასმული, ქვეყ-
ნის ხელმძღვანელობის შეურაცხყო-
ფელ გამოთქმად მიჩნეული... თავის
სრული სახელწოდება ასე ელერდა:
„მონსტრი მინისტრი ანუ მონატავრის
მინეტი ანუ მონტოროის მონეტა ანუ
მონმარტრული მემონტაჟე ანუ მატ-
რაბაზი მამონტი...“

თავისი ბრწყინვალე ეროტიული
კოლექცია გამოძიებულ აკაკი ეგეთა-
შვილა ორი არზით ჰქონდა მოგროვი-
ლი: ჯერ ერთი, იგი ხშირად მოგზაუ-
რობდა კაპიტალისტურ ქვეყნებში და,
როგორც წესი, კუთვნილი თანხის ერთ
ნაწილს ამგვარ რამებ-რუმებში ხარ-
ჯავდა, და მეორე, კაკო წლების მან-
ძილზე პორნოგრაფიული მასალების
მოსახლეობიდან ამოღების სექტორს
ხელმძღვანელობდა... ოღონდ ახლა,

ვასული წლის ნოემბრიდან მოყოლე-
ბული ხელისუფლებამ პორნოგრაფი-
ისთვის აღარ სცხელოდა და დროებით
კაკოს სექტორიც პატისაბჰოთა მასა-
ლების მოძიებაზე გადაიროთო... მანამ
კი, „სლები“ მამძლეს უკე მამძითმე-
ული პროდუქტის სითხეწილად ერე-
რად ითვისებდა... ამ გზით ჰქონდა მო-
მოებული ვასუტების ვილოწეწმაც-
ნის ფილმებისა და ვეწეწეწეწეწის
მეტი წილი, სგრეთვე ყველა ვიბრა-
ტორი, ხელოვნური ფალოსი და ავტო-
ონანიზატორი... ამის პატრონები,
ჩვეულებრივ, მდიდარი სექსომანიაციბი
იყვნენ...

პრეზერვატივი

ბელნაწერი

აი „ლინდა“ კი კაკომ თვითონ ჩამო-
აპარა შევცილიდან...

იტალიურმა საათმა ოთხჯერ ჩამო-
რკა, სადაც მებზობლის ბინიდან რა-
დოკადადგურ „მაიაკის“ საერკობებიც
გაისმა...

კაკო ეგეთაშვილი ადამიანთა სწრაფ
ამოცნობაში გონებაგაწაფული კაკი
იყო, მაგრამ რომანის კითხვისას რამ-
დენჯერმე შეეცვალა აზრი რეზო ან-
დრონიკაშვილის შესახებ. ახლა, რო-
ცა ბელნაწერის „ეკვატორი“ გადალა-
ხა, („მაინც რამდენი გვერდია სულ
ნეტავ? რეაისი? ათასი? ანდა რატომ
არ დანომრა ამ კაიდემამშვილმა),
მკითხველს მწერალი გენეტურად
დასწეულებულ, ნერვებაშილი, გზასა
და სად აზრს აცდენილ ადამიანად ეჩ-
ვენა. ასეთებს ეგეთაშვილი „თავგზა-
დაკარგულებს“ ეძახდა და უხამსი კა-
ლამბურად ჰქონდა მათზე შეთხულო...
თავგზადაკარგულებს თავგზა გადაქცე-
ოდათ ჭრავინდარაგზად: : გულგზად,
ხელგზად, ფალოსგზად, ტრაკგზად და
ა. შ. გზად, ერთი სიტყვით, რომანის
ავტორი პათოლოგიურად დაბოღმილი
ევროპის ნაბუშარია. — ასე ეძახდა
კაკო ევროპული ორიენტაციის მქონე
ქართველებს... მას — რეზო ანდრო-
ნიკაშვილს — კაკოს „პროგნოზით“ —
უნდა პევებოდა რენესანსული კულ-
ტურა, კლასიკური მუსიკა, გერმანუ-
ლი მისტიციზმი, ოსკარ უაილდი, დოს-

ტოვსკი და ასეთები, სამაგიეროდ, უნდა სძულებოდა კინობელოვნება. ამერიკული მას-კულტურა, სიჯანსაღე და სიშართლე... იგი კომპლექსებით გაძედილი წუწუნა, ეგოისტი და ეგოცენტრიკი ბებერი (სულით ბებერი, გენით ბებერი) იყო კაცოს აზრით. ჰქონდა სიღრმე — სიბრძნის დიდი პრეტენზია და ერთთავად ყვთილშობილ ბოხაში დგომას ცდილობდა. თუმცა ამის საშუალებას დაობებული არისტოკრატიული სისხლი არ აძლევდა...

მაგრამ განა რეზო ანდრონიკაშვილის ბაღია. თუკი ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესია სამყაროში. კაცო ეგეთაშვილი სისხლის განაბლების, გუახლაგზრდავება-გაჯანსაღების მომხრეა... რა გზით და რა საშუალებით — ეს საფიქრალ-დასადგენია... თუ არა და სხვებრ კაცოს აზრით, ქართველი ერი გასაჩნა-დალაშობისათვისა განწირული.

ასეთია კაცოს ეროვნული პლატფორმა...

უცებ კაცოს კბილი ასტკივდა. კბილი ხშირად ტკიოდა ხოლმე, მაგრამ კაცო კბილის ტკივილს ყველა სხვა ტკივილიანად თავის ეგრძო საყუთრებად თვლიდა. ამ მხრივ იგი, სხვა აღმანიებით, დიდი საუნჯის პოტენციური მფლობელი იყო.

თვის მატერიალურ საუნჯეს — სისხლისამღზნებ კოლექციას კაცო იშვიათად თუ უჩვენებდა ვინმეს, თუ უჩვენებდა, მხოლოდ შერჩევით: კახა გოგონები — ასეთები იშვიათად მოკყავდა შინ — სექსუალურალებით მოკყავდა ხოლმე მრუშობის იშტაზე, მჰაკაცებს მხოლოდ ვიდუოფილემებზე პატიებდა, რადგან ეს, ასე თუ ისე, საზოგადოებაში მიღებული რამ იყო... თუ შეტისმეტად ავხორცი როსკიპი შეხვდებოდა და თვითონ ველარ ემყოფინებოდა, მაშინ ვიბრატორებსა და ავტოფალოსებს მიანბარებდა... არასდროს არავისთვის უჩვენებია „ლინდა“ და ასევე არასდროს არავისთვის არ გაუცნია თავისი კოლექცია სრულ

მთლიანობაში, რათა სექსუალურ მანიაკად არავის მიეჩნია...

კაცო მტრეუ ხნით მოსწყდა რომანს... ფილოსოფიურ-მელანქოლიურ ხასიათზე დააყენა ბროლის ნატიფულმა ეპიზოდმა კაცოს შექცად შეწყდულ მღუაზრა ელაპარაკა რაღაც არარსებულ ენაზე. როსკილზეც მწაფადა და დაუწყებულად აქაქნდოდა დააყენილანაირ ამოცანას ძალდაუტანებლად ამოხსნიდა. ყოველგვარ კითხვას ვასცემდა პასუხს...

ტელეფონი აწყრიალდა. კაცომ ყურმილი აიღო. დედაძის დაესწრო და უკვე მზიარულად ემუსაფებოდა ერთ-ერთ თავის დობილს. კაცომ ყურმილი დაჰკიდა და ტელეფონის გვერდით მიგდებულ დისტანციურ ტელეგამრთველს ანგარიშიუცემლად დააჰკითხითი. ვიდუომავნიტაფონი მყისვე ჩაირთო და ეკრანზე „კაიკამიათა“ ცეკლის ამერიკული ბესტსელერის კადრები ანათდა: მთავარი გმირი — იანიკ ეურნალისტი ველური კანიბალების ტყვეა... ტყვეს აიძულებენ ტომის ბელადს შეებრძოლოს. ეურნალისტი ჰკლავს ბელადს... ამიერიდან ავტომატურად იგი ითვლება ტომის ბელადად, ოღონდაც კურთხევის აუცილებელი რიტუალია — დამარცხებული მტრის გული და ღვიძლი უნდა შეეპამოს, თუ ასე არ მოიქცევა, თვით მას შეახრამუნებენ. ეურნალისტსაც რაღა დარჩენია, შიშველი ხელებით ამოჰგლეკს მოკლულ ბელადს გულ-ღვიძლს და კამს... კაცოს ბოლო ზანს სრულიად აღარ აინტერესებდა ვიდუოეროტიკა, უფრო ასეთი შემზარავი საშინელებების ხილვა ართობდა. აი ეს „ღვიძლის ჰამის“ ეპიზოდი ბარე თხუთმეტკერ ჰქონდა ნაყურები. ახლაც უმზნოდ მიამტერა თვალი „პანასონიკის“ ეკრანს, თუმცა ამჯერად არც კი აღიქვამდა კადრის შინაარსს, უბრალოდ, ისრუტავდა ეკრანის ფერადოვნებას და დინამიკას, როგორც პითეკანთროპის თვალი — გამოქვამულში გაჩაღებული შეაეცხლის მოძრაობას, ანდა რო-

გორც შესასყენეთა ბინადარი დაღვრვილი ფეოდალი — ციხე დარბაზში ავიზვირვებული ბუხრია თამაშს. განსხვავება ისღა იყო, რომ ფეოდალი და თუნდაც ველური ცეცხლის ცქერისას ფიქრობდნენ რაღაც მიუწვდომსა და მოუხელთებელს. ტელევიზორანი კი მზამზარეულ შინაარს ასხილდა გონებას (ზიზღით ჩაკბინა ექვთილისტმა ბელადის ლეიძლი). თუმცაღა ამ ძველ-ბუხრის — და ახალტელევიდეო — ცეცხლებს შორის პრინციპული განსხვავება არც არსებობდა. რადგან, ეგებ ყველაფერი ამქვეყნიად, რასაც ადამიანი ზედავს. მისივე მეტაფიზიკური ფანტაზიის ნაყოფია.

კაყო ვგეთაშვილი არ იყო აქესუაღური მანიაკი, როგორც ეს ვინმე მისი კოლექციის მნახველს შეეძლო ეფიქრა. კაყოს მხოლოდ არასრულასოვნების კომპლექსზე აღმოცენებული მკორე სექსოპათიური გადახრა სტანჭავდა და თვითმკურნალობით ცდილობდა განკურნებას. არცთუ წარუმატებლად... თავისი დაავადება კაყომ სტუდენტობისას, სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა... აღმოჩენა ზარდამცემი იყო: ერთხელ თანაკურსელმა განათხოვარმა და საყმაოდ თავისუფალი ყოფაქცევის ქალმა შინ მიიპატრია არცთუ ორპროვანი დაპირებით, შენთან დავეწვებო. მანამდე კაყო ქალთან არასოდეს ყოფილა. პაემანზე სიხარულიანი მღელვარებით მივიდა. მაგრამ იმედი გაუცრუნდა: გამოცდილი ქალის გულმოდგინების მიუხედავად კაყოს არაფერი გამოუვიდა. საშინელმა სირცხვილმა და შიშმა ლამის გააგვიყა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ სცადეს — კვლავ მარცხი. ამი შემდეგ წლების მანძილზე ქალისკენ არ გაუხედავას. საგანგებოდ ირჩევდა სიძნელეებს და სძლედა — საკუთარი სისუსტის უარყოფას ეძიებდა. საკუთარ ძლიერებას ამტკიცებდა. კიდაობაზე ჩაეწერა და ქვემსუბუქ წონაში წარმატებებსაც მიიღწია, მერე კარატეს შესწავლას მიპყრო ზელი. მაგრამ ფიზიკურად ვერ

გაუძლო მომჭანკველ ვაჭარშს, სოლოში მეცადინეობდა. კარგად წაყვლობდა, მაგრამ საყრველთაო ქვეშაირტებების თავდაყირა დაყენებას ცდილობდა. ცეცხურებს და თვითრეტორაში ავტორიტეტებს ეძიებდა. კომკავშირსაც იძიებდა მიეძალა და უმწიპოების კრიტიკსაც ეძიებდა. დაუდგა მსახურად, რომ იღამიანებზე ძალაუფლება მოეპოვებინა, რაც ისევ და ისევ სისუჯტის უარსაყოფად სჭიროდა მის ქვეცნობიერებას, ამ მცდელობამ კაყო მართლაც ძლიერ, თვითმფლობელ პიროვნებად ჩამოაყალიბა. მან მოახერხა საიდუმლო პოლიციის ნახევრადმომრული საშემსრულებლო დისციპლინის არტაბებში გამოემწყვდია საკუთარი ნება. თავი აიძულა შექცეუბოდა ზემდგომისადმი მონურ მორჩილებას, ზედმიწევნით აღესრულებინა ყველანაირი დავლება, თუნდაც სამშობლოს გაყიდვა ან ადამიანობის სრული უარყოფა ებრძანებინათ. ამის სანაცლოდ, ქვემდგომზე სრული უფლებამოსილება მიენიჭა, საერთო ჯამში კი: ძალაუფლება რიგით მოკვადებზე: პარტიიდან გასარიცხს — გაარიცხვინებდა, დასაქერს ციხეში გაისტუმრებდა და საერთოდაც — გარკვეულ ფარგლებში და გარკვეული მანიპულაციათა მომარკვებით, ვისაც რას უნდოდა, იმას უზამდა...

ქალების გარდა...

თუმცა ქალების საკითხიც ერთ მშვენიერ დღეს მეტად მოულოდნელი ასპექტით გაიხსნა. ერთხელ ლენინგრადში ორ ლაზნადარა კოლეგასთან ერთად კაყო სასტუმროში გვარიანად შეზარბოშდა, მერე ბიჭებმა აიჩემეს — გრუბენქსი უნდა მოეწყუთო და სამი საუცხოო მეძავი მოიყვანეთ. ფიზიკური რომ ყოფილიყო, კაყოს სირცხვილი იქედან გააქცედა. მაგრამ მთერალი იყო და თავისდაგასაოცრად სრულიად ბუნებრივად ჩაერთო იქ გამართულ მრუმ ზედახორაში. კიდევ უფრო თავისდაგასაოცრად კაყო აღმოა-



ჩინა, რომ მას მხოლოდ ერთი რამ არ შეეძლო: გულადმა მწოლიარე ქალის დაუფლება, თორემ ყველანიარ პოზიციაში თუ გარყვნილ-უფელმანაკავშირში მის მამაკაცობას აკლდა რა. ამის შემთხვევაში კაცო ეგეთაშვილი 36 კორტუციის მუდმივ მუშააღ იქცა, უძველესი ქალური ბელობის საერთაშორისო ასპექტებსაც კი გაუსიჩა გემო, ცოლის შერთვაზე კი ხელი ჩაიჭინა — ამა სად იშოვნიდა ისეთ ქალს, ვისაც თავის ახირებულ ბუნებას აუხსნიდა და შეაგუებდა. სექსში ცოდნის შესაძენად დაინტერესდა პორნოგრაფიით, რაც შემდგომ კოლექციონერობის ახარტად ექცა, სამსახურებრივმა მოვალეობამ და აახლფარგარეთ სწირბმა მოგზაურობამაც ყოველმხრივ ხელი შეუწყო ამ გატაცებას... რაც შეეხება ოჯახურ ცხოვრებას, კაცო თავის უღამაზეს დედოქოსთან, რომელიც ქვეყნად ყველას უჩიენა, თავის „ბუნგალო-სამოთხეში“ თავმოყრილ განძეულთან და, პირველ ყოვლისა, კოლექციის დედოფალ „ლინდასთან“ ურთიერთობით შემოიფარგლა...

კაცო ეგეთაშვილმა მექანიკურად უცქირა, თუ როგორ ჩაღუქმა უბედურმა ამერიკელმა ეურნალისტმა მოკლული ბელადის გულ-გვამი, მერე კი კვლავ რეზო ანდრონიკაშვილის რომანს დაუბრუნდა. გარეთ საოცრად წყნარი გაზაფხულის საღამო ჩამოდვა: სევდიანი, ჩემი, უთქმელი მონატრებით აღსავსე, ვიდოეკრანიდან ხმადობალი გაურკვეველი ბუტბუტი გაისმოდა, ქვემო სართულზე დედა სთებრობდა, კაცო კი იჭდა და კითხულობდა ახლადშექმნილ რომანს, თანამედროვე, თანატოლი კაცის მიერ პატარა სიტყვიერი აგურების თამამ-თამამით აწყობილ ვეება ნაგებობას, რომელშიც იმ კაცს საკუთარი სული ჩაექსოვა. ნეე დაბგეშოტია სიცოცხლე არ წყდებოდა: ჩერდებოდა და გრძელდებოდა, ჩერდებოდა და გრძელდებოდა... კაცოც მიჰყვებოდა ამ ფეთქვას, რო-

მელიც ნათიგარ განმობდა აღუძრავდა: ან კრისოს ასენდა... ხან აღსარებაში სურვილს უდევებდა, ხანაც გართობის სიხარულს ჰკერდა... კარგა ბანი იყო, კაცოს მხატვრული ნაწარმოებში არ შეიკრთა, მა მხოლოდ სენდებოდა, თუმცა შეხვედრებით უფეთსო საშოაოებაა სიყარვილის განსაკარვევლად. მოწყენილობისგან გსიქეკვალ დაოდა, თანალოად შეშისგან გასათავისუფლებლად და სხვა ათასი ჭანდაბა — ოხრობიდან თავდასაღწევად.

უეცრად კაცო იმ ადგილს მიადგა, სადაც გვერდიდან გვერდზე აზრი აზრს არ ებმოდა. გაახსენდა რეზოს ნათქვამი, ერთი ფურცელი აკლია ბელნაწერსო, სხვა გზა არ ჰქონდა და ასე გვერდგამოტოვებით განაგრძო კითხვა. ჩატომდაც ნასათი წაუნდა, თითქოს იგრძნო, თუ როგორ იტრიცება და თვალსადახელშეა იღვევა ქვეყნად ყოველი, იღვევა და ქრება, როგორც გაზაფხულზე ატმის ყვავილი.

ფანჯრიდან მოჩანდა აყვავებული ხე: კაცომ წამით გაიხედა ეზოში, ატმის იყო, ქერმისა, ნუშისა თუ ალუბლისა, კაცო ვერ ერკვეოდა, არც ყვავილი სცვიოდა ჭერჭერობით, მაგრამ კაცოს გული მაინც სევდით მოეკვებმა. ნეტა ნაყლებ ღამაზი და ნაყლებ სევდიანი ყოფილიყო ეს ხე (შორიდან ტანყების დგრიალი გიისმა)... ნაყლებ ღამაზი ხეს იილად შეეძლო ყოფილიყო, ნაყლებ სევდიანი კი — ნურას უკაცრავად, რაც მეტად დასცივოდა ფოთლებად, მით მოიკლებდა სიღამაზე და მოიმატებდა სევდა... ყველაფერი ეუცნაურებოდა გამომძიებელ კაცო ეგეთაშვილს იმ დაკარგული გვერდის გამო — ვინ იცის სად გაქრა, ან რა ეწერა ზედ, ყველაზე მეტად კი საკუთარი თავი ეუცნაურებოდა, თვითონ იყო ყოველგვებ გაუგებარი, მიუწვდომელი და მოუხელთებელი. რაც უკეთესობოდა კაცო საკუთარ თავს, მით ნათლად ზედებოდა, რომ ვერასდროს ძირისძირამდე ვერ შეეწყობოდა კაცოს.


საქართველო
საბჭოთა კავშირი

კაკო ეგვთაყ... რომ ერქვა, ვერც ასავალ-დასავალს გაშეა... ბოლომდე... სხვების ორსახოვნებას... კაკო... მკაფიოდ ამჩნევდა: ადამიანთა ამოცნობის ოსტატობით მოქმონდა თავი, სხვებისა ორივე სახე გარკვევით ჩანდა, საკუთარ თავთან მიმართებაში კი ძნელია იყო მეორე. უხილავი სახის დანახვა, დიდი მონდომება, დაკვირვება და სიზამძვე ესაჭიროება შეუძნობელი შინაგანი მბრძანებლის ამოცნობას და დამორჩილებას, რასაც ხელს უშლია გარემომცველი სამყაროს შეუბრალებელი წნევა — გამსრესო, დამორგუნელი, ბოლოს მანც რომ მიწასთან გაგასწორებს, როგორც კი არ უნდა გაუძლიანდე, სულერთია, გაგაქვლავტ, გაგანადგურებს... რამდენიმე წლის წინ კაკოს ერთი დისიდენტის საქმე მიჰყავდა, მეტად განათლებული და საუბრის მოყვარული კაცი იყო, ბევრ სხვა რამესთან ერთად ფიქოანალიზის კარგი მცოდნე. ეს ახირებული კაცი დაკითხვებს პოპულარულ ლექსებად აქცევდა ხოლმე და დაუშურვებლად უკითხავდა: კაკოს ფროიდიზმის საფუძვლებს, როცა მოძღვარი ცოქში გაისტუმრა, ცნობისწიდილს აყოლილა კაკომ ზოგიერთი რამ თვითონაც წაიკითხა ამ თემაზე და თავის თავს საინაბერო დიანგონი დაუსვა: როგორც სჩანს, ჩემს სქესობრივ არასრულყოფილებას ბავშვობაში არაცნობიერის მიერ ტაბუდადებული რაღაც შემთხვევა ესაფუძვლებათ, ფსიქოანალიზი რომ ჩავიტარო, სრულიად განვიკურნებო, მაგრამო, აქ რიგიან ფსიქონალიტიკოსს სად ენახავ — ის ერთი კაცი ძლივს რაღაცაში ერკვეოდა და ისიც ვირის აბანოში განვაშწესეთო, ხოლო საზღვარგაღეთ ან იმის დრო სადაა, ან იმის ფული, ან ენის ისეთი ცოდნა, რომ ფსიქოანალიზი ჩავიტაროო, ანდა საერთოდ რაში მჭირდება, რით ვერ ვესპოვრობ ბედნიერადო...

კაკო კითხვას განაგრძობდა, განწყობილებებიც სიუჟეტის კვალდაკვალ

ეცვლებოდა, მიზნდა: რაგიან აზრით გამეჭვლილი ყოფილიყვენი მრტყვები და ფრაზები, ლიტერატურა, მუსიკისა არ მოკცა... სხვა არაფერიო, რეზონანსი რიკისწილ... რაგის განწყობენს ვადა... ცემდა კაკო ეგვთაყ... სხვა ნაური თვისებებისანი იყვენ ეს „ს... ყობანი“... თან... გადმორცმორტნენ სითისაერთი ელბრებოდნენ... კრძა... კოდან მეორეში და თან იმავ დროს — უცვლელად რჩებოდნენ — რეზონანსი განწყობილებანი რეზონასადვე, კაკოსნი კი — კაკოსებად... „მიდი და გაიგე, რა არის და როგორ“, გაიფიქრა კაკომ და კითხვის ახარტში შესულმა ხელები მოიფშენიდა — რა სჭობია, როცა წინ საინტერესო ამბები გელია — ჭერ კიდეც ბლომად ფურცელი დარჩა წსაკითხი, კარგია, როცა საოცრად გაინტერესებს, რით დამთავრდება სიუჟეტი, მაგრამ ბოლო გვერდზე ჩაქვეტას ისე ერიდები, თითქოს ჭირვეულ ბავშვს უკრძალავდე რასმე.

...სწორი იყო კაკოს ავტობიოგრაფია: ფსიქოანალიზის გაერეშე მართლაც ვერასდროს გაიხიენებდა ერთ სამუდამოდ მივიწყებულ ეპიზოდს საკუთარი ბავშვობიდან. კაკო რვა წლისაა, მეორე კლასში სწავლობს, სკოლაში ხმა გავარდა, დღეს ატრებს გაგვიკეთებენო. მართლაც მოვიდნენ ექიმები საშინელი ნემსებით. კაკო სკოლიდან გამოიპარა, შინ მიბრბის, მას ჭერ კარგად არ ესმის, რა არის „შატალო“, არ იცის, რომ სკოლის მიტოვება დანაშაულია, მას ეშინია აცრის, ჩხელეტის და დედასთან გარბის საშველად... გაზაფხულის თბილი დღეა, შუშაბანდის ფანჯარა ღიაა, მირველი სართულის აივანი პირდაპირ ეზოში გამოდის. კაკო მოკლეზე გადაძვრება, გადაფვლება აივნის მოაჯირს, ისკუპებს ღია ფანჯარაში და უკვე შინაა, შუშაბანდიდან დერეფანში გადის, საბაბაზონოდან წყლის ხმინობა მოისმის — ეტყობა დედა სარეცხს რეცხავს, კაკო ხელით აწევება საბაზანოს კარს, კარი იღება,



მაგრამ დედის ნაცვლად თავისდაგა-
საოცრად კაცოს იქ ბიძია საშა ზედე-
ბა. ბიძია საშა ტრტველი ღვას აბაზა
ნაში, თავი აუღერებია, სახე თბილი
წყლის ქაღალდით შემშვერია და
თიხანად მანჯგვლიანი სხეული ერ-
თიხანად სველი აქვს. კაცოს ვერ ამჩ-
ნევს. კაცო გაოცებულია: აქამომდე
არასოდეს უნახავს ძია საშა ჰალსტუქის
გარეშე. თუმცა ბოლო დროს ხშირ
სტუმარი იყო. კაცოს ტრტველი ძია
საშას დარდი არა აქვს, საწოლი ოთა-
ხისკენ გაბრძის. ღია კარებში მებზა-
კრულოვით ქვედდება ადგილზე, თეთ-
რად აფუნგულ ლოგინზე დედა წევს —
მზინარე, სრულიად შიშველი. ლამა-
ზი და თვალისმომკრელი, როგორც
შპის შემოხდება, ცალი მკლავი თავ-
ქვეშ ამოუდევს. მზზვინივარე ფეხები
ბალიზზე აფენია, გრძელი, ჩამოქნილი
ფეხები დუნედ მიმოყრილან აქეთ-
იქით... კაცოს მზერას მრგვინავი აფეთ-
ქება აბრწყავებს... ზედაეს რალაცას —
საოცრად მიმზიდველსა და უღამაზესს,
აკრძალულსა და წმინდათაწმიდს... იმავე
დროს ბავშვის ტუბი იწყებს მიხვედ-
რას სხვა რალაც ყოველად შეუწყნარე-
ბელის, მიუღებლის, დაუშვებლის,
შემზარავისა და საშინელის... ტრანს-
ში ჩავარდნილი ბავშვი სასწრაფოდ
გამობრძის უკან — იმავე გზით —
ფანჯრიდან უზოში. მოკუტურცხალეს
სკოლსკენ. სანამდის გაბრძის, დაუო-
კებელი ამბოხით აღივსება პატარა
ცნობიერება, გონებისდაბნელებამდე
წაილკება ემოციით, სკოლაში მი-
სული ძალდაუტანებლად ერთვის საყ-
ლასო პერიპეტეებს, შინ ნანახი კი
სამუდამოდ დაივიწყებულია, გააზრებამ-
დე ამოშლილია მებსიერებოდან, გამჭ-
რალია და არც არასოდეს აღდგება ამი-
ერიდან კაცოს წარმოსახვაში, თუ-
რა თქმა უნდა. ოსტატმა ფიქონალი-
ტიკოსმა არ ამოათრია სამზოზე ქვეც-
ცნობიერების უღრმესი ყიამეთოდან,
სადაც ის ბუდობს, როგორც აკრძალვა
და მუხრუჭი, რაიც ყოველ ქალს, იმავე

პოზაში მწოლილი უკანმოუხეხს კოვ-
ლად და ვეზელს — დედას...
მაგრამ კაცო თავისით მას ვერა-
სოდეს ვერ გაივებს...
იგი ახლა კითხულობს ქაინტერესო-
რომანოს მსგენებს, მშვიდდება, ტკბება
ნერვებს იოკებს, თუმცა საოცრად
შლევი ცხოვრება ტანჯვისა და ყვე-
მანტანასობითობის მიტოვება კუ-
ჩაში, მაგრამ სადღაც ჩიტის გალობაც
ისმის, გლოვანარევი, მაგრამ მაინც
გალობა... კაცოს მზრებზე ჰკილია ცოდ-
ვებით დამძიმებული წარსული, მაგრამ
ვერ გრძნობს სიმძიმეს, ოღონდაც სა-
მომავლო პასუხისმგებლობის ინტუ-
იციას უკვე გაუდგამს ფესვი მის სუ-
ლში. მაგრამ განა იკმარებს ინტუიციო
კაცოს სწორედ გეზზე მოსაქცევად?..
კაცო ხომ მხოლოდ საკუთარ გონებას
ემორჩილება და სხვას არაფერს...
ზის საეარძელში, კითხულობს... სხე-
ული დალილია, მოდუნების სურ-
ვილით სავსე, ჯერ მხოლოდ ოცდა-
თოთხმეტი წლისაა, ჯერ მთელი ცხო-
ვრება თუ არა, ნახვეარი მინც წინა
აქვს. კაცო ეცდება ამ დარჩენილ ნა-
ხვეარს მაღლი ჩაატანოს, რადგან ნე-
დანგეშკოტივით უკვდავი არ არის კაცო.
მოშივებს, ჩავიდა ქვემოთ, (დედა
ბერნარდინასთან, ივანშშეს — ყავა
და ბუტერბროდები მიირთვეს, დედა
ბერნარდინა ნერვიულობდა ქალაქში
შექმნილი მდგომარეობის გამო, თუმ-
ცა იმედი ჰქონდა, რომ ორშაბათიდან
შეპირებისამებრ გააუქმებდნენ კო-
მუნდანტის საათს. დედა ბერნარდინას
შვილის ბედ-იღბალიც ადარდებდა. კა-
კოს აზრი არ გამოუთქვამს, მუნჯად
ივანშშა და ეკლავ „ბუნგალო-სამოთხეს“
მიაშურა.
დედამ ვილაცას დაურეკა და საუ-
ბარი გაუბა.
კაცო საწოლზე დაეცა და თვლემამ
მოერია. ანაზღად სიზმარი მოეღანდა:
თითქოს ვაეფშვილი გაუჩინა „ლინ-
დამ“.. ხელში აიტაცა შვილი... უცებ
ოთახი წყლით აივსო და სუფთა, მღო-
რე აუზად იქცა. ორივემ გასცურა: კა-

კონ და მისმა შვიკა უეცრად მოფრინდა პტერდაქტილი — უჩულო — მფრინავი დინოზავრი — შავი დრაკონი, დაეტავა კაკოს კლანკებით, აიტაცა და წაიღო საღლაც მწვერვალებისკენ. ბავშვი წყალში დარჩა. ვიძემ, დაიღრჩობა! პტეროდაქტილმა აიყვანა კაკო მალა. ცაში და ვადმოავდო. კაკო გაბრაზდა დრაკონზე, დაედევნა სამაგიეროს გადასახდელად: სად წამოაშროია, შუა გზაზე რად მიავდო?! მთის მწვერვალზე კამაროვანი თალი დაინახა უცებ. პტეროდაქტილი იმ თალს უკან გაუჩინარდა. კაკო მიჰყვა, მაგრამ გზა თალქვეშ მდგომმა ადამიანებმა გადაუღობეს: ვინ აღარ იყო აქ: პოლიტიკური პატიმრები და ეკვმიტანილები, ბიძია საშა და დედას მეგობარი სხვა მამაკაცები, ყველა, ვინც კაკოს კატალოგში ჰქონდა შეტანილი... ბრბოს მამამისი გამოეყო და დამკინავად უთხრა: რას მისდევ მაგ ურჩხულს. თავი დაანებე!...

კაკოს გამოეღვიძა, ხუთ წუთს სძინებია.

თავბრუსხვევა იგრძნო...

რომანს მიუბრუნდა, ცოტალა რჩებოდა წასაკითხი. პედანტური გულმოდგინებით შეუდგა დარჩენილი გვერდების „მიღრჩობას“ და მიხვდა, რომ კითხვა ფაქტიურად საკუთარ თავთან ლაპარაკია: მონოლოგი, თუ დიალოგი, ლოზუნგი, თამაში საკუთარ პერსონასთან... რეზო უკვე აღარაფერ შეაშია, რეზომ დაწერა და მოიშორა. ახლა კი კაკოა ბარიერის ორთავე მხარეს. ასეთი თამაშია ლიტერატურა... თუმცა, კაცმა არ იცის, რა უფრო თამაშია: რეზოს თამაში, თუ კაკოსი...

კაკომ თავის კატალოგს გადახედა...

ამ კატალოგის შედგენას კაკო სკეში მუშაობის დაწყებისთანავე შეუდგა. იქნებ ამით სურდა ინტელექტუალური სახე მიეცა თავისი საქმიანობისათვის. ცალკეულ ბარათებზე თვისობრივად დაახასიათა და დაახარისხა ყველა, ვისაც ასე თუ ისე, იცნობდა. შემდეგაც დღენიადგ უმატებდა ახალ-

ახალ ბარათებს: ცხოვრებაცა და სამსახურიც ჩინებულ მშალას აძლევდა საამისოდ. ბარათები ინფორმაციული ხასიათის ი არ იყო, არამედ ლიტერატურულ-ანთოლოგიური (და კინო-კრებულ) ადამიანებისადმი დასველდამოკიდებულებას აფიქსირებდა. აურატულმა ხალხმა მოიყარა დიდი კატალოგის დიდმა თუ პატარამ, მკვლარმა თუ ცოცხალმა. ფაქტიურად კატალოგი კაკოს მეორე კოლექცია იყო, იქნებ უფრო მნიშვნელოვანი და გასაოცარიც, ვიდრე პორნოგრაფიული... რაც არ უნდა იყოს, აქ ადამიანები იყვნენ მოგროვილი და არა სასქესო ორგანოები... ცხადია „ლინდა“ კატალოგში არ შედიოდა... თუმცა ლინდა, ალბათ, არც პორნოგრაფიულ კრებულში იყო ჩასარიცხი... „ლინდას“ ცალკე ადგილი ჰქონდა „ბუნგალო—სამოთხეში“...

რომანის ერთ-ერთ ბოლო თავში ნკე დანგეშკოტი სამოთხეშიც მოგზაურობდა. ეს კი აღარ მოეწონა კაკოს, პირობითობის დოზის უხეშ დარღვევად მიიჩნია, კაკოს არ სწამდა იმქვეყნიური ცხოვრება...

შემდეგ მოდიოდა სრულიად წინასწარმეტყველური თავი, რომელმაც კაკო გააოგნა. ჭერ იფიქრა, ეგებ ამ კვირაშია დაწერილიო, იქვე, გაახსენდა, რომ თორმეტ აპრილს რომანი უკვე ქუჩაში ეყარა. „ეგებ ცხრაში ან ათში დაწერა, ან თერთმეტში“. გაიფიქრა კაკომ, „თუმცა დაეიჭერო იმ დღეებში საწერად მოიკალა“... არადა, თუ ცხრამდე დაწერა ეს ეპიზოდი, საოცრად განუჭკვრეტია მოსახდენი... თუმცა საოცარი რა არის: აქი ტრიალებდა სისხლისსუნნარევი ავი წინათგრძნობა ქალაქში... ნკე დანგეშკოტი ბანქოს კოლოდაში მოხვდა, სამეფოს ყვავის ტუზი მართავდა, იღვრებდა სისხლი, რეპრესიებს რეპრესიები ენაცლებოდა, კოზირები იჯიბავდნენ ორიანება და სამიანებს, თუმც ყვავის ტუზის ტერორის კანონით ორიანები და სამიანები საერთო-საქარტო საკუთრებად

ყო გამოცხადებული, ისინი „ყველასი“ ანუ „არავისი“ იყვნენ... შემდეგ ყვავის ტუზი აგურის პაპამ გაქრა. ახლა ყოჩალი ვალეტები დაერივნ ორინანებსა და სამიანებს. მერე ოთხიანება და ხუთიანებიც მიიტაცეს. ეს აღარ მოეწონათ ტუზებსა და პაპებს, ვალეტებს გადაემტერებ, დაიმორჩილეს და თითოეულ აწიპნილ კარტს წილში ჩაუდგნენ. დაჩაგრული გულები და ჭერები აღსდგნენ და თავისუფლებამოიხილეს, ტუზებმა აგურები და ყვავები შეუსიეს შეამზობებებს. შეუბრალებლად დაჭრეს, დაჩეხეს, დაიანკუწეს თავისუფლებისმოყვარულნი, ქალები არ დაინდეს განსაკუთრებით, დაიფხრიწა და გაობრდა მთელი კოლოდა... არა, რა თქმა უნდა, ამგვარ ლალ, იუმორისტულ სტილში მხოლოდ წინასწარ აღწერდა მწერალი მომზდარს. „წინასწარ აღწერა“, გაიფიქრა კაკომ და შიში მოპყვარა ამ სიტყვების შინაარსმა.

საერთოდ კი რეზოს რომანი უინტერესოდ, მოულოდნელი გახსნისა და ყოველგვარი ეფექტის გარეშე, შიშველი და პათეტიური დეკლარაციით დამთავრდა: მწერალი პირდაპირ მოუწოდებდა მკითხველს: ვიყოთ ბედნიერნი, ვიყოთ ჯანმრთელნი და მართალნი და ერთმანეთის მოყვარულნი და ერთგულნი და მხიარულნი და ერთმანეთზე მზრუნველნი და ერთმანეთით სასენი, ერთმანეთით მოუწყვენელნი და უერთმანეთით მომხატრებელნი და უმწიკვლონი და უზავონი და თავდაბალნი და მშვიდნი და აღერსიანნი და ნუგეშისმცემელნი და საყრდენნი ურთიერთისანი და სინათლის ურთიერთმომტანი და ჩათელნი და წრფელნი და განწყენდილნი და ღვთისნიერნი...

„ამინო“, დაუმატა კაკომ გუნებაში და ხელნაწერის უკანასკნელი გვერდი გადადო.

მერე კარადასთან მივიდა და „ლინდა“ გამოიღო...


კომპრესორის ჩამრთველს თითი და-

აკირა და „ხუნგალო—სამოდხეში“ პერის ჩუმი შიშინი გაისმა.

რომანს ინელებდა გამომძინაველი კაკო ეგვთაშვილი, გრძობდა, რომ რეზო ანდრონიკაშვილმა, მიუხედავად ნაწარმოების უამრავი საწყენისა, მაინც მოახებნა კაკოს სულამ ზღაპრით და მასთან ერდად, მთელი ქვეყნიერების გარსი გაეკოღვია და ოდნავ თონდაც წინით შეხეიდა მტკნარი ასაკის ამაფორიაქებული იყო.

რეზოს რომანი — ფანტაზიისა და ზღაპრული ელემენტების, ხუმრობისა და მხიარულების ამკარა ზომასგადასული სიკვარბის ანდა ფინალის შიშველი პათეტიური დეკლარაციულობის მიუხედავად — სიკვდილით იყო გაელენითლი, სიკვდილის უტყუარი არსებობის ცოდნით ნატანგი, სიკვდილის რაობის არცოდნით გულდაშინებული...

კომპრესორი მსუბუქი ტაცუნით გამოირთო, პერის შიშინი შეწყდა, „ლინდა“ მზად იყო — „ლინდა“ — მეოცე საუკუნის ტექნიკის საოცრება, ეროტიკული ინდუსტრიის სასწაული — შეეციოდან საბჭოთა კავშირში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გამომძიებლის მიერ კონდრამანდისტული წესით შემოპარული — პნემო-თერმოვიბრო-რეგულატორული ზელოვნური დედაკაცო: თანამედროვე ურცხვი და უკომპლექსო მზეთუნახავის სუსტა ასლი: ზომით, წონით, სხეულის ტემპრატურით, ყოველი ნაკვით — თვალდან ფეხის ფრჩხილამდე ნამდვილისგან განუსხეავებული, წელამდე მკამნიან შავ — გამჭვირვალე პერანგში გამოკვალთული... მკერდმკვირი... წელზე შემორტყმულ პრილა კამარზე ჩამძული სამაგრები — შავ ზოლებად ბარძაყებამდე, სამაგრებზე — მალალი შავი წინდები... სურნელოვანი თმა და საოცარი ოსტატობა: ნამდვილიყოთ თითოეული ბეწვი სხეულზე... საუკეთესო გენეტალიები... ახელილი თვალეზი, როცა ზის და ვნებით დახუჭული, როცა გულაღმა წევს... ერთადერთი კალი“ სამუაროში, ვისი დაუფლებაც ასე:



პერის შიშინი
შეგეგმვა

ქალურად მწოლიარე მდგომარეობაში შეუძლია გამოძიებულ კაცო ეგეთა-შვილს.

თახი XVII

რეჟისორი

ჩვენ კაცო მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფეროთა შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“.

ლაშეა. ვარსკვლავიანი ცის ფონზე მალასართულიანი სახლის მექ სო-ლუეტში მყუდრო ოთხკუთხა სინაი-ლეები ჩაირგებულან. მარჯვნივ კი ახალი და ახლადგამოჩენილი ნამგალი მთვარე, ყურებაწყურული და ვერცხ-ლისფერი, დაკიდულა ცაზე. სადღაც, ეტყობა, სამხედროები მაშხალებს ისე-რიან — ცა რიტმულად წითლდება და კვლავ მექდება.

ეს ყველაფერი ფანჯრიდან ჩანს, რეჟისორი ნიკა დანჯაძე საწოლში წევს, გვერდით ლანას სძინავს. უკვე მეორე დღე-ღამე იწყება. აქედან ფეხი არსად გაუდგამს. ეგ კი არა. ფაქტიურად, ლოგინიდან არ წამომდგარა. გაძლა ლანა სიყვარულით. ახლა სძინავს მადლარს. ნიკას არ ეძინება. წუხელ გვიანობამდე შემორჩა აქაურობას, მერე შინ დარეკა და ინას უთხრა, პეტრიაშვილთან ჩაერჩი და ველარ მოვდი-ვარო. პეტრიაშვილებთანაც დარეკა და გააფრთხილა, შემთხვევით ინამ თუ მი-კითხოს, უთხარით, აქაა, მთვრალს სძი-ნავს-თქო, თუმცა ინა, ცხადია არ და-რეკავდა. ამ დღით გადაწყვიტა სა-ღამომდე დარჩენილიყო ლანასთან, მე-რე კი შინ წასულიყო, მაგრამ ჩაეძინა. ამასობაში კომენდანტის საათობაც და-ჰკრა. წასვლა, პრინციპში, საშიშია, მაგრამ როგორ გინდა ცოლს ისევ და-ფრეყო. რა უნდა უთხრას? ისევ პეტრიაშვილებთან ჩაერჩიო? არ გადაირე-ვა ფეხბძობე ქალი, რას ჩასახლდი მაგ პეტრიაშვილებთანო? რომ არ დარეკოს და ანერვიულოს, არც ეს იფარგებს, რა ქნას ნიკამ?..


ლანა სძინავს, ძაღვი ვენბიანად ეღიმება, ისევ ის თუ ესინძრება, ოი-თაც ორი დღეა დროს ატარებს, ნი-კას არ ეძინება. ზელს იწვდის და ტორ-შერს ანთებს. აწიწებს სუნამოსს. ეკმეწე ნიკას პრეკოტელოა. ბეჯაოს ჭიბიდან რაღაც ქაოლდი ამოჩრილა, ენაჩით რა არის? ბეჯოს, უფრო დიდი სისხლი: ეტყობა რომანის ერთი გვერდი — გაზონში ნაპოვნი, ცალი, კინკილა, საცოდავი და უმწყო. აბა, ერთი რა სწერია:


„იგი ყველაფერს დიდხანს აკე-თებდა და ამიტომ დიდხანს ცხოვრობ-და“... — ამ პირველივე წინადადებაშ კვლავ გაახსენა ნიკას, რომ რომანის პროტოტიპი თვითონ იყო; განა ასე არ არის? აგერ — დიდხანსაა ლანასთან, დიდხანს არ მიდის სახლში, დიდხანს „რჩება“ პეტრიაშვილებთან... თუმცა ეს ფრაზა, შესაძლოა, სხვა პერსონაჟის შესახებაა ნათქვამი, რადგან ნკე დენ-გეშეოტი „დიდხანს“ კი არა, „მარად“ ცხოვრობდა. რას გაიგებ? წინადადება ფურცლის თავში სწერია, მერე კი ახალი ნაკვით იწყება — სამ წერტილს გამოტოვებული სტრიქონი მოსდევს.

ნიკამ ორი თითით ააპროწიალა ეუ-ლი გვერდი, თითქო პეტრი ჩავარდნია ზელთ და ანგარიშის გასწორებას უპო-რებსო. პირველი, რაც თვალში მოხე-და ის იყო, რომ მთელი ფურცელი მოკლე, ლაკონური ფრაზებით იყო ნაწერი... ეტყობა რეზო გრძელ ფრა-ზებს ველარ სწერს, რადგანაც გრძელ ფრაზებს შესაბამისად გრძელი აზრე-ბი სკიპირიაო, იორნიულად გაითიქრა ნი-კამ.

მერე თავიდან ბოლომდე წაიკითხა ხელნაწერი, აქ მოთხრობილი იყო ნკე დანგეშეოტის სიკვდილის დასჯის ამ-ბავი: კედელთან სახით დააყენეს და კეფაში ტყვია დაახალეს. შემდეგ ამის შედეგად გამოწვეული წამიერ განც-და-შეგრძნებები იყო აღწერილი მოკ-ლე-მოკლე წინადადებებით...

ნიკამ მხრები აიჩქა: „არაფინ იცის





ამკვეყნად თუ რას გრძნობს კაცი, როცა ტერინში ტყვია ჩაეკვდებოა“. გაიფიქრა. სამწუხარო იყო, რომ ამ გვერდიდან ვერ შეიტყობდი, თუ როგორ გადაიჩინა სიკვდილს ნეე დანგეშკოტი — თუკი უკვდავი იყო. უნდა გადაიჩინე იყო კიდევ:

გასროლისთანავე თავი უკან გადაუვარდა და დაინახა ცა... მერე რამდენიმე არაფრისმთქმელი ციფრი გაცურდა თვალწინ... იგრძნო საკუთარი გულისცემა... გაუღვია პოეტის ლექსმა:

გაღვების დასაწყისში ვიხადებთ,
იმე ვლერს ჩაქობამდე უკვე
კვამებით
— ო, სიციცხლე ატრირიკად
ხამოყლეა...
დიდება და სიუპირტი, მეღამ
რომ ვფუთა,
ამბილოდ მელის ჩრდილებია მარტოღონ
სიკვდილია ამ აილნასგან გალიქებია...“

იფეთქა შიშმა. დაეცა. საგნები ნათლად დაინახა, რადგან ისინი აღარსად ჩანდნენ. რა თავში იხლიდა მთელი ქვეყნის საგნებს... სიციცხლე სამყაროს თვითნალიზი აღმოჩნდა, ადამიანი — ღმერთის ფიქრი, უზენაესის თვითნალიზი. ახლა უფალი ერთ აზრს ასრულებდა, ერთი დასკვნა გამოჰქონდა. სიბნელეში კატის მწვანე თვალებმა გამოაშუქეს და ნეეს სულის სიღრმეში ჩაიხედეს, იქ საშინელი სიბნელე ბოგინებდა, არაფერი არ ჩანდა. წამი საუკუნედ ქტყა... სული უკვე სტოვებდა სხეულს... ამონათღნენ ხილვები: მშობლიური სახლი... რესტორანი... სასაფლაო... ეკლესიის ნანგრევი... დამონძილი ერთსართულიანი შენობა... მიცვალებული... ფურცელ-ამოხეული წიგნი... ხალმზრავალი ქუჩა... მყარალი კაობი... სმენა აღავსო უზარმაზარმა, ყრუ გაურკვეველმა ღრიაკელმა... ცა იყო ღურჯი, თბილი... ხვეწროვანი... უკანასკნელი განცდა: ეს ერთხელ ოდესღაც უკვე განმიცდია... სადღაც... როდესღაც...

ნიკამ ერთხელაც გადაიკითხა ფურ-

ცელი, მტრი ყურადღებით... დასველიანდა უძიზუზოდ კიდე წაიკიხა. მერე კიდე... კიდე და კიდე... მთელი ორი საათის მანძილზე ატრიალა ის მოკლე ფრაზები, კითხულობდა სმეადანსხვანაირი ტიპით. სმეადანსხვანაირი ვანო ყობიდ. ყოველ ახალ წაკითხვზე რაღაცას ცვლიდა — თითქოს პოეტიონიონ-ლერი სარეფესორო თვითონთა წამოწყობა ცდილობდა ტექსტი ამბილმ-სტილის კადრთა წყებად წარმოესახა. ნებაზე მიუშვა ფიქრი; რა ბედნიერებააო, რომ კითხვა გაკილებით სწრაფი პროცესია წერასთან შედარებით, რეზო, ალბათ, მთელ წელიწადს წერდა, რომანს, მე კი შემოძლია ორ-სამ დღეში ჩავებულბულოო, ამაშია წერის აზრიო. პირიქით რომ იყოს — ერთი დღის ნაწერს ერთი წელი კითხვა რომ სკირდებოდეს, რაღა აზრი ექნება წერა-კითხვას საერთოდო... თან კვლავ განაგრძობდა უცნაურ კინემატოგრაფიულ ვარჯიშს — ძმაკაცის ბელაწერის ამ ერთი ფურცლის მრავალგვარ ეარანიზაციას ჰქმნიდა ფანტაზიით, უბელო ცხენიეთ გაქვებული ფიქრი კი უკონტროლოდ ტრიალებდა კადრებს შორის: რა მნიშვნელობა აქვს ამას ახლა? ან ახლა, ან მერე? ან რას აქვს მნიშვნელობა? რას რა მნიშვნელობა აქვს, ან რას რა მნიშვნელობა არა აქვს? მერე ნიკას გაახსენდა, თუ რაოდენ საინტერესოდ აუხსნა ერთხელ რეზო ანდრონიკაშვილმა თვით სიტყვა „მნიშვნელობის“ მნიშვნელობაჟ „რუსთაველის“ ენაში, — თქვა რეზომ, — ასეთი ტერმინი: „მნიშვნელობა“, არ არსებობდა. იყო სიტყვა „არსი“, წარმოებული „არის“ ზმნიდან, რომელიც თავისთავად ცხადია, აღნიშნავდა იმას, რაც არის... თანამედროვე ენაზე რომ ვიცტყვი, საგნის არსიო, ეს ნიშნავს საგნის იმ ასპექტს, რომელიც არის, ხოლო რაც არ არის, ის არც არის საგნის ნაწილიო. ესე იგი, საგანი თვით არის თავისი არსი და ის, რაც არ არის არსი, მხოლოდ სიტყვად და ილუზიაა, მათ შორის „მნიშ-

ენელობაც“ ანუ ის, რაც არ არის, მაგრამ „ნიშნავს“ რაღაცას...”

ნიკა რეზოა ამ ნათქვამს იხსენებდა, თან დაბერებული ნეკ დანგვეშკოტის ცნობიერებაში: გაელვებული საგნებისთვის გარეგანი ფორმა სურდა მოერგო, ხან გამოსდიოდა, ხან — არა, დაიღალა. ქვეყნიერებაზე საგიჟეთია, შეიძლება ჭეუხის გადასცემა კაცი... რაღაღენი საქმე აქვს ნიკას... მაგრამ დროს საქმეა, როცა არ იცი, ხეალ რა იქნება, ენინ დაგიჭერებს, ვინ მოგკლავს... ნიკას ინა გაახსენდა, ჯობი: დაურეკოს, რა უნდა უთხრას? ჩანდაბას, ეტყვის ისევ „პეტრიაშვილებს“, ეითომ მთვრალია... აკრიფა ნომერი, ზარი არ გავიდა, ისევ სცადა, უშედეგოდ, აბა ერთიც... არა, შენც არ მომიკვდე, რას დარეკავ ჩვენი ტელეფონების გადამკლდე? შესაძლოა სხვა გალაქტიკაში მოხვდე და იქ ვერა, სადა რეკავ, თბილისის სატელეფონო ქსელი მსოფლიო საოცრებაა და თვით ედისონიც ვერაფერა, ვაუგებდა, მგკი არა — აინშტაინსაც გაუჭირდებოდა...

ციფერბლატის ტკაპატკუპმა ლანა შეაფხიზლა, ნიკასკენ გადმობრუნდა, ხელი გამოუწოდა, ძილ-ღვიძილიდან „ჩემო სიცოცხლო“, ენებიან-ალერსიანად ჩაიდუღლუნა და ძილი განაგრძო, ნიკა უცქერდა ქალს და „რასა ჰგავსო“ ფიქრობდა, შეუხედავი იყო ლანა, ახლა მაინც, მიძინარე, ხავსმოდებულ კუნძს ჰგავდა, ნიკას საყუთარი თავი შეეზიზღა, „ღმერთო, რა მესაქმება ამ ბონძლთანო, კო, ბონძლთან — არ ვიცი, რას ნიშნავს, მაგრამ ზედგამოჭრილია — ლანაიდა ბონძლიაშვილიო“...

რეზოს ხელნაწერი ფურცელი დაკეცა და ისევ პიჯაკში შეიწახა, საწოლზე გაიშალა და სხეულმა კმაყოფილება იგრძნო, იმედიაანად გაახსენდა, რომ ნეკ დანგვეშკოტი დასწყევლეს, მარად კარგად უნდა იყოო და ამ ავტობილი წყვეის თანამად მარადიული კარგადყოფნის უნარი მიანიჭეს.

ათსი საქმე აქვს ნიკას;

მეგლი ჰონორარიო არ აუღდა...

მანქანის ყიდვას ეაზიზუნებს...

კიდევ ერთ საქმეშიც აქვს ცოტა ფული ასაღები...

ამერიკაში წაასაუღელა...

ეცქ, რა დადგმოლია ცხოველები: აქვნი, აქვნი, აქვნი! უცმ-თავისი აქვნი, მშვედად და ღირსეულად უნდა ავეთოს ყველადრის მიუხედავად, ეკეთოს, ავეთოს, ავეთოს და ეკეთოს...

გარეთ გაზაფხულის ღამეა, საუცხოო ამინდია.

ამავე დროს ნიკა არაადამიანურად დაიღალა, დაიღალა მისი სულიც და უფრო მეტად — სხეული, მაგრამ ვინ დაგიდევს დალილობას: ადამიანები, მათ შორის უხაბლოეკი მოყვასნიც, თავისას მოითხოვენ, ცხოვრება მოითხოვს თავისას და ნიკაც იძულებულია თავდაუზოგავად დაიხარჯოს:

„მიენდე ბედისწერის ვარსკვლავს...“

გარედან თვითმფრინავისა თუ ვერტფრენის გუგუნი ისმის...

ახლა რომ საზენიტო დანადგარი, ანდა სტინგერი კონდება, ნიკა გამოაღებდა ფანჯარას, დაუმიზნებდა და ჩამოაგდებდა ემაგ „თვით“ — „ვერტ“-„მფრენს“ თუ რაღაცა ჩანდაბას.

თუმცა არა: ბოროტს ლახვარი პასუხისმგაუტებლობით უნდა ჩასცე, უსიტყვო ზიზლით.

ბოროტი სიკეთით უნდა სძლიო.

ნიკამ გვერდი იცვალა, გამრიეღად მოკალათდა საწოლში და თვალები დახუჭა... ჩაეღვარა ტანში ბავშვობისეული შეგრძნება სულისა და ხორცის ერთიანობის, საყუთარი არსების, ორგანიზმის ტკბილი, საამო განცდა, როცა სურვილი გიჩნდება თავი მხრებში ჩარგო, მოიბუზო, მოირკალო და სიერეზე თვალმომეტრებული გამოუთქმელ ბედნიერებას მიეცე.

ნიკა იძინებდა და ბავშვობისეულად განიცდიდა თავისთავს.

ცხოვრება კი ილტვოდა და სევდის მეტი სხვა არაფერი მოჰქონდა... სევდიანი სიბრძნე...

ცხოვრება მიჰქუხდა და ჯერ არ

დამდგარიყო დროს მომზადარის გააზრებისა...

ან დადგებოდა, ან არა...

თუმცა რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას? „მნიშვნელობა“ არ ჰქონდა, მაგრამ ჰქონდა „არსი“...

უკვალოდ არაფერი მიდის წუთისოფლიდან, ყველას და ყველაფერს მიუჩენს დროთასვლა თავის ადგილს მარადიული არქივის მტერიან თაროზე.

ეს ქვეყანა კი „უთვალავი ფერიითა“ — სიყვარულისთვის გვაქვს ნაბობები...

თავი XVIII

ფარნა

„როცა ებოძებინა კარი შევალე, დავწმუნდი, რომ პოეტო მხოლოდ ზღაპრებით ვერ იცხოვრებს, იღებდაც რამდენიმე საფეხურით ჩამოემეს თავისი სიმალლიდან“.

სტეფან მაღარმე „ავტობიოგრაფია“.

რალაცამ თდნავ გამოუყეთა ხასიათი ტუსას, მაგრამ ერთთავად მიინც სულ მოყამული ჰქონდა არსება, სიმყარეს ვერ გრძობდა და თითქოს რალაც შობამდელ რბევას განიცდიდა, გონებისათვის ჩაუწყვდომელსა და ამოუხსნელს.

ხასიათი კი ფარნას გამოუყეთა მეხსიერებაში უნებლიედ ამოტივტივებულმა სიტყვებმა: „მემონეტე მონტიორი პირპონს არგანგლანი“ — ეს იყო რეზოს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელმაც ჭერ ავტორი გაახსენა ფარნას, მერე დედამისისა და ნიკას ქორწინების მომდევნო დღე: ფარნა და რეზო სახინკლში წაყიდნენ დილაადრიან. პასტელის ფერებად ლივლივებდა ქალაქი, ყოფილი მასწავლებელი და ყოფილი მოსწავლე იღვნენ მრგვალ დაბლთან, ხინკალა კამდნენ, ლუღს სვამდნენ და კორტასარზე საუბრით პახმელიაზე გამოდიოდნენ.

რეზო ანდრონიკაშვილი ფარნას

კლასის დამრიგებელი იყო, თან კართულ ქნასა და ლიტერატურას ასწავლიდა. მეოთხე კლასში იყო ფარნა, როცა ახალგაზრდა პედაგოგს იაბაბრეს კლასი... სკოლის დამთავრებამდე ერთად იყვნენ. ყველას ძალიან უყვარდა რეზო მასწავლებელი, მაგრამ ფარნას მათას სულ სხვა მეგობრობა აკავშირებდა. ფარნა ლიტერატურული ტალანტიმ დაჩაჩქარებულად შეეფარა, ლექსებს წერდა, მოთხრობებსაც მასწავლებლისგან ღრუბელივით ისრუტავდა ცოდნას და ცოდნაზე მეტსაც, თანაც რეზომ იცოდა, რომ ბიჭი უმამოდ იზრდებოდა, ისიც მალე შეიტყო, რომ მაინცდამაინც არც დედა აქცევდა ყურადღებას...

ფარნა, ფაქტიურად, რეზომ გაზარდა.

წლების მანძილზე ინამაც კარგად გაიცნო შვილის საყვარელი მასწავლებელი, დამეგობრდნენ კიდევ... რეზომ გააცნო ერთმანეთს ინა და ნიკა... ამგვარად, ფარნა დედის გათხოვების უნებლიე შეამავალი გამოდგა.

ფარნას რეზო ანდრონიკაშვილი ძალიან უყვარდა და უდიდეს ავტორიტეტად მიაჩნდა — ეს იყო კაცი, რომელიც ყოველივეს სწორად აღიქვამდა და აფასებდა, თანაც მოსწავლეთა წინაშე მუდამ უფლის ნების დამყოლის, მკვრეტელის, მახვილგონიერი ანალიზატორის პოზიციაზე იდგა. მერე ფარნამ შეიტყო, რომ რეზოს მატერიალურმა შეპირებებამ აიძულა მასწავლებლობა დაეწყო... როცა სკოლაში მოვიდა სამუშაოდ, იმხანად ჭერ კიდევ თითქმის არაფერი ჰქონდა გამოქვეყნებული და დამწყებ მწერლად ითვლებოდა, მაგრამ სულ მალე რეზომ წარმატებას შიალწია: ხშირადაც ბეჭდადენენ, ზედიზედ გამოსცა სამი წიგნი, ასე რომ შეეძლო ძვირფასი დრო მოსწავლეთა თხზულებების სწორებაში აღარ დაეკარგა, მაგრამ რეზომ ერთგულად უპატრონა თავის კლასს და როცა ფარნამ და მისმა ამხანაგებმა სკოლა დაამთავრეს, მერე-ღა შეეშა მასწავლებლობას.

რეზო ფარნასთვის ერთგულების და კაცობის ვეტალონი იყო. ნიკა დანგაძე — კომპრომისიანს, ავანგარდში მყოფნის მოწადინეს, ფარნა პატივს არ სცემდა ნიკანსაირ ხალხს დიდად არ განასხვავებდა თუნდაც გამოძიებელი ეგეთაშვილისგან, ვინც შეგნებულად იცავდა საკუთარი კარგადყოფნის გარანტიებს და მზად იყო კბილებით დაეგლიჯა ყველა, ვინც მის ძალაუფლების შერყევას განიზრახავდა.

ფარნა პატივს სცემდა თავის მამას, რომელიც არასოდეს ენახა, მაგრამ მშენოდა მისი დისიდენტობის ამბავი და ემაყუბოდა მისი სახელი, ოღონდაც ახლა ახალ ზელანდიაში რას მოღვაწეობდა, ცნობილი არ იყო, გარდა ამისა, ფარნას ცოტა არ იყოს გულს უსერავდა მისი გაქცევა — ბრძოლის ველიდან განრიდებას რომ ჰკავდა, ამით უმეტეს, ფარნას თავისი გვარის გამო ერთგვარი ეროვნული კომპლექსი ჰქონდა: სრულიად ქართულად ვაზრდილს მამამისის საზღვარგარეთ წასვლა „ეგანოვობის“ გამოვლინებად, საქართველოსადმი გულგრილობის გამჟღავნებადაც კი ეეჭვებოდა, მაგრამ მამა მიიჩნევდა იყო: სათაყვანო და პატივისცემაში, თუმცა სხვა ყოფიერებაში განქარებულნი, ზოლო ამქვეყნიურ რეალობაში მამას რეზო ანდრონიკაშვილი ცვლიდა: ბრძენი მართალი უფროსი შეგობარი...

როცა ფარნას უახლესი უბნელი ძმაცაი — გელა ქლიბაძე ჯერ ჯარში გაიწვიეს, შემდეგ ავღანეთში უკრეს თავი და მალე თუთის კუბოთი დააბრუნეს უკან, პირველად სწორედ რეზოსთან საუბრისას გაუჩნდა ფარნას აზრი, დაეწერა საპროტესტო ფურცელი და გაეცემოდა მერე და მერე ყველაფერი თავისთავად მოხდა: ბიჭი სტუდენტურმა მოძრაობამ შეიწოვა, თავიკი ადგილი მიუჩინა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ყოველდღიური ნახევრად ლეგალური

ორომტრიალი მიძინებულ გენს ალუზნებდა ფარნას, მისიგნებას უკარგავდა, ვისღა ახსოვდა ველისასტე: ამაოება ამაოთა და კოველივე ამაო აუს... მათი ფუსფუსი და ზრუნვა არ იყო ბოროტისა და მაცდურის მოგონილი, რადგან იგი სამშობლოსა და ღმერთს ესახებოდა.

ათას ცნობას სამოცდათერთმეტს თოდებმეტ ვაპროსს მისსაბა ევმ ყიღვე ათა წესს დაარწვანა იფანოვში პატრონოტი, რეზო მასწავლებელი შეეცადა აეხსნა ბავშვებისათვის, რომ მან დღეს პირველად თავის სიცოცხლეში იცოდა ნამდვილია — ის ზეიმი, რასაც განიცდიდა და გრძობდა, კეშმარიტი იყო და არა ხელოვნურ-პროთეზული, სიხარული იყო ბუნებრივი და ბავშვისათუ უფროსის ბუნება პარმონიულად გამოთლიანდა იმ დღეს, ფარნა თანაკლასელთა შორის, ალბათ, ყველაზე ღრმად ჩასწვდა მომხდარის არსს, კოველ შეძთხვევაში, იმ დღეს დაწერა პირველი ლექსი და რეზოს უჩვენა, მასწავლებელი ნაჩქარევი ძალდატანებით არ შეხვედრია მეოთხეკლასელი მოწაფის პოეტობის ამ პირველ კვირტს, თვითგამორკვევის საშუალება მისცა და მართლაც, სულ მალე ფარნას ბავშვურმა კალამმა სახელი გაითქვა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ბიჭი ლექსების საწერად ვეღარ იცლიდა, უფრო ხშირად პოლიტიკურ მიმართებებისა და მოთხოვნების შედგენაში იწაფავდა ხელს.

საერთოდ, ფარნა ცდილობდა შეძლებისდაგვარად გონიერულად მოჰკიდებოდა საკუთარ პოლიტიკურ მოღვაწეობას, მეტისმეტად არ აპყოლოდა ახალგაზრდულ გზნებასა და ტემპერამენტს, რალაცეები მოსწონდა საკუთარ ქცევაში, რალაცეებს იწუნებდა... ხშირად ხელისუფალთა და მავან ფუნქციონერთა უნამუსობით აღშფოთებულნი, ოცნებობდა ნაკონალისტური პარტია შეექმნა და ტერორით აღმო-

ეფხვრა ზნეობრივი დაცემა. თუმცაღა ეპიკობდა, რომ ამ გზით გამარჯვება არ შეიძლებოდა...

„მაშ რა გზით უნდა გავიმარჯვოთ?“ ფიქრობდა შიშხილისგან გონებამიზ- დილი ტუსალი.

ზუსტად არ იცოდა.

ან კი, რა უნდა სკოდნოდა „ზუსტად?“

„ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“.

გული არ ისვენებდა. ფეთქავდა...

სამდღიანმა ტუსალობამ გონებიდან

გადაიყვანა... ერთის მხრივ იყო ცოდნა:

მისი არჩევანის კაცს შესაძლოა წლე-

ბის გატარება მოუხდეს ციხეში, მეო-

რეს მხრივ — გულქვა პრაქტიკა: სამი

დღე ჭდომაც აუტანელი ყოფილა.“

„დამკითხონ მაინც რა უნდათ, რა

დავაშავებ?“

თუმცა რა დანაშაულია საჭირო?! ცო-

ტა დაუხვრეტიათ უდანაშაულოდ?

რა ხდება გარეთ? ეგება ხალხს აწი-

ოკებენ, ეგებ სისხლით მოირწყო თბი-

ლისი?! „გამიშვიტ, თქვე უჩრბუ-

ლებო!“

ნაწყვეტ-ნაწყვეტი სასოწარკვეთა...

გააფთრება და იმედი...

„ჩამოიხსნეს ნიღაბი, გამოაჩინეს თა-

ვიანთი ნამდვილი, დამპალი სახე“.

„დღდა გეტარებათ ადრე თუ გვიან!“

ფარნაოხს უმწეობისგან ეტირება...

თავს იკავებს... მოშავლის გეგმებითა და

ოცნებებით გატენილი ახალგაზრდა

პოლიტიკოსი... ოკიოდე წლია, უკვე

ორმოცდაათი წლის კაცივით დადლი-

ლი, სხვათა ცოდვებით სულდამძიმებუ-

ლი, დასჯილი, კუთავერნასწავლი, რო-

მანტიკული სასოებით აყვანილი, ქრის-

ტიანულ შემწყნარებლობასა და ნა-

ცისტურ დაუნდობლობას შორის მერ-

ყევი... ქვეყნის გარდამქმნელი და

დამაქცევარი... უმწეოდ გამომწვედეუ-

ლი ჩეკის მრისხანე ევლებში... პატა-

რა დიდი კაცი... მგელივით ყელს გა-

მოლადრავს სამშობლოს მოღალატე-

ებს, მაგრამ ვაი, რომ მგელი კი არა,

პოეტია მხოლოდ... მთავრობისგან უსა-

მართლო და უნამუსო განაძღვლენ
ერთგული მოძრაობის საქმიანობა...
სიმართლისთვის დგენილი... მარტობა-
ში... მოწამული... ბნელ პატივობა-
ში... დახვრეტის მუწეაით...

„ნაღობს რამე შეგიძლია...“
ქვემოთ წაღმერი კომისიის უცნო-
რტული პათეტიკა აქლერდება უცებ...

„ნეტავ ლოგო არიან ექსპერტები, ვინ
აქვთოთ ეთერიკული სილოტი...“
ლება მისი ნერვიულობა?!“ — ახლა

ჭერ დაუბადებელი ძმისა თუ დის სიყ-

ვარული გადაუვლის გულს.

„მაგრამ ცხოვრება, შლეგი და მშვი-
დი ჭერ ისევ მიდის, მიდის და მიდის.“

— თავს იმხვევებს საყვარელი პოეტის

სტრიქონით, მერე უეცრად აპათია იპ-

ყრობს. გისოსებიანი სარკმლისკენ

იციჩრება... იქ ღრუბელი ჩანს, ეტყო-

ბა ამინდიც მოიღუწა, ზეცა შავ

ღრუბლებში ჩაეფლო. სარკმლიდან

პაერი არ შემოიღის, სუნთქვა პირს,

ვერ გაიგებ, რა ხდება ამქვეყნად.

დაკითხვის მტანჯველ მოლოდინში

ტირილს იკავებს პატრიოტი. მისი

ყოველი ნერვი თრთის უსამართლობი-

საგან... „სადისტების ხელშია“.

ახლა რომ სახარება ჰქონდეს აქ,

სულს დამშვიდებდა. ცდალობს სა-

ხარების გახსენებას.

სარკმელში კი ამასობაში ჩამობინდ-

და, კერში მზუფუტავი ნათურა აინთო,

ოთახში მტერის სუნი ტრიალებს.

„თავის უფლება!“

„თავის მონობა!“

შუაზე გაყოფილი გული: ნახევარი

სიყვარული, ნახევარი რისხვა...

„გავა დრო, გაივლოს ცხოვრება...“

დარჩება მხოლოდ კვილი საქმეთა

ხსოვნა“, პათეტიკურად თავს იმხვევებს

ფარნა.

დედამიწის კი ოზონის შარავანდელი

ეცლება.

სარკმლის მიღმა ქარი უბერავს, სა-

კანში მოძვრება და ჰადრების შრია-

ლი შემოაქვს... ფარნა კვლავ ლოკავს



იწყებს, ჩამოლომდა ცხოვრება... ნეტავ ხომ არ გაჯალარავდა ამ დღეებში?.. ანდა ის გარეწარი ეგეთაშვილი სად დაიკარგა?

სარკმლიდან გაისმა: წვიმს გარეთ... დაიჭუბა კიდეც...

დაიჭუბე ცაო! ჩვენი მალე დაიჭუბები გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გულწრფელი ლოზუნგი რებებში, უფერად კი ამ შიშინაშიშშილიან ქაოსში გამომსხლტარი სრულიად დღაღებული, თვითნაღიზური მსჯელობა: „მე აღამიანებისგან იზოლირებული ბუნება მაქვს, ამიტომ მთელი ჩემი მომავალი ცხოვრება, პირადი ბედნიერება პოლიტიკურ ვითარებაზეა დამოკიდებული, ზოლო ჩემი სამშობლოს მდგომარეობა დღეს ცუდზეც ცუდია, არც ერთი ერი კაცობრიობის ისტორიაში არ ჩაფარდნილა ასეთ გასაქვირში, როგორშიც დღეს ჩვენ ვართ... ჩემნაირ მარტოსულ ხალხს კი ერთი-ათად გაუჭირდებათ ამ ვითარებაში... მე ფაქტიურად, საკუთარი ბედნიერებისთვის ვიბრძვი, მაგრამ ჩემი ეგოიზმი მოყვასთათვისაც სასარგებლოა... ამას ეგოიზმი არცა ჰქვია...“

მერე უცებ ფაქტი გადასხლტება სხვაგან:

„ხომ არ შეგვიპო ამათი სისხლიანი საჭმელი? მეტს ვეღარ გავუძლებ შიმშილს... მაგრამ, რას გაუძლეს იქ გოგონებმა და ბიჭებმა... რამდენდღიან შიმშილობას და მერე კიდე თაგების დაჩეხვას... არა... არა... მოკვდები და პირს არ დაეკარებ!“

მილიციელის მიერ მოტანილი საკვები უქმად გდია...

საკანში აცივდა. გარეთ უკვე ღამეა. ამღებანს ნაკავები ცრემლი შინც გადმოიღვენთა უბეზე და ძირს დაეწვეთა.

თავი ვეღარ შეიმავრა. გმირს სისუსტემ სძლია... და თუ ეს სისუსტე ცუდია, მაშინ სინათლე ბნელი ყოფილია!..

თემა XIX

ფარნა

„ხატომ მკლავს, ეციო? როგორ თუ ვიტომ? მეს ხომ წყალვალს ცხოვრობ? მენ რომ გამოვს ცხოვრობდა, ჩემს კეთილს მე მართლაც მცოდნე ვიქნებოდი და მთელ მოკვლა როდეს მაქვებდ ჩამოვლდოდა მაგრამ...“

ფარნას ეძინა და სიზმრებს ხედავდა. მილიციელმა გააღვიძა და დაკითხვანე წაიყვანა. ახლადგაღვიძებულ ფარნას ის განცდა დაეუფლა, რომელიც არცთუ იშვიათად ეწვეოდა ხოლმე და რომელსაც მუდამ დიდი სიხარულით ეგებებოდა: ეს იყო განცდა იმისა, რომ ყველაფერი უზომოდ გიყვარს: მშობლიური ქალაქის ქუჩები, უცნობი, გადაქანცულ-დატანჯული ადამიანები, ყუავის ფინჯანი, ღრუბლის ფთილა—საერთოდ — სულერთია რა: ყველაფერი... ეს განცდა ხანდახან მოდიოდა ხოლმე, მაგრამ, ალბათ, მუდმივად ცოცხლობდა სულელი მოუხელებელად, მაგრამ შინც ყოველთვის, ყველგან — ცხადშიც, სიზმარშიც... ისიც დიდი საქმე იყო, მისი არსებობა რომ იცოდა ფარნამ. ამ ზღურბლზე რომ მიიყვანა განვილილმა ვხამ, ტყვიელმა, და ბრძოლამ, საომარმა თავდავიწყებამ: როცა არ იცი, მომდევნო წუთში რაღას გიქადის განგება, მაგრამ წმინდა მიზანი გულს გიმავრებს და შემართებას გმატებს, ხოლო მრმავლის სხივგაუმტარი ფარდიდან ბედნიერების, სიხარულის, სილამაზის ათინათები იკყიტებიან და საოცარ, იღუმალ-სიამეს გამოიღებინ... ახლადგაღვიძებული ფარნა მხნედ გრძნობდა თავს... ჯანზეც იყო და სად გონებაზეც ორთაბრძოლის წინ: „მეტი რაღა გინდა, ბიჭო, სხვას რას თხოულობ?“ შეუძაბა თავისთავს, „მტერს შავი დღე უნდა გავუთენოთ“.

სრული იმედით შეაბიჯა გამომძიებლის კაბინეტში. ეგეთაშვილი მაგი-

დასთან იქდა ქალღმერთში თავიარ-
გული და ჩალაცას წერდა. ფარნანს
შემოსვლა თითქოს არც კი შეუნიშნავს,
„ნაცალი და იაფფასიანი ბერბია,
გაიფიქრა ფარნამ, ხმარებაში ერთიანად
გაცვეთილი ბიუროკრატების, ბობო-
ლების და კავებისტებისგან“... არა,
მტერი არ იყო საშიში: რას წარმოად-
გებდა ეს კაფანდარა ეგეთაშვილი, ფარ-
ნას რომ ვერ მოეგერიებინა და ვერ
გაესრისა?! ერთი ეპეით დაღრმადი,
მატლებით სულავსებული კაცუნა, რო-
მელსაც ვერც სხვისი და ვერც თავისი
სიმართლე ვერ გაურკვევია. ასეთები
ამაოდ ეცდებიან (თუკი საერთოდ ეც-
დებიან) შეიკნონ და გაიგონ. თუ რას
მიელტვის მათი გადაგვარებული ბუ-
ნება. ამაოდ! ამიტომაც სტანჯავენ
სხვებს და იტანჯავენ თავებს... ვითომ
წესრიგს იცავენ, სინამდვილეში კი,
ქვეშევნეული ზოხლით სავსენი ქვე-
ყნის დაქვევას ნატრობენ, უარყოფ-
ენ სამყაროს პარმონიას, თანდათან
ლენჩდებიან თავიანთი არაკაცური
ფუსფუსისაგან, ცვდებიან, ავადმყოფ-
დებიან, იქანცებიან. ცივდებიან გუ-
მივით, ნადრევედ უფასურდებიან, უშ-
ნოვდებიან, ახალგაზრდობაშივე ბერდუ-
ბიან, სიციხბლეშივე კვდებიან და
ქრებიან...

— დაჯე, — თავაუღებლად თქვა
ეგეთაშვილმა.

— უკვე ვზივარ, — გამოენბაურა
ფარნა. — როგორც იქნა, გამიხსენეთ.
რა მეტყმის მადლობის მეტი... რო-
გორც თქვენი საყვარელი მოძღვარი
მაო ძე დუნი ზრძანებს, „რაჲ კაია,
კაია!“

ეგეთაშვილმა თავი აიღო და ფარნას
სეროიზულად მიაკვრდა. მერე მაგი-
დიდან რეზოს რომანის ვეება ხელნა-
წერი ასწია და იკითხა:

— ეს თუ გეცნობა?

— ზო, დიაბ, პროკლამაციები, —
დამკინავად თქვა ფარნამ, — უდავო
ნივთმტკიცებაა.

— ეგ რა შუაშია, — შეაწყვეტინა

ეგეთაშვილმა. — წაიკითხე თუ
გაქვს?

— ბოლომდე არა, მხოლოდ პირ-
ველი ნაწილი, ისიც მომენით, — უკე-
სუბა ფარნამ.

მთაწონს
დასწავლიყმინა; მამონს.

— საქმეე მაგაშია, — იფთქა უცებ
ეგეთაშვილმა, — მძღვარ დაკრეფო
ქმე, — მალანდლა, — ახალგაზრდებმა,
რომ ყველა ასეთი ამბიციური დილე-
ტანტის ნაბოღარი, ყურმოკრული
ფროიდინშითა და უსუსური პოლიტი-
ტიკანიზმით სავსე სისულელე მოგ-
წონთ, მოგწონთ კი არა, ლამის სახელ-
მძღვანელოდ გაიხადოთ ცხოვრებაში
და თქვენს, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ
მოღვაწეობაში...

„სასაუბროდ მაგდებს ეს პროვოკა-
ტორი“. მიუხედა ფარნა გამომძიებელს
და გადაწყვეტა გამოწვევა მიეღო:

— ეატყობ, რეზო უკვე დაგიკერი-
ათ...

— რაზე ატყობ?

— თქვენ თანამედროვე მწერლების
ნაწარმოებებს მხოლოდ ამისთვის კით-
ხულობთ...

— დაიცა, დაიცა, — შეაჩერა ეგე-
თაშვილმა, — თუ შეგიძლია შეურაცხ-
ყოფის გარეშე ვილაპარაკოთ... თუ არა
და, ჩვენს საუბარს აზრი არა აქვს...

— აზრი ჩვენს საუბარს არც შეიძ-
ლება ჰქონდეს, — უპასუბა ფარნამ, —
მაგრამ თქვენს მიერ ჩემს დაკითხვას,
აღბათ, აზრი თუ არა, მიზანი მაინც
ექნება.

— თუ ამდენი იცი, თავი იმისთვის
გაბია, რომ ღრმად ჩაიხედო საქმის ვი-
თარებაში და გამომწვევ სიტყვა-პასუხ-
ზე ხელი აიღო. შენც ხომ გაქვს შე-
ნი მიზანი? თუ შენი მიზანი კედელზე
თავის მიხლა, ტანკის წოხით ცემა და
წყალში გადავარდნაა.

— დიაბ ეგაა და ასე ვიზამ.

— აბა შენ იცი, — თქვა ეგეთა-
შვილმა.

რამდენიმე წამს დუმილი ჩამოვარდა.

კედლის საათი პედანტურად განაგრძობდა წიწყის.

— კიდევ ერთხელ გთხოვ, — თქვა ეგეთაშვილმა, — ნერვებზე ნუ ხარ.

— აბა რა ექნა? — ღვარძლიანად შესძინა ფარნამ.

— აღამიანურად დამელაპარაკე.

— არ გამოვა, განავალი-განავალი და სიყვარული სიყვარულია...

— ესეკ მამძე-დუნის აზრია? — ჰკითხა ეგეთაშვილმა.

— თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

ისევე დუმოდა.

— რა ექნათ? — დაიწყო ისევე ეგეთაშვილმა.

— რას ვიზამთ? — შეუბრუნა ფარნამ.

— ვერაფერსაც ვერ ვიზამთ, — უპასუხა ეგეთაშვილმა, წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

ფარნა წამით მარტო დარჩა, მაგრამ ოთახის რიგიანად დათვალიერებაც ვერ მოასწრო — კარი გაიღო და ვიღაც კაცი შემოვიდა. სკლად ნაქსოვი ჩემპრიდან ამობურცული კუნთები იმუქრებოდნენ, გადაბმული წარბები და გაყინული თვალები ჰქონდა. სკამზე მჯდარ ფარნას წინ დაუდგა, ხელი ნიკაპზე მოჰკიდა, თავი აუწია და შუშის მზერით ჩააშტერდა.

ფარნამ უხეშად მოიშორა უცნობი ხელი და გულმედგარდ დაუბრღღენია:

— ჰა, გაწი!

უცნობმა პირი გააწყვლაპუნა და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ეგეთაშვილი დაბრუნდა, თავის ადგილს მიუძღა და აღაპარაკადა:

— რა ხდება გარეთ, რომ იცოდე! მაგრამ მთავარია ხალხს გული არ გაუტყდეს... არ შეიძლება... მაგრამ... ძნელია... ირგვლივ მურტალი მითქმამოთქმავა, მაგრამ რა საჭიროა ჭორების აყოლა. კაცმა თავისი საქმე უნდა აკეთოს...

— მეც ჩემი საქმე უნდა ვაკეთო... — უთხრა ფარნამ, — ვისაც ჩვენი საქმე არ მოგწონთ, ყველას გაგჰართო, იმ ასე...

— ენა დაიმოკლე, შე ნაბიჭვარო, — დაუღრინა ეგეთაშვილმა. — წესიერი გამოთქმები შეარჩიე, შენ უბრდელურ გინებას ხო არ ჩაეწერ ოქმში.

— რა გინდა, რა უნდა შეარჩიო? — მკითხვეთ და ვიპასუხებო.

— აი ასე: ძლივს არ შეამის კაცური სიტყვა, ვერ დაამარჯვი არ დაგვიწყვი და უკვირ დაეძალეთ.

— ოღონდ არ გეგონოთ, იმ საფრთხობელის შემეშინდა, — დააზუსტა ფარნამ.

— არ ვიცი, ვისზე ლაპარაკობ.

— უპასუხა ეგეთაშვილმა. — იცი რას გეტყვი, ძმამო ფარნავაზ, აბა დაუევირდი. რა დღეშია ჩვენი ხალხი: აღამიანები მკვდრები არიან, ვერ ცხოვრობენ, ვერ აზროვნებენ, ცოცხლად ლაპებია. კუჭი და უაზრო თავმოყვარეობაღაა დარჩენილი. ყველა თავის ნაქუქში ცხოვრობს, თავის უფერულ კუნძულზე.. რაც მეტი ხალხი შეიყრება მიტინგზე, მით მეტად არ არის არავინ არავის გვერდით... გვერდით კი არა, ირგვლივ... ჰოდა, ასეთ ვითარებაში ცოტა უნდა ვიმყოფინოთ თავისუფლებაც, დემოკრატიაც, ჰაერიც... თორემ ვინ გაგონა სულთი დამპალი მონის სარული განთავისუფლება. წამბილწავს ყველაფერს, ჯერ ბევრი უნდა შევქმნათ, განვთავისუფლდეთ ამ დამყაყებელი შინაარსისგან, ლოთობა-დროსტარების გარდა სხვა რაიმეც უნდა ვისწავლოთ პროფესიულ დონეზე...

— მე თქვენი ტრაკული მოქალაქეობრივი პოზიციაზე ირად ვიცი, — შეაწყვეტინა ფარნამ, — თუ რაიმე გაინტერესებთ, მკითხეთ და გეტყვი.

— რა მურტალი ბავშვი ხარ, — სიცილი წასკდა ეგეთაშვილს. — როგორ გავხარ სიტყვა — პასუხით დედაშენს და იმ თქვენს მწერალს...

— მაგათი გაზრდილი ვარ, — აღიარა ფარნამ.

— დედის კი და... მაგისი როგორღა?

— ჩემი კლასის დამრიგებელი იყო, ჭართულ ლიტერატურას მასწაველიდა.

— აკაცის „გამზრდელი“ თუ გისწავ-

— შენ გგონია, მე კარგად ვცხოვრობ? ბედნიერი მგონია ჩემი თავი? ხანდახან ისეთი ვაუსაძლისი, სევდა შემომაწვება ხოლმე, ღამისაა ავტირდე, ყელში მანწვება რალაც, განგიცდია ეს შენ? იცი რა არის, როცა შენ ნებით უშვერ შუბლს საყოველთაო ზიზსსა და სიძულელია?... არ მერჩია ფილმები ვადმელო, რომანები მეწერა ანდა დროში მექნია ქუჩაში?... ბოხს ტრაცს, ჩათლახს, სისხლისმსმელს, გამყიდველს და დამსმენს მაინც არ დამიძახებდნენ.. შენ გგონია მსიაჰოვნებს, როცა მლანძღავენ?! მაგრამ საზოგადოება ბუნებასეითაა და ყველაფერ თავია დანიშნულება აქვს, მათ შორის — მეც. მე რომ არ ვიყო, ჩემი ერი დაილუბებოდა, აი, ასე მწამს და ეს რწმენა მიღირს იმად, რომ ხალხის ზიზლი და გულისმომკვლევი სევდა ავიტანო...

ეგეთაშვილი გაჩუმდა, დუმდა ფარნაც.

— არა ვარ მართალი? — ჰკითხა ბოლოს ეგეთაშვილმა.

— თქვენ თქვენი სიმაართლე გაქვთ, — უპასუხა ფარნამ დაფიქრებით.

— სიმაართლე ერთადერთია, — შეეკამათა აკო.

— მაშინ მართალი ყოფილხართ, თუ ასე ვინდათ...

— მინდა... — ჩაიღიმა ეგეთაშვილმა, — მე რომ მინდა, სად არის?! ასეთი გამუდმებული დაძაბულობის, გულისხეთქვის, მუდმივი ავიოტაეისგან შეიძლება გააფრინო კაცმა... არადა, მინდა გავაგებინო, რომ მართალი ვარ... რათა შენ, შენნაირი ახალგაზრდები, ყველანი ერთად დავებმართო საქართველს... რათა ყველაფერი გაკეთდეს დინჯად, სწორად და არა ასე, როგორც ახლა ხდება: სწრაფად და სულელურად: მე მინდა მიხედე ჩემი მსჯელობის სისწორეს, ჩასკიდო ხელი იმ მკორე თანხმობას, ახლა შენს გულში რომ შეიჩხა, ჩასკიდო და სამზეოზე ამოათრო, ვესმის?

— მესმის, — თქვა ფარნამ, — მესმის და მზად ვარ დაგეხმაროთ. სამი

დღე ვიჯექი აქ მარტოობაში, საქმე არაფერი მქონდა და კდიკტორი, სიციარიელუა განვიცდრი და ვსატრობდო დრო რალაკით შემვესო, ან საქმით, ან თამაშით, კეიფით, ან ადამიანთან ღაბარაკით მაინც... მაგრამ არაფერი ამდგვეო ამ სამი დღის მანთილზე მე არ შემხედლიო... მოდა, საღაც შეიცვალ ჩემში, სხეულმა გვედს ემოსცადა, დრომ კეაღა დამაიოვა, მოკლულ რალაც შეიცვალა ჩემში... არ ვიცი, ან დენად სწორია ჩემი ვალთწვეტილება, იქნებ მართალი ხართ, რომ ამბობთ, სწრაფად და არასწორად ხდება ყველაფერი და ეს ცუდიაო. მაგრამ, მგონი, იმაში სცდებით: ნელა და სწორად უნდა მოხდეს ყველაფერიო. მე ჩემი აზრი მაქვს: საქირთა ყველაფერი მოხდეს ნელა, მაგრამ არასწორად, აი, ანეთ ხასიათზე დამაყენა ამ სამმა დღემ, აქ რომ გამატარებინეთ.

— რას გულისხმობ ნელა და არასწორში? — ჩაეკითხა ეგეთაშვილი.

ეკელზე საათი წიკწიკებდა მონოტონურად, ფანჯრიდან ქუჩის ხმაური მოძვრებოდა გამომძიებლის კაბინეტში.

— რაში რას ვგულისხმობ? — კითხვა დაუბრუნა ფიქრებში წასულმა ფარნამ გაფაციკებულ ეგეთაშვილს.

— ნელა და არასწორადო, რომ თქვი, — გაუმეორა აკომ.

— ჰო, რას და აი რას: მე მინდა თქვენთან ვითანამშრომლო, — თქვა ფარნამ, — თუ მიმიღებთ, რასაკვირველია.

ეგეთაშვილმა სიტყვა აღარ დასძრა, მთლად ყურადღებად იქცა.

— ოღონდ, სამაგიეროდ ერთი პირობა მაქვს, — თქვა ფარნამ, — ცხოვრების დიალექტიკა მოითხოვს, რომ თქვენ, ბატონო აკაკი, დროებით გადადოთ თქვენი სამსახურებრივი ამბიციები, თანახმა ხართ?

— კერძოდ? — ჰკითხა ეგეთაშვილმა.

— გაიხსენეთ უფალი და მოინანიეთ, მიხედით, რომ ცოდვა ცუდია, ძალიან ცუდია, დაივიწყეთ თქვენი მძიმე სამსახურებრივი ცხოვრებით გამოწვე-

ული ვალდებულება.) გამოსწერეთ თქვენს პიროვნებას თავდადება სამშობლოსათვის... გახდით ჩვენი მოძრაობის წევრი და უშუალოდ მიიწოდეთ ჩვენს ალტერნატიულ პარტიტებს თქვენი ეგ დაშოშმინების თეორია... თუ ამისთვის ნაკლებად გაქცევინ, ნუ დაიხანებთ დედა სამშობლოსთვის განწირულ სიცოცხლეს. ურჩიეთ თქვენს კლავებსაც ასევე მოიქცნენ. დაე ისინი ჩაქოლოს ალფოთებულმა ხალხმა... მით უკეთესი... მე კი აქ ვიშუშავებ. ვინც თქვენ არ გამოგყვებათ და გამოულოცავთ თავდადებას მალა კაბინეტში ქლომას ამჟობინებს, იმათ მე მოვუვლი: პატარ-პატარა ბომბებს შეეუხური სკამკვეშ უვალას... დიხ. ეგეთაშვილო, ასეთია ჩემი გულწრფელი პასუხი თქვენს გულწრფელ აღსარებაზე. რადგან მიუხედავად მონდომებისა, მთლად გულწრფელი არ მომეჩვენებოდა და მივიჩნევ. რომ ვერ აჯობებთ თქვენი ჟილაგის უგულწრფელეს წარმომადგენელს. უგულაბდილეს კომუნისტს და სავრთოდ. უსალაღა პოლიტიკოსს — კამოს, რადგან მან ცხადლივ, კოვზით ხელში გააყვით ის, რაც თითოეული თქვენთავანის ცხოვრების არსია...

და ფარნამ გულიანად გადაიკისკისა. — ნაძირალა ხარ. — გამოსკრა ეგეთაშვილმა. წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ფარნა ჯერ კიდევ ხითხითებდა, როცა კაბინეტში ეკლავ ის დაკუნთული ჯემპროანი შემოიჭრა და სანამ ბიჭი გონს მოეგებოდა, მკერდკვეშ, კუჭთან მუშტის ძლიერი დარტყმით სკამიდან გადამოავდო და ღრმა ნოკაეტში გაისტუმრა...

გონს რომ მოვიდა. ჯემპროანი კაცი აღარსად ჩანდა. ეგეთაშვილი წყლიანი კიქით დასდგომოდა თავზე და შეხეფებს ასხურებდა სახეში. მერე წამოაყენა, სკამზე დასვა და უთხრა:

— შიშვილონამ ასე იცის! თავისუფალი ხარ, ივანოვ. წადი ახლში. — თან რეზოს ხელნაწერი გაუწოდა. — ძალიან გთხოვ. ეს პატრონს დაუბრუნე და გადაეცი, რომ რომანი ძალიან მომეწონა. რეზოს უთხარი, მოხარულია, ამის პირველი მკითხველი რომ აღმოჩნდათქო...

ფარნამ ხელნაწერი ჩამოართვა და გაკირვებით წამოიკრია დათუთვილი სხეული.

— აა შენ იტო. — სიტყვა მისივალა ეგეთაშვილმა.

სიტყვით ცხოვრებამ გგვამოროტოთ თუ დააღდენიდან ნათქმისეთი დაამალებინ — ამოიგმინა ფარნამ და კარებისკენ დაიძრა. ეგეთაშვილმა ღიმილით მიაღწენა თვალი.

ფარნამ უქანმოუხედავად დატოვა გამომძიებლის კაბინეტი.

თავი XX

მწერალი

„დრო რთული რამაა, იგი ყოველთვის თავებს მიზნებს, თანდათაბობო მაინც ეხედები, რომ დრო არ არის ზემოდანი, რაც ხელი მოგზღებდა, იმას რომ ჩაუყო“.

ხული კორტასარა „მდევიარი“

მწერალი რეზო ანდრონიკაშვილი სამგლოვიარო პროცესიაში მიაბიჯებდა. ზღვა ხალხი იყო ირგვლივ: მრისხანე და მღუმარი. წინ ბიჭებს დაწვენილი დროშები მიჰქონდათ. კუბოში ახალგაზრდა მიცვალებული ესვენა. ტანჯვით, უსამართლოდ მოკლული. რეზო ანდრონიკაშვილი, ისევე როგორც ბევრი სხვა ირგვლივ მყოფი, არ იცნობდა განსვენებულს. მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. დედებს შვილები, პატარა ბავშვები დაკეცვდათ პანაშვილებზე.) ცხედრებს ანახებდნენ და ეუბნებოდნენ: „შეხედე, შვილო, და დაიმახსოვრე. იგი სამშობლოს შეეწირა“.

მიდიოდა რეზო სიმწარესთან ფეხმწეყობილი. თვალი აღიქვამდა მგლოვიარე სახეებს. უფრს ეამოდა მოგუდული რისხვა, გული გაქვავებულიყო აფეთქების მოლოდინში. ფიქრი კ

დაუკითხავად, ანგარიშშიუცემლად დაპქროდა სულ სხვაგან: სიტყვების ჩხრეკით ერთობოდა ფიქრი, სემანტიკური ძიებით იტყვევდა თავს თუ თავს იცავდა მწუხარებისგან... მწერალი რეზო ანდრონიკაშვილი ფიქრობდა იმ საოცარსა და ძნელად მოსახელთებელ მნიშვნელობებსა და საიდუმლოებებზე, რომლებსაც სიტყვა იმარხავს საკუთარ წიაღში... რეზო წუხდა, რომ უცხო ენაში არ იცოდა, პირველ რიგში ისინი, საიდანაც საუკუჩეთა მანძილზე შემოდოდა და მკვიდრდებოდა ქართულში ლექსიკური ერთეულები: სპარსული, არაბული, თურქული, ბერძნული, ლათინური... ამიტომ, რეზოს მხოლოდ გუმანი ახვედრებდა, რომ „ხუმრობა“ ლათინური „ჰუმორ“-იდანაა წაწარმოებული, რომ „ჟირა“ და „გირაო“, ალბათ, ერთი წარმოშობის სიტყვებია, ისევე როგორც „კოშკი“ და „კოსკი“, ან „ქეიფი“ და „კაიფი“. მაგრამ ასეთებს მხოლოდ დილექტანტის ინტუიცი აგნებდა, ძირფესვიანად კი რეზომ მხოლოდ რუსული ენა იცოდა, ხოლო რუსულადან შემოსული ბევრი სიტყვა ჯერ როდი ჩაქირულა ქართულში, ლექსიკური დიფუზიის პროცესი ამჟამად მიმდინარეობს, ამიტომაც იგი აღიქმება ბარბაროზად, კალკად, ენის დანაგვიანებად, სადღეისოთ კი „სკამი“, „ქაჩე“, „ხლაფორთი“ და კიდევ თითო-ოროლა სიტყვა — თუ გვიბოძეს ჩვენმა უფროსმა ძმებმა. „ერთი მავათი დედაც...“ — გაიფიქრა მწერალმა რეზო ანდრონიკაშვილმა.

„დონ-ძი-დონ-ძინ-დონ“ — გლობობდა ეკლესიის ზარი. თვითდინებაზე მიშვებული ფიქრი რალაც სიტყვას დაეძებდა. „კოლომბინა, კოლომბარა... არა, ეს იტალიურია... რალაც ძველი, ძველი, ძველებური, ძირძველი... მგონი დაიძრა: ძირი... ძრო... ძორ... ჯად... ჯა... ჯარ... ჯირ... ჯურ... ალბათ, თავდაპირველი ენა ერთმარცვლიანი იყო... ჯაჰა... ჯურჰელი... კუტიკარი... კუტალია... კარი... კირი... ჰვა... ჰერი... ჰარი... ჰირა... გირაო... ეს უკვე იყო... ისპია...

კოლომბარა... კოლომბინო... კორდე-ბალეტი... ეს რალა შეჯამა?..“

მზე ეფინება დათვრილ დროშებს და მტირალ ყვევლებს. მზეც მიიწვეს ცარგვალს, მიაკლავს კუბოს, მზეც პარკეტოს წვერომ დაძვლებითს კან მარხავს.

სასაფლაოსთან რიგში აცვლება, საერთოდ — სამდამოდ შეიცვალა სამწერო, დამატარდა ერთი და დადგა მეორე ხანა. რეზოც შეიცვალა — გრძნობს ამას, თუმცა, როგორც მწერალს, კვლავაც ძველებურად, ბნელში ხელისცეკვით მოუწვეს ცხოვრებისა და ხელოვნების ორმაგ ლაბირინტში სვლა... ალბათ, ამიტომაც მოიყვანა გულ-სისხლმა აქ, ამ „სასაფლაოზე“, ცხოვრება შთაბეჭდილებებით (რა კარგი სიტყვაა: რაც სულში „შთა-იბეჭდება“) მუდმივი განახლება... ქართულმა მიწამ მიიბარა კიდევ ერთი მსხვერპლი. მწერალ რეზო ანდრონიკაშვილის პაპა და პაპის მამა ათას ცხრაას ოცდაათ წელს ლენინს სვამდნენ თურმე, ლევან და რევაზ ერქვათ მამა-შვილს, პოლიტიკისგან განზე იდგნენ, უყვარდათ ქეიფი, ქალებში არმოყობა, მხარმკლავით თავმოწონება... იმ დღესაც ჰიქები სჭერიათ ხელში — მამულის სადღეგრძელოს სვამდნენ... ორივენი საკუთარი ნამამულარის ჰიშკართან დახვრიტეს უღვთოდ და უგანაჩნოდ, დარჩა რევაზს ახლადშერთული სანეტა თავად მაკუტუბის ასული კერიცად, სამი თვის ჩვილით — ლევანით... მალე ქერიცი კომისარმა ტალაბაძემ შეერთო, ხოლო კომისარმა კობაბაძემ, კომისარმა ბუხრაშვილმა და კომისარმა გეგეშოძემ შეერთეს დახვრეტილი თავადის ლევან ანდრონიკაშვილის ქალიშვილები თამარ, რუსუდან და ელენე — დახვრეტილი თავადის რევაზ ანდრონიკაშვილის დები... პატარა ლევანს მამინაცვალი სიყვარულით ზრდიდა, სითბოსა და ყურადღებას არ აკლებდა, საკუთარ შვილებში არ არჩევდა, მაგრამ ლევანს მამინაცვალი სძულდა, თანაც ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტში ყველა-

ნი: ტალაბაძე, კობახიძე, ბუხრაშვილი და გავგეშიძე განადგურებულ იქნენ შინაბნობის მიერ, როგორც „მემარჯვენე ტროცისტა“ ბროვის წევრები. დარჩენე კალენი ისევ ქვრივებად. ლევანს ომმა მოუწია. პირველივე დღეებში მძიმედ დაიჭრა და უფებო დაბრუნდა შინ. მხატვრობის ნიჭი ჰქონდა. კრამიკოსი გახდა. ცოლიც შეირთო, შეილიც ეყოლა ორმოცდათერთმეტში — პაპის სახელი დაარქვა: რეზო... თხავდა დეკორატიულ დოქებსა და კინკილებს, დანარჩენ დროს სმავი აღჩობდა. კი არ ქეიფობდა, კი არ ზეიმობდა — უბრალოდ, სვამდა, სვამდა, სვამდა... ალკოჰოლიზმმა ლევანს ციროზი დამართა და ცამეტ წლისა დაობდა პატარა რეზო.

მწერალ რეზო ანდრონიკაშვილს უფერდა მამა და ამაყობდა, რომ მამამისმა კომპრომისს ყველაფერი არჩია: ოქანის სიდუხჭირეც, ჭანმრთლობის დაღუპვაც, ლოთობაც და სიყვდილიც. კიი კაცის სახელი დატოვა, საზოგადოებას ერთი უფებო, უფბო, უიღბლო და უნებოსყოფო კაცი ეგონა ლევანი, თავის თავის მტერი იყო, ამბობდნენ. რეზო სხვა აზრისა იყო მამამისზე — უნებოსყოფო კი არა. ჭმირობამდე პრინციპულ პიროვნებად მიაჩნდა: მტერს რომ არ დაუხავდა, არ ემსახურა, სატანას არ მიეჭირავა... თავისთავი კი არ დაღუპა, ბოლომდე სულის წარუწყმენდლად იცხოვრჭა...

მამა ამ სასაფლაოზე იყო დაკრძალული. რეზო ანდრონიკაშვილი მივიდა მის სამარესთან და ცოტა ხანი დაჟყო იქ. რეზო მამამისს ჰგავდა: ლიტერატურისა და ხელოვნების ტრფიალით, აგრეთვე სიყვარულში ერთგულები: მამას დედასთან უმწიკვლო ურთიერთობა ჰქონდა მუდამ... მეგობრობამიც... ასევე სახელმწიფო სამსახურისადმი (ანუ როგორც ლევანი იტყოდა: ეშმაკისათვის სულის მიყიდვა) სიძულვილით, ლვინოში თავშესაფრის ძიებით...

მცირე განსხვავება მამა-შვილის შორის სწორედ ილბაში აღმოჩნდათ ლევანს თავისი ჯკუისა და სათნოების ცოლი შეხვდა: ყველაფრის გამგები, ყველაფერის ამტანი. მამამ სხვა სიყვარული არ იცოდა, არც რეზომ: მხოლოდ ვიკა — ერთდერით ამქვეყნად მაგრამ ვიკა სამუდამოდ დაარგა შორების მიზეზად ნიკა დახვადე იქცა. ეს ასე მოხდა: შედნაიერების მრველი წელს მიიჭურა, მორბე დაწყყო: — რეზო და ვიკა ერთად იყვნენ, ყველა მეგობარს უზიარებდნენ სახარულს, ერთხელ — იმხანად რეზოს აბლადაწყებული ჰქონდა მასწავლებლობა — მოსწავლის მშობელმა კახეთში მიიპატიკა: კარგად უნდა ვაქეიფო და პატივი გცეო, სახლიცა მაქვს, ყველაფერიცა, მანქანიტ წაგიყვან, ვინც ვსურდეს, მასტუმრე, ანდრონიკაშვილი ხაარო. რეზომ ცხადია, ვიკა და ნიკა წაიყვანა. კახეთში სამი ახალგაზრდულად თავაწყვეტილი დღე გაატარეს: ილხინეს მამა-პაპურად... მესამე დღეს თბილისში ბრუნდებოდნენ, მასპინძელი საქვს უჭდა, ნიკა, დილიდან არაყანსავამი მძლოს გვერდით თვლემდა. უყანა სავარძელზე კი არანაკლებ მთვრალი რეზო წამოწოლილიყო, თავი ვიკას კალთაში ედო და არხეინად ეძინა.

ასე იმზავრეს.

ჩამოსვლის შემდეგ ვიკას უგუნებობა შეატყო რეზომ. თავიდან არ უმხელდა ქალი, მერე კი გამოუტყდა: მგზავრობისას ნიკამ ხელი გადმომოიყო და მუხლებზე მიფათურებდაო, გაოგნებისგან ვერაფერი თილონე, ჩემსკენ არ იცქირებოდა, თავი საზურგეზე ჰქონდა მისვენებული. თითქოს თვლემდაო, ხელი კი თავისას შვრებოდა, კახის ქვეშ მიძერებოდაო, ძლივს მოთშორე, თან არ მინდოდა გაგლვიძებოდა და ეს დაგენახა — აკი თავი ჩემს კალთაში გედოო, საშინელებისგან გული კინდამ გამისკდაო, ტიროდა ვიკა. რეზომ არ დაიჭრა: „ან მოგეჩვენა, ან ცრუობო!“

„რა უნდა მომჩვენებოდაო? ან როგორ თუ ვცრუობო!“ გაოგნდა ვიკა.

„ეგებ მძინარეს შემთხვევით ხელი მოუხვდა. ან სიზმრად შეინძრა, შენ კი ავარბებო. ეგებ მძინარე უნებურად ხელს იჭნედა. შენ კი ბრალსა სდებო... ან თუ არა და. შენ იტყუები, მშაკაცა ჭინდა ჩამომაშორო, ქალური ხრიკე ბიპო...“

ვიკამ სიტყვა აღარ დასძრა. ადგა და წავიდა.

წავიდა და აღარც დაბრუნებულა.

რეზომ ბევრი იფიქრა ამ ინციდენტის შესახებ. ყოველმხრივ მოჩხრეკა, აწონდაწონა, გამოიკვლია და დაასკვნა, რომ აბსოლუტურ კეშმარიტებას ლეთისა და ეშმაკის გარდა ვერაფერს გაიგებდა.

ნიკასთვის ამის შესახებ არასოდეს არაფერი უთქვამს რეზოს. და-ძმა არ ჰყავდა და ნიკა იყო მისი ერთადერთი ძმა. ვიკას ტყუილი რად უნდა ეთქვა, მაგრამ ვინ იცის (ათასიდან ერთი შანსი ხომ არსებობდა, თუნდაც თეორიულად) ეგებ ცრუობდა, მაშ რაღა სინდისით წაეყენებინა ნიკასთვის ასეთი ბრალდება?! სულ ერთი იყო, გაიმართლებდა ნიკა თავს თუ ვერა, ამგვარი საუბრის შემდეგ რაც არ უნდა გარკვეულიყო — მათ ერთმანეთი უნდა დაეკარგათ.

არ დაკარგა ნიკა.

დღენიადაგ ზრუნავდა ნიკასთვის რეზო. ბოლო ხანს განსაკუთრებით წუხდა: არ მოსწონდა მეგობრის საქციელი, გრძნობდა, რომ ნიკას რაღაც უჭირდა, რაღაც ვერ დაეძლია საკუთარ თავში, რაღაც ვერ მოეგვარებინა... რეზოს უნდაღო როგორმე დაეფიქრებინა ნიკა: კარგად რომ დაფიქრდებოდესო, ფიქრობდა, მიხვდება თუ რა ცუდადაა მაგისი საქმეო, მაგრამ სავალალო სწორედ ის იყო, აღარაფერზე აღარ ფიქრობდა ნიკა. — ინერციით განაგრძობდა ცხოვრებას: საზოგადოების ავანგარდისკენ და სიამოვნებისკენ სწრაფვა რაღაც დაუოკებელ ინერციად გადაქცეოდა. რეზომ იფიქრა, იფიქრა

ყოველივე ამის შესახებ, სულთ ვტარა ეს საფიქრალი და ერთ მშვენიერ დღეს მიხვდა, რომ რასაც ნიკაზე ფიქრობდა, მართო ნიკას კი არ შეეხებოდა, არამედ ყველას: თვით მას — რეზოს, ნაცნობებსაც; უცნობებსაც მთელს შეყვანს.

ამა რამ მიხვდა, რომაიტაც მალე იყო, დაწერაღა უნდოდა...

მეორე რომაიტი დაწერა...

მეორე რომაიტი დაწერა... დადარდნილი...

მეორე — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს...

უცნაური ბედისა აღმოჩნდა ეს რომანი...

მაგრამ ახლა მწერალ რეზო ანდრონიკაშვილს, მამის სამარესთან დაფიქრებით მდგარს, „დაწერილი რომანის“ დარდი აღარ ჰქონდა...

თვალი ხედავდა მგლოვიარე სასაფლაოს, ყურს სწვდებოდა ქალაქის მოგუდული რისხვა, გული გაქცევებულიყო აფეთქების მოლოდინში, ფიქრი კი ქართულ სიტყვებს უაღერსებდა.

თავი XXI

ფარნა

„მრავალ ყმაწვილო-კაცო, ნუგეშოა ქართლის დასდევს აქ თავი მამულისათვის.“

ნიკ. ბარათაშვილი „ბედი ქაჩოღისა“.

ფარნამ ერთხელაც დარეკა ზარი, თუმცა მიხვდა, შინ არავინ იყო; დეიდა მაცა, ალბათ, საავადმყოფოში მორიგეობს, რეზოს კი, თუ რამეს არ წერს, სახლში გააჩერებ დღისით?.

ფარნა ერთი სართულით დაბლა დაეშვა კიბეზე და საფოსტო ყუთის უკან მდებარე საიდუმლო სამალავიდან გასაღები აიღო, უკანვე აბრუნდა და რეზოს ბინაში შევიდა.

ფარნა ამ ოჯახის სრულუფლებიან წევრად იყო მიღებული.

ოთახებს, დეიდა მკაცრ წესისამებრ, კრიალი გაუდიოდა. კედლებიდან ამყვად იმზირებოდნენ ჩოხოსანი, უღვაშებდაპრეხილი ანდრონიკაშვილები, კედელზე ეკიდა საგვარეულო ხმალი, ლეთისმშობლისა და წმიდა გიორგის ხატები და ვერცხლით მოკვედილი ორლიტრიანი ყანწი.

ფარნა რეზოს საწერ მავიდასთან ჩამოკვდა, ზელნაწერი გადაფურცლა. მიყვანო ადგილს, სადაც იმ დღეს რეზომ კითხვა შეწყვიტა: ჩვე დანგეყოტის მეგობარი „ტილიანები“ პოლიტიკურ მკვლელობას ამზადებდნენ. მართალია მოქმედება სადაც და ოდესაც — არასებულ ქვეყანაა და შორეულ ისტორიულ წარსულში იყო გადატანილი, მაგრამ რეზო შეუფარავად გულისხმობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობას ჭარბველი სოციალ-დემოკრატების მიერ. „ტილიან მონათა კავშირის“ წევრები ვამალებით ამზადებდნენ აჯანყებას, მაგრამ ჭერ ბოლოდურ კრუსის გზიდან ჩამოშორება იყო საჭირო, რადგან მისი ამაღლებული იდეები „ტილიანთა“ შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდა. ისინი თავისებურ უზადარტყ მონურ მომავალს უზადებდნენ ხალხს: „ტილიანის“ დიქტატურის დამყარება სურდათ... შემდეგ „ტილიანთა“ მეთაურმა ხელის გასაფარჩიშებლად მოკვლალარიბი მეთევზე...

ფარნას რეზომ შეაყვარა სიტყვა... რეზოს ზელნაწერი სიტყვისადმი მოწიწებითა და თავყვანისცემით იყო განსკვალული.

სიტყვა... სიტყვა... სიტყვა... სიტყვას დიდი და დაწერილებითი ძიება სჭიროდა, გულდასმით ძებნა და ზრუნვა, თორემ სხვებრ სიტყვას რა დაკავება: გაიქცეოდა, გაფრინდებოდა, გაფრეცლებოდა და მტკივნეულ სიყარიელეს დავიტოვებდა, ზოლო თუ სწორად. აზრიანად, წრფელად, პატიოსნად, ბუნებრივად და ყვითლად მოიძიებდი, თვით მოგძებნიდა და დაგაჩილოვებდა...

იმ კრეტინმა ნიკამ კი სიტყვა ფარ-

ჩრიდან გადაისროლა, ითქუა ფარნამ, სიტყვა დაპურობილ ვალაში მომთხანა... — თვითონვე უკაც უკაცრად მოსაზრებელი ვალამფრა.

რა ხანია ლექსი არ დაუწერია ფარნას.

მარცხნული

ხეტავ მხოლოდ მოვიღოდი რეზოს ოთახში აიყის მთლით, თვალქში — ავედილი პირველი დიდი... ელიმანტი სახატებთან, გათხავთკიაა...

ფარნას თავისი ბიჭებიც ყავს სანახავი, მაგრამ ჭერ რეზოს ნახვა ეჩვარება, უნდა უამბოს ვეეთაშვილთან საუბარი, საბატიმროს შობავტილებები... საერთოდაც, ბევრი რამაა სალაბარაკო. ბევრი რამ ახლებურად გასაზრებელი... რამ დააწერინა რეზოს ეს უცნაურუჩვეულო რომანი. ახლა ამის კითხვის თავი არა აქვს ფარნას. შეუძლოდ გრძნობს თავს. ესეც რომ არ იყოს, არ არის დღეს რომანების წერაკითხვის დრო!

ცხელა ანდრონიკაშვილების ფერახუნებული ფოტოებით საესე ოთახში. ან იქნებ, ავად არის ფარნა, სიტყე აქვს ეგება: თავბრუ ეხვევა, სხეული უზუფდება, კუჭთან ტკივილს გრძნობს, თითქო სუნთქვაც უჭირს... არა, არც ავადმყოფობის დროა ახლა!

დედას როდისლა ნახავს?

ნეტავ ძმა ეყოლება თუ და?

იზადებიან და იზადებიან ადამიანები.

ფარნამ ფანჯარა გამოალო. ფანჯრიდან გაზაფხულის სიგრილე შემოიჭრა ოთახში.

ქუჩაში ჭარისკაცები მოდიოდნენ ჭგუფად: შეშინებული და დაბნეული რუსის ბიჭები.

ფარნას თავისდაგასაოცრად შეებრალო ისინი.

„რას ერჩიან ადამიანები ერთმანეთს?“ გაიფიქრა, „რატომ არის ასე?... როგორ, რა გზით უნდა აირილოს კაცმა გაბოროტება? ნეტავ რას მიქადის ბედი: ათას უბედურებაში გავლას? თუ საშუალებას მომცემს სწორად, ადამიანური გზით მივიღე უბრალო სი-

მართლესთან, რომელიც სიავისა და ღვარძლისგან თავდასაღწევად გზას მასწავლის? ნეტავ ასე იყოს".

ფარნამ მზერით გააცოლა ქარისკაცები. ისინი უსასოოდ მიაბიჯებდნენ უცხო მტრულ ქალაქში.

გაზაფხულის სიგრილე ეხედებოდა შესვლიდანსავე. ფანჯარა მოხურა...

მართლა ცუდად გრძნობს თავს დღეს. ალბათ, ბიჭებს ვეღარ ნახავს. ჯობია რეზოს დაელოდოს, საღამოს კი შინ მივიდეს, დედასთან.

„რა შტერი ვარ, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე დარეკვა!“

ფარნა ტელეფონს დასწვდა, ნომერი აკრიფა.

— ალო, დედა! პო, მე ვარ!.. ყველაფერი წესრიგშია! კარგი ახლა, ნუ დაიწყებ შენებურად!.. რა არის საიტრიალი?! მარტო ვარ?.. საბაშია?.. რეზოსთან ვარ, რომანი გამომატანა იმ ტიპმა!.. ვეცდები მოვიდე! პო, კარგი, ვეცდები-მეთქი, გითხარია!..

ფარნას გული არ მიუწევდა დედის სახლისკენ, რადგან იქ ნიკა ეგულებოდა. არ ეუყვარდა მაშინაცვალი ფარნას, თუმცა ცდილობდა ამ საყიბში თავის-თავის მორჩულებასა და ლაწირაკული ეკვიანობის უგუნური ჰინჯის დათრგუნვას. იმედი ჰქონდა, რომ მომავალი შობა (თუ და) გადაალახვინებდა ამ სიმწელეს.

ფარნა ბევრ ძალას ხარჯავდა საყუთარი ხასიათის გამოწრთობისათვის, თვითფლობის გაძლიერებისთვის, დროთა კვალდაკვალ, მით უმეტეს პოლიტიკური პერიპეტეიების მეოხებით, წარმატებასაც აღწევდა: მისი სულიერი წყობილება სიმტკიცეს იძენდა.

„მოდი, ცოტას კიდევ წაფიქრობავ, აბა რა ვაქეთო“, გაიფიქრა, „მაიკივარში შეძრომა უბერბულია, თორემ შეეკამფი რამეს“.

მეოთხე დღე იყო, პირში ხემსი არ ჩასვლოდა..

მაგრამ კითხვის ნაცვლად პოლში გავიდა და კარის გასწრივ დაკიდებულ სარკეში ჩაიხედა.

შეკრთა, ვიღაც ტუტში უცქერდა და იტყობდა: ფეხლებზეცენილი გიტანჯული, ფერდაკარგული..

უცებ იგრძნო, დამეგვილი ჰქონდა სხეული, ტუფილე მიეძალა.

შოშმა შეიპყრო, თავებზე დაეხევა, ბოხადან დასტყუნა რიბნისი, თვლით დახეხნულდა და აიტანა ღამე.

ჰინჯვლებით დაეფარა სხეული...

„მგონი ვცდები“, გაიფიქრა ფარნამ, „მა ველ დედაჩემს ცოცხალია? კ“

არა ვარ, ბევრია? ცოტაა? გააჩნია ათვლის სისტემას, ღირებულებათა და რაოდენობათა კრიტერიუმს, საერთოდ— ბევრ რამეს გააჩნია“. თითქოს ამას ფარნა კი არ ფიქრობდა, არამედ ეგეთაშეილი ელაპარაკებოდა მენტორის ტონით.

სხეული მოუდუნდა, თითქოს პატარა ბავშვად იქცა: დედა ამინებდა:

— ნა-ნა-ნა-ნა!


„ასე უაზროდ და უსახელოდ სიყვდილი?“ — გაიფიქრა ფარნამ, ჰინჯვლები კვლავ დაეცოცვდნენ სხეულზე...

„იქნება წამოვდგე. აბა, ჰე, კაცო: აბა: ერთი და ორი! ხელებზე წამოიწია, წამოდგა და საბაზონოსკენ გალასლასდა.

წყალი მოუშვა, სახეზე მოისვა სველი ხელი, პირისაბნის თავზე დაკიდებული სარკიდან მიცვალბულისფერი უცხო სახე უმზერდა აძლერეულად.

პეშვით დალია წყალი... ხანჯალივით გაუსერა ციკმა ყლუშმა ყელი... საშინელმა ტუფილმა დაუარა სხეულში, სუნთქვა შეეკრა, ფარნამ ეუჭუე იტაცა ხელი და დაიკრუნჩხა..

„იქ სადღაც წამლებია“, გაუფლავა დანისლულ გონებაში, ორად მოკეცილი გამოლასლასდა საბაზანოდან, ოთახში შებრუნდა, კარადის უჯრა გამოალო წამლებით სავსე, მაგრამ რა იყო და რა წამალი უშველიდა ან რისგან იყო ასე ცუდად, შიმშილისგან?.. ცემისგან?.. მოწამლისგან?.. ნერვიულობისგან? „გული! მთავარია გულმა არ მიმტყუნოს!“ „ვლიდოლს მივანო, ერთი აბი ჩაიგდო ენის ქვეშ, პიტნის გემომ



გული აერია, სასწრაფოდ გადმოაფურთხა წაძალი.

ფეხზე დგომა ვეღარ შესძლო. იატაკზე დაეცა... „ამბობენ სიკვდილის წინ ადამიანს განვლილი ცხოვრება გაუჩრბენს თვალწინო... მგონი არა გვედები, რაღაც არაფერი მაგონდება...“

ოდნავ უკლო ტკივილმა. თვალშიც სინათლე მოუბრუნდა. ოღონდ განძრევის თავი აღარ ჰქონდა. სუნთქვა უჭირდა. „რა ქვია ამას?“ ცოცხლს განაგრძობდა თავგზააბნეული ფიქრი, „ამათია კი არა... რა ქვია ამ მდგომარეობას?... არ მახსოვს... რაში ვარ?... ვარ... ხარ... არის... ვართ... ხართ... არიან... უღვლილება... უღლება, უღელი... მეუღლეობა... გობი... შეგობრობა... გზა... მეგზური... მეზავრი, მოგზაური... ვაი, დედა! მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაი შენი იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეთა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენი კითარცა ჩვენ მივეუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაძღვლსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ. ამაზე მეტი რაღა შეიძლება ვთხოვო? ეავ სიყვარული, უფალო! დრო შეჩერდა... ეტყობა ჩავიმათარე გზა და ამიტომაც შეჩერდა დრო. ყველაფერი მორჩა... რაღა აზრი აქვს ადგილის ტყეპნას... მორჩა და ვათავდა... მეზარება წამოდგომა, მეზარება ფიქრი... მეზარება ხედვა... სამყარო შეიკრა მგლებისა და ავი ძალების ვეება ხროვად, შემოგვსევნიან და გვიყუფენ... ჭობი ძალუმს, ტყვია მგლებს; ძველებსაც და ახლებსაც, მოყვრებსაც და მტრებსაც... სიკვდილი მაგათო... ალყაში ვართ... უნდა ავფრინდეთ... გავარღვიოთ ალყა... სიკვდილი!... მაღლა... სინათლისკენ... სინათლისკენ... ბნელა.“

...გარეთ გაზაფხულის მოწმენდილი დღე იდგა... მიწისქვეშა აეროდრომიდან სამხედრო რეაქტიული თვითმფრინავი

ნავი აფრინდა. პილოტი ქვეთველი იყო. ჭერ ზევით ასხლტა. ზედაპირითი სიჩქარით აიწია და გამობრუნდეს თეთრი, ქათქათა ხაზი ააულო ლურჯ ცაზე. მერე მკვეთრად მოტრიალდა. ორმოცდასულს გადაესრინა. მწირობა კუთხნი დაეშვა დასასრულს. მან არავ გამოჩინა. რათა ხაზი არ გაველო ცაზე. საჭირო წერტილს რაღა მიიღწია, კვლავ ამოშავა მაქის. მკვეთრად უფეში ამოტრიალდა, საწინააღმდეგო მიამართულებით გააქროლა თვითმფრინავი და ახლა პორიზონტალური თეთრი ხაზი გავლო, წელან გავლებულის გადამკვეთი... სამხედრო პილოტმა ამ მანევრით ვეება ჭვარი გამოსახა ზეცაზე. და... გაუჩინარდა.

ვეება ჭვარი კარგად მოჩანდა ანდრონიკაშვილების ფანჯრიდან... მაგრამ ფარნა ველარაფერს ხედავდა...

თავი XXII

გამომძიებელი

„ის მღვდელი, ვინც მსჯავრდადებულს უკანასკნელ აღსარებაზე სინანულს დაიფინებდა, თორმეტ სულ იღებდა“.

ზარლ და კობტერი „უღუნვაილის ღეჯინა“

გამომძიებელი აკაკი ეგეთაშვილი დიდხანს იჭდა თავის კაბინეტში და ფიქრებს მისცემოდა. „კარგიოთ, რომ ამ სულელურმა „პროკლამაციების საქმემ“ სხვა უფრო ბნელსა და ცოდვიან კირს ამაშორა ამ არეულ დღეებშიო, ფაქტიურად, უსაქმურობაში გავატარე მთელი ეს კვირაო, სინდისსთვის ასე ჭობიოთ“. კაკოს წინ ფურცელი ედო, ხელში კალამი ეჭირა. ახლა გამოძიების დასკვნა უნდა დაეწერა და საქმე დაეხურა. ქუჩაში გადაყრილი ხელნაწერის შესასებ აღარაფერი ჰქონდა გასარკვევი. თითქოს ყოველივე დღესავით ნათელი იყო, მაგრამ კაკო ეგეთაშვილს მაინც ოდნავი გაურკვეველობის ბურუსი ამძიმებდა, რაღაც იღუმალი მღელვარება გულისცემას უჩქარებდა, სევდიან განწყობილებას.

ტენისწამლები ყრუ კბლისტკივილი ერთოვოდა და ფიჭის ურევდა. კაკო ცდილობდა დაეძლია კბლის ტკივილი, ამაღლებულყო მასზე... მეზობელი კაბინეტიდან ვილაყების არაფრის-მთქმელი ყაყანი მოესმოდა. ესეუ ხელა უშლიდა. მაინც ცდილობდა ეფიქრა. ეგებ თავი კვიციანი მგონია. სინამდვილეში კი ჩემი საქციელი სისულელის კასკადია და სხვა არაფერიო. მართლაცდა, რად უნდოდა ამდენი მიეთ-მოეთი ამ საქმეს: პირველსავე წუთს ვაირკვა, რომ ფურცლები პროკლამაციებად უტვინიო სამხედროებს უსაფუძვლოდ მოეჩვენათ, სინამდვილეში კი ეს იყო მხატვრული ნაწარმოები, რომლის ლიტერატურულ ლირაებებს არავითარი იურიდიული ასპექტი არ გააჩნდა. მოქალაქეებმა დაარღვიეს კომენდანტის საათის წესები — კი ბატონო, მაგრამ რა შეაშია აქ სახელმწიფო უშიშროება... ეეთილი: რაან ეკვი გაჩნდა, უნდა შემოწმებულიყო კიდევ... მაგრამ პირველსავე წუთებდან ვაირკვა გაუგებრობა: ეს იყო კერძო შემთხვევა და არავითარ კრიმინალურ ან პოლიტიკურ ქმედებას ადგალი არ ჰქონია. მაშ რალა ჭანდაბად შეალია კაკომ ამ საქმეს რამდენიმე დღე?...

კვლავ მოისმოდა შემალიონებლად უანრო ლაპარაკი გვერდითა ოთახიდან. ესეთებოდა ფიჭრთა მდინარებას. ფანჯრიდან მოპირდაპირე სახლის ფრაგმენტი მოჩანდა. კბილი ნაცემი ძალღოვით ყმუოდა.

კაკომ კონიაკი მოიძია კარადაში, დაისხა და გადაკრა, ეგებ ტკივილი დამიაძღესო. საათმა ექვსი ჩამოკრა, კონიაკი ცხლად ჩაელვარა კუჭში. კაკომ ბოთლს დახედა. ბოთლმა მისი სუფთად გაპარსული პირისახე აირეკლა. კაკოს ყელში ბურთი მოაწვა და ტირილი მოუნდა უმიზეზოდ... ნეტავ სად არიან მისი ძველი მეგობრები: თანაკლასელები, თანაკურსელები... ისინი აღარ არიან კაკოს მეგობრები — თანაკლასელები, თანაკურსელები?..

ისინი აღარ არიან კაკოს მეგობრები არმხრჩვი უსურველობის გამო... გაზაფხულის საღამო დგება... სულდენტობისას განსაკუთრებული ბედნიერება ახლდა ვაზაფხულს... ამ სიტყვამ: „ბუნდარეებამ“ დიდი ხანია დაკარგა მინარტი. დღესეტელ საქმეს დავმსგავსა... საშინელება მოხდა... მაგრამ შეიძლება უპირისპი მომხდარიყო... შეიძლება, ვეღა მოხდეს ესეუ... ნეტავ არ მოხდებოდეს... თუმცა — თუ მოახდენია, დაე მოხდეს... ჭანდაბას ყველა და ყველაფერი... კაკოს არაფრის არ ეშინია... დაწერა დასკვნა: მოქალაქე დანგაბის ბინაში თორმეტ აპრილს ღამის მწერალი ანდრონიკაშვილი თავისი რომანის ხელნაწერს მასპინძლებს უკითხავდაო. პიროვნული ჭიშმობის და შურის ნიადაგზე დანგაბემ ხელნაწერი ფანჯრიდან ვადმოვადლო, ბოლო დანგაბის ცოლმა და გვარმა კუქრაში გაფანტული ფურცლების შეგროვების მიზნით კომენდანტის საათი დაარღვიეო... და ასე შემდეგ... ერთხანს შეჩერდა და ჩაფიქრდა: ისე, მართალი თუა, აქ რომ პიროვნულ ჭიშპობასა და შურს ვასახელებ ნიკას საქციელის წარმმარველადო...

იჭდა და ფიქრობდა ფანჯარაზე თვალმიშტერებული. ფანჯრიდან მოპირდაპირე სახლის კუთხე და ბინდმორეული ცა ჩანდა. ვაზაფხული ძალას იკრებდა. ღამაზღებოდა ქვეყანა. ჩამავლი მზე შექსა და გრძელ ჩრდილებს ჰფენდა მიდამოს. კაკომ ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა. დაასკვნა: პრინციპში მაინც ასეა: ჭიშპობამ და შურმა მოახდინა ეს საქმეო... დამთავრა დასკვნის წერა, წერტილი დაუსვა „პროკლამაციების“ საქმეს... ასეთი შემთხვევისათვის გამომძიებელ კაკოს ეგეთაშვილს სპეციალური ტერმინიუ ჰქონდა მოგონილი და ახლაც, ბოლო წერტილის შემდეგ აღნიშნა:

— ესეუ შეეკამნარულე! საქმე შეეკმნასრულებულა! საქმე შეეკმნასრულებულა, სასაქმეში ჩაეკმნასრულებულა!

თავი XXI

მწერალი

„აქედით ზეცას და იქითით: „შექმა ვარდი ბატონმა თუ არა?“ და დინახავთ, როგორ შეიცვლება ვეველაფერი...“

ახტუან დე ხეზტ-ფეზუჰერი
„ბატონა უფლისწული“.

მწერალი რეზო ანდრონიკაშვილი სასაფლაოდან წამოვიდა და ფეხით გაუყვია თბილისის ქუჩებს. დალილი-დაქანცულს შინ წასვლა უნდოდა. იგრძეცვლილი, აფორიაქებულ-რიახვამორებული ქალაქის შემხვედრე, ფიქრობდა, რომ ამიერიდან ყველაფერს: ხალხსაც, საქმესაც, მოვლენასაც — სულ სხვა აზრი ეძლეოდა, სულ სხვა ფასი ედებოდა, სულ სხვა კუთხით შეეხედებოდა. ეს მეტამორფოზა, ცხადია, რეზოს რომანზეც ვრცელდებოდა. რეზოს ჯერ ვერ ვაგვგო, კარგი იყო ეს ამბავი თუ ცუდი: რომანთან მიმართებაშიც და, საერთოდაც, თანამედროვე ადამიანება შორის მსოფლმხედველობრივი გათიშულობის სხვადასხვა წყენახების კვლევა. ამ განსხვავებათა მიზეზები და შედეგები, უსამართლობით ტანჯული ადამიანების: სულიერად დამაინჯებულების, ზოროტების მსახურებად ქცეულების, გაარაფრებულების ასახვა, ერთი სიტყვით — მთელი რომანის შინაარსი ამიერიდან სულ ახევაგარად უნდა აღეკვა მკითხველს. როგორ? ეს რეზომ ჯერ არ იცოდა. წელიწადზე მეტი დროის მანძილზე დღე-ღამე გასწორა, რომანის თითოეული ფრაზა დაამუშავა, იზრომა, იფიქრა, შეთბნა და შეაწონასწორა, ზოროცი შეასხა, ააწყო, დაწერა... ახლა კი აღარ იცოდა. რა აზრი ჰქონდა მის ნაღვას. ანდა საერთოდ ჰქონდალა აზრი?

დაუბრუნებს კი ის ჯამში ხელნაწერს? თუ საქმეს დაურთავს ნივთმტკიცებად? იქნებ ასე სჯობია კიდევ... ქალაქი არჩახულ, ენითღუწერელ უბედურებას ინელებს... ბავშვები, ქა-

ლები... ჩამოღამდა... რეზო დაიღვინა ახლა შინ მივა და რიბმეს წაიკითხავს, ანდა დაიძინებს — თუ დაიძინა... ეგებ დალიოს კოტა... წერას კი, კლბათ, ერთხნობას ველორ შესძლებს... ანკი რა უნდა დაწეროს... წერის გორკველი ღობე და სამშვიდე სტორია.

რეზოს ხელნაწერის დაკარგული ტერტი დახსენია: სად გეჭირა წერიკი იმ გვერდს? სად ჩარჩა? სად ჩაიფარა? ქუჩამ ჩაყლაპა, სამხედრო დიქტატურამ მიითვისა, თუ თვით ეშმაკმა მოიპარა... ის გვერდიც ხელახლა დასაწერი... თუკი, რა თქმა უნდა, ხელნაწერს დაუბრუნებენ... მაგრამ ახლა იმ გვერდასაც ვერ აღადგენს რეზო... სიცარიელე იმ გვერდმოგლეჯილივით სტკიოდა გულთან...

ჩამოღამდა ქალაქში... რად მიდიხ საბლში? რა უნდა აკეთოს მარტომ? არა: სჯობია დედასთან წაეიდეს, საავადმყოფოში.

ღედა! — ეს სიტყვა აღმოჩნდა ყველაზე ძლიერი ამ მძიმე წუთებში, ეს ჯადოსნური სიტყვა: თბილი, საყვარელი ინტონაციის შემცველი, უმწიკვლო, კეთილი... ღედა ყოველთვის ელოდება შვილს და სადაც ღედა ეგულება, შვილს იქ მუდამ მიესვლება... იმედმა შეავსო გვერდმოგლეჯილი სიცარიელე.

რეზოს ღედა — ქალბატონი მაკა — ეჭიშია და რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობს. ეს ერთი კვირაა დღე-ღამე სამსახურშია, წამით არ ტოვებს მოწამლულებსა და დაქრილებს, ჰოდა, რეზომაც საავადმყოფოსკენ აიღო გეზი.

ჩქარობდა რატომღაც. სიცოცხლის მიზანი გაუჩნდა. სასწრაფოდ უნდა ენახა ღედა. რატომ? ეს რეზომ არ იცოდა და არც აინტერესებდა. რამდენიმე დღე იყო, ღედა არ ენახა. განვლილი დღეების სიმძიმემ მხრები ატყინა, დაღალა რეზო, ის წყარო კი, საიდანაც სული ახალი ძალით აღივსებოდა, ღედა იყო...

საავადმყოფოში შევიდა, ნაცნობმა კარისკაცმა შეუშვა. დერეფნებში უჩვეულო ხალხმრავლობა იყო, გაისმოდა

სიტყვები: „ანტიდოტი... ასფიქსია... ექსპერტიზა...“ პალატებიდანაც უჩვეულ ხმაურს გამოდიოდა: ყვირილი, წევვლა-კრულვა, გინება... რეზომ საორდინატორის მიაშურა. გზად თეთრ-ხალათიანებით შემოჭარული საკაცე მოეფეთა, საკაცეზე თხუთმეტობდე წლის ფერმკრთალი ბიჭი იწვა.

— დედაშენი ზემოთა, საოპერაციოში. — დაუძახა რეზოს ექთანმა ქალმა. — შედი ჩვენთან, დაელოდე.

რეზო შევიდა საორდინატორში. იქ არავინ იყო. მოწყვეტილ დაშვება თეთრ-ზეწარგადაფარებულ საწოლზე. სახე ხელებში ჩამალა.

დახუჭულ თვალთა წინაშე ქვეყნიერება უკულმა ტრიალებდა და ბნელეთისკენ მიჰქროდა.

თაზი X XVI

ფარნა

„ღაბ, პატონო, ავილით და გაერკოი ინგლისელები“.

ვან ანუი „ტირილია“.

ფარნა უეცრად გაჩნდა რესპუბლიკური საავადმყოფოს საორდინატორო ოთახში მძინარე რეზო ანდრონიკაშვილის სიზმარში. მაშინ, როდესაც არემარე თავგაჩეხილი, ყელგამოკრილი, დამღრწვალი, ტყვიით დახვრტილი ადამიანებით აივსო, ხოლო თვითონ რეზო ამ კომპარული მიტინგის ტრიბუნაზე მდგარი არაადამიანურად ღრიალებდა: „თქვენი დე-ე-და!..“ სწორედ ამ დროს დასახიჩრებულ თუ საფლავებიდან წამომდგარ ქართველთა შორის, ფარნა წამოიმართა და დაუყვირა:

— რა იყო, რეზო?! რამ აგრიო, კაცო?!

— იმიტომ ავირიე, იმიტომ გამოქირდა, — თავი იმართლა რეზომ, — რომ მარტობას — ამ ვაჟკაც მასწავლებელს ვუღალატე, უფრო მეტი ერთგულება მმართველმა მისი, მე კი მოე-

ვლენდი, მოვიჩვიარე და ლაჩრად ვიქეცი.

— რას მიქვია ლაჩრობა! — დაიგრგვინა ფარნამ — რას მიქვია სისუსტე, მაგისტოვის იტანჯეთ ამდენ ხანს?! სომ ხელდე, კაცო, რევაზ ანდრონიკაშვილი, ცხოვრება ახალ გამოცდას გვიწოდებს. ახალ განსაცდელს გვეჩვენებს და აღბალო, როგორ შეგზავა თუ არ ზღაჩრებ, თუ არ ისუსტებ, თუ არ ისულსწრაფებ და არ ისულმოკლეებ, მაშინ ჯილდოდ სიკეთე შეგრჩება, ხოლო თუ იმჩატებ და იძალდოთაირებ — შხამად გექცევა სინათლე, გამაგრდო, რეზო, კაცურად მოიქეცი, კაცურად! შეეცადე შენი სათრევი ტვირთი სხვას არ გაუნაწილო, მარტომ ზიდე, თუ მაგრამ ფარნა მოახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ეს ცხოვრება ბავშვური თამაში აღარ არის, გაიგე! — უპასუხა რეზომ, მაგრამ ფარნა მოახლოვდა ყურში ჩასჩურჩულა:

— ცოტა დინჯად, მშვიდად და აუჩქარებლად იარეთ, მშვიდად იჩქარეთ, ფეხქვეშ ნუ წაუწვევებით სულსწრაფობის სულელ დემონს, მტკიცე ნაბიჯით იარეთ, სიმშვიდისა და მოთმინების გზით ვლეთ და უზენაეს სთხოვეთ ბოროტსა და ბიწვიერს განგარიდოთ. ტვირთი იტვირთეთ და პასუხი აგეთ ერთმანეთის წინაშე, რაც არ შეგიძლიათ, იმას ნუ მოეპოტინებით, ნურც თავს მოიტყუებთ და ნურც სხვას.

რეზომ მიიხედ-მოიხედა... ის და ფარნა ქელებში იხსდნენ, წ მაგიდას მგლოვიარე წვერმოშვებული მამაკაცები და შავოსანი ქალები უხსდნენ, კიკები სისხლით იყო სავსე, თევშებზე საჭმლის ნაცვლად აირწინალები ეწყო...

— ყრუ ტყვილებს კიდევ გაუძლებს კაცი, მაგრამ მწარე და მწვავე ტყვილის მოთმენა ძნელია, — წარმოთქვა რეზომ.

— ძნელია, — აიტაცეს წვეროსნებმა და შავოსნებმა, — ძნელია, ძნელია, ვაი რა ძნელია! — წამოიწყეს ხალისიანი სიმღერა.

„დემოკრატიაში, დემ-დემ-დემ“, — ახ-
მინდა დოლო.

— ტრრრ! ტაშ-ტაშ-ტაშ! — ყვი-
რდნენ მონადირენი.

— მოდით, ხალხო, რაიმე უფრო
იოლო და მარტივი ვიმღეროთ. მაგალი-
თად, „შენ ხარ ვენახი“. — წინადადე-
ბა შემოიტანა თამადაძე.

ფარნა კვლავ ატურჩულდა:

— ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გას-
კვრით. გაიგეთ, თქვე საწყულებო...

— გვიხსენ და გვალხინე, უფა-
ლო, — ლოცვა აღმოხდა რეზოს.

უეცრად ყველანი გაუჩინარდნენ. სა-
ნადიმო დარბაზი საკლასო ოთახად იქ-
ცა. ფარნა დაფასთან იდგა, რეზო კი
მერბზე იჯდა.

— წერე, — ეუბნებოდა ფარნა, —
წერე!

— უნდა ვწერო, სხვა გზა არ არ-
ის, — დაეთანხმა რეზო. მერე მიმოი-
ხედა და ახლავდა შენიშნა, რომ მარ-
ტო იჯდა ცარიელ კლასში, თანაკლასე-
ლები „შატალოზე“ გაპარულიყვნენ.

— ყველა წავიდა. ვიკამაც მომატო-
ვა. — დაიჩვილა რეზომ.

— არა უშავს, — დაუჯავა ფარ-
ნამ, — არაფერია. თუ მიგატოვებს, შე-
ნი ვალია. ვაეკატურად აიტანო ეს.
იმედი უნდა იქონიო, რომ ყველაფე-
რი გამოსწორდება. შენ მინც უნდა
გვიყვარდეს! სიყვარულს სიყვარული,
სიკეთეს სიკეთე მოაქვს. გადაყვარებას,
შეტულებას და სხვა ბოროტებას კარგი
არაფერი შეუქმნია. ბოროტებასთან
შეგუება, მისში მოთმენა და ატანაც არ
შეიძლება... ეს იგივე, ბოროტებაა...

— მიჭირს, მასწავლებლო, — თქვა
რეზომ და ცრემლები წასკდა.

— არაფერია, გაუძელი. ღმერთი ჩვენ-
თანაა.

კლასის კარი გაიღო და დედა შემო-
ვიდა, თეთრი ხალათი ეცვა, გადაჭან-
ცული სახე ჰქონდა.

რეზო შეკრთა და გამოელევიდა.

— დიდი ხანია აქა ხარ? — ჰკითხა
დედამ.

რეზომ ნაშინაირი მზერით მოაძეა-
ლიერა სარდინატორი.

— რა გოგონელი ტრიალებს ღმერ-
თო, — თქვა დედამ და გვერდით მი-
უჯდა, რეზომ მკერდზე მოაყრდნო თავი
დედას. დედა თმებზე მოჭყერა და კე-
ფაზე აკოცა.

ერევნული ბიზნესორთქვა

— ცოდე, დაეგო — შემოყარა ჩემივე თავი,
ოკეოთხოვობამ სული ჩემი მონადირი.
და რადგან ვატყობ, ძალა არ მაქვს გუშისთან
დავის,

ამ სენისაგან ევროფერი მიხსნის ადვილად“.

უილიამ შექსპირი. II-ე სონეტი.

რევისორი ნიკა დანგაძე ლანასთან
გატარებული სამდღიანი „არდადეგე-
ბის“ შემდეგ, როგორც იქნა, მოერია
თავისთვის და შეინსყენ დაიძრა... ქუ-
ჩაში რომ გამოვიდა, უკვე ბნელოდა,
ათი საათი ხდებოდა. ტაქსის გაჩერება
უნდოდა. მაგრამ ამ დროს ტროლეუ-
ბუსი ჩამოდგა გაჩერებაზე. ნიკამ გა-
დაწყვიტა დრო აღარ დაეკარგა. ავბე-
დითი თერთმეტი საათი ახლოვდებო-
და, ამბობდნენ, დღეს ბოლო დღეაო
და ვინ იცის, ეგებ გამოსამშვიდობე-
ბელი ტყვეები გვითავაზონ ძვირფას-
მა ოკუპანტებმაო, გაიფიქრა ნიკამ.
ტროლეიბუსში ავიდა და მძღოლის კე-
ბინის უკან თავისუფალ ადგილზე ჩა-
მოქდა.

თავს სუსტად გრძნობდა რევისო-
რი ნიკა დანგაძე. საღაროში შაურიაანი
ჩაუშვა და ბილეთი მოხზია. შენიშნა,
რომ ხელი უკანკალებდა. დადლიობი-
საო, გაიფიქრა. ცუდ გუნებაზე იდგა.
„ტრა-რა-რა, ტრა-რა-რა, ტრა-რა-
რა“ — გონებას გულსიგამაწვრილებ-
ლად აკეოატებოდა ლანას ჩანაწერები-
დან გამოყოლილი საცეკვაო ჰანგი.
მიყანყალებდა ტროლეიბუსი უკაც-
რიელ, ბნელ ქუჩებში. რევისორი ნი-
კა დანგაძე ფიქრობდა არაფერს...

ავადმყოფივით იყო... თუ ავადსამყოფივით...

— საავადმყოფოში გადაყვანას აზრი აღარ აქვსო, — ელაპარაკებოდა უკან მჭდომი შუახნის კაცი ხანშიშესულ ქალს.

— დედა, დედა! შეილო, შეილო! იცრემლებოდა ქალი.

— ეჰ! — ამოიხრა კაცმა.

— კი, მაგრამ მთავრობა რას მოიხსენებს? — იკითხა ქალმა.

— სად გვყავა მთავრობა? — გაუყვირდა კაცს.

„რევოლუციაა ნამდვილი“, — გაიფიქრა ნიკამ, — „ეინლა გადაძალები-ნებს ფილმს ამერიკაში?! თუმცა კაცმა არ იცის, ეგებ ახლა უფრო იოლად მოხერხდეს“.

ტროლეიბუსმა გზის ოღოზოღოლო მონაკვეთზე გადაიარა და დახანზარდა. ნიკაც — ტროლეიბუსში მჭდომი — შეირყა... საქართველოს ამბავიც ასე იყო: დახანზარდა და თავისი ერთ-ერთი ნაწილაკი: რევოსორი ნიკა დანგაძეც დააზანზარა...

„სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვზე ვკიდევართ“, იფიქრა ნიკამ. „ნეტავ რა ზდება: მონობის დასასრულის დასაწყისია თუ ახალი მონობის?... ეს უკვლავური ნელ-ნელა, მისხალ-მისხალ და ნერვების მომთხრელად გაირკვევა... შესაძლოა არც გაირკვეს... ასეა...“


— აბა როგორ, ქალბატონო ტატიანა, დიქტატურა ჯერ კიდევ დიქტატურაა, — განგრძობდა ლაპარაკს უკან მჭდომი შუახნის მამაკაცი, — დემოკრატია დიქტატურას არასოდეს არ მორევიდა და ვერ მოერევა...

„ეჰ... ამაზე ლაპარაკს რა აზრი აქვს“, იფიქრა ნიკამ, „ჯობია ჩემს საქმეს მივხედო ხვალდანვე, ნეტავ არ გამოიჭიანურდეს ფილმის საქმე, ხვალ, მგონი, მიეთრევიან ესენი, უჰ, რამდენი საჩაღოლო დაგროვდა... ინაც მისახედი მყავს... ნეტავ ის ბიჭი თუ გამოუშვა ეგეთაშვილმა...“

მიყანაყალებდა ტროლეიბუსი. ნიკას თვლებმა მოერიო. რა ხანია, ტროლეი-

ბუსში არ მჭდარა, რაც დასქანა გაყოფდა. ერთთავად ქაპოთ დიარებოდა. ახალი ავტომობილის შეძენა ჰქონდა ჩაფიქრებული. როდნდაც ამერიკული ან იაპონური მარკისთვის უნდოდა ხელის გამოკერა... ტროლეიბუსმა და ავტომობილს კარგად უყვარდა. ახლა იყო ნაჩვევი მამამისმა — ბეგლარ დანგაძემ, ნიკა რომ შეეძინათ, იმ წელს უნდა აჩვენო „ნობელ“ ავტო და მერე ხშირად იცვლიდა მანქანებს: „ნობელას“ „ზიმი“ მოჰყვა, „ზიმი“ ირმიანი „ვოლგა ოცდაერთი“, მერე ნაირ-ნაირი „ეფულები“. ნიკამ რომ ვეგაცი დაამთავრა მამისგან ახალთახალი „ნოლსამი“ მიიღო საჩუქრად.

ბეგლარ დანგაძეს და მის მეუღლეს ნანუსის — ცნობილ გინეკოლოგებს ფული და სახელი არასოდეს შემოჰყვლებიათ. მშობლები ოცნებობდნენ ნიკაც ექიმი გამხდარიყო, თუმცა კინორეჟისორობის საწინააღმდეგოც არაფერი ჰქონდათ. ყოველთვის ყველაფრით ხელს უწყობდნენ. ამ სიბერეში (თუმცა არც ძალიან: მამა სამოციან იყო, დედა — ორმოცდათხუთმეტისა) მშობლებმა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა გადაწყვიტეს და აგერ უკვე მესამე წელიწადი სრულდებოდა, რაც აფრიკის ერთ-ერთი განვითარებადი რესპუბლიკის მცხოვრებლებს ეხმარებოდნენ ბავშვების გაჩენაში. შეილი გზაზე მყარად დამდგარი ეგულებოდათ და იმ ტროპიკულ პაპანაქებაში მისი დარდი მაინცდამაინც არ გაჰყოლიათ... ნიკას დედ-მამა მოავგონდა... ტროლეიბუსი წინ-წინ მილოლიალებდა... აქაურ ამბებს რომ გაიგებენ, გულები დაუსკდებათ... ეგებ დროზე ადრე ჩამოვიდნენ კიდევ... ნიკას მოენატრა დედ-მამა... საერთოდაც, თავისი ბავშვობა მოენატრა ნიკას, როცა სამყარო უცხოვდ და უცნაურად ეკრებლურებოდა იმედებითა და მომავლის რწმენით გალიცილიკებულს... მუდამ ლიდერი იყო, დედიკოს სიამყე და სასახლო შვილი... კლასში საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა, სკო-



ლის დრამწერეში რეჟისორობდა, კალათბურთის გუნდს ეპატირობდა. ჩხუბშიც და ერთდროსაც ერთნაირად პირველი იყო... გოგონები აღმერთებდნენ. ბიჭები პატივს სცემდნენ... უამრავი მეგობარი ჰყავდა... ერთად იზრდებოდნენ. ერთად ეუფლებოდნენ ქვეყნიერებას, მოდიოდნენ დიდ ცხოვრებაში და სწამდათ, რომ იცოდნენ როგორ ეცხოვრათ... მერე კი — თანდათან ნიკამ შენიშნა, რომ ირგვლივ მყოფი ადამიანები, მისი წრის გოგო-ბიჭები თავთავიანთ ინდივიდუალობას სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ამჟღავნებდნენ და სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა მათ წრეში ლიდრობა. მათეუ კლასში კონფლიქტი კონფლიქტად მიეწყო: თინა ბილშელი — კლასის უღამაზესი გოგო — რელიგიაში „გადავარდა“, სახარებისა და სინანულის ქადაგებას მოჰყვა, ყველას შორასს უკითხავდა, ყველას ჰკუთას არაგებდა, მათ შორის, ნიკასაც... ნიკას არაგულწრფელ სიმტკირედ მიაჩნდა ამგვარი ახირება, ამიტომ ერთთავად მასხრად იგდებდა თინოსაც და მისა ჯიბრზე ჭრისტიანობასაც... თანაქლასელთა აჯოღიებაც მოახერხა... ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ ნიკას იღუპებოდა წაქეზებულმა ორმა შეფთოსთავმა — გოგლა ზებლაძემ და კოკა დოლიძემ თინიკო გააუპატიურეს. აქათ და ევეც შენი მონაწილური უბიწოობათ. ბიჭები გამასწორებელ კოლონიაში მოხვდნენ. გოგო — ნერვიულ კლინიკაში, წამქეზებელი ნიკა კი არავის არაფერში არ დაუდანაშაულებია.

მერე იყო, და, ნიკასსავე ინიციატივითა და აგიტაციით მთელმა კლასმა სკოლისდამთავრებისთანავე აღვირახსნილი ორგანო მოაწყო წყნეთში. ერთ-ერთი თანაკლასელია აგარაკზე, სადაც თითქმის ყველა გოგონამ, ამჯერად უკვე შეგნებელი თანხმობითა და სურვილით, ხელი აიღეს ქალწულობაზე... მერე ეს ამბავი გახმაურდა, მშობლებმა საშინელი ალიაქოთი ას-

წიეს, მაგრამ მათ შორისაც გამიჩნდა ჰკვიანი ხალხი, რომლებმაც სიქმე მიფარცხეს.

მერე ნიკა მოსკოვის ცხოვრებით-ტუტში მოეწყო საქართველოდან ჩატანილი ლიმკითი იტალია სანქციონაცავშირის მსჯელობაზე. ეუფლან ამ ჩვეულ მომავალ რეჟისორებში, რომლებსაც ლიდერობის ელემენტი მხოფურის დამღვლენით ერთ-ერთი აცოლებელ მონაცემად ეთვლებათ. ნიკამ მოახერხა წინამძღოლის პოზიციის დაკავება. დრო გადიოდა, ნიკა სულ უფრო და უფრო ზემოდან დაჰყურებდა თანატოლებს, მათ მსოფლმხედველობას უნიათო ინტელიგენტურ-ჰუმანიტარულ ფესვებზე აღმოცენებულად მიიჩნევდა, სიცრუედ და იღუზიად ესახებოდა ყველაფერი. რასაც სხვები აიდიოლებდნენ და ეთაყვანებოდნენ. ნიკა აზრით ადამიანებს ღმერთი სწამდათ, რადგან დამოუკიდებელი არსებობის უნარი არ შესწევდათ; ზრდილად და დელიკატურად იქცეოდნენ, რათა საკუთარი გულგრილობა და ეგოიზმი შეეწილათ. ხოლო თუ გაავლებოდნენ, სამართლიანობის სახელით ყოველგვარ სიმხეცეს იოლად ჩაიღებდნენ... ყველა ცდილობდა სხვის დამცივებას, შეურაცხყოფას, და ჩაგვრას... ნიკა კი რაღაც უბრალოსადამიანურსა და მთავარს ეძებდა. ისწავლა უცხო ხალხთან კონტაქტში შესვლა, მათი უმტკივნეულოდ დაყოლიება, ერთნაირი წარმატებით შექმლო ვინმე აღმასკომის მუშაკისთვის საერთო საცხოვრებლის რემონტი გაეკეთებინა, მისი ცოლი კი ლოგინში ჩაეწვინა. იმ ხნიდან მოყოლებული ნიკასთვის გადაულახავი წინაღმდეგობა აღარ არსებობდა, სულ წინ-წინ ვიდოდა. ქვეყნიერება ორ ნაწილად ჰქონდა დაზარისხებულნი: უცხოელებად და ცხოველებად... ცხოველებს — საბჭოთა თანამემამულეებს — ისე ექცეოდა, როგორც ცხოველები იმანებრებენ: ვეფხეს, — რილით, ძაღლა — პანჩურით, ძროხას — მოსაწველად,

ცხვარს — გასაკრეკად, ღორს — დაველა-შეკვმის განზრახვით.

სწავლა რომ დაამთავრა, გაათყვებული ენერგიით დავეკიდა ცხოვრებას, ფილმები ვაღიღო. იმაზეც იზრუნა, რომ ვაღიღებული ვუყურაღებოდ არ დარჩენილიყო: პრესა გამფხმებურებდა, საკავშირო ფესტივალებზე პრიზები მივიღო, საზღვარგარეთ კონკურსებზე გაავხანათ. ახლა მოლაპარაკებოდა ტროლეიბუსით ბრუნდებოდა: შინ, თითქოს რაღაც ერთი დიდი ეტაპი დამთავრდა ნიკას ცხოვრებაში. რა, მი-აღწია? რა შეიძინა? ვის რა შესძინა? დაქორწინდა, თავისი თაობისთვის სა-ოცნებო მზეთუნახავი შეირთო ცო-ლად... ახლა შვილს ევლოდებოდა... უამრავი კალი ჩამოიარა... ბარე ოთხი-ხუთი „მორიგე“ საყვარელი, ლანასნაირო, ახ-ლაც ჰყავდა, ძლომამდე იქვიფა, არც ნარკოტიკებს მოკრძალებია, თუმცაღა არც მისძალებია, რადგან განმრთელობას უფრთხილდებოდა, კვლავაც უთვალა-ვი მეგობარი ჰყავდა: წერდა სცენა-რებს, დადიოდა ფესტივალებსა და შემოქმედებით სიმპოზიუმებზე, უკა-ნასკნელ დროს — საზღვარგარეთაც. ამ ხნის მანძილზე მიწას მიაბარა ორი ბეგია და ორი ბაბუა, უნივერსიტეტის მეორად ფაკულტეტზე კონორევისუ-რის ლექციებს კითხულობდა, ხანდა-ხან დიდილოდობით გამამხნეველ ვარ-ჯიშებს ასრულებდა, ზოგჯერ კუს ტბაზე ძუნძულით დარბოდა გაბლო-მის მსურველ მეგობრებთან ერთად, თუმც მსუქანი სულაც არ იყო, მათ-თანვე თამაშობდა ჩოგბურთის და ფეხბურთის, უვლიდა კბილებს, იტა-რებდა თმის ცვენის საწინააღმდეგო პროფილაქტიკას... ხანდახან კელესია-ში დადიოდა, სანთლებს ანთებდა და ლოცულობდა, წმინდანებს აბლობლე-ბის კარგად ყოფნას, ხოლო თავის-თვის წარმატებებში ხელისშეწყობას სთხოვდა. ერთხელ აღსარებაც თქვა, წერტილად ჩაუთაკლა მღვდელს ჩადენილ ცოდვათა ვეება ნუსხა, მერე ეზიარა, თუმცაღა ცხოვრების სიამტებოლობაზე

ხელი ამის შემდეგაც არ აუღია, პოლი-ტიკაში პრინციპულად არ ერეოდა, არც ერთი პარტიის, მათ შორის არც კომუნისტურის წევრი არასოდეს არ გამხდარა.

წინააღმდეგობა უკონტროლოდ მოლაპარაკებოდა, თითქოს თით-ქოს შიშობდა, ბიველები არ ჩამომი-ცხედნენო.

თავი XXVI

გამომძიებელი

„ღიბს კი სიკოცხე,
ღიბს კი სიკვილიო?
ო, მანებუე თავი აქ კანასო...“
ახაკავა ტაუბოკუ

გამომძიებელმა აკაკი ეგეთაშვილმა თავისი სანეტარო „ბუნგალო — სამოთ-ხეში“ გააცოლა თექვსმეტი აპრილი, იგი კატალოგისთვის ახალი ბარათების შედგენით, აგრეთვე კატალოგის და-ნართის, ერთგვარი განზოგადებული დასკვნების კრებულში მორიგი პა-რაგრაფების წერით იყო გაართული.

„დასკვნების“ კრებულში გამომძიე-ბელმა ეგეთაშვილმა ჩაწერა:

„წამი.. აი, ეს არის მთავარი, რად-გან დრო, რომელიც თავისათვად ფარ-დობითია, ძალიან სწრაფად მიკ-რის და სიკოცხლის „ხანგრძლივობა“ ტყუილია. ცხოვრება წამია. ეს ერთი.

მეორე: მეჩვენება, რომ ამქვეყნიუ-რი არსებობის ანატომია და ფილო-სოფია ელემენტარული რამეა. ვფიქ-რობ, იგი დაფიქრება არ ღირს. და-ფიქრებები და მოგაფიქრება „თავისუფ-ლება“, „ბედნიერება“ ან რაიმე ამ-დაგვარი სულელური ილუზია. ეს, ჩე-მის აზრით, სულაც არ არის სიკეთე, არამედ ცდუნებაა მხოლოდ: ადამია-ნური არსისთვის ზედმეტი და მავნე რამ. ჩვენი გონება მხოლოდ შეზღუ-დული და ვზიდან აცდენისკენ მიმარ-თული არასრულყოფილი მექანიზმია, ამიტომ მისი მომარჯვება ამქვეყნი-

ური არსებობის სანალიზოდ მხოლოდ-
დამხოლოდ იმიტაციური. ცრუ, ფსევ-
დონინტელექტუალური ვაკუალაციაა და
სხვა არაფერი. ამ ვაკუალაციის თანმხ-
ლები სიამოვნება ზოგ ადამიანს ორ-
გახმისმაგვარ ნეტარებად აღქმება,
რის გამოც იგი პათოლოგიური დაეი-
ნებით იწყებს ცრუპატრიოტიზმის, ცრუ-
ენობრიობის აუცილებლობა დასა-
ბუთებას... ეს არ არის სიყვითე... სიყ-
ვე ჩვენი გრძნობებია, ჩვენი ემოციე-
ბი, ჩვენი სურვილები და იმპულსები,
ხოლო გონება უზუნაესი ცენზორი უნ-
და იყოს, რათა ემოციამ სობრმავის
გამო სისულელე არ ჩაგვადენინოს. აი,
სეთია ჩემია აზრით, არსებობის სა-
ვალდებულო წესი.

მესამე: ხელნაწერის ქუჩაში გადაყ-
რის მონაწილეები ყველანი ფსევდო-
სიკეთის აპოლოგეტები არიან, სისუ-
ლეებით აღსავსენი, მათი ინტელექტუ-
ალური ტვინები ფსევდოპატრიოტიზმის
ლემინისკენციითაა გაბრდღვიალებუ-
ლი... მაგათ არ შეუძლიათ სამყაროს
შვიდად უცქირონ, არ შეუძლიათ ბე-
დით განსაზღვრულ სწორსა და მარტივ
კალაბოტში დაეტიონ, არ შეუძლიათ
სწორად აზროვნება...

მეოთხე: რაც შეეხება ორგანიზმს,
ორგანიზმი მხოლოდ წირბლია, მეტი
არაფერი და საოცარია ის ძალა, ის
ცხოველური მაცოცხლებელი საწყისი,
რომელიც სექსუალური ენერგიით გა-
მუდმებით ხელახლა ავსებს ადამიანს
ყოველწამიერად... ვინ? რა? ბუნებას
რა თვისებაა ეს? არის კი იგი ჩვენი
არსებობის აუცილებელი პირობა?
ალბათ, არის. ნამდვილად არის. ეს
არის მთავარი. თუმცა ეგებ ვცდები:
ეშაქმა იცის და მღალავმა...

შენიშვნა: რეზოს რომანში ვერ ვიპო-
ვენი ბავშვობაში დაკარგული ფრაზა“.

ხოლო კატალოგის ახალ ბარათებზე
ეწერა: „ივანოვი ფარნა, ოცდაორი
წლის, სტუდენტი, განმათავისუფლებე-
ლი მოძრაობის აქტივისტი („არაფორ-
მალი“)... კარგი ბიჭია... ჩემთვის რეა-
ლურ საფრთხეს არ წარმოადგენს, პირი-

კით. თუ მისი პიროვნება სწორა გზით
განვითარდა, სიამოვნებას მომხივებდა
მასთან ურთიერთობა. ვფიქრობ, ერთ-
მანეთს კარგად შეევეწვობოდით. მომა-
ვალი: პერსპექტიული. სპირობა დავუ-
ახლოდენ...”

„ანდრონიკაშვილი თეზო: შენთან
არისტოკრატიული ამბიციით გაყდენ-
თილი. უპირატესობას ქომბლექსიონ გ-
ბერლი ინტელექტუალური ნიჭითიყ.
ამიტომ ერთიორად საშიში. სასწრა-
ფოდ დასახვერეტთა კატეგორიას განე-
კუთვნება“.

„დანგაძე ნიკა, რევისორი. ენერგიული,
კონტაქტური, მატყუარა. ცდილობს
თავი მომაჩვენოს, ვითომ ჩემიანია, სი-
ნამდვილეში ჩემი მტერია, მოყვარედ
მოსული მტერი. მიზიკრიის და შენიღ-
ბვის უნარი განსაკუთრებით საშიშს
ხდის. მას რომ საშუალება მიეცეს, პირ-
ველ რიგში, მე და ჩემნაირ ხალხს გა-
უსწორდება. ამიტომ ანდრონიკაშვილი-
ზე მეტად და უპირველესად დასახვერე-
ტია. პერსპექტივა: „ნოლი“.

„მამულია ქრისტიანე, ლამაზყოფილი
კახა. უტენო და არაა. პერსპექტივა
ნოლი. იქნებ ვინმეს ერთხნობას ქა-
ლად კიდევ გამოადგეს... ან ქმართან
ერთად უნდა დაიხვიტოს, ან დაე-
ვალოს ფარნასნაირი ბიჭების აღზრ-
და... სასურველია, შეილები ნიკა დან-
გაძისნაირებისგან არ გააჩინოს...“

გამომძიებელმა აკაი ეგეთეშვილმა
ახალ ბარათებს კატალოგში ადგილი
მიუჩინა.

ამ დროს ქუჩიდან ღამის სიჩუმეში
ტანკების გრუხუნი გაისმა.

ათა კბრაას ოთხმოცდაცხრა წლის
ჩვიდმეტი აპრილის პირველმა საათმა
დაკრა.

ეპილოგი

„ვისთვის პირველი, ვისთვის მერამდენე, ვისო-
ვის ბოლო გაზაფხული მძინვარება“.

რეზო კეიშვილი „საგაზაფხულო ჩანახატი“.

რეზო ანდრონიკაშვილი და დედამი-
სი საორდინატოროს ფანჯრიდან უე-

ქერდნენ პროსპექტზე გუგუნით მიმავალ ურიცხვ ტანკს, ჯეშანტრანსპორტორსა და ჯარისკაცებით სავსე საბარკო მანქანას. დედამწიფა გუგუნებდა, რეზოს კი ეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი მის რომანში ხდებოდა. „რემი პერსონაჟია და რასაც მინდა იმას ვუბნამ“, რაღაც ამდაგვარი უთხრა მამა დღეს ნიკას...

— მიდიანი! მიდიანი! — გაისმოდა სავადმყოფოს დერეფნებში.

გაზაფხულის დამე ტიროდა და ხარობდა კლაქში. გუგუნი გაქონდა არემარეს... მიოლტეოდნენ უკანასკნელი საათები მძიმედ, მტკიცეწეულად და თან იმედ-სმომცემად...

დაქანცული ფიქრები ძლივსდა ფეთქავდნენ სხეულში. ნიკა დანგაძე დივანზე იწვია, თავი ინას კალთაში ეღო და სულში ტოტალურად მზარდი სევდის გუგუნს ისმენდა. გუგუნი იმატებდა და ნიკას ეჩვენებოდა, რომ სევდაც ტანკების ხმაურთან ერთად უსაშველოდ იზრდებოდა, ძლიერდებოდა, იმუქრებოდა: მთლიანად შეგხრავ და ჭავცამტყერებო. ნიკა ცდილობდა შებრძოლებოდა სევდას, დაიწაფებოდა სიყვარულს, შემოქმედებს, შეეკოს ცხოვრება ყოველდღიური საზრუნავით, გაფრთხილებოდა სულიერ სიწმინდეს, მაგრამ სევდა მაინც მომძლავრდებოდა, ღრმად გადაგამდა ფესვებს ნიკას არსებაში, ტანს აიყრიდა, გაიფოთლებოდა და... დააღრჩობდა ნიკას, რადგანაც ნიკას სევდასთან შეგუება, სევდით ტკობა არ შეეძლო. ნიკა სევდის მსხვერპლად იყო განწყობილი, ინა თმებზე ხელს უსვამს, ეფერება, ცდილობს გაუქარვოს დარდი, მაგრამ სულ მალე ნიკა და ინა ერთმანეთს გასცილდებიან: როცა უბედურების წამლეკავი ტალღა გადაიარს, პირველი, რასაც ინა გაკეთებს, ის იქნება, რომ ინა ნიკას გაეყრება, ვერ აპატიებს ნიკას რეზოს რომანის ფანჯრიდან გადაყრას, რასაც მოჰყვა ფარნას და-

ქერა... რასაც მოჰყვა... რასაც მოჰყვა... და ასე შემდეგ...

ნიკა უღრტიწველად, უმწეოდ დაშორდება ინას, მით უფრო, რომ მათს ჯერარშობილ პირშოს დაბადება არ შეეძლო! ნაღამეკები ტრაგედია გამოიწვიეს სასიყვედურობის, მთელი განიერი თანავე დაიღუპება, ექიმები მკვლევ თოპირზე და ინას გულარჩენის, მძიმედ და დაქვავდა ის დედობის უნარს... ხოლო ნიკა, რომ არ მოეღოს, ისე იოლად მიიღებს ნანატრ ერთობლივ დადგმას, გაუმგზავრება ამერიკაში და „შელმუტ კიდის“ გადაღებას შეუდგება...

მიგუგუნებენ ტანკები, მიაკვთ თბილისიდან კომენდანტის საათი...

დანგაძეების მეზობელი მელიტონი ფარდია მისმა დგას და უსიამოვნო განცდით უცქერის აგრავინებულ სამხედრო ტექნიკას. მერე უშეშანდს მოსცილდება, ფარდა იღუშაოდ შეირხვება.

პროკურორა შაშვაშვილიც თავი ბინის ფანჯრიდან გადააყურებს აგრილებულ, წინადარულ ქუჩას. მან ჯერ არ იცის, რომ ერთხელ, მომავალში, მოუხდება დახუროს საქმე მოქალაქე ივანოვის გარდაცვალების გამო, რადგან ექსპერტიზის დასკვნით დადგინდება, რომ დაზარალებულის სიკვდილის მიზეზია არა ტრამვა თავის არეში (გამოძიება დაადგენს, რომ ეს ტრამვა მიტინგის დარბევისას იქნა მიყენებული ხელჯობის დარტყმით). არც ტრამვა გულ-მკერდის არეში (რის მიზეზიც გამოძიების მასალებში არ აღინიშნება), არც ორგანიზმის გამოფიტვა ოთხდღიანი შიმშილის შედეგად, (რის შესახებაც ჩვენებას იძლევიან, უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები), არამედ უცნობი მომწამლავი გავის ზემოქმედება. პროკურორი შაშვაშვილი დახურავს საქმეს, ხოლო მოკვლეულ მასალებს უშაღლესი საბჭოს საგანგებო კომისიას გადასცემს.

— მიდიანი! მიდიანი! — გაისმის სავადმყოფოს დერეფნებში.

რეზო ანდრონიკაშვილი და დედამი-

სი კვლავ თანჯრიდან უცქერენ რკინის აზურთებულ ნიაღვარს.

— დიდება ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა, დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა და მარადის და უკუნითა უკუნისამდე! — ლოცულობს დედა.

„მიდის კომუნდანტის საათი“. ფიქრობს რეზო ანდრონიკაშვილი. „მაგრამ რჩება კომუნდანტის დღე, თვე და წელიწადი. კომუნდანტის ათწლეული და კომუნდანტის საუკუნე.“ რეზომ ჯერ არ იცის, რას ნახავენ შინ მისულები ის და დედამისი... არც ის იცის, მის მეტი რომ არაიენ არ დარჩება ინას ამქვეყნად. შემდგომ რეზო მონახუნად აღკვეცას ურჩევს ინას, მაგრამ ინა ვერ შესძლებს ამას და მასწავლებლობას დაიწყებს საბავშვო ბაღში. ინას შეუუვარდება თავისი პატარა აღსაზრდელები...

რეზო არ გამოაქვეყნებს თავის რომანს: ხელახლა დასაწერიო.

რეზო ხელახლა დაწერს თავის რომანს.

მიდის, მიგრიალებს ლეიტენანტი ალიუპიკოვი, ხოლო კაკო ეგეთაშვილს სძინავს თავის „ბუნგალო—სამოთხეში“, მან ჯერ არ იცის, თუ რა სერაიოზული სამსახურებრივი გართულება ელოდება. მართალია პირად საქმეში საყვედურს აცმარებენ, მაგრამ ამიერიდან კაკო სერაიოზულად დაფიქრდება სამსახურის შიტოვების შესახებ, არაერთგზის შეაწყებება ექსპერტებს: მოუხდება დარწმუნდეს, რომ მთავარი დამნაშავე მომწამლავი გაზია და არა დაუდგენელი წარმოშობის ტრამეა გულმეკერდის არეში. მართლაც ასეაო, დაარწმუნებენ ექიმები, თუმცა ნაკეხსა და ნაშიმშილარ კაცს როლად რომ ერევა სიკვდილი, ამაზეც იფიქრებს კაკო ეგეთაშვილი, რომ მიატოვოს სამსახური, რა უნდა აკეთოს, რა საქმიანობას უნდა მისიღოს, სად არიო მისი ჯდგილი საზოგადოებაში? ყოყმანი დიდხანს გასტანჯავს კაკო ეგეთაშვილს, ახლა რომ სძინავს თავის

„ბუნგალოში“ და მარად ჩაეხმის კუჩრის ბაიყებო.

კვეშო ართულზე დედა ბერნარდინას არ სძინავს. კუჩრას გაყვებებს და ტანკების ავისმომასწავებელი სიმღერა უმწებავს ვიღაც ხსენებს, მშობლოურ ასტურასში რომოცდათხმეტი წლის წინახდელ ამოკალიფსიას, როცა ია — მაწაწ გავონე პარბისტიან ფრანკ კიტებს გამოტაცეს კეთილმადამიანებში, რის გამოც, ყველაფრის მიუხედავად, დედა ბერნარდინას ყურს სკრის სიტყვა „ნაციონალისტი“ და სიამოვნება გვრის სიტყვა „კომუნისტი“.

დედა ბერნარდინას ვერაფერი გაუგია, გვიანი რომ არ იყოს, რომელიმე თავის მეგობარს დაურეკავდა და სთხოვდა კიდევ ერთხელ აეხსნათ მისთვის, თუ რა ნდება და რა მოხდება...

შვილს კი ასეთ თემებზე არ ელაპარაკება. შვილთან უცოდინარობისა და სისუსტის გამომდევნება ბერნარდინას არასოდეა დაუშვია, ეგ კი არა, ჭერაც შესწავს უნარი, თუ დაიშახურებს, ერთი ყარგად გასილაქოს, ამიტომაც აქვს ბიჭს დედის შიში და რიდი...

მიჭრან სამხედრო მანქანები, მუშა გამოშვლილი ცოლ-შვილითურთ იცქირება თანჯრიდან, მუშა ღარბია, ქარხანაში უკიდურესად ცუდი სამუშაო პირობებია, მუშას არა აქვს არანაირი სამომავლო პერსპექტივა, ამის გამო იგი გამოორტებულია და თან გალოთებული, მაგრამ ახლა ყარგ ხანიათხეა, რადგან სამხედროები მიდიან, ეპ. ნეტავ დეპუტატად აერჩიას შარშან, ეპ — მაშინ მის ბედს ძალლი არ დაჰყეფდა, აგერ, უფროსი ბიჭი უმაღლესში სწავლაზე ოცნებობს — ბიოლოგია იტაცებს, უმცროსი ამბობს, ძაღლების მწერთნელი უნდა გაეხდეთ, მაგრამ შარშან გამოშვლილი დეპუტატად არ აირჩიეს, ოჯახს ძლივს ინახავს, დარდით სევამს, ახლაც მთვარალია, ყველანი შეშინებულები არიან, მაგრამ უჩარიათ.

მილიციელი — დანიშვილიც თავი-
სი ფანჯრიდან გასცქეროდა ქუჩას, იორ-
დანიშვილს ცხრაში ჯარისკაცებმა — ხე-
ლი მოტეხეს, ახლა დგას, დაბინდული
მკლავი კისერზე ზონარით ჰკიდია, მე-
ორე ხელით სიგარეტს ეწევა და და-
ბოლმილი მიაცილებს ტანკებს...

გაზაფხულის მთვარიანი ღამეა,
მსუბუქი ქარი ჭრის თბილისში, მძლავრ
ტანკები, მიაჭვთ სინათლე, სითბო, სიმ-


შვიდე. რჩება მხოლოდ ძალა, შზის
ამოსვლის მომლოდინე.

შზის ამოსვლამდე შეწყდება გზა-
ნი...

გადიფრენენ თვითმფრინავები...

ქართულ სამხედრო პილუტაგებსენ-
დება გუშინდელი ანკობა, გვათი რომ
დახაზა ცაზე — და მკერდში სიამაყე
ჰდღვას.

ცნულა თვითმფრინავში, მძლავრ
სისწრაფეს უმატებს ზეცისკენ მიჭრის...



აიორავი სუბსაჰვილე

ერაზმული ბიბლიოთეკა

იერემიას' გოდება

ისევ იმ ხმებს ვისმენ, აჲ ისმოდა ოდეს,
ქარია თუ ისევ იერემია გოდებს.
ისევ ცრემლი ძალავს აღსასრულის დღემდე.
სინარულის ქალაქს და გოდებია კედელს.
ისევ ცრემლი დასდის მოკათქათე ლოდებს,
აღვლენილი ცამდის, იერემია გოდებს.
ნანგრევებში ელდა, სოლომონი დაძრწის,
უსასრულო სევდა დაქცეული ტაძრის,
და მიწიდან ცამდის, კიდან შორზე შორეთს,
უსასრულო დარდის და ცრემლების ნორვეს,
კვლავ აბრუნებს ქარი, გადევლება ზღუდეს,
შელეწილი კარი, დაქცეული ბუდე.
სინანულის ხმები, ესმით წმინდა მამებს,
რომეღათა ხმლებით ანთებული ლამე.
ვით წარბოცავს ცრემლი აუწონავ ცოდვებს?
გალობანი ძველი, იერემია გოდებს,
ცეცხლსა და უკუნეთს. ისევ აგუგუნებს.
ასე საუკუნეს მოსდევს საუკუნე.
შებილწული კალთა, განწირული მოდგმა,
კივილია ქალთა, თუ დედათა მოთქმა?
ვინა ზიდავს მხრებით დარდებს მთების ოდენს?
მწუხარების ხმები, იერემია გოდებს...
გალავენების ბზარი, დამწუვარ ქვათა კვამლი
და უდაბნოს ჩაერით გაცვეთილი ხაშლი,
შეაროგებს ვინა ბოროტსა და კეთილს,
დაქცეული ბინა, ვერ აღმდგარი მკედრეთით.
გინდ ქვის გული გქონდეს, მაინც დაგდის ცრემლი,
მოუფონოს ოდეს ტანჯულსა და დევნილს.
ცაში ცეცხლის ალი, სანამ უნდა ენთოს?
მოწყალების თვალთ გადმოგვხედე, ღმერთო...
არ დაგიშრა ცრემლი დაესებულო თვალო,
კვლავ გოდება მწველი, იერემია გალობს.
ერთვის ბაბილონის მდინარეთა ებოდეს.

და მიდიან დრონი. იერემია გოდებს,
 გახელებულ კოცონს. დამწვრის სუნი მოწონს.
 სანამ უნდა ბოკოს, ნაბუქოდონოსორს?
 იწვის როგორც თივა. თუ შეკრული მნები,
 შენ აკამდე გტყევა დაღეწილი ძვლები.
 იერუშალიმის ნაბანძრალი ქვება,
 მოდის სისხლის წვიმა და გადიან წიფები.
 გაღეწილი კალო. ჩაქცეული კბოდე.
 იერემია გალობს...
 იერემია გოდებს.

ერუშალი
 ბიურბი

ამ ქვებზე ისხდნენ...

ქვები არის თუ მდინარესთან დაყრილი ცხვრები,
 წყურვილისაგან გარინდულან თითქოს სილაში.
 შეულწეველი დუმილით ვხედავ
 ამ წყალს, ოდითან გაჭერებულს ცრემლთა სიშლაშით.
 ეშასოვრება ლურჯ ცაიათი წმინდა იორდანს,
 აქეთ ლტოლვილნი ახსოვს ბაბილონს,
 ამ ქვებზე ისხდნენ და ქვითინებდნენ,
 დარდის მდინარე იყო შორი და უნაპირო.
 ამ მიდამოში მე ნარტო დავალ,
 ჩაყურებ ფიქრში ნაპირს ტინიანს,
 ვინ იცის. იქნებ მეც ოდესღაც ამ ქვებზე ფეჭდარვარ,
 იერუსალიმზე მიდარდია და მიტირია?
 ცხარე ცრემლებად იღვრებოდა მათი ლოცვები...
 ვნებულნი ტანჯვით და მოთმინებით...
 იერუსალიმო, თან მიქონდათ შენზე ოცნება...
 ამ ქვებზე ისხდნენ და ქვითინებდნენ...
 და იყო ნელი ეამთა დინება,
 და იყო მუდამ გზა უშორესი...
 ამ ქვებზე ისხდნენ და ქვითინებდნენ,
 ზეციდან ღვთის ხმა რომ შემოესმათ.
 როცა დაღლილი სული შეფოთავდა.
 ენატრებოდა ციხე ნამი და ლურჯი კამარა.
 — „განიძარცვენით მიტყეებით თქვენთა ცოდვათა
 და იყოთ მხოლოდ ამ ერთადერთ წიგნის ამარა...“
 ძონძებში ყრავდნენ წმინდა იმედებს
 და იყო ბერწი. უმოსავლო მიწა ბებერი.
 ამ ქვებზე ისხდნენ და ქვითინებდნენ
 სამარადეამოდ რეოცნებენი.
 და რა ამოდ შეელას უცადეს.
 როცა ღამეებს უნათებდათ მზედ მუგუზალი.
 და რაც უფრო შორს მიდიოდნენ, უფრო უცხადეს.
 უფრო მახლობლად შენ გხედავდნენ,
 იერუსალიმ.
 ფეხებდამწვარი და ნასიციხარი,

მოდიოდნენ და დრო გადიოდა...
 იმათი ცრემლის რომ თვლებზე ვიგრძნო სდებარე,
 ამ ქვებზე ვჯდები და ჩავეურებ
 წმინდა იორდანს.



ლოცვა

ნუთუ ვინც გიყვარს, ის უნდა ტანჯო, ცვლი და ძეგით გზა დაუფარო
 ეკლის გვირგვინი წილად არგუნო, ვისი დეიდა შვილად ირჩევს, უფალო
 თუნცა მასწავლე ტანჯვის ატანა, გამაძლეინე და შემაიფიქრე,
 მსხვერპლად არ მიმიცე მაედურ სატანას, შენ განმარიდე ბედის მარჩიელს.
 ნუთუ სინათლეს და სიანჯარეს გვიშხელ სიცოცხლის ზღვართან მისულებს.
 ვერ შეგლადამე: ტანჯვა მაქმარე, თუ განმირისხდი და შემოძულე
 შენ გამითენე ისევ ხარება, ტანჯულმა სულმა ეს შემოგჩივლა,
 რადგან უფალო, შენს მრისხანებას ქედმოდრეკილი ველი მორჩილად.
 მე გიერთვლებ, რაგინდ დამწვევლო, დამაქციე და ნუ შემიცოდებ,
 აბრაამით ჩემგან სამსხვერპლოდ რადგან ისურვე შვილის სიცოცხლე.
 იქნებ ამაზე ამინს დამიკემ, ძირს ნუ დამამზობ ფეხზე წამომდგარს.
 ამ ენა-პირან ჩემმან სამიწემ, თუ საყვედური შენი წარმოთქვას.
 თუ აბრაამის ძე არ განგმირე, არ გადუქციე ბალი ეკლნარად.
 რა: იქნებოდა შვილის მაგიერ ჩემგან დაკლული ცხვარი გეკმარა?

ეჭვი

თუ ვველაფერი იყო შეცდომა, ყალბია აწმყოც და ისტორიაც,
 იქნებ სხვაგვარად უნდა მეცხოვრა, ან ქვეყანაზე არც მიცხოვრია?
 როგორ შევიცვლი ზნეს და ხასიათს, ან რა უშველის ამდენ იარას.
 თუ დღემდე მტკიცა და ძვირფასია, რამაც კარგახნის წინ ჩაიარა.
 თუ ჩემს სიზმრებში და სიცხადეში კვლავ ხმაურობენ შორი ლანდები,
 თითქოს მღელვარე ზღვაში გაღეშვი, როცა ინათზე ფიქრს უღრმავდები.
 და როგორ გავხდე ახლა ენაზე, ფიქრი ამ გულში როგორ დავტოვო,
 თუ გარინდებულს შუა სცენაზე, სასოწარწვეთილს ვგავარ აქტიორს.
 მე ვერასოდეს ვერ მოვისვენებ, ვერც ალტაცებით, ვერც უარყოფით,
 თუ რაც მიყვარდა, მაკლარს ისევე, მტანჯველი ფიქრით ყოფნა-არყოფნის,
 იქნებ დასრულდა ჩემი იგავი, უკანასკნელად ვმღერი გედევით,
 ამაყი იმით, რაც მე ვიყავი, ჩემივე ფარსით თუ ტრაგედით?..

დავინწყება

ოდესღაც ვგავდით სიანის ტყუპებს, ერთად ვახსოვდით თბილისის ქუჩებს.
 თითქოს ქალაქში გამოვრთეს შუქი და ერთმანეთი დავკარგეთ უცებ.
 ერთმანეთისთვის გვჭონდა უღვივი სიყვარული და წრფელი სიკეთე.

მერე რა მოხდა? ვატიშულები საკუთარ თავში გამოვიკეტეთ. და შეუმჩნევლად გაფრინდნენ. წლები, თითქოს გარბოდნენ. ცხენები და შეუმჩნევლად სივრცეში გზები ერთუროს დაშორდნენ. ნუჩაჩებულე. და ღრმადებოდა სულში კრილობა, გაუგებარი, ჩლუნგი, ესოდენ. იყო ვატიშვა და გულგრილობა და ერთმანეთის ხმა არ გვესმოდა. მერე დღეები დღეებს ედავენ ოცნების ფაქტისა დარდის ღაღატის, და მხოლოდ მაშინ შევხვდით ერთმანეთს, როცა არ გე ვაგვიღარავდით. და ისევ ისე ერთი ხნისანი, ჩვენ ისევე ვვადით სიამის ტყუპებს, ერთიმეორე როცა ვიცანით და ვვლავ გვეყვებით თბილისში ქუჩებს. თურმე ვყოფილვართ ისევე იგივე ჩვენ ვხვას თავიდან კიმერნისდით რომ აღვედგინა ძველი წიგნებით ყოველი წუთი ჩვენი ცხოვრების. ჩვენი მზავსება ახლაც მეცნობა, რალაც ძვირფასი, რალაც საერთო, ნუთუ აქამდე იყო შეცდომა, რაც გვიცხოვრია უერთმანეთოდ? ვზივართ კაფეში ორი ისევე და გცნობთ სახეებს. დრომ რომ დაღარა, ესვამთ წითელ ღვინოს და თან ვიხსენებთ, ერთმანეთს ვახებთ თავებს ჭალარას. ჩვენ სიკბაბუკის ლექსებს გადავშლით, თითქოს ცოცხლდება ძველი ეტრადი, რალაც კარგია იმ დაკარგვაშიც. დიდი ხნის მერე ამ შეხვედრაშიც. მერე გავყვებით ქუჩას შემთვრალნი, ბევრი გაჯანდე, ბევრი გამანდე, არ ავცდენივართ გზაში ერთმანეთს, ასე ვიარეთ თურმე აქამდე.


ს ა ძ ა რ თ ვ ე ლ ო

სამარადეამოდ შენს შვილებს ვეძებ, შენს გულს მივედნე წრფელს და ღონიერს, რომხვიე ხელი და მალალ მთებზე მზის შესახვედრად გამიყოლიე. შენი წულითა და პურღვინით მზარდე, მუხლში ვეფხვების ძალა ჩამიდგი და შემაჩვიე თოვლიან ზამთრებს და ალტაცებას მზიან ამინდით. ჩემში ნათობენ შენი ფრესკები, ქვებზე ნაკვეთი ვაზი ჩუქურთმად, როცა მეძახდნენ შორით ფესვები, კეთილ იმედის იდექ შექურად. მე არ მჭირდება შენთან ფიცყერტლი, გაჭრილ თითიდან სისხლის გაღება. შენს უბერებელ მზეს ვეფიცები, შენი დალოცვა გზებზე დამყვება. მეც დავრგე ვაზი ფესვებმაგარი, ვლენე ხორბალი მბრუნავ კალოზე, ბეჭზე ძლიერი ხელი დამკარი და შენს მელექსე კაცად დამლოცე. იქ გამითეთრდა შენთან თმაწვერი, სვეტიცხოველი სადაც მოჭრილა, ჩემი ცხოვრება ლექსად დავწერე და შენს კალთაზე დაედე მორჩილად. დამაძმობილე ნეტარ არდილებს, როცა გახსენი წმიდა საძვალე, ტანჯვის ატანას შენ შემაჩვიე და ჰირთათმენაც ბრძნულად მასწავლე. ბნელში ამინთე შექვის კოკობი, ნელდ სიტყვასა და ფერებს ნიქებლი, შემაძლებინე, ჩემი კოკლობით მომეელო შენი გზაბილიკები. და ძვლებს მიმაგრებს ასე ზღაპრული შენი კედლები მკვიდრად ნაგები, მეც ვარ შენსავით ქვარზე გაკრული და შენთან ერთად მკვდრეთით აღდგები. და მინდა მუდამ შენი მემართოს, დღედაღამ მხოლოდ შენზე ვფიქრობდე, გავლიო ეანი და მივემატო შენს პოეტებს და ერთგულ მწიგნობრებს, სადაც არ წავალ, შენთან მომიყვანს ყველა ბილიკი, გზა თუ ორზიდე, და მინდა, მიწად როცა მომიხმობ, საფლაოზე ფიქვის ხედ ამოხვიდე.

დ რ ო

სიყმაწვილეში მე არაერთხელ მითამაშნია ბერეკაცები
 სცენაზე. სადაც ავიდგი ფეხი აღფრთოვანებით და აღტაცებით
 ბევრი ვიარე და დრომ დამალა, თეთრი პარკი, თეთრი ულკაში
 და უცნაური ბავშვი კალარა თეატრალური სცენის ბრუნვებში.
 მე ვთამაშობდი კაცებს დარდიანს დაოსტეტულად წყლში მოხრულად
 და არაერთხელ გზა დამქარგვია ბაბუაჩემს მჭექალი ჭოხივით.
 ეს მაშინ. როცა ცას შევხაროდი, იალაღებზე გასულ კვიცივით,
 და სული საესე მზით და წყაროთი. აქაა ტერზოდან მოვლეს და სიტყვეს
 თეთრი სიბერე მქონდა ნილაბად. შუბლზე ან რეო ერთი ნაოქვი
 და ეველაფერი ქვეყნად მიყვარდა. დაუნახავად სასაფლაოსი.
 რა იყო ჩემთვის დრო და მანძილი. ვბერიკაცობდი მკვირცხლი კაბუჯი
 და დრო ეუზიან ბერიკაცივით ევალში მომსდევდა ჯოხით ბამბუჯის.
 აბლა გავცვალეთ თითქოს როლები. სახეცვლილება არი ნაცნობი
 და სულსხვაგვარი ზეშთაგონებით მინდა ნილაბი ყმაწვილკაცობის.
 სხვა არი ჩემი სიცილ-ტირილი. თითქოს დასასრულს თვალ მოვკარი
 და ჩემშიც მოთქვამს მეფე ლირივით ბერიკაცობა კარზე მომდგარი.
 ნაბიჯებს არ ცვლის დრო არასოდეს. სასაცილოა, უნდა გვახსოვდეს,
 ბერიკაცი რომ ყმაწვილკაცობდეს და ყმაწვილკაცი ბერიკაცობდეს.
 ვდგავარ დუმილში სასაფლაოსი მოხუცებული კაცის იერით
 და მე ვიძახი. როგორც ფაუსტი. „შეჩერდი, წამო, ხარ მშვენიერი“
 დაუძღურებას როგორც ვმონებდე. როცა ამოდის ლურჯი რივრავი,
 და დროს ვაგროვებ. როგორც მონეტებს, ჩემი სიბერის მსუბუქ ქისაში.
 ალბათ ამიტომ სულ სხვა სინაზით გაეხედავ შორით მღიმარ ბავშვობას.
 იქ, ჩვენი სოფლის მცირე სცენაზე მოხუცებულებს რომ თამაშობდა.

ბალა შალვაშვილი



ქართული ბიბლიოთეკა

ჩიტები წახან თავის ენაზე

ჩიტები წუხან თავის ენაზე,
ჩიტურად უყვართ ჩიტებს ვალობა;

ვერ იმღერებენ სხვათა ენაზე,
ჩიტური ენა ეძღვნათ წყალობად.

ჩიტებს — ჩიტური, ქართულს —
ქართული, —
გრძნობა-სიმართლე-
გზნებაგანთქმული...

ვით ჩიტს ჩიტურად, ვალობისათვის,
ყელი ქართულად მაქვს მომართული.

რომც დავიმღერო სხვათა ენაზე,
ის ვერ იქნება ჩემი ნამღერო;

იმა სიმღერით ნე ვერ შემეცნობთ,
ვერ გამოჩნდება ჩემი ნაღველიც;

ჩემი ზეობის გამოჩინებას
შესწვდება მართო ქართულის ძალა...

ჩემი წუხილის დაფარვაზედაც
ქართულმა უნდა მიშველოს კვალად;

შევერთებივარ ყოველის წვეთით
მშობელი ენის უსიერ წიაღს...

მაღლით ქართულად დამნათის მთვარე,
ქართულად გააქვს შრიალი ნიავს;

მხოლოდ ქართულად მოხტის არაგვი,-
გრძნობა-სილალე-გზნებადართული...

ვით ჩიტს ჩიტურად, ვალობისათვის,
ყელი ქართულად მაქვს შემართული.

პერარა შეცვლის

თოვდა და დიდხანს ვიარე თოვლში
და სახლში თოვლის სურნელი ნომყვა,
თოვლით მოგვრილი მიზიდავს თოშიც
და შეეხვდი როგორც ძველისძველ
მოყვასს.

ეს სილამაზე ცით ჩამოსული,
სითეთრე ესე ხელშეუხებო,
წუხელ მოსულა, ფრთხილად მოსულა,
გვიან მოსულა ღამით, წუხელის;
მე მას, ერთი წლის უნახავ სატრფოს.

დიდხანს ვუმზერდი უსიტყვოდ, უხმოდ...
ვდგავარ და ცივი სითეთრე მათბობს,
უხმო სინაზით მედება მწუხრი;

ეს თოვლიც უფლის ერთი მადლია; —
უბიწო, თბილი, ჩემი და წრფელი...
ვაგებებ ხელს და ხელზე მადნება
და სიწრფელისგან მითბება ხელი.
გარინდებულა მიდამო თოვლით,
გამყურებია არსება თოვლით...

სინაზით მისით უნჯია ყოვლი,
 ხმა ისმის მხოლოდ მისეულ თრთოლვის;
 ეს თრთოლვა თოვლის მონაგონია,
 სახეა მისი, მისი იერი...
 ეს წრფელი თრთოლვა თოვლის
 ღონეა, —

ასე ჩემი და ასე ხშიერი;
 ჩამოდის, მოაქვს ზეცის სითქმელი,
 წარმოგზავნილი ვიღია ზეცის...
 მოაქვს ხალასი, ვრცელი ნათელი;
 ამ ნათელს ვერცრა ნათელი შეცვლის.

მარცხენა გიგლიოსეკა

დიადი ტანჯვა

ისე მაწამა იმ სიყვარულმა,
 ველარც ვივარგებ სხვა ტრფიალისთვის,
 რაი ტრფიალი... ცხადად, მალულად,
 გამოშვებულა ყოფნის ზღლისი.
 თუ სიყვარული ასე გპასუხობს,
 სიძულვილს რაღა გაემტყუნება,
 სიყვარულია ტანჯვის ასული
 და ძლიერია ტანჯვით ცთუნება;
 ახლა კი, ახლა, ეს მოძალადე
 სტუმარი — ქარი კარს რომ აწყდება,

ისევე მწადია იმა ალალი
 ტანჯვის იმავე ძალით დაწყება...
 ქარი კი, ქარი, უსახო ქარი,
 უსხეულო და ძლიერი ლომებრ, —
 მახსენებს თავის ველური ძალით
 ტანჯვის ასულთან გადახდილ ომებს;
 ო, იყო იგი დიადი ტანჯვა,
 ო, იყო იგი ნათელი ტანჯვა,
 ახლა გულს ვუსმენ გლეხივით ნაჯაფს
 და მერე ფრთხილად ვისინჯავ მაჯას.

უნუგაუოკა

დადუმდა, განა, შენი დიდი მარჯვენა, წყალობ,
 თქვა გოგამ და უნუგეშოდ თავი ჩაჰკიდა,
 მიმწუნხრისფერი თალხი იძრა მისი სახიდან,
 გმინავდა იგი: წყალობ, ნუთუ ამ დღისთვის ეწვალობთ!

სახეზე არცრა ნოგიჩანსო ტანჯვისმაგვარი,
 სული რა მშვიდად გაგპარვია გვამიდან, წყალობ,
 თითქოს აქამდე იტანჯე და ახალა დაარობ,
 თითქოს დღე მშვიდი არც გქონია ამ დღის სადარი.

მიწა გრილია, — ასე ამბობს ქართველი კაცი,
 რაც იმას ნიშნავს, დაგივიწყო უნდა ადვილად,
 ვით დაგივიწყო, როცა შენებრ გამრჩე ნამდვილი

და ზნეკეთილი შემხვედრია აქამდე არცინ.
 როცა შენებრი ვებერთელა მარჯვენაც დაცხრა,
 მანგუშებსო ძმავ წყალობ, დღეიდან არცრა.

როდესაც...

როდესაც მამის კუბოსთან დგახარ,
შენ უკვე იცი, დღეიდან სხვა ხარ;


საოხად ვერცხას გიფხობს ბუხარი
სხვა ფიჭვი გაფრავს, სხვა საწებარო;

შენ უკვე ახლოს იტყობი სიყვდილს,
მუხბლობს მისის რწმუნება გვიქრს.

მამის ტყვილებს რადგან ეწამლა...
არადა, როგორ უღეთოდ ეწამა!

როდესაც მამის დასცქერი საფლავს,
რალაქნაირად დაგივლის ზაფრად. —

რომ უკვე შენი ჭერია ახლა...
როდესაც მამის საფლავთან დგახარ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი და ზღვა

მე გამოვედი შენგან ზღვაო და შენვე გერთვი,
მე გამოვედი ზღვია ქაფიდან — ვერთვი ქაფს კაცთა.
რა მერკვა? ნუთუ აფროდიტე? ვინ იცის ახლა?
მე ფეხაყრფით გამოველ შენგან,
მზე შეხებოდა მარცხენა მხარზე.
მოველ წმინდანი, ახალგაზრდა და შფოთიანი,
მზე უკვე შემწვდა მარჯვენა მხარზე,
ნივალ ცოდვილი. უნუგეშო და შფოთიანი.
ვინაა უკან?
ვინაა უკან — ვინ იცის ახლა.
ჟო, ჩემს წინ ზღვაა,
ზემოთ მზე არის,
ვალერსება ქარი მკერდს ჩემსას.

ვერავის ვერ ვცნობ, ვერაფერს ვხედავ...

ცდუნებას უკვე გადავაბიჭე.

ახლა ზღვაა ვერთვი.

კვლავ პატარა ვარ და შფოთიანი.

ჩემს წინ ზღვა არის.

ვინაა უკან — ვინ იცის ახლა

კაცს ეძახოდნენ მას, თუ არ ვცდები,

ჩემს ზემოთ მზეა.

ვალერსება ქარი მკერდს ჩემსას.

მე გამოვედი შენგან ზღვაო და შენვე ვერთვი.

ამზობენ, ნაწილი მიკროსამყაროში უღრის
ერთ მთლიანს...

(საღალბო რეკიტატივი)

მიკროსამყაროს ნაწილი ნუთუ

ერთ მთლიანს უღრის, ჩემო ძვირფასო?

ნუთუ თვალეზი მანდ ტოლფასია ადამიანის?

ნუთუ ტურბინა უდრის თვითმფრინავს?
 ხოლო ნუკა კი, ციციქა ნუკა ჩემო ძვირფასო,
 შავ პოლკოვნიკად მოგეჩვენება?
 — გამარჯობა. — ჩამჩურჩულეებს უურბო. —
 უკვე გავზრდილვარ ცხვირისოდენა, —
 გოგოლის ცხვირის.

ღღეს ნოვისმინე თითქოს პირველად:
 სულისშემძვრელი ორღანო. — ბაბი,
 სულისშემძვრელი ორღანო. — ბაბი
 და კვანძების ჩურჩულაღანო.
 „ომი და მშვიდობის“ ერთი ფურცელი, —
 გვერდი ნატაშას წვეულებისა. —
 მთელ ტომს ხომ უდრის, ჩემო ძვირფასო!

ბალახზე ნამი თურმე უდრის ცვირან ალიონს.
 ხოლო ასანთი ასანთის ყუთში.
 ჩაფიჭრებულა დიდი ხანძრისთვის:
 — ჰეროსტატი ვარ — პირველკლასელი...


ჩემო ძვირფასო, რაც უნდა თქვან ფიზიკოსებმა,
 შენი ტუჩები ვერ შემიცვლის შენს თავს, იცოდე.
 მე შენ მწყურობარ თხემით ტერფამდე.
 ნურც შევიყვარებთ ჩვენ ერთმანეთს იმ სამყაროში
 ფიზიკოსები რომ ეტყვიან მიკროსამყაროს.

ღმერთი

(სადღობო)

გამოეცხადა მას ღმერთი
 და წიგნებს სტაცა ჩელო.
 გადაუყარა და ჰკითხა:
 „შენ შვილო ჩემო, ნამდვილ ცხოვრებას
 როდის დაიწყებ ნუთუ არ მეტყვი?
 განა წიგნებში არის აზრი მთელი ცხოვრების?“
 მან უპასუხა: „ჩემო ღმერთო, მე გავჩუმდები
 ოღონდ მითხარით, ვით შეიძელით
 ამოძრავება უზარმაზარ ბორბლის — პლანეტის,
 ან ათობით და მილიონობით სხვა პლანეტების
 ამოძრავება?
 ან როგორ ცხოვრობ პლანეტარული
 კრიზისების, გაფიცების გარეშე.
 სად გამოჩნახე ამხელა ძალა
 ან ენერჯია სად ჰპოვე შენში,
 შეუფერებელად რომ მუშაობს სუფველა ძრავა

და მექანიზმი ვარსკვლავიერი.
 ო. ღმერთო ჩემო, უმთავრესი მაინც ის არის —
 როგორ ველარ გაგაბრუეს
 (ხალხებმა, ანგელოზებმა)
 მაცხოვარო, პიროვნების კულტით?!
 ღმერთი მარქსისტი იყო ნამდვილი
 და მან მიუგო:
 — მე მუდამდღე ეჭვი მღრღნიდა, შეილო ჩემო.



ანეკდოტის მაგიარ

უცნაური მახსოვრობის პატრონი ვარ, —
 ვერ ვიმახსოვრებ ვერცერთ ანეკდოტს,
 გონებასმახვილთ, აქტუალურთ უცებ ვივიწყებ...

ჩვენ მეჩვიდმეტე სართულზე ერთბელ
 შევიკრებნით ამხანაგები, —
 ენამახვილი ახალგაზრდები
 და გოგონები. ფინჯანი ყავა
 ფრთხილად რომ ეღოთ
 ვარდიაფერ, ნატიფ მუხლისთავეებზე...
 ყველა ჰყუებოდა თითო ანეკდოტს,
 ბოლოს კი ჩემი რიგიც მოვიდა.
 ო, ღმერთო, ჩემო, რა მოვიფიქრო?
 იქვე წყაფწყავებს ჭიშკანი და შავი ძაღლი,
 ავხელთ მისთვის მოუტებავთ შემძლე თათი.
 რა მეშველება. — რა მოუყვებ მეგობრებს ახლა.
 ქვემოთ დაჰქრიან მანქანები, მათი ხმაური
 ნემსივით გვჩხვლელტს და ნემსივით გვეკვალავს.
 მყის მწუხარებამ მომიცვა რალაც,
 ფლატე, ფოთლები, ტყე მომენატრა...
 — შე მოგიყვებით, ვით ათბობენ საბლებს სოფელში,
 ვილაცამ მხრები აიჩეჩა და მოსვა ყავა,
 ვილაცას კოდე წასკდა სიცილი.

— ღვინობისთვეში აიღებდა დედა ტომარას,
 ხელს დააულებდა ფოცხა და ტუისკენ გასწევდა
 ჩქარა.

სადაც ველობი საყვარელი ეგულებოდა.
 მოხვეტავდა ყვითელ ფოთლებს, დაეძებდა
 მანკველა სოკოს.
 ფოთოლცვენის შარიშური ბატონობდა ირველივ.
 დედა სულის მოსათქმელად კუნძზე ჩამოჯდებოდა.
 შემდეგ მიმოიხედავდა: — ვინმე ხომ არ მიცქერსო
 და სალალობო სიმღერას წამოიწყებდა,
 მერე ფუთას ფოცხის ტარზე კოხტად გადააკიდებდა.

დაადგებოდა სახლისაკენ მიშველ ბილიცს.
 სოკო მოჰქონდა გამოკრული ფერად ფუთაში.
 სიხარულისგან მიწას ფეხსაც არ აკარებდა.
 ვერ ჰღალატობდა ჰობს — ფოთლების შეგროვებისა.
 შეაგროვებდა ზვინს ოქროსფერი
 მუხის ფოთლის და ნეკერჩხლის ფოთლის,
 აქეთ ალვის ხის ფოთლები იყო,
 იქეთ კი რცხილის ფოთლების გროვა.
 ღამით სუნითაც კი იცნობდა კაცი ჩვენი ქობისს.
 ოდეს ოთახი გაივსებდა...
 იმ ფოთლების და სიმღერისაგან.
 გარეთ ზამთარი ბოგინობდა მკაცრი და სუსხი.
 ფოთლები ლაღად, ლაღად მღეროდნენ
 იმ ტყბილ სიმღერებს დედა გუშინ რომ გვიმღეროდა, —
 მხიარულსაც, სევდიანსაც, იფნანას, —
 მის საყვარელ, დაჩემებულ სიმღერებს,
 პურიც მღეროდა მაშინ ქვედისა,
 ბორშიც დღელდა, თუხთუხებდა
 და ჩვენი სახლი, ღარიბი სახლი,
 სულ სიხარულით ივსებოდა კიდითკიდემდე...

ეს თუ რაღაც იამის მსგავსი
 მოვუყევი მეგობრებს,
 ჩამოვარდა სიჩუმე და მდუმარებამ მოგვიცვა,
 მხოლოდ ძალი წამუტუნებდა.
 მანქანები დაჰქროდნენ,
 როგორც ძველ და ბნელ სარდაფში
 ის თავხედი თავგები.
 ბიჭები უხმოდ აბოლებდნენ ჩაფიქრებულნი,
 და გოგონებიც ხმას არ იღებდნენ, —
 ისხდნენ მდუმარედ.
 ერთი ნათვანი აქვითონდა,
 გარეთ გაეარდა...
 მიჰყვა შლიეფიც
 ნეკერჩხლის წმინდა,
 ნეკერჩხლის წმინდა ფოთოლცვენისა...

უკრაინულიდან თარგმნი
 სოსო ჩოჩიაშვილი



აღმა გულწიაფილი
არქონული

ბიბლიოთეკა

ბირევის ყვავილი

მოთხრობა

მძინარე ქალი წთელი ტანით შეინძრა. უცნაურად გააერეოლა და რამდენიმე გაბმული გმინვა ამოაგორა მკერდის სიღრმიდან. ძოწისფერმა პატარა, ძალიან პატარა, მაგრამ ოდნავ მსხვილმა ქვედა ტუჩმა ჭერ ძლივს შესამჩნევად ძიგძიგი დაიწყო, ხოლო შემდეგ გაურკვეველად რაღაც წაიდუღუნა. ერთბაშად წარბების შესართავთან შუბლი სამკეცად შეეკრა. თხელი ნესტოები დაებერა და მკერდი კარიშხალოვით აუქანდა.

— აჰ, — გაბმულად, თითქმის ხმამალა ამოიკვლა მძინარემ და ორი ფართოდ გახელილი თვალი ლაღარით გააკვსა.

— ღმერთო მალალო, წმინდა გორგივე, თქვენ დაგვიფარეთ! — წაიდუღუნა თავისთვის, სანამ ძილისაგან კარგად გამოერკვეოდა და მერე ისევ გაინაბა, ჯაყუჩდა.

ღამეს მსუბუქად გაეშალა შავი კალთები, ღუმდა ირგვლივ უოველივე, მხოლოდ ჭერხოს მარჯვენა კუთხიდან ორი მოზრდილი ადამიანის ოდნავ ვასაგონი ფშვინვა ისმოდა. შესავლის მანლობლად, სადაც სახალე ჭერით სავსე კოდები იდგა, თავგი აფხაყუნებდა.

ქალი ერთხანს გაუნძრევლად იწვა. წამწამების შერხევაეც ვერ გაეებდა. შემდეგ, როგორც იყო, მკლავი დასძრა

და მთრთოლვარე ხელი შუბლზე მოისვა.

— რა მეშართება? — კითხა ჩუმად თავის თავს: — შუბლი ერთიანად სველი მაქვს! — და მერე კვლავ სასოებით გაიმეორა:

— წმინდა გიორგივე, წმინდა გიორგივე, შენ დაგვიფარე!

ტილოს წელამდე დასწია, გულთან საკინძე გაიხსნა და გაღლეილი მკერდიც მოისინჯა.

— ბევრი მიწვალია, ძალიან ბევრი. — დაადასტურა ხელახლა და, ამჯერად სრულ ცნობაზე მოსულმა, განაგრძო: — ფუი, დასწყევლოს სამების მადლმა, რა გონაი რაიმე ვსინჯე, ღმერთო, კეთილად ამიხდინე ნახული!

მაინც ვერ მოისვენა. უური საკუთარი გულის ბავუნს მიუგდო და ისევ გაიკვირვა:

— რა მეშართება?

ერთბაშად მოეჩვენა, თითქო გულზე ვილაკამ გამეტებით მოუჭირა და სხეული ჭოჭონეთური ტყვილით გაუესა.

— აჰ, — უჩუმრად დაიგმინა, მერე ნელა წამოჭდა და მარცხნივ სიბნელეში გაიხედა. გაიხედა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია.

— გავალვითბე, — დაასკვნა ქალმა, — ეგება ორიოდ სიტყვა მითხრას და გულს მოუფონოს როგორმე!

ხელი მარცხნივ სიბნელეში გააცურა, მოსინჯა იკაურობა. ქვეშ დაგებულ თივა ამრიალდა და როცა ცარიელ ნაბაღსა და ტოლიკს წააწყდა, დაჭრებულ კილოთი თქვა.

— ვასულა, ეს ერთი ხანია დამეგებს უძილოდ ათენებს. ქვევით ბანზე ზის და სიბნელეს ყუჩად გასცქერის. ფიქრს რაიმეს გადააკიდებია ჩემი მულო. წავიდე, ახლაც იქვე იქნება.

ქალი ნელა წამოდგა. თივის შრიალი და ნიავეით მსუბუქი ნაბიჯი ქვევით ჩასავალი კარისაკენ გაცურებული ლანდისა ღამის სიბნელეში საეკვოდ ჩაიღვარა და კუთხეში თავის ფხაყნოც ერთხელ კიდეც მისწყდა. ქერბოში ქვედა სართულში ჩაყუდებულმა კიბემ რამდენჯერმე გაიკრიალა და ქალი მოჩვენებასავეთ შუა სახლის კარებთან გაჩნდა.

ყური მიუვდო სიბნელეს, გარეო, ბანიდან, ძალიან ნელი, ძლივს გასაგონი ზუზუნნი მოისმა, ხოლო დაწყურებულმა თვალმა იმავე ბანზე მუხლზე ჩამჭდარი ადამიანი დაინახა.

ქალი მსუბუქ ნაბიჯებს პირდაპირ იმ ადამიანთან მიჰყვა და როცა მიუახლოვდა, ნაძალადევი სიმბიარულით ყურში ნიავეით ჩაუშრილა:

— შენ ისევ აქ ათეთრებ ღამეს, ჩემო მულო!

ბანზე მჯდომმა ქვევიდან ახედა და შემკრთალი ხმით იკითხა:

— სერო, შენა, რად არ ჯდინავს, შენ რაილა დაგემართა?

— არც-რა, ჩემო მულო, სარც-რა, გონაი რაიმე სიზმარი ვსინჯე. ძილი აღარ გამეყარა და შენთან გამოველ.

— სიზმარი? — ფიქრიანად იკითხა და თვალი ისევ სიბნელეში გააცურა.

სერომ ჩაიმუხლა მულის გვერდით და ორი ქალი ორ უძრავ ქანდაკებას დაემსგავსა.

ღამე ცუჭი იყო და ხვერდივით რბილი. ზეცას ოქროს ბალთებით დახუნძლული ფირუზისფერი ნაბაღი

ფართოდ გამოიღო ჭიქებზე მოეგვრო და უზრუნველად ქვირიალა.

პერსავეს მთავარი ფრთები უკვე ამოვსალა დევედოს გადასწვრაც, მიღამოს ლა ნაკრისფერი ვადაპარადა და რაღაც ეცნუნა ნაბიჯის იქნის ადღეცდ იგაჭობა.

სიბიკი დახურული თუშური სიხლეზე მათი ყოტებოვით იხიხინეს მდღეში რე ღამეში და მთავიდან ექიმათ.

ოდნავ დაქანებულ ვაკეზე მუხლჩაკეცილი სოფელი გირევი მოახლოებულ ღანთიადს ელოდა.

დასავლეთით, ცხვირით წამოწვდილ თხემზე, ხელოს განთქმული ციხეები მხარდალენილი არწივებივით ისხდნენ და დაღუბულ სოფლის ნანცრევეებს მდუნარედ დასცქეროდნენ.

ქვევით კი, ქვევით, ნაროვანისა და ქვახიდის ალაზანი ორი მოსიყვარულე ძმობილივით ეხვეოდა ერთმანეთს. ქაფად ადუღებულ ზვირთებს პერსაში მუხლით ათამაშებდა და მერე უზარმაზარ ვერცხლის ლარად იკიმებოდა.

პირდაპირ, გაღმა, საჯიხვე, ჩრდილის დეკოთა და არყის ხეებით აქოჩრილი კალთა ჩამოყფინა ალაზნის პირამდე. მყუდრო ღამე იდგა, მთვარის შუქით ტანდასირმული.

ზეცა კვლავ უზრუნველად იციონდა, ხოლო ოქროს ბალთები ისევ თვალის მომჭრელად ცინკობდნენ.

უცებ ერთი ბალთა მოსწყდა, ვეება კუდი გამოიბა და... გაქრა.

ბანზე ორი ქანდაკი ნერვიულად შეირხა, თან შფოთიანი ჩურჩულიც გაისმა.

— მულო, ჩემო მულო, ვარსკვლავი მოსწყდა...

— წმინდაო გიორგიე, შენ დაგვიფარე!

— აჲ, რა გონაი ღამე დადგა, ეს სატიალე, ავი კი ნურაფერი მოახდინოს! — თითქოს თავისთვის წაიდუღუნა სერომ და მერე ცალყბად, ნალვლიანად გააგრძელა: — ღმერთმა გვაშროოს! ის სიზმარი და ეგ ვარსკვლა-

ვი. გუნანი ავს რაიმეს მეუბნება, ძალიან ავს და არ ვიცი!

— ლეთის ნებაა ყველი, ვერსიძე წაუვლით განგებას, ადამიანის ბედიც იქ იწერება თურმე. — და ქალმა მაჩვენებელი თითი ზევით ასწია.

იქ ზეცა ყვლავ უზრუნველად იცინოდა. ბანზე გაშლილმა ღამემ მცირე ხანს იუფა. მცირე ხანს. მერე კი...

— შენ მაინც არ უყო აგრე გულადერიანი, ჩემო მულო, ნეტო, რა დაგებულა სამაგისო?

— არც რა, სერო, არც რა!

— რაა, დადალობას აქეთ, რაც ის ჩანები იყენენ ჩემს დედეულთან, შენ შენი ფერი აღარა გაკვს. სულ მარტოს ყოფნას რჩეობ და...

— სუ და სუ. — და მულმა დაწყურული თვალები მარჯვნივ მდებარე ფერდობზე მიუშვა.

ქვანდიდან ვადმოსაიენ კეპანზე ცის ტატხად ადამიანის ფიგურამ გაივლიდა, ხოლო შემდეგ ირიბად დაქანებულ ბილიკს მგლურით აედევნა.

ხუთიოდე წუთში მიუახლოვდა მძინარე სოფელს და შავ სახლებთან გაუჩინარდა.

— ნეტო, ვინ იქნება, ან ამ გათენებისას რისად გარჯილა?! —

ეკვიანი ხმით იკითხა მულმა ისე, რომ თვალი არ მოუსხლეტია იმ ადგილისათვის, სადაც უცნობი მგზავრი მიიმალა.

იქვე, მახლობლად, ორიოდე ძალიან უხალისოდ წამოიყუფა და ისევ გაჩუმდა.

მეზობელ სახლთან ჯერ დაღლილი ადამიანის ქშენა გაისმა, მერე კი მოსახვევში უცნობი კაცი აშკარად გამოჩნდა. ის ჩუპჩუპით მოდიოდა. თავდაბრილს გეზი პირდაპირ იმ სახლისაკენ ადლო, სადაც ქალები ისბდნენ.

სერო გველნაკებნივით წამოხტა.

— ჩემი მახლი!

მულმაც მუხლებზე წამოიწია, კისერი გაიგრძელა და...

— ჰო, ის არი, ის მარტოზე მცნობა!

ბაშტეს კარმა დაიჭრილა და ორი ქალი სახლთან სულ ახლოს მიაულმგზავრს წინ აესვეტა.

მახლი! ბეკეთ, რათა ბაშტე, არა მახლია? კია?

ბეკური სდუმდა, თავი ძირს დაეკოლა და მიმედ სურბუკა.

— ბიკო, რა მოგდის, რა ამბავი-მეთქი ჩვენს თავსა?! — გაუმეორა დამ და ხელი მხარში წაატანა. ოღნავ მუანჯღრია.

— ცხვარი გარეკეს. — ამოიგმინა ყრუდ ბეკურმა.

— ვინ?

— ქისტებმა.

— ჯარჯი? ჯარჯი სადღაა?

— ჯარჯი? — გაიმეორა კითხვითვე კაცმა და თავი უფრო ჩაკიდა.

— ჰო, ჯარჯი, შენი ძმა, მახლი, შენი ძმა რა უყავ?


— მომიკლეს.

ცოლი იქვე უხმოდ ჩაიკეცა, ხოლო მარიხი, მოკლულის უმცროსი და, მთელი თავისი აყრილი ტანით ზეზე დარჩა, ზეზე დარჩა და ქვისაგან გამოკვეთილს დაემსგავსა.

პირველად მოეჩვენა, თითქოს უზარმაზარი ურო დამკრეს თავში, სხეული სულ ერთიანად დაუმსხვრიეს და ის ნამსხვრები მიწის გულში უკვალოდ დაინთქაო. შემდეგ ოღნავ გამოერკვა და მკერდის სიღრმეში ტივილი იგრძნო აუტანელი. ყურებმა გუგუნნი დაიწყეს, თვალებს კი შიგნიდან ცხელი, ძალიან ცხელი რაღაც მოაწვა.

ქალმა მარჯვენა ხელი თავისდაუნებურად ნელა ამოძრავა და სახეზე მოისვა. ღაწვები მშრალი აღმოაჩნდა, შუბლიც მშრალი, მშრალი და თებულოს სუნილივით ცივი. ჯერ ღრმად ამოისუნთქა, მერე მთელი ტანით ძლიერად გააკანკლა და...

მარიხი გამოერკვა, თავი რამდენჯერმე გააქნია, თითქო იზორებდესო რა-



მეს და თავდაბრილ, უძრავად მდგომ ბეჭურთან უფრო ახლოს მივიდა. ახლა ცი სრულყოფილ და მშვიდებულად და ოდნავ შხამნარევი ხმით დაიწყო:

— ცხვარი მტერმა წაგართვა, ძმაც მტერმა მოგვიკლა, ნეტარ შინ რისიდალა მოსდიოდი, საქალებო თუ დაგვენატრა? — შეჩერდა. ტუჩებზე დამკინავი ღიმილი აისახა და მცირე დღემილის შემდეგ დაუმატა: — კაცო ბადაკარგული ვერც საქალებოში იყარებენა, მონაი ყველგან მონაა! — კვლავ მცირე ხანს იყუჩა და ამჯერად უფრო გაბედული იერით მიიტანა უფროს ძმაზე:

— ეს თოფი აქ მომე, შენ აღარ დაგკირდება, მატყლს თოფით არ სჩეჩავენ დიაცნი! — თოფი ხელიდან გამოგლიჯა და იქვე, ყორეზე მიაყუდა: — ეგ ლეკურიც ვერაფერს გარგებს, მაგით წინდა არ იქსოვება! — და როცა ხანჯლიც აართვა, ქამრიანად თოფის სამასრეებში ჩამწკრივებულ ტყვიებს მიეტანა:

— ვგენიც აქ მომე, დიაცის მკერდზე საევაკაციებს რაი უნდა, მძივი დაიკიდე, მძივი... —

ქალმა ქამარ-ხანჯალი სასწრაფოდ წელზე შემოირტყა, ტყვიები უბეში ჩაილაგა, თოფი მარჯვენა მხარზე დაიკიდა და გახვეებულ ძმას ერთხელ კიდევ შეანათა ლადარივით ელვარე თვალები.

- ჯარჯი სად მოკლეს?
- ნაწინდართან.
- ცხვარი როდის გარეკეს?
- შუა ღამეს.
- საით ვადაატარებდნენ, გუმანი საით გაქვს?

— თებულოს ღელეზე.
იარაღსხმულმა ძმე მიდამოს გამომწვევად გადახედა. მზერაში რისხვა დაოგება.

— ავა, ციხეებს თვალი გაუხელია! — გაიკვირვა ხმაშლია და სწრაფი, მტკიცე ნაბიჯით წავიდა იმ ბილიკისაკენ, რომლითაც წელან ბეჭური მოვიდა.

მარიხმა ცხვირწამოწვდილ კონცხს ერთხელ კიდევ მოუჩვია, მცირე შეღმათით აირბინა და ორი თვალი, როგორც მელიც ამქამად ცეცხლმოდებულ სარკვევდა, ოდნავ დაქაბებულ ქვიშის უფრობა მიიქცა.

მერე კვლავ მტკიცე ნაბიჯით გაარდენ გახლიადის მკრთალ ბიხლს და მრჩაქის ბეჭე ღამის მოოცებებავით აილანდა, თანაც შავდ მორკალულ წამწამებიდან რისხვის ნაპერწკლები გამოაკვსა.

ცხვრის სადგომს იქნეულად გადახედა. არხაჯზე მკედრული სიჩუმე იწვა. ტყვიასავით დამძიმებული და მოსალოდნელი ქუხილით მკერდგატენილი.

იქვე, მარცხნივ, სატანითა და მარილით სავსე გუდები ეწყო. ზედ სახედრის საოფლეები წაებურათ.

გაბარჯლულ ჩხაზე პატარა, გამურული ქვაბი და ცხვრის გაბერილი ფაშვი მოჩანდა მხოლოდ. ჩამჭრალი კერის გადაღმა კი გამხმარი ღვკა ეყარა და იმ ღვკაზე თეკის ნაგლეჯი ეგდო.

ქალმა ამ წვრილმანს უმაღლ მოსწყვიტა მზერა. იგი სხვას ეძებდა, სხვა უნდა მიეკვლია. ის სხვა უფრო ძვირფასი იყო მისთვის, უფრო სანატრელი, ვიდრე ეს საცოდავი ღეში ადამიანის გაძალღებული და მწყემსური ცხოვრებია.

მერე თეოს მიაშურა და როცა იქაც ქვეშაგებად დაფენილი ქეჩიც უკაცრიელი აღმოჩნდა, კვლავ შეჩერდა ფიქრიანად უნდოდა, აზრი მოეკრიფა, ერთბაშად ძაღლის გაბმული ყმული ნიაღვარივით ჩაუგუბდა ყურებში და ქალი არჯახის გადაღმა ნაპირისაკენ მოატრიალა, რადგან პირუტყვის ავბედითი ზარი სწორედ იმ მხარედან ისმოდა.

ქვიან კონცხზე შესკუბებული პირუტყვი ბუნდად მოჩანდა. მარიხმა ქარბუქით გატენილი გული, მოულო-

დნელად დასეტყვილი ქალური მხრე-
ბი და მდულარე შურისძიებით მო-
პირთავებული იქით გაატანა ჭიშინ
მუხლებს. მახვილი სმენით დაიჭირა
მყეფარმა შორეული ნაბიჯი, ძალღუ-
რი მზერა დაახვედრა უკვე მოახლოე-
ბულ ქალს და ლაშებგაშვერილმა ისევ
საბრალოდ დაიკმეფლა.

— ბოთერავ, ბოთერავ! — გაეხმა-
ურა ქალი.

ძალღმა იცნო მოსული, მაგრამ აღ-
გილიდან მაინც არ დაიძრა, მხოლოდ
მსხვილი, ბანჯგლიანი თავი მოიბრუ-
ნა და დაჭრილი ყურის ძირები ოდნავ
აატრია.

— რამ გაგაქვავა, შე სატიალევ? —
შეუწყრა მარბიხი და მერე ისე მიმარ-
თა, თითქო მეტყველს ესაუბრებოთ:—
პატრონი რა უყავ, სად დახვარგე, ბე-
ჩავო!...

მყეფარი ისევ ისე უძრავად იჯდა,
ზოლო ქალის ყურადღება ბუერის-
სა და კირტლის ტევრმა მიიქცია. იმ
ტევრს შუაზე ფართო ნაგალი ჩას-
დევდა, თითქო ვილაკებებს საგანგებოდ
მოუსრავთო მთის ბალახი. მკერდი
გაიფსო მარბიხმა მძიმე მოლოდინით და
იმ ნაგალს დაჰყვა. ხუთიოდ ნაბიჯზე
შავი რაღაც შეამჩნია, მიუახლოვდა,
ოდნავ დაიხარა და... იცნო.

კირტლისა და ბუერის დალაბულ
ტევრზე თვალდავსებული და მდუმარე
ჯარჯი იწვა. ჯარჯი — თუშეთის
სახელგანთქმული ვაჟკაცი, სწორუპო-
ვარი მონადირე და ჭირითში შეწინავე
შხედარი.

სიკვილის ეამს გამწარებულს მარ-
ცხენა ხელით მიწა მოეთხარა და ის
მიწა ახლაც გაყინულ თითებს დაემუ-
წა. საფეთქლის მიდამოში ღრმა ნახან-
ჯლარი აჩნდა, ზოლო გულის კოვზთან
საკმაოდ ფართო კრილობას სისხლი
უხვად გადმოედვარა და პირი სახარ-
ლად დაეღო. მარჯვენა მკლავზე ხე-
ლის მტევანი გადაესხიბათ, და, რო-
გორც ჩანს, წასულებს თან წაეტანათ.
იქვე სისხლიანი ხანჯალი ეგდო, ბერ-
დენას კი შავი ტუჩი კინკრიანში წა-

ყვო და ჩახმახი წითელი დაქებით ააბ-
რგლებინა.

ქალმა ცალ მუხლზე ჩაიოკა. ცალი
ხელი მის შუბლს ფრთხილად დაადო
და როცა იქ ნაცნობი სიმბურვალის
მაგიერ თებულს ყინულს წააწყდა,
თავი უემედოდ გაიქნია.

— აფაქუ, ბიკო, უბუნოდ დაღუბ-
ლო ჯარჯის!

ორივე ბელი ეღლივში გაუყარა
მალოვნად ასწია. მისს უმრავლეს მკერდს
საკუთარ მკერდზე მიიყრდნო და ასე
ჩახუტული იქით წაიღო, სადაც მწყემ-
სების მკერე ბარგი ელაგა. დეკაზე
რომ თექის ნაგლეჯი ეგდო, ის დააგდო
ძირს და ცხედარი ზედ დააწვინა.
მკლავები მკერდზე დაუკრთა და
კაენარევი ხმით ერთხელ კიდევ ჩაუ-
ლაპარაკა:

— შენ სატირლად ჯერ არა მცალი-
ან, ბიკო. ქვადქცულ გულში ცრემლი
დამეშრიტა. საპოხი სკირდება ტიალს,
საპოხი, ეგ შენი ღუშმანის ძარღვებში
მეგულება, იქ ვიპოვი, გულს იმით
დავირბილებ და ცრემლსაც მერე და-
გადენ, მანამ კი...

ქვიშის ჩხრიალმა სიტყვა შუაზე
გააწყვეტინა და მთელი ტანით მარცხ-
ნივ მიაბრუნა. მის წინ სახელეწილი
სერო იდგა, მკვდარი ვაჟკაცის ახლად
ჯვარდაწერილი მეუღლე და ფარსმის
მიწიდან ახლად ულორტამოტანილი
შურთხა ქალი. მოსული მკედრის გა-
ფითრებულ სახეს დააშტერდა და
რიხით მხოლოდ ესა თქვა:

— ჯარჯი, მტერი გაგინარებია!
მერე მულს საქმიანად შეეკითხა:

— იარალი რა იქნ მაგისი?
სერო მულის გაშვერილ თითს გაჰ-
ყვა, მცირე ხნის შემდეგ თოფით დაბ-
რუნდა, ხანჯალიც მოიყოლა.

მოკლულს ქამარი მუხსნა, წელზე
შემოირტყა და ცარიელ ქარქაშში. იმ
ქამარზე რომ ეკიდა, სისხლიანი ხანჯა-
ლი ჩაასრიალა, ზოლო როცა ქმრის
სამასრეკებიდან ბერდენის ტყვეებიც
ამოალაგა, მარბიხი უკვე შეჭურვილ
რძალს მიუბრუნდა:

— ჩემი ძმის ხანჯალი აქ მომეცი. შერცხვენილისა კი შენ შემოიკარ, ვინდინოთ, თორემ ის ძაღლები უნიშნოდ წაგვივლენ. — და მერე მხნედ დაუმატა: — პო, აგრე, აბა, ახლა კი გვალე!

3

მყეფარმა სუნი იყარა და ორ მდევარა ფრიად გამოცდილი მგზავრივით წინ გაუძღვა.

დაულახავი სიმწვანით ქტორილ ფერდობზე განიერი ბილიკი მიიკლავნებოდა ირიბად. ცხერის ფარის გავლისას ბალახიდან ნამი საგულდაგულოდ ჩამობერტიყლიყო და უკან ადვილად შესამჩნევი კვალი დაეტოვებინა. ცხადი იყო, სტუმრებს გეზი პირდაპირ თებულოს მთისაკენ აეღოთ.

მდევარი ჯერ ნათოსს მიჰყვა. ხოლო როცა იმ სათოსმა კლდეკარიან ვიწრო ხეობაში წაჰყო ცხვირი, მარხბმა დაასკენა: ამ ვიწროებიდან ვერსად ვერ გაუხვევენ. ზეაგებზე ატარებენ ქეჩით და თებულოს დელეში გადავლენო.

სერომაც დაუდასტურა მულს ვარაუდი და თავის მხრივ უმჯობესად სცნო, კვალს მხარი აუქციონ, მოკლედ მოსკრან მანძილი და გზა თებულოს დელეში უყელონ. პო, რა თქმა უნდა, ასე აჯობებს. მარცხნივ კაცთუვალ ქარაფებს როგორმე გადაივლიან, მერე მარჯვნივ მოუხვევენ. მცირე დაღმართს ჩაჰყვებიან, თებულოს თოვლიან ყელს ქალური რისხვით პირამდე გაავსებენ...

ქვალორლიან გადასახედით ძაღლებოთერა ერთბაშად ოთხივე ფეხით მიწაში ჩაერქო, კისერი წაიგრძელა, მურა ტუჩი წინ გასწია და წაჭრილი ყურის ძირები აცქვიტა.

დაწინაურებულმა მარხბმა მალე შენიშნა კვეიანი პირუტყვის მოძრაობა.

— ხედავს რალაცას ეგ მყეფარი, — ნახევარი ხმით მიუგდო რძალს და ორმა ქალმა ორი რისხვის ქარიშხალით აქოთებულნი გული წაიღო ძაღლისაკენ.

მყეფარი ისევ ისე გახევებული იდ-

გა მხოლოდ მურა ტუჩი უტოვებდა ოღნავ, რაც უთუოდ ძაღლურ გუმანს გამოხატავდა.

ქვალორლიანის მეორე მხარეს ორმოსავით ჩაღრმავებულ ტაფობში პირაღმა ვაშოტალი კაცი უწევდა მის გვერდზე მეთრე ჩოსიანს ჩაემუხლა და მკერდია მთაძომში ხელებს უფათურეჭდა. უწინაგვან ცოტა ქვემოთ, მარჯვნივ ედებოდა თოვლებს ურბ სვე ამოფარებოდა და თვალმხიერად იქით გაიყურებოდა. საიდანაც ცხერისაგან დატოვებული ნათოსი მიიკლავნებოდა. მარხბს ბორბტმა ღომილმა ზედა ტუჩი აუგრხინა.

— ავია, კევენ, ქისტის შვილებო, ფანდი წაგიხდათ, ფანდი, გგონიათ, მდევარი პირდაპირ ნაკვალევით წამოგეწევით და თქვენ მაინდან მზეს დაუბნელებთ. ვერ მოგართვით, ვერა, ძაღლებო, გირევიდან მოზგავებულმა ორმა მგელმუხლა ძემ თავს დაგვიარათ და...

და ორ კონდახზე ორი თვალი ორ მამხალასავით გაენთო..

— არა, ახლა მაგრე ადვილად ველარ წაგვიხვალთ, უმაღლ მარჯვენას დაიმწიფებს უაჩრდილო ვაქეაცის დაი მარხბი, ვიდრე ნიშანს ააცილებდეს. ნურც იმავე ჯარჯის მკლავზე ნარწვევი სეროს გული გგგონებათ ჯაბანი, დედას აგიტირებთ, დედას!

ორი ბერდენის ქუხილმა ჰაერი ისე შეარყია, თითქო ზეცა ჩამოემშო და მიწის პირი ნალეწებად აქციაო. იმ ორ ქისტს, მზირად რომ ისხდნენ, ბეკებზე ბოლი აკვარდათ, ჯერ ზეზე წამოცივდნენ, მერე მოსხებელივით დაეცნენ ძირს და აღარც განძრეულან.

დაჭრილთან მყოფი დაიბნა, უაზროდ ბორიალობდა და არ იცოდა, საით გაქეუთლიყო. ამით ისარგებლა სერომმა და ჰაერს მეორედ შეუნთო ცეცხლი, მაგრამ ამჯერად დააცილა და სრულიად უვნებელი ქისტი ხრამში გადაეშვა.

ამასობაში დაჭრილიც წამოდგა და მთვრალივით წალასდა. სამიოდე

ნაბიჯი რომ გაიარა, ძალამ უმტყუნა და მუხლის თავებზე ჩაიქცა, კვლავ გაკირვებით წამოდგა. დარბევულ აფამფალებულ ნაბიჯებს გაჰყვია და...

— ვერა, ძაღლო, თავს ვერ უშველი, უკან ძუ ვეფხვის ნაბტომით მოგდევნ ქალი მარბი, მოგდევს და იმ ხანჯალს მოაპრიალუებს, რომელიც წუხელის მაგის ჭრის ვეკაცმა, ახლა კი თვალ ჩამქრალმა ჯარჯიმ, მკერდში გაგიტარა მის დაწყებულს მარბს ქალი დაასრულებს, ვერ წაუხვალ, ვერა!

მძლავრად მოქნულმა ლეკურმა პაერი წივილით გასჭრა და ბარბაციით მიშავალია ზურგში ტარამდე ჩაჭდა. კაცი ჯერ შედგა, ბეჭები სიმწარით შეარხია, მერე ცალ ფეხზე მიტრიალებულმა ორი გაფართოებული თვალი, ორი ვეება ცეცხლის ბორბალივით შეანათა მკვლელს. თან გაურკვეველი რალე წაილულღულა და მიწაზე უძრავად გაიშოტა.

ქალმა თავადაც ღრმად ამოიგმინა, რადგან...

რადგან მომაცდების გაფითრებულ სიხე უმალვე იცნო, პო, როგორ არა, კარგად ახსოვს მარბს ქალს ეს უძრავად მდებარე კაცი.

ორიოდე თვის წინ დადალობის კვირა ძალზე, გირვეის ტანმორჩილი ქალწული ფარსმან ეწვია, იქ სეროს დედული გული ფართოდ გაუღეს სხელოვანი სიძის უმცროს დას და დღეობასაც ჩვეული ხელგაშლილობით დახედნენ. მაშინ ეს კაციც იქ იყო, ქისტეთიდან სტუმრად მოსული. იქ იყო და მარბს ქალს საერთო ჯარობაში არწივის თვალი დაადგა. გამოუცდელ ქალწულს მოეჩვენა, თითქო ტანავრილი ჩაჩანი მზის ვეება ნატუხით გულში ჩაუგორდა და სხეული უცნაური საამო ეურანტელათ აუტოკა. მას შემდეგ ვერ იქნა და ვერ ამოიგდო მარბს ქალმა იმ შორეული სტუმრის ხსოვნა გულიდან. მოსვენება დაეკარგა, ძილიც გაუკრთა და როცა თუშეთის ნაცრიაფერ ღამეში თვალხილულნი მხოლოდ ორნი რჩე-

ბოდნენ — ასა და მთვარე — განმართებული ქალწული იჭდა მანზე, ლილისფერი თვალებით სიხეტეს გასცქეროდა და შორეულ ქისტეთიდან თეთრი ცხენოსანი მხედრის მღვდლის თამე ღამეზე დაელოებდა.

ლიდას ელოდა, ღიდასნს, მაგრამ... მერე მკვდელიც უბედობამ ახლავს კაცქმარბს ქალის მუხლზეთან უბედობად დასცა.

ქალს სხეული თითქო ზეზე გაეყინა. გული გამეტიებით შეეფუშა და იმ გულიდან ორი თვის წინათ ჩაგორებული მზის ნატები ამოვარდა, თებულოს სისხლიან მიწას დაენარცხა, ერთბაშად ჩაქრა და სიკვდილივით გაცივდა.

— მტერი იყო, ჩემი მძის მამკლავი! — გაიმხნევა შერბეული გუმანი მარბმა და თითქო სირბილით გაეკოდა ქვიშაან ფერდობს, თან უკან ჩამორჩენილ რძალს მოაძახა:

— აბა, გვალ, ვიარათ, თორემ...

თორემ დანარჩენი ქისტები გაასწრებენ, ცხვარს თებულოს ღელეს გადაცილებენ და მისი უფროსი მშა ბეჭურივით შერცხენილი დაბრუნდებიან გირვეს, ეს სააუგო რაიმე იქნება. ვეკაც ჯარჯის საფლავშიც არ მოასვენებს. მართალია, სისხლი უკვე აიღო, მტრის ვალში არ დარჩა, მაგრამ ცეცხლმოდებულ გულს მარტო ეგ როდი გაავრილებს, სასწორი ჯერ იმით მხარეს სძალავს. ძაღლებს ცხვარიც მიუღიით. აგერ, ზეაეებმა აუქეჩეს თოვლივით თეთრ ჯარას, რომელსაც ჯარჯიმ თავისი ბიკობა შეალია და ბოლოს წარბშეუხრელად ზედაც დააკვდა. პო, ცხვარი მიუღიით, ჯარჯის ნამაგარი შიშავი... სამიტომ... ქალებმა ძალიან უნდა იჩქარონ, ძალიან, თორემ გადაასწრებენ.

კლდეკარიან და კაცუვალ ფერდობს ისე გადაურბინეს, თითქო შარავზა მიუძღვითო წინ. ერთგან წანღდაკემულ და მწვანიან კარაფზე ჩიხვების ხრო დააფრთხეს (აქ თუ ნადირობდა ხოლმე ჯარჯი), მერეგან შურთხებიან

გნაისით აავსეს კლდეთა უდაბნოეთი და როცა ოთხი დაღლილი მუხლი თებულს ღელის ცივ მიწას ჩაეკრა: გასტე ქვიშოანში თეთრმა ვაცმა რქები ამოაჩინა.

წვერმოშვებული უდაბნო რქაყარლი ზორბა ტანის თხა შედიღური იერთს სწორედ იმ გოხებხვდენ შიბობტებდა, სადაც მდედარი ჩასაფრდა. უკან ათიოდე წვრილი თხა და შიშაქი მოყვებოდა. ამ მეწინავე ნოსტოს ერთი კაცი შეერგებოდა. დანაჩრქვი ცხვარში არ ჩანდა.

ორ ქალს ორი გული ბოღმით აეწვა. მაგ მგლის კერძად ვადასაქევეს და რქამოსამტრევეს საოცდავი ჭარჯი მარლის ხელზე აქმევდა, ანებივრებდა ეშმაკი ჩამონავალს და ასლა უყურე, „სად მიხვალ ვაცო, ტიალო, საით მიგიდის ცხვარი“. მარიხი „ეშმაკების ჩამონავალა“ უყვე ნიშანში იღებდა, ხოლო „რქამოსამტრევეი“ დაუდევრად მოალაჭებდა მისვენ. ოციოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, ქალმა გულში ელვასავით გაივლო: „ღმერთო, მიშველე!“ და მარჯვენა მარჯვენებელ თითს მოსწია. ბერდენის გრილმა იმავე წუთს ვაცის მარცხენა რქის ნამტრევეი პერში ათამაშა, ხოლო „მგლის კერძი“ დაბორიღებული წინა მუხლებზე დასცა და შერე ყველაფერი ერთმანეთში აირია...

4

როცა მზე დიკლოს მთიდან ამოგორდა და ღრუბლის აწეწილ ფთილებში ზანტად ჩაწვა, ჭარჯის ცხედარი გირვეს ჩამოასვენეს.

ზარი მეტად დიდი იყო. მოკლულის ცოლეურებს მთელი ფარსმა გამოჰყვა. ხოლო ფარსმამ პირიქითის ხეობიდან მრავალ გულშემატკივარ მამაკაცსა თუ დედაკაცს დაარაბტინა ცხენი და კირისუფალთა კარზე მოიყოლა.

ტევა აღარ იყო, ხალხით გაიქვდა იქაურობა, ჭარჯი სახლის წინ იწვი ტოლიჯზე. მახლობელი მანდილოსნები ავი ყორნებივით შემოსჯაროდნენ

სიგელივ და ერთის მოთქმას ამხმალა ქვიღვეითით აძლეღდნენ ბანს.

მიცვალბულს თავთან დედა ეჭდა. უყვე ღონემიღვეული ურუმრად დაპყურებდა შვილს და ხამუშხამუშად თავს აქნიდა. თითქო ვეგროსო რიღაც მსმულს დაქქნარე ვეღელ ბოღმამ მოუპირთავა და ისე ამოუშრო, რომ ცოშმოს ერთს ცოშცნალოც ვეღარ მოსწერს დაბანდალ თიღობს ტამედენი ჭარჯი მოაწვა ერთიან. უმცროსი ვევი მოუკლეს. უფროსმა საჭვეყნოდ თავს ლაფი დაისხა. ცხვარი მტერმა გარეკა. ქალე მარიხი მღვერის საბედისწეროდ აინთ და რძალსაც იგივე ცეცხლი მოუვიდა და... მოხუცმა არ იცის, რას შეამთხვევეს ვანგება იმ ორ თავგადადებულ ძუს, როგორ გაუძლოს დედის გულმა ამდენ სივაგლახეს, ან რომელი ერთი დაიტოოს, ამდენის ატანა შეუძლიან კი.. და დედას ხანდახან მკერდიდან ცრემლის ნაცვლად სიტყვები ამოჰქონდა, ხოლო ის სიტყვები ფოლადის ნაჭრებივით იბნეოდნენ გარშემო.

— ჭარჯი, დედის პატარა ბიჭო! ხედავ, მხრები დამალეწე, მაგრამ მაინც არ დაგტირი, ვეკაცად გამიზრდინხარ და იმად, მე სატირალ სხვა მაქვს, შენზე მეტად სხვა მიცეცხლებს ამ ქვადქცულ გულს. ავაპ, ბეკურო, რად მუცელში არ გამიწყალდი! — და უფროსი ვევის მოგონებით გამწარებული მოხუცი დამქენარ ხელს დამქენარ მკერდში იცემდა. ტირილი კი მაინც არ შეეძლო.

— მოდიან, გამოჩნდნენ! — დაიძახა ვილაცამ და ეს ზღვა ხალხი, მოზარეებს გარდა, დასავლეთს მიამტერდა, ირიბად დაქანებულ ბილიკს ხუთი კაცი მოჰყვებოდა, ხოლო მათ წინ. კარგა მოშორებით, ორ ქალს ჩქარი ნაბიჯით პირდაპირ აქეთ მოერეებოდა. ორიოდე სახლს მოუხვიეს და ის ორი ქალი ყველამ იცნო. ყველამ უხმო პატივისცემით მისცა გზა და ცხედართან მიუშვა. ერთი დედამთილის გვერდით მუხზვადაქვილივით დაეცა და მოწო-

ლილი ქვითინი მოხუცის კალთაში ჩაიგდება.

მარიხი კი ისე ზეზე დარჩა. სახეზე საავდროდ გამზადებული ღრუბლის ფერი დაეფინა და დედასავეთ. გაქვავებულ გულს ჭერ ვერც სიტყვა ამოეგდო და ვერც სრემლი წამოეღვარა. მცირე დუმილის შემდეგ ძლივს ყრუდ ამოიკენესა:

— ჯარჯი, დაიმე მოგიკვდეს!

მერმე მარცხენა ხელი, რადგან მარჯვენაში დაეჭრათ და კისერზე თავშლით ჩამოება. ზევით აკრეფილ კაბის კალთაში ჩაუშვა და იქიდან ამოღებული ხელის მარჯვენა მტევანი მკედარ ძმას მკერდზე დაადო.

დედამ მყის იცნო შვილის მკლავიდან ანათალი გეში და გულს ოდნავ მოეფონა.

მარიხმა ძირს მარცხენიე ჩაიმუხლა და იმანაც დედის მსგავსად ჭერ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გადმოაგდო გამშრალი ყელიდან:

— ჯარჯი, დიმიე მოგიკვდეს. კვერსნუ გაიყოლებ, ბიჭო. შენმა მოშულარმა თავისი მიილო და ძვლები ჩვენს მიწაზე ვისწირა ყორწენის საჯიჯგნად. შენმა თავმკედარმა მარიხმა კი ახლავა მოკალა შენთვის, ხომ იცი, გამწალებულ გულს სრემლები მართლ მაშინ წამოსცვივა, როცა მოცილის მარიხ კალი პირვეე გადაეზბო ძმის უზოაე შეკოდს, ხოლო იმზე წუთის ქრთმა ახალგაზრდამ მეზობელს წაუშრილა:

— ჰაი გიდი, გირევის ყვავილო!

— მადლიანი ძუძუ უწოვია მავ დალოცვილს!

— ამბობენ, ხუთი მოჰკლესო.

— ნეტარ, ბეჭურ რალა იქნა?

— წუხელის გადაკარგულა ის უბედური და...

და ჩურჩულს ფრთა მოაკვეცეს, რადგან გირევის ყვავილმა მოთქმით დაიწყო ტირილი.

1942.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ხორნაული

მზის ჩასვლის მერა

შენ ჩემთვის
სასწაულზე მეტი ხარ...

ათასი წლის წინათ
გარდაცვლილი
წინაპრის ღიმილი,
ათასი წლის წინათ
წაქცეული
ყვავილის ჩრდილი,
ათასი წლის წინათ
ანთებული
ელექტრის სითბო
შენშია, ღამევ..

შენ მაღალი
და თბილი ბუდე ხარ —
ფსკერზე მზის ოქრო მობნეული.
ვარსკვლავებსჩვეული —
რომელშიც იბადება
ახალი დღე,
კიდევ ერთ კრილობად
რომ უნდა გაიეღოს
გულსა და სამყაროში,
კიდევ ერთ ეკლიან
და მაღალ ციკაბოდ
რომ უნდა აღიმართოს
უფლისაყენ მიმავალი
ნატანჭი მგზავრისათვის...

შენ ჩემთვის
სასწაულზე მეტი ხარ...

შენ გვაგრძობინებ,
რომ მეორე ქვეყანაც ღამაშია.

რომ გარდაცვლილები
იმ ქვეყნიდან
ხშირად ბრუნდებიან
და ჩვენთან ერთად
ანთებენ სანთლებს
და ჩვენთან ერთად
განსაცდელის წინაშე დგებიან
და მათი შემხედვარე
ეფიქრობ სინანულით:
„როდემდე უნდა ვიამაყოთ
იმ სიმალღეებით,
რომლებიც მათმა
გონებამ იხილა?
როდემდე უნდა ვიამაყოთ
იმ კრილობებით,
მათ ხმას და მღუმარებას
დღემდე რომ არ მოშუშებია?
როდემდე უნდა ვიამაყოთ
იმ სიმღერებით.
მათ გულებში რომ დაიბადა
და ახლაც გაისმის?..
ათასი წლის მერე
ვის გაახსენდება
ჩვენი კრილობები,
ჩვენი სიმღერები
და სიმალღეები?!“

შენ ჩემთვის
სასწაულზე მეტი ხარ...

როდესაც დღის ბოლო
ტალღებიც გაქრებიან,
როდესაც ნაპირებს შეაშრებათ
უკანასკნელი წვეთები სინათლისა.
მაშინ შენს მხარეებში

ისეთი სიჩუმეა...
 ასეთ სიჩუმეში მავიწყდება
 მე ჩემი ტკივილები.
 ასეთ სიჩუმეში მავიწყდება
 მე ჩემი სიხარული
 და ვგრძნობ, რომ ნაწილი ვარ
 სივრცის...

ხოლო სიოცხლე,
 ნაშინ არის დღესასწაული,
 როდესაც გრძნობ,
 რომ სივრცის ნაწილი ხარ!

რამდენჯერ მსმენია:
 „დღე მოვიდა
 და ღამე წავიდა...“
 ჩემთვის 'არც ერთი
 ღამე არ წასულა
 და არც დაკარგულა,
 ყოველი ღამე
 ზეცას უერთდება
 და კოსმოსის მარადიულ
 ნაწილად ქცეული
 სიყვარულით ამაღლებას
 უსურვებს სამყაროს...
 ყოველი ღამის ნაპირები
 და პორიზონტები
 მზის წმინდა ძაფით
 არიან მოჭარბული
 და ჩვენს გულში
 გავლილი წუთები
 უკვდავების ჰაერის მარცვლებივით
 უბრწყინავს ზავერდოვან ტალღებზე.

ცეცხლი და კელამტარი
 ღამით უფრო მშვენიერია
 საგალობელი.
 ლოცვა თუ ტირილი
 ღამით უფრო მკაფიოდ ისმის
 ქალის საბუღალღამით უფრო
 მართალი და დუნაღა.
 სუბოცხლე
 ღამის წიაღში ისხებო
 სოკლილიც
 ღამით ურო ადვილია:
 სივრცეში — ღამე,
 თვლებში — ღამე,
 ხოლო გულში ჩარჩენილი
 ყველასათვის უცნობი ვარსკვლავი.

ღამით სარკმლის გაღებაც
 სხვა არის,
 ჰაერში თითქოს პირველყოფილი
 მშვენიერების ხიბლი იგრძნობა
 და არა ჩვენი საუყუნის
 დღეების შხამი...

ყოველი ღამე ზეცას უერთდება
 და კოსმოსის მარადიულ
 ნაწილად ქცეული
 სიყვარულით ამაღლებას
 უსურვებს სამყაროს...

შენ ჩემთვის
 სასწაულზე მეტი ხარ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა იათაშვილი

გაქცევა

როდესაც გაიქცევი თავქუდმოგლეჯილი
და გაიქცევი არა იმიტომ,
რომ ვინმეს გაიქცევი,
არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ
ფეხისგულებით იგრძნო დელამიწა
და რაც მის გულშია:
ბალახის თესლი,
გარდაცვლილთ ძელები,
იავარქმნილი ქალაქები
და ყველაფერი ის, რაც უნდა
დაიბადოს ჯა აშენდეს
და კვლავ დაინგრეს,
ყველაფერი, რაც უნდა გაიქცეს
თავქუდმოგლეჯილი,
მოხიბლული საკუთარი სისწრაფით და
უხილავ ფრთებით,
სახელეწილი,
სუნთქვაშეკრული,
დამბაჩებით და ვაშლებით ხელში,
გაიქცეს მინდორზე,
რომელზედაც კაქტუსები და
ქრიზანთემები
ყველაზე უფრო კარგად ხარობენ,
რომელზედაც გიენები ერწყმიან ირმებს
და ირმები კნაყოფილნი არიან ფრიად
გიენების უტიფარი, უშმაგსი,
ულევი ვენებით —
თაკარა მზეზე რომ იბრძმედება,
მთვარის შუქზე კი
ამოდის ყმუილად და თავისუფლდება,
ხოლო მერე კი სირბილს იწყებს,
და არა იმიტომ,
რომ ვილაცას სურს დაეწიოს,
დაჩაგნოს, დაფლითოს ნაწილ-ნაწილ

ან გამოშიგნოს,
არა, არა, იმიტომ არა!
ის უნდა გაიქცეს იმიტომ, რომ
მისი წვივები ქროლვას ითხოვს
და ყველგან ყოფნას,
კოცონებს, წყალდიდობებს,
კატასტროფებს,
ტკივილს ითხოვს,
როგორც ქალწული პირველ ღამეს
და სიკვდილს ითხოვს,
და მირბის, მირბის თავდავიწყებით
კინკრითა და გაიკინტებით
მოქარგულ ველზე,
ფეხისგულებით გრძნობს დელამიწას
და მის გულში რაცაა იმას,
მის გულში კი ჩვენიცა ვართ და
ჩვენი გულებიც იქ ასვენია —
დაუქოქავი საათები
და ზამბარაგაწყვეტილი,
გაჩერებული საათები,
ისრები კი მხოლოდ და მხოლოდ
ერთადერთ თარიღს გვაჩვენებენ
და ის თარიღი არაფერში აღარ გვარგია,
ისევე როგორც არ გვარგია
ნიეთები, საფლავეში ჩატანებული:
წვერსაპარსი, წიგნი, ფანქარი,
დედისა და შვილის სურათი...
ბოთლი ღვინო და სიგარეტი...
არ გვარგია არც ჩვენივე სისხლი
და აღარც ვიციოთ,
რად გვეშინოდა ყველაზე მეტად
ამქვეყნად მისი —
ჩვენივე სისხლის გვეშინოდა,
ჩვენივე სისხლის!


გვეშინოდა ალბათ იმიტომ,
რომ გვიყვარდა —
შიში შეიქმს სიყვარულსაო,
თუ პირიქით:
სიყვარული შეიქმს შიშსო.
და ჩვენც ხომ მხოლოდ
შიშითა და სიყვარულით ვშენდებით და
ვინგრავით ბოლოს,
მივსრიალებთ გაყინულ სისხლზე —
მდინარეზე.
ირგვლივ ძველი ქალაქების
ნანგრევებს ვხედავთ,
გარდაცვლილთ ძელებს და
ხალაქის თესლს და
დაულურსმავი ფეხისგულებით
გვრცხვენია ჯვრების —

წითელ ნაყადში გაყინულების.
გვრცხვენია და დაულურსმავი
ხელისგულებით
შევლადებთ გაუგებარ სიტყვებს
ზეცას,
და გვეთხა გვექცეთ,
მათამ რვესრიდებთ.
მივსრიალებთ დაოსრულებლად
და ვოცხებობთ იმ წეტარ წამზე
როდესაც გავიყუცეთ
თავექდნოგლეჯილი,
და გავიქცევით არა იმიტომ,
რომ ვინმეს გავექცეთ.
არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ
გაქცევაა საბოლოო ჩვენი მიზანი...

ქველი ნიგნი

ვიჭექი სახლში, წიგნს ვკითხულობდი,
და ვგაძნობდი როგორ ძველდებოდა
ჩემი სისხლი და მძიმდებოდნენ
ჩემი ფილტვები...
როგორ დგებოდა აკლდამების ჰაერი
მათში,
თავის ქალაში ჩამუწიებულ აზრებს
კი როგორ
აფხიზლებდნენ ვნებიანი და უძღები
ძველი ღმერთები...
ვიჭექი სახლში, წიგნს ვკითხულობდი,
და ძარღვებგამხმარს მენთებოდა

გზნება თვალეში, ცეცხლოვან
ხილვებს
კაცღმერთებზე და ღმერთკაცებზე
სისასტიკის და სიდიადის
